

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**XL**

**რესპუბლიკური დიალექტოლოგიური  
სამეცნიერო სესიის**

**მ ა ს ა ლ ე ბ ი**

ახალქალაქი, 2020 წლის 9-10 ოქტომბერი

ემდვნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დაარსების 30-ე წლისთავს

თბილისი  
2020

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება **2020 წლის 9-10  
ოქტომბერს** სამცხეთ-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (III  
კორპუსი, ახალქალაქი)

### **რეგლამენტი**

მომხსენებელს – 15 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წუთი

რედაქტორი – **მერაბ ჩუხუა**

სარედაქციო ჯგუფი: **მერაბ ზერიძე  
ლელა გიგლემიანი  
გიორგი გოგოლაშვილი  
ნანა მაჭავარიანი**

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

# მ უ შ ა ო ბ ი ს   გ ა ნ რ ი გ ი

## 9 ოქტომბერი

კონფერენციის გახსნა 12:00.309-ე აუდიტორია

### პ ლ ე ნ ა რ უ ლ ი   ს ხ დ ო მ ა :

**მაკა ბერიძე** (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი) –  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 30 წლისაა

**ნანა მაჭავარიანი** (არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის  
დირექტორი) – მისალმება

### I სექცია

13:00 სთ., 309-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი : **ნანა მაჭავარიანი, გიორგი გოგოლაშვილი**

**როინ ჭიკაძე** – მამალხინეს ქართული – ხალხური ენით განზავებული მე-  
ტყველება გიორგი შატბერაშვილისა

**გიორგი გოგოლაშვილი** – ქართული ენის დიალექტების აღმოსავლურად და  
დასავლურად განდასების ერთი ლინგვისტური პრინციპისათვის

**თამარ ლომთაძე** – დიალექტოლოგიისა და სოციალური დიალექტოლოგიის  
კვლევის ობიექტები

**ნინო შარაშენიძე** – მეოთხე სერიის მწკრივთა წარმოება და პარადიგმები  
ქართული ენის დასავლურ დიალექტებში

**მაია ზარამიძე** – ზედსართავ და რიცხვით სახელთა წარმოების თავისებურე-  
ბისათვის ტაოურში

**მაია ქუქჩიშვილი** – ემ თემის ნიშნის გამოყენების თავისებურებები ქართუ-  
ლი ენის ჯავახურ დიალექტში

**მანანა ჩაჩანიძე** – დიალექტიზმები შოთა ნიშნიანიძის ვერლიბრით შექმნილ  
უცნობ ბელეტრისტულ პოემებში

**ლამზირა კობაიძე** – კაუზატივის ფორმოზრივ-სემანტიკური მიმართება სა-ლიტერატურო ენის ფუძე დიალექტში

**ხათუნა ყანდაშვილი** – ხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელის ბრუნების საკითხისთვის ფერეიდნულში კახურთან მიმართებით

## II სექცია

13:00 სთ., 301-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **მერაბ ჩუხუა, მერაბ ბერიძე**

**მერაბ ბერიძე** – ჭაჭარაქის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

**მერაბ ჩუხუა** – ხარისხის ფორმათა წარმოების ერთი თავისებურებისათვის ქართველურში

**ტარიელ ფუტყარაძე** – „მაფშალის“ ეტიმოლოგიისათვის

**მაია კიკვაძე** – ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობისათვის გურულში

**ნინო ზედგინიძე** – ტერმინ „ტერმინის“ რაობისათვის

**თეონა აბულაძე** – აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ბგერითი შედგენილობისათვის

**ეთერ შენგელა** – სამეგრელოში გავრცელებული მეტსახელები ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოდის მონაცემის მიხედვით

**ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი** – სხვადასხვა მცენარეთა მსგავსი სახელების ერთი წყებისათვის

**ლუიზა ხაჭაპურიძე** – ზოგი იმერული სიტყვაფორმისათვის ახალგაზრდების მეტყველებაში (ქუთაისის მასალების მიხედვით)

## 10 ოქტომბერი

### I სექცია

11:00 სთ., 309-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **მამია ფაღავა, ნინო შარაშენიძე**

**მამია ფაღავა** – ვაზი ჭოროხის ხეობაში

**მარინე ბერიძე** – მეშველზმნიან ფორმათა გამოყენების თავისებურებისათვის ფერეიდნულში

**მარიამ კობერიძე** – ადგილის ზმნისართები შიდაქართულურში

**ლია ბაკურაძე** – ზმნიზედები ფერეიდნულში

**ეკა დადიანი** – ნაცვალსახელი-ფილერები ქვემოიმერულში (ოკრიბული მე-ტყველების მიხედვით)

**ჟანა ხაჩატურიანი** – სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემატიკა ქართულ-სომხური ენობრივი კონტაქტების მიხედვით, ჯავახეთის მაგალითზე

**სოფიკო ჭაავა** – ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების დიალექტოლოგიური მუშაობა 1923 წელს (საარქივო მასალების მიხედვით)

**ნინო წიკლაური** – უკითხვითისტყვო კითხვითი წინადადება ქართულში

**ლევან კოჭლამაზაშვილი** – აფიქსთა ფონეტიკური სახეცვლილებანი ქიზიყურში

## II სექცია

11:00 სთ. 301-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: **მერაბ ნაჭყეზია, მარინე ბერიძე**

**მედეა საღლიანი** – ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური ადაპტაციისათვის სვანურში. I.

**ნათელა მელიქიძე** – ხერთვისის ანთროპონიმია („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით)

**მერაბ ნაჭყეზია** – ლაზური საზღვაოსნო ტერმინოლოგია ქართული მატერი-ალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკაში

**მანანა ზუკია** – ერთი მეგრული დღესასწაულის სახელის სემანტიკისათვის  
**დიანა ახვლედიანი, ნარგიზ ახვლედიანი** – ისევ დაკარგული ტოპონიმები-სათვის ბათუმის შემოგარენში

**ნათელა ფარტენაძე** – წარმოქმნილი და თხზული სახელები მარადიდულ კლარჯულში

**კესო გეჯუა** – მეგრული ლექსიკა ქართული სამწიგნობრო ენისათვის – II

**მზია ხახუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე** – იშვიათი ლექსელები (გოგა, ბრელო, საჩახი, ლენჩბერი, სარნა) ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის მასალებში

**ნატო შავრეშიანი** – შემასმენლურდამოკიდებულებიანი ჰიპოტაქსური წინადადება სვანურში

**სესიის შეჯამება და დახურვა**, 14.00 სთ. 309-ე აუდიტორია

სადილი – 15.00 სთ.

16.00 სთ. – ექსკურსია კუმურდოში

სტუმრების გაცილება

## თეონა აბულაძე

### აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ბგერითი შედგენილობისათვის

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა დიალექტის ბგერათა სისტემა ძველ და ახალ ბერძნულთან მიმართებით მეტ-ნაკლებ თავისებურებებს ავლენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდად არ განსხვავდება საკუთრივ პონტოური დიალექტის ფონემური სისტემისგან.

ძველ ბერძნულ ენაში მოქმედებდა კვანტიტეტის კანონი, განირჩეოდა გრძელი და მოკლე ხმოვნები (ურუმაძე, 1987:10). ანტიკური პერიოდიდან იწყება ხმოვანთა გამარტივების პროცესი და თანდათან აღარ განირჩევა გრძელი და მოკლე ხმოვნები. ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა ახ.წ. VIII-X საუკუნეებში და მას შემდეგ ბერძნულ ენაში ხმოვანთა სისტემაში აღარაფერი შეცვლილა (გორდეზიანი..., 2001:20), შესაბამისად, თანამედროვე ბერძნულში ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე აღარ განირჩევა (ტრიანდაფილიდისი, 1999:25-26). ეს მოვლენა არც პონტოურში ჩანს (ბერძენიშვილი..., 1990:141;142). პონტოური დიალექტის ბგერათა სისტემაში რეალიზებულია მარტივი ხმოვნები -ა-, -ე-, -ო-, -ა-, -ი-, -ი-, -უ-, რომელთაც შესაბამისი ქართული შესატყვისები მოეძებნება და ეს თავისებურებას არ წარმოადგენს როგორც საკუთრივ პონტოურ დიალექტში, ასევე, არც აჭარის პონტოელთა მეტყველებაში.

მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ გარდა დასახელებული ხმოვანთა სისტემისა, ბერძენი მეცნიერი ხ. სიმეონიდისი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე გავრცელებული პონტოური დიალექტისთვის გამოყოფს სპეციფიკურ უმლაუტიან ხმოვნებს, როგორცაა -**ä**-, -**ö**-, -**ü** და იმოწმებს შესაბამის მაგალითებსაც (Διάβαιος/δῆβαιος; ο ἴλιος/ἰλῶς) (ბერძენიშვილი..., 1990:140).

სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია სიმეონიდისის მოსაზრება, უფრო მეტიც, დასახელებული ხმოვნების არსებობას შენიშნავენ არამართო თურქეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ პონტოურ დიალექტში, არამედ საქართველოში გავრცელებულ პონტოურშიც. მართალია, მკვლევრები -**ö** და -**ü** ბგერების არსებობას ვერ

ადასტურებენ მათ ხელთ არსებულ მასალებში, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ამ ბერძნულ კვალი შეიმჩნევა ზოგიერთ კილოკავში. ასეთ ხმოვანთა არსებობას თურქეთში გავრცელებულ ბერძნულ დიალექტებსა და სუბდიალექტებში და საქართველოს პონტოურში თურქული ენის უშუალო გავლენით ხსნიან (იხ. ბერძენიშვილი..., 1990: 141).

ბუნებრივია ჩვენი ინტერესი, თუ რა ვითარებაა ამ კუთხით აჭარის პონტოელთა მეტყველებაში.

აღნიშნავთ, რომ ჩვენი დაკვირვებით, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ე. წ. უმლაუტიანი ხმოვნები გავრცელებული არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით თითო-ორი შემთხვევას, (რომელთა გამოყენებაც ინდივიდუალურია, სხვათა საუბრებში არ ჩანს) როგორცაა მაგ: τερὰκό[sh]ἄ (ტეტრაკომა) (პონტ.) – τερὰκόσια (ტეტრაკოსია) (ახ. ბერძ.). შესაძლებლად მიგვაჩნია, მსგავსი ფორმები გადმოჰყოლოდა თურქეთიდან მიგრირებულ პონტოელთა მეტყველებას თურქულის გავლენით, თუმცა საქართველოში, ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, ვერ გავრცელდა, რადგან უმლაუტის, როგორც ფონეტიკური მოვლენის არსებობა ქართული ენის ზოგიერთ კილოში თურქულ ენასთან ხანგრძლივი კონტაქტებით აიხსნება და არარეგულარულ, მეორეულ მოვლენად მიიჩნევა. ქართული ენის დიალექტებში გამოვლენილი უმლაუტის შემთხვევები მოწმობს, რომ იგი „დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართული ენის დიალექტებისთვის, თუმცა, როგორც ჩანს, ენამ ვერ იგუა იგი“ (იხ. ფაღავა, 2002:19; ჯორბენაძე, 1989:38). აქედან გამომდინარე, შესაძლებლად ვთვლით, პონტოელთა მეტყველებას, თურქულის გავლენით, მართლაც გადმოჰყოლოდა უმლაუტი, თუ უმლაუტის მსგავსი მოვლენა, თუმცა გავრცელება ვერ ჰპოვა (აღნიშნავთ, რომ აჭარის პონტოელი ბერძენები თავისუფლად საუბრობენ ქართულ ენაზეც). შესაბამისად, შესაძლებლად მიგვაჩნია, უმლაუტი, როგორც ფონეტიკური მოვლენა ქართული ენის გავლენით ვერც საქართველოში გავრცელებულ პონტოურ დიალექტში განვითარებულიყო, ამასთან, დასაშვებია, პონტოურში უმლაუტის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორი პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ახალი ბერძნული ლექსიკის მასობრივი დამკვიდრების ტენდენციაც იყოს (ახალი ბერძნულისთვისაც არ არის დამახასიათებელი უმლაუტიანი ხმოვნები).

რაც შეეხება თანხმოვანთა სისტემას, შეიძლება ითქვას, რომ აჭარის პონტოელთა მეტყველებაში, ძირითადად, დაცულია ბერ-



მწიფის ბგერათა სისტემა, თუმცა საკუთრივ ბერძნული სალიტერატურო ენისა და მისი სხვა კილოკავებისგან განსხვავებით, გარკვეული თავისებურებები მაინც ჩნდება.

ბერძნული კონსონანტიზმისთვის უცხოა კავკასიური და ინდოევროპული ენებისთვის დამახასიათებელი აფრიკატების (ძ. წ. ც. ჯ. ჭ. ჩ), ნაპრალოვნების (ყ-შ) შესატყვისი ფონემები, რომლებიც არც ძველ და არც ახალ ბერძნულში არ ჩანს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამათგან ქართული -ც-ს შესატყვისად ახალ ბერძნულში გამოიყენება ორმაგი თანხმოვანი-რც (რომელიც, ძველი ბერძნულისთვის, როგორც ჩანს, უცხო იყო (გორდეზიანი..., 2001:23) და ქართული -ძ ფონემის შესატყვისად -რც. სხვა აფრიკატების შესატყვისი ბგერები ბერძნულში არ არის (ტრიანდაფილიდისი, 1999:27).

ამ ბგერების არსებობაზე პონტოურში მიუთითებდა ჯერ კიდევ ევსტატე ლაზარევი, წარმოშობით პონტოელი. ე. ლაზარევი საქართველოში გავრცელებულ პონტოურ დიალექტში შესაძლებლად მიიჩნევს -წ და -ჭ ფონემების გამოყოფას. ავტორთა ჯგუფი ლაზარევის მასალებზე დაყრდნობით, ასახელებს კიდევ შესაბამის მაგალითებს მონოგრაფიაში „ბერძნები საქართველოში“ (იხ. ბერძენიშვილი..., 1990:149-151).

აღნიშნავთ, რომ აჭარის პონტოურში საკმაოდ პროდუქტიულია ქართული აფრიკატებისა და ნაპრალოვნების შესატყვისი ბგერები, როგორც ნასესხებ, ასევე საკუთრივ პონტოურ ლექსიკაშიც.

განსაკუთრებით გავრცელებულია -შ ფონემა, შედარებით ნაკლებია -ჩ, -ც და -ძ ფონემები, ხოლო, -წ, -ჭ და -ჯ ფონემები მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში დადასტურდა. მართალია, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება განიცდის თურქული და რუსული ენების დიდ გავლენასაც, თუმცა ამ ფონემათა გამოყენების შემთხვევები და სიხშირე გვაფიქრებინებს, რომ ეს მოვლენა ქართული ენის გავლენით უნდა აიხსნას (შესაძლებლად მიგვაჩნია პონტოურში ნასესხები ლექსიკა, რომლებშიც აღნიშნული აფრიკატებიც დასტურდება, მეტწილად, მსესხებელი ენიდანაა შესული და დამკვიდრებული პონტოურში). როგორც ჩანს, აღნიშნული ბგერები ნასესხები ლექსიკის გავლენით, საკუთრივ პონტოურშიც მკვიდრდება.

განვიხილავთ ბერძნული კონსონანტიზმისთვის არაბუნებრივ მაგალითებს აჭარის პონტოურიდან:

**შ: წახესხებ სიტყვებში:** κα[sh]κίν (კაშკინ) - თავსახური - (რუს. **косынка**) - [ახ. ბერძ. - ημαντιλα, τοτσεμπέρ] (ი მანდილა, ტო ცემპერი). შდრ. ქართ. კაშნე (კაშნესი) (ფრ.) - ყელზე შემოსახვევი ქსოვილი, თბილი (ქეგლ, 1990:567); [sh]άπκαν (შაპკან) - ქუდი - (რუს шапка) (თურქ. Sapka) - [ახ. ბერძ. - τοκαπέλι] (ტო კაპელი), საკუთრივ პონტოურში დასტურდება σάπκα (κυριακόπουλος, 2014:138), შაფხა გავრცელებულია მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაშიც ქუდის მნიშვნელობით (ფუტკარაძე, 1993:627), შაფხა დასტურდება აჭარულშიც და იგივეა, რაც კეპი -კაცის რბილი ქუდი, წინ წამოწეული ერთგვარი საჩრდილობლით (ცოცანიძე..., 2014:319); γά[sh] (ყაშ) - ქამარი - (თურქ. **kayış**) - [ახ. ბერძ.- ηζάση] (ი ზონი), შდრ. აჭარ. ყაშო (თ. Kayis) - ტყავის სარტყელი, ღვედი, თასმა, ქამარი (ნიჟარაძე, 1971:367); [sh]αρβάλ (შარვალ) (ქართ.) - შარვალი - [ახ. ბერძ. - τοπανταλόσι, τοπαντελόσι] (ტო პანდელონი); τ[sh]κάπι (ტიშკაპი) (ქართ.) - ჭიშკარი - [ახ. ბერძ.- ηπισήη, εξάπορτα] (ი პული, ექსოპორტა);

**შ: საკუთრივ ბერძნულში:** ბერძნულის -**χ(ხ)** პონტოურში გამოითქმის როგორც ყრუ შიშინა -**შ** ბგერა **თუ მას მოსდევს ხმოვნები -ე,-ი,-η,-α:**

[sh]λία (შილია) (პონტ.) - χελιδ (ხილოს) (ახ. ბერძ.) - ბაგე; ε[sh]κέβρε[sh] (ეშკევერეშ) (პონტ.) - βροχή (ვროხი) (ახ. ბერძ.) - ავდარი; [sh]ισινζ (შიონიზ) (პონტ.) - χισινζა (ხიონიზო) (ახ. ბერძ.) - თოვა;

-**shk** (შკ) კომპლექსი მიღებულია **sk** (სკ) კომპლექსისგან თუ მას მოსდევს -**ი,-ე** ხმოვნები: κ[sh]κίν (კოშკინ) (პონტ.) - κόνκινο (კოსკინო) (ახ. ბერძ.) - საცერი; [sh]κένια (შკენია) (პონტ.) - σκένος (სკეიოს) (ახ. ბერძ.) - ჭურჭელი;

**ksh** (კშ) კომპლექსი მიღებულია **ξ(ქს)** ბგერისგან თუ მას მოსდევს ხმოვნები-**ო - ου:** οκ[sh]οκά, οκ[sh]οσκά (ოკშოკა, ოკშუკა) (პონტ.) - (ახ. ბერძ.- ἔξα) (ექსო) - გარეთ;

-**შ** მიღებულია -**ს-გან**, რასაც ახლავს ფონეტიკური მოვლენა (ასიმილაცია, ბგერის დაკარგვა..): κερά[sh]α (კერაშა)(პონტ.) - τοκεράσι (ტო კერასი) (ახ. ბერძ.) -ბალი; [sh]ίριμαν (შირიმან) (პონტ.)

– τοσφάριγμα, τοσφύρισμα (ტო სფირილმა, ტო სირისმა) (ახ. ბერძ.) – სტვენა;

**ჩ: ნასესხებ ლექსიკაში:**

[ch]ίψιν (ჩივისან) (პონტ.) - ჩივი - (თურ. Civi) - [ახ. ბერძ. - ηράβδις (ი რავდოს)], ჩივი გავრცელებულია აჭარულ დიალექტშიც, რაც თურქული სიტყვაა და ერთ-ერთი განმარტებით ნიშნავს სოლი, ტარიანი ჯოხი, პასალი, რომლითაც თამბაქოს, მსხლისა და მისთ. ნერგს რგავენ (ნიჟარაძე, 1971:401), ჩივი დასტურდება მუჰაჯირთა მეტყველებაში და ნიშნავს - სოლი, წვირა (ფუტკარაძე, 1993:641); [ch]αμέ[ch] (ჩამეჩ) (პონტ.) -კამეჩი - [ახ. ბერძ. - βίνβαλις (ვუვალოს), ძვ. ბერძ. - τοισυβαλι (ტო ვუვბალო)]; [ch]ι[ch]άκ (ჩიჩაკ) (პონტ.) - ყვავილი, [ch]ι[ch]άκιδυπάλιο (ჩიჩაკი ფილო) -ყვავილის ფურცელი - (თურქ. çiçek), ჩიჩეგი მუჰაჯირთა მეტყველებაშიც არის გავრცელებული ამავე მნიშვნელობით (ფუტკარაძე, 1993:643); [ch]αγκιά (ჩანგია) -ყბა - (απάνι [ch]αγκιά ) (აპანი ჩანგია) - ზედა ყბა, αφιά [ch]αγκιά (აფკა ჩანგია) - ქვედა ყბა) (პონტ.) - [ახ. ბერძ. - τοσαγόνι (ტო საღონი), ძვ. ბერძნული ἡ σιαγών (ი სიაღონ)], შდრ. აჭარ. ჩენგე <- თურქ.Çene - ქვედა ყბა (ფუტკარაძე, 1993:640; ნიჟარაძე, 1971:400); κό[ch]α, τοκότσι (კოჩა, კოჩ(ც)ი) (პონტ.)-ქუსლი - [ახ. ბერძ. -ηφτέρνα, ηπτέρνα, ძვ. ბერძ.-ηπτέρνα];

**ჩ: საკუთრივ ბერძნულში:** ματο[ch]α[ch]α (მატოჩაჩა) (პონტ.)- წამწამი - ματόκλαδο/βλεφαρίδα (მატოკლადო/ვლევარიდა) (ახ. ბერძ.), საკუთრივ პონტოურში ματοτσιάτσια; ταπαπούς[ch]ιαμ (ტა პაპუჩიამ) (პონტ.), παπούτσι/σπινθημα (პაპუცი /იპოზიმა) (ახ. ბერძ.) - ფეხსაცმელი; [ch]ιχρίτης (ჩიხრიტის) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - οτζιτζικας, τοτριζόνι] (ძიძიკას, ტრიზონი) -ჭრიჭინა; [ch]όπια (ჩოპიან) (პონტ.) - τσέπι/μυλάκιο (ცეპი/თილაკიო) (ახ. ბერძ.) - ჯიბე; [ch]ίψιαν (ჩივისან) (პონტ.) - [ახ. ბერძნული - ητσιρίδα, τοτριξμο (ი ცირიზა, ტო ტრიქსიმო) - წივილი, წრიპინი;

**ჯ: ძირითადად ნასესხებ ლექსიკაში დასტურდება:** πι[τჯ]άκ (პიჯაკ) (პონტ.) -პიჯაკი -(ინგ.pea-jacket) დამკვიდრებულია ქართულში, რაც ნიშნავს - მამაკაცის კოსტიუმის ნაწილი, ზედა ჩასაცმელი (ცოცანიძე..., 2014:491) [ახ. ბერძნული - το σακάκι] (ტო საკაკი); [τჯ]εβζ (ჯევზე) (პონტ.) -ყვადანი - (თურქ.cezve) -[ახ. ბერძ. - ηκαφετιέρα (ი კაფეტიერა)]; γριν[τჯ]άνια (გრინჯანიან) (პონტ.) -

ღრენა - (შდრ.ქართ. იღრიჯება, დაღრეჯა) - სახის უშნოდ დამანჭვა (ცოცხანძე..., 2014:222) ( ნუ იღრიჯები - იტყვიან სახეს უშნოდ ნუ მანჭავ)- [ახ. ბერძ. - οιογιοισμός (ო ღონღისმოს), ძვ. ბერძ. - οιογιοισμός (ო სინგოგისმონ)];

**ჟ: ნასესხებ ლექსიკაში: [τζ]αγιομένονχράμα (ჟანგომენონ ხრო-მა) (პონტ.) -ჟანგისფერი [ახ. ბერძ. - τοχράμασκουριάς] (ტო ხრომას-კურას);**φύλλο, [τζ]βέρι (ფილო, ჟვერი) (პონტ.) - ფოთოლი -[ახ. ბერძ. - τοφύλλο, ძვ. ბერძ. - τὸ φύλλον];

**წ: ნასესხებ ლექსიკაში: [τς]ι[τς]μάτ (წიწმატ) (პონტ.) - წიწმატი - [ახ. ბერძ. - τιλεπίδος (ტო ლეპიდო), τσημερι (ტო იმერო), τοκάρδαμο (ტო კარდამო), ძვ. ბერძ. - τὸ κάρδαμον (ტო კარდამონ)];**

**ჭ: ნასესხებ ლექსიკაში: [τς]ίπαν (ჭიპან) (პონტ.) -ჭიპი - [ახ. ბერძ. - οιαφაღς (ო აფალოს), οιομφაღς (ო ომფალოს), ძვ. ბერძნული - ὁ ἰμφαλός (ო ომფალოს)];**

მსგავსი ნასესხობანი კულტურათა დიალოგის შედეგია. ბერძნები ძირითადად ეკონტაქტებოდნენ ქართულ, რუსულ და თურქულ კულტურებს, შესაბამისად, სესხების პროცესი მხოლოდ ლექსიკით არ შემოფარგლულა. ენათა გავლენები, მეტნაკლებად, ენის განვითარების ყველა დონეზე ვლინდება.

## გამოყენებული ლიტერატურა

**ბერძენიშვილი...,1990** – ბერძენიშვილი ლ., გარაყანიძე ი., გორდუზიანი რ., მიქაბერიძე ა., ტონია ნ., ფხაკაძე მ., შახპაზიძე მ., ჩეპიძე ა., ჯანაშია ნ., „ბერძნები საქართველოში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორია, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ.;

**გორდუზიანი, 2001** – გორდუზიანი რისმაგ, დარჩია ირინე, შამანიძე სოფიო, „ძველი და ახალი ბერძნული შედარებითი გრამატიკა“, პროგრამა „ლოგოსი“, თბ.;

**ნიჟარაძე, 1971** – ნიჟარაძე შოთა, „ქართული ენის აჭარული დიალექტი“, გამომც. „საბჭოთა აჭარა“,თბ.;

**ტრიანდაფილიდისი, 1999** – ტრიანდაფილიდისი მანოლის, „ახალი ბერძნული ენის გრამატიკის მოკლე კურსი“, თესალონიკი;

**ურუშაძე, 1987** – ურუშაძე აკაკი, „ძველი ბერძნული ენა“, გამომც. „განათლება“, თბ.;

**ფაღავა, 2002** – ფაღავა მამია, „უმლაუტი სამხრულ კილოებში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, კრებული II, ბათუმი;

**ფუტყარაძე, 1993** – ფუტყარაძე შუშანა, „ჩვენებურების ქართული“, წიგნი პირველი, „აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა“, ბათუმი;

**ქეგლ, 1990** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა, თბ.;

**ცოცანიძე..., 2014** – ცოცანიძე გიორგი, ლოლაძე ნანა, დათუ-კიშვილი ქეთევან, „ქართული ლექსიკონი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ.;

**ჯორბენაძე, 1989** – ჯორბენაძე ბესარიონ, „ქართული დიალექტოლოგია“, 1, თბ.;

**Κηπουκοπουλος, 2014** -Κηπουκοπουλος Μιλτιάδης Ι, „Λεξικο της ποντιακης διαλεκτου“, εκδ. „Graphicart“, Αθηνα;

## დი ან ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

### ისევ დაკარგული ტოპონიმებისთვის ბათუმის შემოგარენში

ტოპონიმების შესწავლას დიდი მეცნიერული, კულტურული და პოლიტიკური ღირებულება აქვს.

ტოპონიმები ადგილის სახელებია. მართალია, სახელები ადგილებისაა, მაგრამ როცა ტოპონიმის შესწავლაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ არა იმის შესწავლას, რაც ამ ადგილების სახელებით აღინიშნება, არამედ იმ სიტყვიერი მარაგისას, რომლებიც ამა თუ იმ ადგილს ჰქვია. ხშირად ხდება, როცა ტოპონიმებს თავ-თავის მიზნებისთვის ანალიზებენ ისტორიკოსებიც, გეოგრაფებიც, ეთნოგრაფებიც,

იკვლევენ რა ამა თუ იმ ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიას, მის სტრუქტურას, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი სწორედ ენათმეცნიერულ კვლევას მიმართავენ (ფ. ერთელიშვილი 1998, 47). სხვათა შორის, ტოპონიმის აღწერა-შესწავლას გეოგრაფი მოჰკიდებს ხელს, ისტორიკოსი თუ ეთნოგრაფი, თითოეულ მათგანს, სულერთია, დიალექტოლოგიური, ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული, ან ისტორიულ-ეტიმოლოგიური (ენათმეცნიერული) სამუშაოების შესრულება მოუწევს. ამდენად, ტოპონიმის შესწავლა, არსებითად და უწინარეს ყოვლისა, ენათმეცნიერთა საქმეა (ვ. ნიკონოვი 1965, 164-167).

წინამდებარე სტატიაში კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ადრე არაერთხელ გამოთქმულ პრობლემას, რაც 1958-59 წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში შეგროვებულ და გამოქვეყნებულ ტოპონიმებს ეხება. კერძოდ, მახინჯაურში ჩაწერილ ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებებს, სადაც ზემოთ დასახელებული დაბა, ლამის, რუსულ დასახლებად არის გამოყვანილი, აქაურობისთვის უცხო და შეუფერებელი ტოპონიმებით, ისეთებით, როგორებიცაა: **ლიტვინოვი**, **ფესენკოვი**, **იაკობსონი** და ა.შ.

ამჯერად, წარმოგიდგინთ რამდენიმე ტოპონიმს. ასე მაგალითად, **ლიტვინოვი** ადგილია დღევანდელ ზედა მახინჯაურში, ადრე ასეთი დაყოფა არ არსებობდა (ქვედა მახინჯაური, ზედა მახინჯაური). ეს ადგილი ორი ქედის გასაყარზეა, სადაც მოსახლეობას ადრე ციტრუსისა და ხეხილის ბაღები ჰქონდა გაშენებული. მკვლევარ აზიზ ახვლედიანის საარქივო მასალებში მივაკვლიეთ ამ ტოპონიმის ძირძველ ქართულ სახელწოდებას. მას „კაკაბავრა“ რქმევია. კაკაბი ქათმისებრთა ოჯახის ფრინველია და საქართველოში კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ცივ-გომბორის, გურია-აჭარისა და თრიალეთის ქედებზე ქვადორღიან, მეჩხერი ბუჩქნარით დაფარულ მთების ფერდობებზე ბინადრობს. დღეს იქ კაკაბზე აღარავინ ნადირობს. ამდენად, ისტორიული სახელწოდების აღდგენა, მითუმეტეს, როცა მახინჯაურში ერთი ადამიანიც კი აღარ არის, ვისაც შეუძლია მსგავსი ძველი სახელწოდებების რეკონსტრუქცია, მეტად საშურ საქმედ მიგვაჩნია.

მეორე ტოპონიმი, რომელიც აზიზ ახვლედიანის პირად არქივშია დაცული, გახლავთ „**ფესენკოვი**“. მისი ძველი სახელწოდება: „**აღნე**“. არავინ იცის, როდის და რატომ დაერქვა მას ეს სახელი, ან რას აღნიშნავს იგი დღეს [თუმცა შდრ. ლაზ. **აღნე** „ახალი“]. საბჭოთა

პერიოდში აქ ბავშვთა სახლი ფუნქციონირებდა. ტოპონიმი **ფესენკოვი** შემადღებულ და გამორჩეულ ადგილას მდებარეობს, რომელიც ირგვლივ მწვანე ნარგავებით არის შემოფარგლული. აღნიშნული უბანი, მართლაც, საუკეთესო და თვალწარმტაცია. იგი იუნესკომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა. მნახველი მას გულგრილად ვერ ჩაუვლის, თვალს ვერ მოაშორებს. ამ ტოპონიმის სახელდების მოტივაციაც, შესაძლებელია, სწორედ მისი გეოგრაფიული მდებარეობით განისაზღვროს.

ამჯერად აქ შევჩერდებით, მაგრამ კვლევა-ძიება გრძელდება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ახვლედიანი, 1970** – ახვლედიანი აზიზ, პირადი საარქივო მასალები, 1970, ბათუმი.

**ერთელიშვილი, 1998** – ერთელიშვილი ფარნაოზ, ტოპონიმის აღწერა-შესწავლასთან დაკავშირებული საქმეები, კრებული „ქართველური ონომასტიკა, ტომი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998.

Никонов, 1965 – Никонов В. А, ВВедение в топонимику, Москва, 1965.

## **ლი ა ბ ა კ უ რ ა ძ ე**

### **ზმნიზედები ფერეიდნულში**

ზმნიზედა დიდი დიალექტური ვარიაციულობით ხასიათდება, დიდია მისი სადიფერენციაციო „წონა“ დიალექტომეტრიული ანალიზის დროს. ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია ზმნიზედის კვლევა იზოლირებულ ენობრივ კოლექტივში.

ფერეიდნულში ზმნიზედის ჯგუფის ზედმიწევნით აღწერისათვის, გარდა ტექსტური მასივისა, გამოვიყენეთ კითხვარული მეთოდიც.

ფერეიდნულში გამოვლენილ ზმნიზედებს წარმოვადგენთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით:

**ადგილის ზმნიზედები:** ანუ, ექ, იქ (ა), იქით, იქებში, ძირზე, ახლოს / ახლო, შორს, შორსახლოს (=შორიახლოს) / შორიდან / შორით / შორითყე; ექამდი / ექამდის / ექამდინ / ექამდე, დაბლა, წინ, უკან, შუაში, ბოლოში, კარში / კარშიგ(ა), გარეთ (ა); განზე / განზენ, გერდძე / გერძე / გერძეგ(ა) / გერძენ(ა), გერზე / გერდით / გერდზე / გერდზეგ / გერდშიგ / გერდად / გერდ-გერდ; ქოვით / ქოით(ა) / ქოითყე / ქოითყენ, ქომოთ / ქომოთყე / ქომოთ / ქომოთყენ(ა) // ქომოტყენ(ა), ქოითებში, ზეით(ა) / ზეითკე, ზეით(ა) / ზეითყე; ზემოთ(ა) / ზემოთყენ, ზემოთში, შიგნით / შიგნითყე; თავში / თავშიგ(ა), თავსაყე / თავსყე, დოურზე / დოურზეგა (ირგვლივ); გაღმა; გაღმებში; მარჯვნივ; ჩაფაქარაზე (მარცხნივ); ერთ კარაზე / ამ კარაზე, თავქე.

ქართულ დიალექტურ კორპუსში შესაძლებელია ყველა დადასტურებული ფორმის კონტექსტების დეტალურად ნახვა.

**დროის ზმნიზედები:** ამაღავ / ამაღა / ამაღამ, ახლა / ეხლა / ახა / ახ / ეხა / ეხ, საღამოს / საღამოს, დიღობას / დიღობის; დღეს(ა), დღეს; დღესით, დღეით, წელს, შარს / შარშას / შარშა, შარშასწი / შარშასწინ, წინწინ / წინ-წინ / წინსწინ; წინასწინ / წინადასწინ (=წინადასწარ), წინადასწარ, ემესყე წინ / ამას წინა / ამისყე წინ / ემისყე წინ, ხუალ / ხუალ, ხუალზევით / ამას ზევით / ხუალზევით / ხუვალზევით / ხუალზევით, ამაშინ / ამაში / მაშინ / იმაშინ / იმაშინა / იმაში / იმიში, ეხლა / ჯერ, ჯერ კიდევ(ვ) / ჯერ კიდემ, ამას უკან / ამის უკან (შემდეგ), მერე / მორო / მერეთ, ამაშინღა / ემაშინღა / იმაშინ(ღა), არადროს / არასდროს / არადროს; აც რომელ დროს / არადროს, გიან / გიან / გიანობით (დაგვიანებულა, დაგვიანებით) / დაგვიანებით, მალე, ადრე / ადრე (დიღობა ადრე) / ადრე (=წინათ, უწინ), ღამით / ღამეს / ღამესით; ექამდი / ექამდინ / ექამდე, ამშინამდე / თა (=მანამდე), დიდხან // ბერისხან / ბერსხან, წინათ, იმაშინებში / ყადიმად (ნასესხობა), ეხლა / ელეხლა, სუმუდამ, წელან, გუშინღამ / წუხელის, მუდამ, მერის(ა) / მერმის (=გაისად) / იმსხო მერმის / იმიზევით (მეორე წელს, გაისის შემდეგ წელს), გუშისწინ, ხუალზევით / ხვალზევით, ღამით, ჰარ წელს / სუწელებში, სუწელ / თამთელ წელს (=ყოველ წელს), დიღ-დიღობით (დიღობით), დიღობადრე (დიღაადრიან).



**ვითარების ზმნიზედები:** ავველ, აველა (=პირველი), პირველა, წყრან; წყრან / წყრან, ადრე (=მალე, სწრაფად), ნელათ / ნელათ / იავაშ / იავაშ (ნასესხები), მრუდად; მთელად / სუ / თამთლად / თეილათ (=სრულად მთლიანად), კიდევ / კიდემ / კიდემაც, ერთჯელ (=უცბათ), ერჯელ / ერთჯელ (=ერთგზის); კობლად (=უბრად), ჩიქარ, მალე / ნაყაფულად; მათლა / მართლა, დიახ (=ძალიან, მეტად), ნელა, ძრიალ, შუაზე, ძალით / ძლით; კოლდაკოლ, ფეკდაფეკ, ლუკმა-ლუკმა, თანდათან, შუა-შუა, ძლივ, აშკარად / აშკად / აშკრით, ეგრე / ელეგრე / ამაგრე / ამაგე, იფო, გერივ / გერივე / გერიმ, ცოტად, გარდიგარმო / გარდიგარმო / გარდიგარმა / გარდიგარმ (გარდიგარმ მიდის) (=გარდიგარდმო), ელეგრე, ერთიორად / ცოტად, სუ, ჯელდაჯელ, დედადე (=ნელნელა, წყნარ-წყნარად), პირდაპირ...

**ზომა-წონისა და ოდენობის ზმნიზედები:** ჯერ(ა) / ჯერზეგ(ა), ჯელ.

ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში, ქმნიან კომპოზიტებს რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებთან ან ნაცვალსახელებთან: *ასჯერ, ერჯერ, ზოგჯერ, მეორეჯერ, მეროვეჯერ, ოთხჯერ, ორ-სამჯერ, ორასჯერ, რაგდენჯერ, სამჯერ, ხუთჯერ... ბეშრჯერა, ზოჯერა, ორჯერა. ათჯელ, ბევრჯელ, ერთ-ორჯელ, ერთჯელ, ერთჯელ-ორჯელ, ერჯელ, მეორეჯელ, ოთხჯელ, ოთჯელ, ორ-სამჯელ, ორჯელ, რაგდენჯელ, სამჯელ, ხუთიჯელ... ბევრჯელა, ერთჯელა, ერჯელა, მესამეჯელა, ორჯელა.*

**მიზეზის ზმნიზედები:** ემისთი / ემისთინ(ა), იმისთი / იმისთინ(ა) (=ამიტომ), ამისთი / ამისთინ(ა) (=მაგიტომ).

**მიზნის ზმნიზედა:** ამისათი / ამისათინ(ა), იმისთი / იმისათინ(ა) (=ამისთვის), ემისთი / ემისათინ(ა).

**კითხვითი ზმნიზედები:** სად(ა), სადყე (=საიდან), საითყე / საითყენ(ა) / საიტყენაც, როს / როსა / როსაც, რაათი / რათ / რათი; რასათი / რასათი / რასათინაც.

ზოგიერთ ზმნიზედასთან **დეიქტური ხმოვნები** განსაზღვრავენ მიმართებას პირველ და მეორე პირთან.

ანქ(ა) = იქა; ექ(ა) = აქ(ა); იქ(ა) = იქ(ა).

დეიქტური მიმართება ჩანს ზმნიზედებში: **მაშინ, ამაშინ, ემაში, იმაშინ.** ამ ზმნიზედების გამოყენების სურათი არაერთგვაროვანია, ფერეიდნულში ეს ზმნიზედა გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკუ-

რი ვარიაციით: **მაშინ(ა) / ემაში / ემაშინ(ა) / იმაში / იმაშინ(ა); ამაში / ამაშინ(ა) / იმიში / იმიშინ(ა); ემიში / ემიშინ / ამიშინ.**

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **იმაშინ** ფორმაში ი- არის „აი“ ნაწილაკი-მორფემოიდის ფონეტიკური ნაირსახეობა; დასტურდება ქართული ენის დიალექტებში (თუშურში...): იმაშივ „აი მაშინვე“ (// იმაშივი // იმაშინისევი)... (ბ. ჯორბენაძე და სხვ. 1988, 212).

დარეჯან ჩხუბიანიშვილის აზრით, **იმაში(ნ) / იმიში(ნ)** ფორმები ზემო ფერეიდნულისთვის (მარტყოფი, სიბაქი, ჩულრუთი, ჯაყჯაყი) არის დამახასიათებელი, **ამაში(ნ)** კი ძირითადად – ქვემო ფერეიდნულში (დაშქესანა, ბოინი, ახჩა, თორელი) გვხვდება. (დ. ჩხუბიანიშვილი 2012 (2006), 165-166).

თითოეული ეს ფორმა მართლაც მაღალი ვარიაციულობით გამოირჩევა და დღეს შესაძლებელია დადასტურდეს ფერეიდნის ნებისმიერ ქართულ დასახლებაში. ზოგჯერ ორი ან მეტი პარალელური ფორმა ერთი მთქმელის მეტყველებაშიც კი გვხვდება.

გვხვდება **ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ზმნიზედები**: მიცემითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ზმნიზედები: დღეს, ახლოს, შორს, შორიახლოს, წელს, დღეს, ღამეს; ზამთრის, ზაფხულის... ექით, ძალით / ძლით, დღესით, ღამესით... ნელად, მრუდად, კობლად, აშკარად.

ყურადღებას იქცევს ნათესაობით ბრუნვაში მდგარი ზმნიზედები **ზამთრის, ზაფხულის**, რომლებიც დროს გამოხატავენ:

***ზამთრის** კოჭობაჩი ჩოჭყრიტყე, მასალან, ჯორცს რო დაუნაყავთ, ჯორცჩი ოორევეთ, კერცხჩი ოორევეთ, ემ კერცხს რო გავაკეთეფტყე, ემეზჩი გორდოორევეტყე....ეხლა კი **ზამთრისა** წაადიტყე შეშაღა, ეგეთ დროს მოღტანიტყე ვირებითა... ეხლა კი **ზამთრისღა** ხორბალი დავეჭბიტყე წყალის წისქილჩიგა.... პური – ესეზი დავაკრიტყე, ერთ კიღობანი შავაწყიტე – ზამთრის გოქონდისყე... [ქდვ, ასლანი].*

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მსგავსი ფორმები დამახასიათებელი იყო როგორც ძველი ქართულისთვის (ა.შანიძე 1976, 141), ისე თანამედროვე ქართულის მთის კილოებისთვის (ა.შანიძე 1980, 590).

ეს ფორმები საზღვრულდაკარგული მართული მსაზღვრელებია. ხშირი ხმარების შედეგად შესაძლებელი გახდა მხოლოდ მსა-

ზღვრელით გადმოცემულიყო მთელი სინტაგმის შინაარსი: ზამთრისა ჟამსა → ზამთრის ან ზამთრისა ხანსა → ზამთრის ან ზამთრისა დროსა → ზამთრის (თ. უთურგაიძე 1956, 99).

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ ძველ ქართულში სახელის გარემოების ფუნქციით გამოყენება, ასევე მთის დიალექტებში ზამთრის, ზაფხულის ფორმების არსებობა დაკავშირებულია სახელთა ბრუნებასთან – ამა თუ იმ ბრუნვაში გაფორმებული სახელი სინტაქსურად გარემოებაა, ზმნით გამოხატულ მოქმედებას ავსებს თანამდევი რაიმე სხვა თვისებით (კ. გაბუნია 1993, 22).

გვხვდება **-ივ სუფიქსიანი ფორმები**: აშკრივ, მაღლივ, ძლივ / ძირივ, ხმამაღლივ...

**თანდებულიანი ზმნიზედები**: ძირზე (=ძირს), ექამდე / ექამდინ / ექამდი, შუაჩი, ბოლოჩი, კარჩი, განზე, გერძე / გერზე / გერდზე / გერძენ(ა), შორიდან / შორითყე; ზევით, ზევითყე, შიგნითყე, ქოითყე, თავსაყე, დოურაზეგა / დოურზე, ერთ ჯარაზე, ჩაფა ჯარაზე, ამ ჯარაზე, ამაშინამდე...თა (=მანამდე), შუაზე, საითყე... იმაშინებში, იქებჩი, სუწელებჩი / მუდამ წელებჩი, ზემოთჩი, ქომოთებჩი...

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზმნიზედები, რომლებიც მიღებულია **ებ**-იან მრავლობითზე დართული **-ჩი** თანდებულის დახმარებით.

ამ ტიპის სახელები დროსა და სივრცეში განსაზღვრავენ ზმნით გამოხატული მოქმედების არეალს. **ექ** კი არა, **ექებჩი**, კონკრეტულ წერტილში კი არა, არამედ სივრცულად შემოსაზღვრულ, მონიშნულ გარკვეულ ტერიტორიაზე – **აქაურობაში**. **იმაშინებჩი** – ერთ კონკრეტულ შემთხვევას და დროს მომხდარ მოქმედებას კი არ განსაზღვრავს, არამედ გულისხმობს დროის იმ ხანგრძლივ მონაკვეთს, რომელშიც გადმოცემული მოქმედება ხდებოდა გარკვეული სიხშირით ან ინტენსივობით (= იმ დღეებში, იმ წლებში, იმ ეპოქაში...): *იმაშინეფჩი, ეს შულღები რო ყოფილა...*

**მუდამ წელებჩი / სუწელებჩი, დილობებჩი...** ეს ზმნიზედები მოქმედებას მრავალგზისობას, ინტენსივობას უსვამენ ხაზს.

გვხვდება **ზმნიზედის კომპოზიტური ფორმები**: ტოლად შერწყმული: **წყრან-წყრან, ჩიქარ-ჩიქარ, ნელა-ნელად...** და კავშირიანი კომპოზიტები: **კელდაკელ, თანდათან, ფეკდაფეკ...**

კომპოზიტის შექმნაში მონაწილეობს სპარსული წინდებული ბე <sup>4</sup> be: *სოფელბესოფელ (იგივეა რაც სოფელ-სოფელ); დღებედღე...*

ამ ტიპის ფორმები მოვლენების ექსპრესიულ გამოხატვას ემსახურება.

დიალექტში საკმაოდაა სპარსულიდან, თურქულიდან და სხვა აღმოსავლური ენებიდან პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით შემოსული ფორმაუცვლელი სიტყვები. მათ შორის საკმაოდ შთამბეჭდავია ნასესხები ზმნიზედების რიცხვიც.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**გაბუნია 1993** – კახა გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბილისი, 1993.

**უთურგაიძე 1956** – თ. უთურგაიძე, კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში, იკე XV, 1956, გვ.211-227.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბზულებანი III, 1980.

**შანიძე 1976** – ა.შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976.

**ჩხუბიანიშვილი 2012 (2006)** – დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო ძიებანი (ზოგი ენობრივი ტენდენციის შესახებ ფერიდნულში, არნ, ჩიქობავას საკითხავები, XVII, მასალები, 2006), 2012.

**ჯორბენაძე და სხვ. 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

## მაია ბარამიძე

### ზედსართავ და რიცხვით სახელთა წარმოების თავისებურებისათვისტაოურში

ტაოელთა ქართული სამხრულ მეტყველებას განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი საერთო აქვს სხვა სამხრულ კილოებთან, ზოგი თავისებურებით განსხვავდება კიდევ მათგან. ამ თავისებურებათა გამოვლენა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად გვესახება. ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

● **ზედსართავი სახელი** ტაოურში, ისევე, როგორც სხვა სამხრულ კილოებში, თავისებურებით არ გამოირჩევა. თუმცა ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მოვლენამ, რომელიც სხვაგან არ შეგვინიშნავს: ტაოელთა მეტყველებაში ზედსართავი სახელი **პატარა** გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით: **პატარა** -> **პეტერა** // **პეტერე** // **პუტური** // **პუტურა**:

*პეტერამ* ბალხი არი (წითლეკარი); *მული მყავს, პეტერამ* მული გათხოვილია ადაფაზარ (ბოწმინდა); *წუმ არ წუმს, წყალი პეტერა, სიცხეა, დეძვა* (ბინათი); *პეტარამ* ბიჭი ალმანიაშია (ელიასხევი); *ჰემ პეტერა* ბურსაში გავათხვე (ბინათი); *პეტერა* ვიყავი, ბეური მესმოდა (ხევეკი); *პეტერამ* ათ და სამი წლისაა (წითლეკარი); *პეტერე* ბავში ვიყავ (ელიასხევი); *პუტური*- დენჭი (ბალხიზარი); *ბალანა* არი *პუტური*, წვრილი, ვუმზირო 'და. ...ბალანა არი *პუტურამ*, ვერ გიმიგდია, ჩემი თორია (ფიშნარხევი); *იმხან* მე *პუტურამ* ვიყავ („აგარა“).

ამოსავალი **პატარა** იშვიათია: **პატარამ** ბერაბერ ერთფერამ გევზარდეთ (ხევეკი).

ფონეტიკურად სახეცვლილი ეს ფუძეები ტაოურში შეკუმშული ფორმითაც გვხვდება: **პეტრა**//**პეტრე**//**პუტრუ**:

*დიდი ბალხი* ესაა, *პეტრა* ბალხი არი (წითლეკარი); *პეტრამ*-*დურგი* (ხევეკი); *ჩემ პეტრამ* ბიჭი ზოორი უხლართა, არ იცის, მიხტება (ელიასხევი); *პეტრამ* – ათ და ოთხ, ბიჭია ისიც (ქუაბავი); *მე აქიდან პეტრემ* წვედ და... (ხევეკი); ...*მახალა* - გოდორზე *პეტრამ* (ხევეკი); *ჩვენზე პეტრაები* არ იციან [გურჯული] (ბინათი); *პარხალს ზედან პუტრუმ* ქილისე იყო, დემნრა (წითლეკარი).

შეკუმშული ფუძისაგან არის ნაწარმოები ახალი ლექსიკური ერთეული – **პუტრულიდან**’ (=პატარაობიდან): *ისინი პუტრული’დან ხვარათობენ (წითლეკარი).*

შეკუმშული ფუძე შედის ტოპონიმთა შემადგენლობაში: **პეტრა ბალხი, პეტრა ინტკორი, პეტრადღურგი, პეტრა მასისი.**

ერთ შემთხვევაში-ებ’იან მრავლობითში ამოსავალი ფორმა – **პატარა**’ შეკუმშულ-შეკვეცილია: *ამ პატრებმა ქართულებ იციან (ქუა-ბაგი).*

არცერთი ზემოაღნიშნული ვარიანტი შავშურსა და კლარჯულში არ დასტურდება. თუმცა, **-ობა**’ სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვაში **პატრობით**’ (=პატარაობიდანვე, ბავშვობაში) შავშურს შემოუწინა ხვავს შეკუმშულ-შეკვეცილი ფუძე (შავშეთი 2011, 597).

სწორედ კუმშვად-კვეცად სახელებში აქვს განხილული ივ. იმნაიშვილს **პატარა**’. „ძველ ქართულში ნამდვილი კუმშვად-კვეცადი სახელებია: მოწაფე, მანქანა, პატარა“ (ი. იმნაიშვილი 1957, 113). საგულისხმოა, რომ ივ. იმნაიშვილი მაგალითს იმოწმებს ოშკის ბიბლიიდან: „და შემაგინებდეს მე ერისა მიმართ ჩემისა მჭელისა ერთისათვ სქრთილისა და **პატრისა** ერთისათვს პურისა, ეზეკ. 13,19. თუ ამ სიტყვის ფუძეა **პატარა**’, მაშინ უკვეცილია, თუ **პატარა**’ – კვეცადი. კუმშვადი თავისთავად არის. დავიმოწმებთ ვრცლად ივ. იმნაიშვილის მსჯელობას: „თუ მოვიგონებთ, რომ პარხლის მრავალთავის (A 95) ანდერძში გადამწერად მოხსენიებულია გაბრიელ **პატარაი** (გვ.1222), აგრეთვე ეგვევ გაბრიელ **პატარაი** არის დასახელებული ე.წ. პარხალური ოთხთავის (S 4927) გადამწერად (მოხსენიებულია ორგან: იოვანეს სახარების ბოლოს და ოთხთავის საკითხავების შინაარსის დასასრულს), შეიძლება დავუშვათ, რომ ფუძე ამ სიტყვისა არის **პატარა**. მაშასადამე, ეს სახელიც კუმშვად-კვეცადი ყოფილა“ (ი. იმნაიშვილი 1957, 114).

თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ორ სიტყვაზე (**მოწაფე**, **მანქანა**) დამოწმებული მაგალითებიც ძირითადად შატბერდული ხელნაწერებიდანაა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კუმშვად-კვეცადი ფორმები დამახასიათებელი იყო სამხრული მეტყველებისთვის. ტაოურს დაუცავს არქაული ვითარება.

**პატრა//პატრა** ასევე დასტურდება ინგილოურში; **პეტრა, პეტრე** კი – იმერულსა და ლეჩხუმურში (<http://www.corpora.co/#/dictionaries>). კლარჯულში გვხვდება – **პატინა//პატილა** (კლარჯეთი

2016, 1066); ტაოურში **პატარა**’ს სინონიმებია: **წვრილი**, **პაწა**, იშვიათად **პატინა**’... **წვრილები** აღარ პარიკობენ [გურჯიჯას] (ელთასხევი); ...იმის **პაწა**ჯელედი, ასე წამედბამ (ხევეკი); ერთი **ონური** - ერთი **ც პატინა** (ქუაბაგი).

ზედსართავ სახელთა კიდევ ერთ თავისებურებას გამოვყოფთ- მრავლობითი რიცხვი **-ნ’**, **-თ’** და **-ებ’** სუფიქსთა გარდა იწარმოება **(ო)ვან’** -> **უან’** სუფიქსით (იხ. შ. ფუტკარაძე 2016, 302) და ასევე ფუძის გაორკეცვით:

*ჩუენ პატიტუანი ღარჭები ვიყავით (ქუაბაგი); დამედ ჩომოსულან ჩვენ სახლსა ორი წარი, დიდვანი წარები (ქისქიმი); ხურდა სხალი, დიდვანი არ გედზდება (იეთი).*

ერთ წინადადებაში ორივე წარმოებაა: **დიდრუანი** ლაპარიკობენ, **წურილნი-წურილნი** აღარ პარიკობენ (ბინათი).

● სამხრულ მეტყველებაში ძირითადად თურქულ რიცხვით სახელებს იყენებენ. არ იციან დათვლა და თანამოსაუბრეს რომ გააგებინონ, გაიაზრებენ გრაფიკულ გამოსახულებას, ან შლიან ათეულებად, ერთეულებად, ოცეულებად, მაგალითად: **ორმოცი და ერთი ც ათი და კიდო ვრა** (იხ. ამის შესახებ კლარჯეთი 2016, 548).

თურქულ რიცხვით სახელებს იყენებენ ტაოელებიც, მაგრამ ქართული რიცხვითი სახელების გამოყენების მხრივ ტაოური განსხვავდება შავშურ-კლარჯულისაგან და უახლოვდება ძველ სალიტერატურო ქართულს (იხ. შ. ფუტკარაძე 2016, 283-284).

როგორც ვიცით, ქართული თვლა ნარევი ტიპისაა - ათობით-ოცობითა, ათობითა - ერთიდან ოცამდე და ასს ზევით, ხოლო ოცობითაოციდან ასამდე (ა. შანიძე 1973,40; ვ. თოფურია 1926, 292-296).

ძველ სალიტერატურო ქართულში ერთეული და ოცეული-მე ნაწილაკით იყო შეერთებული, ახალ ქართულში **-მე**’ს ჩამოშორდა ე’ და დარჩა მხოლოდ **მ’**: **ორ-მე-ოცი** -> **ორ-მ-ოცი**... (ი. იმნაიშვილი 1957,470). ვ. თოფურიას აზრით, **-მე**’ აღნიშნავს **ჯერ**’ს, ე.ი. ორმეოცი’ არის ორჯერ ოცი, სამმეოცი - სამჯერ ოცი და ა.შ. (ვ. თოფურია, 1926, 292-296).

ოცობითი თვლა საკმაოდ გავრცელებულია ტაოურში. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, აქ ოცობით ითვლიან არა მარტო ოციდან ასამდე, არამედ ასსაც და ასს ზევით ოცეულების შემცველს (ას ოცი, ას ორმოცი...) და ორასს.

საგულისხმოა თავად ტაოელთა დამოკიდებულება თვლის ამგვარი სისტემისადმი, მიაჩნიათ, რომ მათი დათვლასწორი ძველი ქართულია:

*ძველათ ჩემი მამას დედედ ამნაირ თლიდეს კი: ათი, ოცი, ოროცი. . . ბიჭები ჩამოვლენ და ისინი თლიან, იმათ უმზირვარ, ისინი სხვაფერ თლიან, მე ვთქვია კი... წორი ქართული ეს არი: ათდაორ, ათდასამ, ათდაოთხი... ეგ არი წორიდათლა(ელიასხევი);*

*ათდაორი, ორმოცი, ათიდასამი, ათიდაოთხი, ათიდახუთი, ხუთმოცდაათი, ექვსმოცი, შვიდმოცი, რვაოცი, ათოცი. ჩვენი დათლა არი ძველ გურჯული დათლა (ელიასხევი);*

*ერთი ოცი, ორ ოცი, სამ ოცი, ოთხ ოცი, ხუთ ოცი, ექვსი ოცი, შვიდი ოცი... ათი ოცი ვიტყვი. ჩვენი დათლა ძველია, გურჯი (გოდლეკარი); ხუთმოციც იქნებოდეს [საქონელი, პირუტყვი] (იეთი).*

ოცობითი სისტემის რიცხვითი სახელები რომ დავალაგოთ თანმიმდევრობით გვექნება: ერთი ოცი//ოცი, ორ ოცი//ორმოცი, სამ ოცი, ოთხ ოცი, ხუთ ოცი//ხუთმოცი, ექვსი ოცი//ექვსმოცი, შვიდი ოცი//შვიდმოცი, რვაოცი, ათი ოცი//ათოცი.

როგორც ვხედავთ, ერთეული და ოცეული ერთმანეთს უკავშირდება უშუალოდ ან, მე -> მ ნაწილაკის საშუალებით. ე.ი. ხუთ ოცი//ხუთმოცი - ხუთჯერ ოცია ანუ ასი, ექვსი ოცი//ექვსმოცი - ექვსჯერ ოცი - ასოცი, შვიდი ოცი//შვიდმოცი - ასორმოცი, რვაოცი - ასსამოცი, [ცხრა ოცი - ას ოთხმოცი], ათი ოცი//ათოცი - ორასი.

**ხუთოცი** დასტურდება ძველ ქართულშიც.

შერეული - ოცობით-ათობითი სისტემითაა ნაწარმოები **ხუთმოცდაათი**, რომელიც შემდეგნაირადაა მიღებული: **ხუთ-მე-ოც და ათი**, ე.ი. **ხუთჯერ ოცი და ათი** ანუ **ასი და ათი** - **ასათი**. აქედან გამომდინარე შეიძლება დავუშვათ, რომ **ასოცთათი** იქნებოდა **ექვსმოცდათი**, **ას ორმოცდაათი** - **შვიდმოცდაათი**, **ას სამოცდაათი** - **რვაოცდაათი**, **ას ოთხმოცდაათი** - **ცხრაოცდაათი**.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რიცხვით სახელთა წარმოების ეს სისტემა ოდინდელი ოცობითი თვლის გადმონაშთია (იხ. ვ. თოფურია 1926, 292-296; კლარჯეთი 2016, 548).

როგორც ვიცით, და' კავშირი ძველ სალიტერატურო ქართულში ახლავს არა მხოლოდ ოცეულებს (ოცდაერთი, სამოცდახუთი...), არამედ იგი იხმარებოდა ყოველი საფეხურის შემდეგ (ოთხა-



თას და ორას, შუდას და ოთხმეოც...) და ასევე მაშინაც, როცა რომელიმე საფეხური, კლასი გამოტოვებული იყო (ას და ორი...). ე.ი. ძველ ქართულში **და'** კავშირი რთული რიცხვითი სახელების გადმოსაცემად გაცილებით ხშირად გამოიყენებოდა (ი. იმნაიშვილი 1957, 471).

რაც შეეხება ტაოურს, გარდა იმისა რომ **და'** კავშირი გვხვდება ოცეულებთან და ასის შემდეგ - **ასდაერთი, ასდაორი, ასდახუთი** (დასახელებულ მაგალითებს ვიმოწმებთ ჩვენებურების ქართულის მიხედვით 1993,171; იხ. ასევე შ. ფუტკარაძე 2016, 284), იგი გამოიყენება **თერთმეტიდან' ოცამდე'** რიცხვით სახელებშიც:

*ათ და ორი იქნა? (ელიასხევი); იმხან ჩემი ხალაათ და ოთხის ყოფილა, წლისა... (ქისქიმი); ...ათ და ხუთი თანე ცხვარი - პირტყვი, აანი (ქისქიმი); ათ და ხუთ დღე [ვრჩებით - ჩამწ.] (ქუაბაგი); პეტრად - ათ და ოთხ, ბიჭია ისიც (ქუაბაგი); ათ და ვრა თუე იქ ვიმუშავე (წითლეკარი).*

შეგვხვდა **და'** კავშირის გარეშეც: **ათერთი ხანეა აქ (სადგიყანა).**

ერთი შემთხვევაში ძველი ქართულისებურადაა: **ათხუთმეტი წელია იშტე (ქუაბაგი).**

ძველი ქართულისებურად უმარცვლო უ-თია გადმოცემული მარტივი რიცხვითი სახელი ექუსი: **ექუსთვედ იმუშავა იქა (ქონობანი).**

სხვა მაგალითები: **სამოცი და ოთხი წლისა ვარა და... (ელიასხევი); ოთხი ოცი და ათი, კიდო ორი წლისა ვარა(ქუაბაგი); ჯამე სამი ასი წლისა (ბინათი).**

დასტურდება რაოდენობით რიცხვით სახელთა **ნარიანი** მრავლობითის ფორმები: **ორნი არ არიან ქართული („აგარა“); დაშლია-ღარვინ არი, ორნი არიან, იმათაც არ ესმიან (ქონობანი); ახლა ოთხნი არიან: ერთანე სტამბულ არი... (ელიასხევი); შვილები ბევრნი არიან ფშვიდნი(ჭილათი).**

ერთგან რიცხვით სახელს ერთდროულად ერთვის მრავლობითის მაწარმოებელი სამივე სუფიქსი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი: **ამ ორთანებმა კად იციან (ქუაბაგი).**

გვხვდება **-ვე'** ნაწილაკიანი რიცხვითი სახელებიე.წ. ნარევი ფორმის (იხ. ა. შანიძე 1980, 104) ორმაგი მრავლობითით:

**ორთავენ აქვერი ვართ (ბინათი).**

ერთ შემთხვევაში ამგვარ ფორმას ემატება მიცემითი ბრუნვის ნიშანიც: ...აქასაც იყო, იქასაც - **ორთვენსაც** იყო (ბალხიზარი).

როგორც დავინახეთ, ტაოელთა ქართულმეტყველებას რიცხვით სახელთა წარმოებისარქაული ვითარებაშემოუნახავს.

### გამოყენებული ლიტერატურა

**თოფურია 1926** – ვ. თოფურია, ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, თბილისი.

**იმნაიშვილი 1957** – ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

**კლარჯეთი 2016** – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბილისი.

**ფუტკარაძე 1993** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი. ბათუმი.

**ფუტკარაძე 2016** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული. წიგნი მეორე. ბათუმი.

**შავშეთი 2011** – მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

<http://www.corpora.co/#/dictionaries>

## მარინა ბერიძე

### მეშველზმნიან ფორმათა გამოყენების თავისებურებისათვის ფერეიდნულში

ფერეიდნულ დიალექტში ზმნურ ფორმაწარმოებაში მეშველი ზმნის გამოყენების თავისებურებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის საგანგებოდ აღნიშნული. ამ საკითხს არ შეხებიან დიალექტის პირველი მკვლევრები [ჩიქობავა 1925; მარი 1936]. არც შემდგომი დროის პუბლიკაციებში გვხვდება რაიმე შენიშვნა ამის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გამოცემულ ტექსტებში ეს მოვლენა საკმაოდ კარგად არის დოკუმენტირებული.

ამგვარი „უყურადღებობა“, ვფიქრობთ ერთგვარი სტერეოტიპული შთაბეჭდილების ნარეკლია, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ახლავს ხოლმე უცნობი დიალექტის მონაცემების შესწავლას.

ფერეიდნულის გრამატიკული სტრუქტურის აღწერისას მსგავსი „პარადიგმული სტერეოტიპების“ გამო დაშვებული სხვა უზუსტობებიც გამოვლინდა [ბერიძე 2019].<sup>1</sup>

იმის გამო, რომ მეშველი ზმნა აქტიურად აწარმოებს სტატიკური ზმნების აწმყოს და ერთპირიან ზმნათა მესამე სერიის მიმდევრის ფუძეზე დაყრდნობილ ფორმებს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დიალექტი მთლიანად მიჰყვება მეშველზმნიანი ფორმების წარმოების ქართულ ენაში დამკვიდრებულ მოდელს და ერთგვარად „ინილბება“ ის მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი თავისებურებები, რომლებიც ამ კუთხით იჩენს თავს ფერეიდნულში.

როგორც ცნობილია, მეშველზმნიანი ფორმები ქართული ზმნის დრო-კილოთა წარმოებაში გვიან არის გაჩენილი და მარტივი ზმნური ფორმების „გართულება“ მეშველი ზმნით ეტაპობრივად ხდებოდა.

აღნიშნულია, რომ აწმყოში დამხმარე ზმნას დაირთავს ზმნათა მცირე ჯგუფი, ძირითადად ე.წ. სტატიკური და საშუალი გვარის

---

<sup>1</sup> „პარადიგმული სტერეოტიპების“ შესახებ დეტალურად ვმსჯელობთ ლია ბაკურაძესთან თანაავტორობით შექმნილ მონოგრაფიაში „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი“, რომელიც ახლახან გადაეცა პოლიგრაფიას.

ზმნები [ბარამიძე 1964: 97]. რაც შეეხება I თურმეობითს, ის „მეშველ-ზმნიანია ყველა ტიპის ზმნისთვის“<sup>1</sup> [ბარამიძე 1964: 105]. ასევე აღნიშნულია, რომ ეს თითქოსდა ერთი პრინციპი წარმოებისა აერთიანებს ზმნათა რამდენიმე განსხვავებულ ჯგუფს: ერთპირიანი და ორპირიანი ზმნების აღწერითი ფორმები სრულიად განსხვავებული ხასიათისაა, ამავე დროს ორპირიან ზმნებში გარჩეულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები [ბარამიძე 1964: 105].

ამ საკითხის კვლევისას ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია გვაქვს თუ არა ფერეიდნულში მეშველზმნიანი ფორმების წარმოების სალიტერატურო ქართულთან იდენტური სურათი? შესაბამისად, შეგვესწავლა ამ თვალსაზრისით:

1. სტატიკური ზმნები (ზის, დგას...)
2. ე. წ. ინვერსიული ზმნები (უყვარს, სძულს...)
3. ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნები (ჯდება, ემალება)
4. გარდამავალი (მხოლოდ ე. წ. მანის რიგის / „ობიექტური წყობის“) ზმნები (მკლავს, მიჭერს...)

როგორც ითქვა, ფერეიდნულის მეშველზმნიანი ფორმების წარმოების თავისებურებაზე არ არის აღნიშნული არცერთ სამეცნიერო წყაროში, თუმცა ტექსტებში ეს თავისებურებები საკმაოდ არის დოკუმენტირებული.

ქართული დიალექტების კორპუსში, ფერეიდნულ ტექსტებში დღეისათვის 28 ზმნური ფუძისგან ნაწარმოები 70-მდე პირველი და მეორე პირის [ვარ(თ), ხარ(თ)] მეშველზმნიანი ფორმაა დამოწმებული. ყველა ეს ზმნა გარდაუვალია. გვხვდება როგორც აწმყოს, ისე I თურმეობითის ფორმები. ამ ფორმებს ერთად განვიხილავთ, რადგან სტატიკურ ზმნათა აწმყოს ორგანულ ფორმას ხშირად სინონიმურად ანაცვლებს I თურმეობითის მეშველზმნიანი ფორმა: **ზის – დაჯდომულია.**

---

<sup>1</sup> მკვლევარი არ აზუსტებს, რომ გარდამავალი ზმნებიდან მხოლოდ მანის რიგის, იგივე „ობიექტური წყობის“ ზმნები დაირთავენ მეშველ ზმნას პირველ თურმეობითში, ამიტომ შეფასება „ყველა ტიპის ზმნები“ აქ, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულია.

როგორც ტექსტური მასალიდან ჩანს, ფერეიდნულში მეშველ-  
ზმნიანია ე.წ. სტატიკური ზმნების აწმყო და დინამიკური ვნებითე-  
ბის I თურმეობითები.

კითხვარული მასალითაც **ერთპირიანი** დინამიკური ვნები-  
თის ყალიბის ზმნები მესამე სერიის ფორმათა წარმოებისას უგამო-  
ნაკლისოდ მეშველზმნიანებია: **იმალება – დამალულვარ, იპარება –  
გაპარულვარ...**

**ორპირიანი ვნებითების** მეშველზმნიანი ფორმები უკიდურე-  
სად შეზღუდულია. კითხვარული მეთოდით მასალის მოპოვებისას  
რესპონდენტები უარყოფენ **გავპარვივარ, დავმალვივარ...** ტიპის  
წარმოებას. პარადიგმის აღმწერი კითხვარების გამოყენებისას ორპი-  
რიანი ზმნების **პირველი თურმეობითის** შინაარსით რესპონდენტე-  
ბი ან ერთპირიანი ზმნის პირველ თურმეობითს, ან ორპირიანის  
წყვეტილს ასახელებდნენ: ვემალები – **დავემალე / დავმალულვარ.**

რესპონდენტები კატეგორიულად უარყოფენ მეშველზმნიან  
წარმოებას I თურმეობითში, თუმცა, როგორც ცხრილიდანაც ჩანს, ეს  
არ გამორიცხავს მეშველზმნიანი წარმოების იშვიათი გამოვლენის  
შესაძლებლობას ამა თუ იმ კონკრეტულ ზმნაში გაბმული მეტყვე-  
ლების დროს. კორპუსში დამოწმებულია ერთადერთი ფორმა **და-  
ვჯოზინებვივარყელაო – (და)ვაჯოზებ (=ვჯოზნი)** ზმნის I თურმეობი-  
თი:

*მაშნახეო, რომეო ჩემთითო მინდოდაო, გამამივდოდა, ჰარრა-  
მე საქმე გავაკეთოო, ეხლაცაო მეოამსუდებს დავჯოზინებვივარყე-  
ლაო.*

ტექსტი მარტყოფშია ჩაწერილი დარეჯან ჩხუბიანიშვილის  
მიერ, 1998 წელს. ფრაზის შინაარსი ნათელია და საანალიზო ფორ-  
მის ინტერპრეტაციაც გამჭვირვალეა. ყველა გამოკითხვის საწინააღ-  
მდეგოდ აშკარად გვაქვს ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ქართული  
ენობრივი სისტემისთვის დამახასიათებელი წარმოება. რა მოვლენ-  
ასთან გვაქვს საქმე – ძველი ვითარების ნაშთია ეს, თუ საერთო  
ენობრივი ტენდენციის გამოვლინება? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია  
მასალის სიმცირის გამო.

შეიძლება გამოითქვას მხოლოდ ფრთხილი ვარაუდი, რომ ფე-  
რეიდნულმა შეინარჩუნა მდგომარეობა, როცა დიალექტში ორპირი-  
ან ზმნებშიც ისახებოდა მეშველზმნიანი წარმოება. პროცესი რაღა-

ცის გამო აქ გაჩერდა და ტენდენციად აღარ იქცა, არ მოხდა ამ წარმოების შემდგომი უნიფიცირება. თუ რატომ, ამ კითხვაზე პასუხი შემდგომმა, უფრო გამოწვლილვითმა კვლევამ შეიძლება მოგვცეს. არ გამოვირიცხავთ, რომ თითოეული სოფლის მიხედვით მასალის შესწავლა უფრო მეტ კერძო შემთხვევას გამოავლენს ამ საკითხზე ფართო მსჯელობისათვის,<sup>1</sup> დღესდღეობით კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნულში მეშველ ზმნას დაირთავენ მხოლოდ:

1. სტატიკური ზმნები;
2. ერთპირიანი დინამიკური ვნებითების I თურმეობითები.

რა ვითარება გვაქვს ყველა სხვა ზმნასთან, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და ქართულ დიალექტებში მეშველ ზმნიანი წარმოებისაა?

ფერეიდნული დიალექტის ზმნური ფორმაწარმოების მნიშვნელოვან თავისებურებას სწორედ ზმნათა ეს ჯგუფები წარმოგვიდგენენ. ესენია: **უყვარს** ტიპის ზმნები, ორპირიანი გარდაუვალი ზმნები, გარდამავალ **მანის რიგის** (ობიექტური წყობის) ზმნათა პირველი თურმეობითები. ვნახოთ, როგორია თითოეული ამ ჯგუფის ფორმაწარმოების თავისებურება დიალექტში:

**ე.წ. ინვერსიული ან უყვარს ტიპის ზმნები** სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით მეშველ ზმნას არ დაირთავენ ფერეიდნულში. ისინი ვერ აღნიშნავენ რეალური ობიექტის (სახელობითბრუნვიანი აქტანტის) პირველ და მეორე პირს, ხოლო საჭირო შინაარსს გადმოსცემენ სათანადო ზმნის მესამე პირის ფორმაზე პირის „ჩემ“/ „შენ“ და უკუქცევითი „თავი“ ნაცვალსახელების დართვით:

**მე მიყორს შენ თავი, იმას უყორს შენ თავი,  
შენ გიყორს ჩემთავი, იმას უყორს ჩემთავი<sup>2</sup>.**

---

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ უძველეს ძეგლებში ორპირიან ზმნათა III სერიის ფორმები არ დასტურდება. ეს ფორმები საერთოდ გვიან არიან გაჩენილი [ნათაძე, 1955: 98]. მას შემდეგაც, რაც გაჩნდა მათი მესამე პირის ფორმები, დიდხანს არ ჩანს პირველი და მეორე პირის ფორმები [ბარამიძე, 1964: 105].

<sup>2</sup> მესამე პირის რეალური ობიექტის შეიძლება გამოხატული იყოს როგორც უკუქცევითი, ისე ჩვენებითი ნაცვალსახელით: მე მიწადა ამის თავი // მე მიწადა ანსი // მიწადა (საქმე მიწადა, სიცოცხლე მიწადა), პირველი და მეორე პირისა – მხოლოდ უკუქცევითი ნაცვალსახელით: ჩემთავი, შენთავი.

საგულისხმოა, რომ ამ ზმნების მთელ პარადიგმას გაჰყვება ეს თავისებურება – რეალური ობიექტი ყველა რეალიზებულ მწკრივში მესამე პირის ფორმითა და ნაცვალსახელებით არის წარმოდგენილი:

**გიყორდა ჩემთავი, უყორდა ჩემთავი, მიყორდა შენ თავი, უყორდა შენ თავი...**

**გიყორდეს ჩემთავი, უყორდეს ჩემთავი...**

მაგალითები დიალექტური კორპუსიდან:

**უყორს:** *ბეჭრიც ჩემ თავი უყორს ემ დედასლა და მოოზაჭტავ და გოოდიდავ.*

**უყორდა:** *დამზანისყე, მამზაჭტისყე, უყორდა ჩემთავ, ძრიალ უყორდა ჩემ თავი.*

შამიყორდა: *შენ თავი მე შამიყორდაო.*

მამწონდაო: *მე შენ თავი სუყელასყენ მამწონდაო.*

**უნდა:** *ემამთქო, რო: ემეერიო, ეხლაო ჩემ თავი უფრო გინდაო, თუ ემ ჰადარბეგისაო.*

მინდა: *მე შენ თავი არ მინდალა, არ მინდა, ცხო ყორი მინდა.*

გუნდა: *შენ თავი აღარ გუნდალა.*

ასევე იქნება: მიჰყავს ჩემთავი, ახსოვს ჩემთავი...

**ორპირიანი გარდაუვალი ზმნები:** როგორც ზემოთ ვთქვით, I თურმეობითის ორპირიან ფორმებს ეს ზმნები არ იწარმოებენ: ან გვაქვს ერთპირიანი მიმღებური ფორმა (**ვემალეები – დავმალულვარ**) ან, როგორც გამოკითხვისას რესპონდენტები გვპასუხობენ – წყვეტილის ფორმა გამოიყენება: **მე იმას დევმალე.**

**გარდამავალი ზმნის მანის რიგის / ობიექტური წყობის ზმნები** აგრეთვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით არ დაირთავენ მეშველ ზმნას I თურმეობითში: **მკლავს ის – იმას ჩემთავი მოუკლავ** (შდრ. სალიტ. მოუკლავხარ).

**გჭამს: შენ თავი დათვის შოგჭამიაო** (შდრ. სალიტ. შეუჭამიხარ).

ყოველივე ამის გამო ფერეიდნული ზმნური ფორმაწარმოების ერთ-ერთ მთავარ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სალიტერატურო ქართულისა და ქართული დიალექტებისაგან განსხვავებით, აქ ზმნათა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იწარმოებს აწმყოსა და I თურმეობითის ფორმებს მეშველი ზმნის დართვით პირველსა და მეორე პირში.

რაკი მეშველზმნიანი ფორმების ჩასახვისა და დამკვიდრების პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა სალიტერატურო ქართულშიც, ხომ არ ასახავს ფერეიდნულის მდგომარეობა ძველ ვითარებას, როცა მოვლენა არ იყო საკმაოდ განზოგადებული და უნიფიცირებული?

თუ ეს ასე იყო, მაშინ შესაძლოა ფერეიდნულის ვითარებამ გასცეს პასუხი კითხვაზეც, კონკრეტულად რომელ ფორმებში ჩაისახა პირველად მეშველზმნიანი წარმოება და როგორი იყო მისი გავრცელების დინამიკა.

სამეცნიერო ლიტერატურაში უარყოფილია აზრი იმის შესახებ, რომ ეს პროცესი შეიძლება აწმყოფოს ფორმებში დაწყებულიყო და იქიდან გადასულიყო მესამე სერიაში. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მეშველზმნიანი ფორმები თავდაპირველად გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში ჩნდება და მისი დანიშნულება არის პირის რომელიც დაზუსტება [ბარამიძე 1964: 113-114, 144-145].

თუ ჩავთვლით, რომ ფერეიდნულმა შემოინახა გადასახლების დროინდელი ვითარება, მაშინ ამ თვალსაზრისს საფუძველი ეცლება, რადგან სწორედ გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში, მანის რიგის ფორმებში არის კატეგორიულად გამორიცხული მეშველი ზმნა ფერეიდნულში და რეზულტატივის ამ შინაარსის გადმოსაცემად „**ჩემთავ / შენთავ**“ ნაცვალსახელიანი წარმოებაა გაბატონებული.

ფერეიდნულის ვითარებას მხარს უჭერს ინგილოური, რომელიც მანის რიგის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოებისას ასევე იყენებს **ჩემთავ, შენთავ** ნაცვალსახელს და ასევე მეშველი ზმნის გარეშე იწარმოებს ფორმებს:

*...ჩონთავ მოვტყუები შენთავიც, ჩემთავიც, უყე წასულან.*

*/...ჩვენ მოვუტყუებივართ, შენც, მეც, უკვე წასულან/.*

როგორც ვხედავთ, ფერეიდნული მარტო არ არის მეშველზმნიანი ფორმების წარმოების თავისებურების თვალსაზრისით. ინგილოურთან ეს მსგავსება ამ დიალექტების ოდინდელ სიახლოვესა და ერთიან წარმომავლობაზეც შეიძლება მიგვანიშნებდეს.

შესაძლოა დავუშვათ, რომ ორივე დიალექტმა, მშობლიური ენობრივი გარემოდან მოწყვეტილმა, შემოინახა ძველი ვითარება უმეშველზმნო წარმოებისა, ხოლო პირთა გასარჩევად გამოიყენა უკუქცევითი შინაარსის განსაკუთრებული ნაცვალსახელები: **შენთავ-**



**ვი, ჩემთავი** – რომელშიც **თავი** უკუქცევითობას, მოქმედების ობიექტზე მინიშნებას გამოხატავს, **მე / შენ** ნაცვალსახელები კი პირველ-მეორე პირს განარჩევენ.

შიდილება ვიფიქროთ სხვაგვარადაც – ეს ფორმები უკვე ფერე-იდნელთა გადასახლებამდე არსებობდა ერთ-ერთ დიალექტში ან დიალექტთა ჯგუფში, როგორც საყოველთაო ტენდენციის ალტერნატივა. ის შემორჩა იზოლირებულ დიალექტებში, სხვაგან კი უნიფიცირდა დომინანტური მოდელი.

საკითხის კვლევა საჭიროა ყველა დიალექტის მიხედვით. იმის გამო, რომ აწმყოში მეშველ ზმნას სულ რამდენიმე ზმნა დაირთავს და თან ყველა მათგანი არც დასტურდება დიალექტებში, მასალა ძნელად ექვემდებარება დოკუმენტირებას. ასევე რთულია **მანის** რიგის გარდამავალ ზმნათა აღნუსხვა პირველი და მეორე პირის ფორმების შედარებით მცირე სიხშირის გამო ტექსტებში. მეშველ-ზმნიან ფორმათა არაერთგვარობის გამო, როცა კარგად გამოხატული ერთი წესი დასტურდება დიალექტში, **იქმნება სტერეოტიპული სისტემური იგივეობის განწყობა**. სწორედ ამიტომ იყო, რომ დღემდე არ იყო შენიშნული და აღწერილი ზმნური ფორმაწარმოების ეს მნიშვნელოვანი მომენტი ფერეიდნულში.

ზმნური ფორმაწარმოების ასეთი თავისებურებები დეტალურად იმიტომაც უნდა იყოს გამოკვლეული, რომ მათ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფერეიდნელთათვის ქართული ენის სწავლები-სას. ეს „დაფარული“ ენობრივი ნიშები ძალიან უშლის მათ ხელს (და მათ მასწავლებლებსაც) სასურველი შედეგის მიღწევაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ბარამიძე 1964** – ლელი ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964.

**ბერიძე 2019** – მარინა ბერიძე, პარადიგმული სტერეოტიპი და ლინგვისტური რეალობა (ფერეიდნული სახელური ფორმაწარმოების ზოგი საკითხისათვის – ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება),

XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2019.

**მარი 1936:** Марр Ю.Н. Из беседы с Ферейданским грузином, Статьи, сообщения и резюме докладов, т.1, м.1936.

**ნათამე 1955** – ნოდარ ნათამე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკე, VII, 1955.

**ჩიქობავა 1925** – არნოლდ ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად (უშუალო დაკვირვებანი), ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული „არილი“, თბილისი, 1925.

**ქართული დიალექტური კორპუსი** <http://corpora.co/>

## მერაზ ბერიძე

### ჭაჭარაქის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

**ჭაჭარაქი** დღეისათვის არის ერთი სოფლის სახელი. ისტორიულად იგი რამდენიმე პუნქტს გულისხმობდა.

მე-16 საუკუნეში **ჭაჭარაქი** ნაჭიფეს (რაიონის) ცენტრია, აქვს თავისი ციხე და შესაბამისად რაბათი (ს. ჯიქია 1958, 209-210). მე-ოცე საუკუნეში (კომუნისტების დროს) არსებობდა და დღესაც არის მხოლოდ ერთი **ჭაჭარაქი**, რომელიც თავის დროზე ახალციხიდან 5 ვერსის მანძილზე მდებარეობდა და დღეს თითქმის გადაბმულია ახალციხეზე.

სამი **ჭაჭარაქი**დან მე-16 საუკუნეში დასახლებულია ორი – **ჭაჭარაქის ციხის რაბათი** და **ზემო ჭაჭარაქი**. ქვემო **ჭაჭარაქში** მოსახლეობა აღარ არის.

თუ გავაერთიანებთ ორივე **ჭაჭარაქს**, მივიღებთ 22 კომლს. **ჭაჭარაქებში** ძირითადად ნათესავები ცხოვრობენ, როგორც წესი, განაყოფები გადიან ოჯახებიდან და ქმნიან ახალ ოჯახებს. ოცდაორივე კომლი მამისსახელობით ან ძმის სახელით არის მოხსენიებული. ოსმალთა მოხელე სიას ადგენს გადასახადებისათვის. მისთვის მთავარი არ არის გვარსახელის დაფიქსირება, უფრო

სწორად, ეს არ არის მიზანი. მთავარია, დაფიქსირდეს გადამხდელი. მოხდეს მისი „დანომრვა“, დაფიქსირება და ეს ხდება სხვადასხვა ხერხით. ხანდახან მხოლოდ სახელით, მამის სახელობით, მმის სახელით, ხშირად პაპის სახელით და სხვ. ასე რომ, შეგვიძლია, განვიხილოთ 22 ოჯახის ანთროპონიმია. ზოგიერთს კითხვის ნიშანიც აქვს დასმული, მაგრამ, რადგან გამომცემელმა აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ შესაძლო ვარიანტები წარმოადგინა და ამოუკითხავად არ მიიჩნია, ჩვენ მას ვღებულობთ, როგორც ყველაზე მისაღებ ფორმას. მხოლოდ სამი სახელია ამოუკითხავი, რომელთაც ჩვენ X-ით აღვნიშნავთ. ესენია ივანე X -ის ძე, X გოგინაძე და ზაქარა X-ის ძე. მე-16 საუკუნის სახელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კნინობითი ფორმით და არა კანონიკური ფორმით დაფიქსირება საკუთარი სახელისა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გიორგი ცალკეა, როგორც საკუთარი სახელი. მართალია ამ სოფლებში გიორგი არ გვხვდება, სამაგიეროდ მისგან მიღებული კნინობითი ფორმა გოგი არამარტო პტოდუქტიულია, არამედ მისგან არის ნაწარმოები ახალი სახელი სუფიქსაციის გზით. შეგვიძლია ამ შემთხვევას არა დაკნინება - მოფერება, არამედ სახელთა წარმოქმნა ვუწოდოთ სუფიქსაციის გზით. გოგი-სგან არის მიღებული გოგ-ინი-ა და გოგ-იჩ-ა -ინ; იჩ სუფიქსით. ჭაჭარაქის ციხის რაბათში ორ ოჯახში იხსენიება გოგინა. ერთი არის X გოგინას ძე და მეორე - იმარინდო გოგინას ძე. ვფიქრობთ, რომ X და იმარინდო ერთი მამის შვილები არიან და მათ ნათესაობაზე არ მიუთითებს აღმწერი. ამ ლოგიკით შეიძლება ოჯახის ერთგვარი გენიალოგია აღდგეს ამ სოფლისა. საერთოდ **პაპუნა** გავრცელებული სახელია სამცხე-ჯავახეთში იმ დროს. ეს ქართული სახელი ბევრ ვარიანტს გვთავაზობს. „წინათ გავრცელებული იყო და ზოგჯერ ახლაც გვხვდება ამ სახელის მრავალფეროვანი ვარიანტები: პაპა, პაპი, პაპია, პაპუა, პაპალა, პაპალია, პაპანა, პაპენა, პაპინა, პაპიტა, პაპურა, პაპუკა, პაპუჩა, პაპუჩელა. ამათგან წარმოქმნილია გვარები: პაპუნაშვილი, პაპუნძე, პაპიაშვილი, პაპოშვილი, პაპალაშვილი, პაპელაშვილი, პაპინაშვილი. პაპინაშვილი, პაპუკაშვილი, პაპელაშვილი“ (ზ. ჭუმბურიძე 2003, 193).

ჭაჭარაქის ციხის რაბათში გვყავს **გოგიჩა პაპუნას ძე** და **პაპუნა კვირიკას ძე**. ეს ორი სხვადასხვა ოჯახია. თუ ისინი

განაყრები არიან, გოგიჩა გამოდის კვირიკას შვილიშვილი, ხოლო პაპუნა – შვილი.

ახლო ნათესაური სახელებიდან ანთროპონიმთა მიღება ჩვეულებრივი ამბავია ქართულ ანთროპონიმიკაში. ორ სოფელში ორი **მამუკაა**: ქუმსია **მამუკას** ძე და სალუყაზან ფილიპეს ძეს ჰყავს **მამუკა**, „ძმა მისი.“ ამ სახელიდან მიღებულია გვარები: მამუკაძე, მამუკაშვილი, მამუკიშვილი, მამუკელაშვილი (ზ. ჭუმბურიძე 2003, 183).

-ია დაბოლოებებიანი სახელებია: **ქუმსია** (შდრ. გვარი ქუმსიაშვილი), **საბია** (საბია ზაბულონის ძე), და **პოპია** (აქედან გვარი პოპიაშვილი).

სახელთა დარქმევის დროს ცნობილი ფაქტია, როდესაც მამის სახელის რომელიმე მარცვალს გაიმეორებენ მშობლები შვილის სახელში. ასეთია **იასონ ჯილასონის ძე**. ზემო ჭაჭარაქში პოპულარულია სახელი **ფილიპე**, რომელიც ბერძნულიდან მოდის და „ცხენთა მოყვარულს“ ნიშნავს. სამოცდაათთაგან ერთ-ერთი მოციქულისა და ქრისტეს მოწაფის, აგრეთვე რამდენიმე ცნობილი მოწამის სახელია. გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში“ – (ზ. ჭუმბურიძე 2003, 206) სახელი გვხვდება ხანმეტ ძეგლებში, მისგან ნაწარმოებია გვარები: ფილიპაშვილი, ფილიპია (ზ. ჭუმბურიძე 2003, 206). ტრადიციული ქრისტიანული სახელის პატრონს ფილიპეს შვილისთვის მოდაში შემოსული აღმოსავლური სახელი **სალუყაზანი** დაურქმევია. ისევე, როგორც **მამუკა**, მამისგან არის ნაწარმოები **მამისა** (ზ. ჭუმბურიძე 2003, 182) ზემო ჭაჭარაქში გვყავს **მამისა კაკალას ძე**. არის ცდუნება, კაკალა, რომელიც ორ ადამიანს ჰქვია ჭაჭარაქში (საბია ზაბულონის ძეს ჰყავს ძმა **კაკალა** და **მამისა კაკალას ძე**) დაფუკავშიროთ კაკალს (შდრ: ტყემალაძე, ხორბალაძე, მსხალაძე, მუხაძე, ჭინჭარაძე, ბალაძე, ბალიაშვილი, ღვალაძე და სხვა) და შეიძლება აგრეთვე გამოვყოთ კაკ – ფუძე, როგორც აკაკის მოფერებითი ფორმა. ზოგი ვერსიით კაკ- ხურიტულ სახელად არის მიჩნეული და მისი ფონეტიკური ვარიანტებია: კაკა, ქაქა, გაგა, გაგი (შდრ. აგრეთვე სომხ. გაგ, გაგიკ ფორმები გვაქვს). როდესაც ვუშვებთ ამ ვერსიას, მხედველობაში გვაქვს, რომ ამავე „დავთრის“ დროს გავრცელებულია სახელი **კაკა**, ცნობილია ისტორიული **კაკას ხიდი**, სამცხეში **კაკაწყარო**. კაკ-ალ-ში თუ ფუძედ ვივარაუდებთ

კაკ-ს, ალ-ის გამოყოფის საშუალებას გვაძლევს იმ დროსაც და დღესაც გავრცელებული სახელი **კაკულა** (მდრ. გვარი კაკულია)

ქრისტიანული სახელი **ზაქარია**, რომელიც ებრაულიდან მოდის (ჭუმბურიძე, 2003:158) და რომლიდანაც არის მიღებული გვარები: ზაქარიამე, ზაქარიაშვილი, ზაქარამე, ზაქასაშვილი, ზაქარიმე და სხვა (ზ. ჭუმბურიძე 2003, 158), დაბოლოებაშეცვლილია. -ია გაგებულია ქართულ სუფიქსად, რომელსაც თავისუფლად ენაცვლება – ა (გოგა – გოგია, დავით – დავითია და სხვა) და გვაქვს **ზაქარია**, რომლის მამის სახელიც ამოუკითხვია.

მაშინდელ მესხეთში პოპულარული იყო, საკუთარი სახელის ზმნური ფორმა **მახარა**. პოპია აზიათარის ძეს ჰყოლია შვილი მახარა. ადვილი გასაგებია, როგორი მოლოდინი ჰქონდა პოპიას ბიჭის დაბადებისა, რომ ეს სახელი დაურქმევია.

ამკარად გამოსაყოფია -უა დაბოლოება სახელში ყაშუა. იგი გოგინას ძმა არის. თვითონ ყაშ – რას ნიშნავს, ძნელი სათქმელია. გურულში გვხვდება ყაშ-ი ქამრის სინონიმად თუ ერთ-ერთ სახეობად (ალ. ღლონტი 1984, 604). დაბოლოების მიუხედავად ქართულად ძნელი ასახსნელია მისი მნიშვნელობა. თავისთავად ქამრის შინაარსის სიტყვის გამოყენება საკუთარი სახელად შეუძლებელი არ არის.

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ ჭაჭარაქში მე-16 საუკუნეში ქართული მოსახლეობაა, რომელიც მოდის მე-18 საუკუნემდე, როდესაც ჭაჭარაქი, როგორც გეოგრაფიული პუნქტი ცოცხალია და მისგან არის ნაწარმოები ჰიდრონიმი – **ჭაჭარაქის ხევი**.

ქართულსა და სხვა ენებში **ჭაჭარაქი** გვხვდება დამახინჯებული სახითაც. ამის შესახებ მიუთითებდა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში სერგი ჯიქია: როდესაც ოსმალებმა აღწერეს თავიანთი მიწებისათვის მაშინდელი სამცხე-ჯავახეთი, ცდილობდნენ მიახლოებით მაინც დაეცვათ ტრანსკრიფცია, რომ გაუგებრობა აეცილებინათ თავიდან გადასახადის აკრეფის დროს. საამისოდ მოიშველიეს დიაკრეტული ნიშნები, რომ ქართული სპეციფიკური ბგერები, რომელიც თურქულს არ გააჩნდა დაფიქსირებულიყო, რაც უფრო მეტად დამახინჯდა რუსული მმართველობის დროს. ს. ჯიქია ამის შესახებ წერს: „რუსული მმართველობის დამყარების პირველ ხანებში საგადასახადო ობიექტთა სია გადმოიღებოდა ხოლმე „ჯაბა დავთრიდან“, რადგანაც ამ

დროს სოფლებისა და მოსახლეობის შესახებ საჭირო ცნობების შემგველი სხვა სააღწერო მასალა არ იყო.

უნდა ითქვას ისიც, რომ ეს რუსული სიების „დავთრიდან“ ძლიერ დაუდევრადაა გადმოღებული. „სიების“ გადმოწერა რუს მოხელეს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ამოსაკითხავად შეეძლო მიემართა ადგილობრივ მკვიდრთათვის, რომელთაც თურქული დამწერლობაც იცოდნენ და ადგილობრივი გეოგრაფიული ნომენკლატურაც, მაგრამ ამ „სიებში“ მაინც დიდი შეცდომები და უხეში დამახინჯებები გვაქვს“ (ს. ჯიქია 1958, 28).

რადგან ფაქტია, რომ მე-16 საუკუნეში დაფიქსირებული სახელი, რომელიც მე-18 საუკუნეში **ჭაჭარაქ** ფორმით ნამდვილად გვხვდება, ძირითადად მახინჯდება მე-19 საუკუნეში. ს. ჯიქია მიუთითებს დამახინჯებულ ფორმებს, რომელიც გვხვდება სხვადასხვა ნიადაგზე. Джаджараги, Чачараки, Чечереки, ჭეჭერაქი, ჭეჭარაქი, ხაჯრექ – და სხვა (ს. ჯიქია 1958, 209-210).

ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა“ ხუთტომეულში ჭაჭარაქის შესახებ ნათქვამია: „იგი სომხურ ტოპონიმიაში მოცემულია **ჭაჭარაკ ჩეჩერაკ** ფორმით. ეს ქართული სოფელი მდებარეობს ახალციხის რაიონში. ახალციხიდან 4 კმ-ის დაშორებით **მდ. ფოცხოვის ნაპირზე** ... წინაპრები გადმოსახლებული არიან ერზრუმიდან 1829-30 წლებში. **ქართული ფორმაცვალეზით მიღებულია ჭაჭარაკ ფორმა**“. ციტატა ამოღებული გვაქვს მაია ბალასანიანის სადოქტორო დისერტაციიდან – „სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმია სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმების ხუთტომეულის მიხედვით“ (მ. ბალასანიანი 2016, 141-143).

დისერტანტს იქვე აქვს შენიშვნა, რომ „ჭაჭარაქი მდებარეობს არა მდინარე ფოცხოვის ნაპირზე, არამედ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

თარგმანზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას კიდევ ერთი, რომ არ არის მითითებული „ჭაჭარაკ“ „ჩეჩერეკ“ ფორმები სადა არის დადასტურებული სომხურ ტოპონიმიაში თან ჭაჭარაკი არის სომხურიც და ამასთანავე „ქართული ფორმაცვალეზით მიღებულია **ჭაჭარაკ** ფორმა“. ვფიქრობთ, პრაქტიკულად დიდი განსხვავება არ არის ან საერთოდ არ არის ამ შემთხვევაში. სერგი

ჯიქიას კიდევ უფრო მეტი განსხვავებული ფორმები აქვს და-  
დასტურებული, როგორც ზემოთ ითქვა.

ჭაჭარაქის რაიონი მოიცავს შემდეგ სოფლებს და ნასოფლა-  
რებს: 1 ჭაჭარაქის ციხის რაბათი, 2 ჭაჭარაქი ზემო, 3 ჭაჭარა-  
ქი ქვემო, 4 სამწუბი, 5 ზურზელი (დღევანდელი ზველი –  
მ.ბ), 6. ანდა, 7. გიორგიწმინდა, 8 ტრიბონი, 9 X, 10 ტობა, 11  
ურაველი, 12 კისათიბი, 13 ჩორჩო, 14 წყორმა, 15 მონასტერი, 16  
ფულა (შდრ. ფუნღურა; მ.ბ). 17 ტბეთი, ქვემო, 18 ანდრიაწმინდა,  
19 ბორჯომი, 20 იხტილა, 21 ტბეთი ზემო, 22 ჭობარეთი, 23 მო-  
ლარათუბანი, 24 X, 25 X, 26 ღრელი სათესველით, 27 ენთელი,  
28 აგარა, 29 ღრმა (დღევანდელი ღრომა – მ.ბ.), 30 კაკლიორი, 31  
მამაჭიხეთი ზემო, 32 ოდანდა, 33 ხეთი ადგილებითურთ, 34  
ორცევი, 35 კამტიეთი, 36 ვაშლობი, 37 ჭოჭები (ზემო, ქვემო), 38  
ფურცელი, 39 შორაშეთი, 40 X, 41 მონასტერი, 42 ოხერა, 43 მლა-  
შისხევი ვენახებითურთ (დღევანდელი ღრელი – მ.ბ.), 44 მაიკე-  
თი, 45 ბოსთანი, 46 ოლოდა, 47 ენპელო, 48 მღრიანი, 49 გორგე-  
თუბანი, 50 ქურდოსანი, 51 აბათუბანი, 52 X, 53 X, 54 მალულის-  
ხევი, 55 X, 56 ხაქიზა სათესველითურთ, 57 სათესველი ახალკე-  
თი, 58 სათესველი საგუგლა, 59 X, 60 სათესველი საყვერისხევი,  
61 სათესველი ახალდაბა, 62 სოფელი ოხომა ზემო და ქვემო  
(ს. ჯიქია 1941, 12-13)

რაიონის ცენტრები ძირითადად ციხესიმაგრით იყო გამაგ-  
რებული და გზით მისასვლელ ადგილებზე მდებარეობდა. ისე,  
როგორც მაგალითად: უდის რაიონი, ქვაბლიანის რაიონი, აწყუ-  
რის რაიონი, ალთუნყალის რაიონი (ოქროსციხის რაიონი – მ.ბ),  
ოცხის რაიონი, ასპინძის რაიონი, ჭაჭარაქის რაიონი, ხერთვისის  
რაიონი, ახალქალაქის აკშეპირის რაიონი, თმოგვის რაიონი, ნია-  
ლის ყურის რაიონი, მგელციხის რაიონი, პეტრეს რაიონი.

ამგვარად, ამოვწერეთ ის რაიონები და ცენტრები, რომელ-  
თა შესახებ ინფორმაცია გვქონდა. თითოეულ მათგანში არის ცი-  
ხე და თანაც საკმაოდ ცნობილი. ვფიქრობთ, არც ჭაჭარაქი უნდა  
ყოფილიყო გამონაკლისი.

ს. ჯიქია ჭაჭარაქების შესახებ წერს, რომ „აღწერის დასა-  
წყისში ჭაჭარაქის სახელწოდებით სამი პუნქტია აღრიცხული:

1. თვით **ჭაჭარაქის რაბათი**, რომლის მოსახლეობა 12 კომ-  
ლისაგან შედგება,

2. **ზემო ჭაჭარაქი**, რომლის მდებარეობაზე ნათქვამია, რომ ის (ზემო ჭაჭარაქი) **ჭაჭარაქის რაბათთან** მდებარეობს და რომელშიც 19 კომლიანი მოსახლეობაა და 3. **ქვემო ჭაჭარაქი** - უკვე გაუკაცრიელებული სოფელი“ (ს. ჯიქია 1958, 210).

ნიშანდობლივია, რომ რაბათი ციხის გარშემო დასახლებაა და ციხესთან უნდა იყოს. ამავე ციხესთან ახლოსაა **ზემო ჭაჭარაქი**. ერთ-ერთი რუკის მიხედვით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სოფელ მუსხთან ახლოს უნდა იყოს **ზემო ჭაჭარაქი** (ს. ჯიქია 1958, 210).

სოფ. მუსხი არის ამ შემთხვევაში ძველი მუსხი, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო და რომლის ეკლესიაც ასპინძისკენ მიმავალი გზიდან ჩანს. იგულისხმება, რომ **ზემო ჭაჭარაქი**, თუ დავუჯერებთ აზრს, რომ მუსხთან ახლოს არის, აქ უნდა იყოს. დღევანდელი ჭაჭარაქიდან, მაშინ ზემო ჭაჭარაქამდე გაშლის სულ ცოტა 7-8 კილომეტრი.

სოფელი ჭაჭარაქის ციხის რაბათი (ს. ჯიქია 1941, 148), რომელიც უნდა ყოფილიყო ჭაჭარაქის რაიონის ცენტრიც, რადგან მას რაბათი აქვს და სოფელი ზემოჭაჭარაქი, ერთი შეხედვით, თითქოს ერთი და იგივე სოფელი ჩანს, რადგან იგი, მითითებულია ჭაჭარაქის რაბათთან (ს. ჯიქია 1941, 149), უბანია ციხიანი და რაბათიანი სოფლისა, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. საილუსტრაციოდ გამოდგება სოფელ **ანდრიაწმინდის** მითითება, რომ ანდრიაწმინდა მდებარეობს სოფელ **ბორჯომთან** (ს. ჯიქია 1941, 57) მაშინ, როდესაც ანდრიაწმინდა ორმოცკომლიანი სოფელია, ხოლო ბორჯომში სულ ხუთი კომლი ცხოვრობს და ეს სოფლები საკმაოდ არის დაშორებული ერთმანეთს. ვფიქრობთ, რაბათიანი ჭაჭარაქი უნდა იყოს დღევანდელი მინამის გასავლელში ასპინძისკენ მიმავალ გზაზე, ხელმარცხნივ საზოგადოებრივი კვების ობიექტთან ჩამომავალი ხევის თავზე, სადაც შეინიშნება ნასახლარები და პატარა კოშკიც, ხოლო გაუკაცრიელებულ ჭაჭარაქში მოხდა მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლებული სომხების დასახლება.

ჭაჭარაქი მოხსენებულია ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში **ჭაჭარაქის ხევის** სახით, ოღონდ იგი აღწერილია ხერთვისსა და ვარძიას შორის. თუ იქ სხვა ჭაჭარაქი არ იყო, რაც ნაკლებად სავარაუდოა, ეს შეიძლება იყოს ჭაჭარის ხევი. ჩვენი კვლევისა-



თვის ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სახელი დასტურდება ამ ფორმით (მ. ბერიძე 2008, 43)

სიტყვის ეტიმოლოგია დაკავშირებულია სიცხესთან, ცხელ გარემოსთან. დიალექტებში სინონიმებია: ჭაჭნაქება (იმერ.), ჭაჭანახება (ქართ.) და ჭაჭარაქება (იმერული), ჭაჭარახება (ქართლ). ამავე რიგში ჩადგება პაპანაქება, რომელსაც დიალექტში აქვს პაპაქი ფორმა (ალ. ლლონტი 1984, 435).

### გამოყენებული ლიტერატურა

**ბალასანიანი 2016** – მ. ბალასანიანი, სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმია სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმების ხუთტომეულის მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომი.

**ბერიძე 2008** – მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის. თბილისი.

**ლონტი 1984** – ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ლლონტი. II გამოცემა. თბილისი.

**ჭუმბურიძე 2003** – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი.

**ჯიქია 1958** – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. III. თბილისი.

**ჯიქია 1941** – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. II. თბილისი.

## მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

### ერთი მეგრული დღესასწაულის სახელის სემანტიკისათვის

სამეგრელოში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ბევრი დღესასწაული და ტრადიცია მიეცა დავიწყებას. მათი სახელები ტოპონიმების ან ზეპირი გადმოცემების სახით შემორჩა მეტყველებას, თუმცა ხშირ შემთხვევაში მათი იდენტიფიცირება, სიტყვის სემანტიკისა და ეტიმოლოგიის დადგენა ვერ ხერხდება.

ხოზში, სოფელ ნოჯიხევში **ცაშხადიდიშ ოხვამეში** (დიდი ხუთშაბათის სალოცავი) იმართებოდა სოფლის დღესასწაული – **ჯარალა** – ჯარიანობა. ამ დღესასწაულს ადგილობრივები **ცაშხა-კარობუას** ეძახდნენ. დღეს ამ დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა არავის ახსოვს. წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის ტაძრის დღესასწაული აღინიშნებოდა აღდგომის შემდგომ ხუთშაბათს. ტაძარი დაანგრეს 1924 წლის აჯანყების შემდეგ (ინფ. გ. ჩიტაია).

**ცაშხა** „ხუთშაბათი“ („ცის დღე“) და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო მეგრელებისთვის. საგანგებოდ აღინიშნებოდა **ცაშხაბედინერი** „ბედინერი ხუთშაბათი“, **ცაშხადიდებული** „დიდებული ხუთშაბათი“, **ცაშხადიდი** „დიდი ხუთშაბათი“ (ქობალია 2010: 682).

ცის ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაული განსაკუთრებული პატივით აღინიშნებოდა ყველიერის, ვნების და აღდგომის შემდგომ ხუთშაბათს.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა **ოცაშხურე**-ს, რომელსაც ლოცულობდნენ ყველიერის ხუთშაბათს და **ცაშხა დიდებულს** „ხუთშაბათ დიდებულს“ ევედრებოდნენ საქონლის გამრავლებას (მაკალათია 2006: 398). ჩაყრილი ჰქონდათ **ოცაშხურე** ქვევრები, რომელსაც **ცაშხადიდის** დღესასწაულზე ხსნიდნენ. **ცაშხა** სიყვარულის, ნაყოფიერების დღედ ითვლებოდა.

**ცაშხასთან** დაკავშირებით მეგრელებს გარკვეული ტრადიციები და აკრძალვებიც ჰქონდათ. ამ დღეს არ იმართებოდა ქორწილი, არ გაასესხებდნენ არაფერს: **ღარღილ ხოლო ვასისხე ოკო, ვაშინერს, თენა ჯუქემე რე თეჯგუა წარმოინებული, ნამდა თუთაშხა დო ცაშხას თენა ვაშინერს** (დადიანი 2015: 228) „ღერღილიც არ უნდა ასესხო, არ ეგების, ეს ძველიდან არის ასე მომდინარე (?), რომ ორშაბათს და ხუთშაბათს ეს არ ეგების“, არ იჭრიდნენ თმას, ერიდებოდნენ მდინარეში ბანაობას. მხოლოდ ხუთშაბათს მარხავდნენ წყალში და მხრჩვალს.

რას უნდა ნიშნავდეს დღესასწაულის აღმნიშვნელი **ცაშხა-კარობუას** მეორე ნაწილი **კარობუა**? მეგრულ ლექსიკონებში ის არ ჩანს, არ იძებნება ზეპირსიტყვიერების მასალებში, გამოცემულ ტექსტებში, ეთნოლოგიურ ნაშრომებში, ვერ დავადასტურეთ საველი მუშაობისას.

ვფიქრობთ, **კარობუა** უკავშირდება ქართული კარვის მეგრულ შესატყვისს **კარე-ს**.

ტერმინი გვხვდება სამსავე ქართველურ ენაში: ქართ. **კარავი** (ქეგლ IV: 1071), მეგრ. **კარე/კარეე** (ციფშიძე 1914: 242), სვან. **კარაჲ/კარაჲ** (თოფურია, ქალდანი 2000: 343).

ცნობილია, რომ საეკლესიო დღესასწაულებს თან სდევდა საერო შეკრებები – **ნჯარალა / ჯარალა / ჯარააა / ჯარალუა / ჯარობა** „დროს სატარებლად ხალხის თავშეყრა“ (ქაჯაია 2002: 414; ქაჯაია 2002-ა: 597) – უქმედლებში, ხატობა-დღეობებზე ახალგაზრდობის შესაკრები ადგილი, სადაც სიმღერა, ცეკვა, თამაშობანი იმართებოდა. ყოველ სოფელში ასეთი რამდენიმე ადგილი იყო მიჩენილი. **ჯვეშო უჩქუდეს ნჯარალა დო მორდუეფი თექ გილეშეს** „ძველად იცოდნენ ჯარიანობა და ახალგაზრდები იქ დადიოდნენ“; **ჯარააა უჩქუდეს ბანძას საბატონი დო ჟაშხა ონჯუას** „ჯარობა იცოდნენ ბანძაში შაბათ და კვირა სადამოს“ (ქაჯაია 2002-ა: 597).

ხშირად დღესასწაული და თანმდევი დროსტარება რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. სავარაუდოდ, ღამისთევისთვის იშლებოდა კარვებიც. ასეთი ღამისთევები და კარვის გაშლის ტრადიცია მთელ საქართველოში იყო გავრცელებული.

**ჯარი** -> **ჯარალა**-ს მსგავსი წარმოებით **კარე**-სგან მიღებული **კარალა** მეგრულში დაკარვებას, დაბანაკებას ნიშნავს (ქობალია 2010: 354).

სავარაუდოდ, **კარობუა**-ც „დაკარვებას, კარვის დადგმას“ გულისხმობს.

ჩანს, **ცაშხადიდიშ ოხვამეში**-ის დღესასწაული ღამისთევით ტარდებოდა, შორი გზიდან მოსული მომლოცველები შლიდნენ კარვებს. ამიტომაც ამ დღეს გარდა ტრადიციულისა, **ცაშხა-კარობუა**-საც უწოდებდნენ და ასეც შემორჩა ადგილობრივთა მეხსიერებას.

**ალ-ა** ≈ **ობ-უ-ა** მიმართებისათვის იხ. **ნოდალა** ≈ **ნოდობუა** „ნადისწვევა“, **ტერალა** ≈ **ტერობუა** „მტრობა“, **ჭყეშალა** ≈ **ჭყეშობუა** „მწყემსობა“, **ჭკვერალა** ≈ **ჭკვერობუა** „სიჭკვიანე“, **ჭირალა** ≈ **ჭირობუა** „ჭირიანობა, ჟამიანობა“.

გარდა ტრადიციული მწყემსის კარვისა, მეგრელებმა იცოდნენ **კარეშ დოდგუმა** „კარვის დადგმა“ – ცოლმკვდარ კაცს კარავს ცალკე დაუდგამდნენ, სანამ ქალს არ დაკრძალავდნენ, დაქვრივებული კა-

რავში იჯდა, არ ჭამდა, არ სვამდა და არავის ენახებოდა (ქობალია 2010: 354).

### გამოყენებული ლიტერატურა

- დადიანი 2015** – ე. დადიანი, მეგრული ტექსტები, ქუთაისი
- თოფურია 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი
- მაკალათია 2006** – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი
- ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი
- ქაჯაია 2002-ა** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი,
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქო-ბავას საერთო რედაქციით, თბილისი
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი
- ყიფშიძე 1914** – И. А. Кипшидзе, Грамматикамингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ

## კ ე ს ო გ ე ჯ უ ა

### მეგრული ლექსიკა ქართული სამწიგნობრო ენისათვის - II

მეგრული მეტყველებიდან თანამედროვე სალიტერატურო ენაში ბევრი ლექსიკური ერთეულია დამკვიდრებული და ლექსიკონებშიც ფიქსირებულია, ზოგიც ზეპირ მეტყველებაში გამოიყენება და სალექსიკონო ველშია მოსაქცევი. წარმოვადგენთ მეგრული დიალექტიდან ამოკრებილ ზოგიერთ სარეკომენდაციო სიტყვა-ფორმას სამწერლობო ქართულისათვის.

**განუა** - „ხბოს რძე მოაგანინა“ (ნ. წულეისკირი, 1977, 33).

მეგრულ მეტყველებაში **განუა** არის ხბოსთვის ძუძუს მოწოვა ძროხის მოწველამდე (ი. ყიფშიძე, 1914; პ. ჭარაია, 1997). ა გახმოვანების ზმნური ფორმა **მო-გან-უ-ა** („გენვა“), **გან-უნ-ს** („გენავს“) უკავშირდება ხბოს შესატყვისის მეგრულში **გენ-ი/გინ-ს** (ი. ყიფშიძე, 1914).

ეტიმოლოგიის დადგენისას შენიშნულია, რომ იმერულში ხმა-რებული **გენვა** ზანიზმია, მეგრული **მო-გან-უ** იმავე **გენ-თან** არის დაკავშირებული (არნ. ჩიქობავა, 1938, 98).

ს. ჟღენტი მეგრ. **განუა** ფორმასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „გურულშიც ამ ზმნის ფუძეა გამოყენებული იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად, მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვანებით: **მო-გენება**; ჭან. გენი ნიშნავს ხბოს“ (ს. ჟღენტი, 1940, 225).

ამის შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ მეგრ. **გან-** ზმნური ძირი კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **გენ-** ზმნურ ძირს. **გენ-ი** (ხბო) კი უძველესი გზით მიღებულია **გან-** ფორმისაგან. გურულსა და იმერულში შემორჩენილი **გენ-** ძირი საერთოქართველურისათვის იყო დამახასიათებელი (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000, 136).

ამასთან დაკავშირებით პროფ. რ. შეროზია აღნიშნავს, „იმერულ-გურულის **გენ-ვ-ა** ნასახელარი ზმნური ძირია. შესაბამისად, მეგრულ-ლაზური და იმერულ-გურული **გენ-ი** (ასევე, მეგრული **გი-ნი <- გენი**) სახელური ძირია. თუ დავუშვებთ, რომ მეგრულ-ლაზური **გენ-ი** ზმნური **გან-** ძირიდან არის მიღებული, მაშინ უნდა ვივარაუდოთ სახელური **გენ-** ძირიდან ზმნური **გან-უ-ა** ფორმის მიღება და შემდეგ მისგან ისევ სახელური (გენ-) ფუძის წარმოქმნა (!?)“ (რ. შეროზია, 2013, 359).

როგორც ვხედავთ, მეგრულში ზმნური ფორმის გამოსაყოფად ხმოვანმონაცვლეობის წესი მოქმედებს და ამისთვის გამოყენებულია **ა : ე/ი** მონაცვლეობა: **გენი (გინი) გან-უ-ა**. ქველ-ის ახალ რედაქციაში შესულია **გენვა** იმერული კვალიფიკაციით „ხბოს მიერ ძუძუს წოვა“ (ქველი). ზმნის პირიანი ფორმის **განუნს** ეკვივალენტი (სავარაუდოდ „გენავს“) არ არის შესული. ამასთან, მაშინ როცა იმერულ-გურულში „ზანიზმადა“ კვალიფიცირებული საანალიზო ერთეული, განმარტებით ლექსიკონში, მით უფრო უნდა იყოს წარმოდგენილი სიტყვაფორმის წარმოშობა.

**ვაშინერს-** „ვაშინერს... როგორ აგისხნა, უხსენებელი, უთქმელი, პატონსქუა“ (ვ. გამსახურდია, 1992, 109).

**შინ-ერ-** ფუძისაგანიწარმოება დადებითი და უარყოფითი გაგების ორი ზმნური ფორმა: **შინ-ერ-ს** და **ვა-შინ-ერ-ს** (ვა <- ვარი : უარი).

მეგრულ ლექსიკონებში დასტურდება ორივე ფორმა: **შინერუა** (მიშინერს) - მერგება, ჯერ არს ჩემთვის, შემესაბამების. **ვაშინერს** - არა ჯერ არს, არ შემესაბამების, არ ივარგებს (პ. ჭარაია, 1997); **შინერს** ღვთისგან დასაშვები, ღვთის ნება/ ღირსად ყოფა; შესაფერისობა; ათე ძღაბი ვამიშინერს ოსურო – ეს გოგო არ მეგების (მერგება) ცოლად (ო. ქაჯაია, 2001-2002); **ვაშინერს** არ ეგების! არსახსენებელია! ცოდვაა! ტაბუ! რწმენაზე დამყარებული შიშის გამო რაიმე საგნის, სიტყვის ან საქმის აკრძალვა, ბრძნობა (ა. ქობალია, 2010).

საფიქრებელია, **შინ-ერ-** უკავშირდებოდეს მეგრულ მეტყველებაში გამოყენებულ **შინ-უ-ა** („ხსენება, გახსენება“) ფუძეს. მისგან ნაწარმოებია **გო-შინ-ა** „გახსენება, მოგონება“, **ვა-გ-მო-შინ-ა** „არ გამახსენო“, **ვა-შინ-უ-ა** „არ ახსენო“. მაგ. სამეგრელოში გველის ხსენებაზე იტყვიან „**ვაშინერს**“ მისი სახელის თქმად, სალიტერატურო ენაზე კი მას „**უხსენებელს**“ უწოდებენ.

დღეს მეტყველებისას ხშირად იყენებენ **ვაშინერს** ფორმას, ამდენად მისი ადგილი განმარტებით ლექსიკონში უნდა განისაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციით.

**თუთარჩელა** – „კოლხური თუთარჩელა ადამიანს სევდას ჰგვრის, თითქოს მთვარეს ცრემლები სცვივა“ (ნ. წულეისკირი, 1977, 176).

ლექსიკური ერთეული **თუთა+რჩე** ფუძეებისაგან შემდგარი კომპოზიტია.

**თუთარჩელა** – მთვარიანი ღამე; თეთრი მთვარე (ღრუბელი არაა და მთვარე ანათებს) (ო. ქაჯაია, 2001-2002).

საანალიზო ერთეულში **თუთა** - მთვარეს აღნიშნავს (პ. ჭარაია, 1997). ამ შინაარსის შესიტყვებებია **თუთაში სინთე** მთვარის სინათლე, **თუთაშა** – ორშაბათი (თუთაშ+დღა „მთვარის დღე“), **თუთა-გოფშა** სავსემთვარე, **თუთამართუ/მართუთუთა** მომქცევი მთვარე... ლაზური(ათინ.) **თუთა//მთუთა** მთვარეა (ა. თანდილავა, 2013).

კვლევისას მასალათა შეპირისპირების შედეგად აღდგენილია **\*დუთე-** არქეტიპი, რომლისაგანაც კანონზომიერად გამოიყვანება

ქართული **თთუე-** „თვე“ (<\***თუთე-**<\***დუთე-**) მეგრული **თუთა-** „მთვარე“ (<\***დუთე-**) ლაზური **თუთა** „მთვარე“ (<\***დუთა-**; მთუთა-ფორმაში **მ** ანლაუტში განვითარებულია) და სვანური **დოშდ-** „მთვარე“. სვანურში ამ ძირს შემონახული აქვს მხოლოდ უძველესი მნიშვნელობა (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000, 177).

კომპოზიტის მეორე ელემენტი **ჩე/რჩე** გულისხმობს თეთრს, ნათელს.

საინტერესოა ნ. წულეისკირის დამოკიდებულება ამ ერთეულის გამოყენებაზე საერთოქართველურში, რომელიც ნათლად წარმოადგენს ენის გამდიდრების ნიმუშს: „თუთარჩელა მთვარიანი ღამეა. ერთი სიტყვით, თუთარჩელათი თქმულია ის, რაც ორი სიტყვით „მთვარიანი ღამით“ უნდა გამოითქვას. თავისთავად სიტყვაც ლამაზია. მოუსმინეთ მის ჟღერას... **ნამდვილი ქართულია, თითქოს დიდი ქართული ენის ლექსიკიდანაა აღებული. ხალხის მიერ საქართველოს ერთ შორეულ კუთხეში შექმნილ სიტყვას კუთხურობის იერიც კი არ გადაჰკრავს, რუსთაველის თქმულსა ჰგავს. „თუთარჩელას“ სიმშვენიერე და სიდიადე უმაღ იგრძნო დედაქართულმა და თავის წიაღში დაამკვიდრა“** (ნ. წულეისკირი, 1987, 488). ამდენად, ვფიქრობთ, **თუთარჩელა**, როგორც მთვარიანი ღამის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული, უნდა შევიდეს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

**მორდუ-** „უმაღურება იქნებოდა ამ ადგილას ჩემი მორდუ არმომეგონებია“ (კ. გამსახურდია, 1961, 658).

კ. გამსახურდია ისე განმარტავს ამ ერთეულს, როგორც მეგრულ ლექსიკონებშია „გამზრდელი, მამამძუმე (ძიძისქმარი)“ (კ. ჭარაია, 1997). ლაზურში ამავე ძირიდანაა ნაწარმოები **ომორდუ-** გაზრდა, რომელიც **მორდუ-**სთან („მოზრდა“) ერთად გამოიყენება (ა. თანდილავა, 2013).

**მო-რდ-უ-ს რდ-** ძირისგან ნაწარმოები ფორმებია მეგრულში **მო-რდ-ი-ა** „ნათლია“, **მა-რდ-უ-ალ-ი** „გამზრდელი“, **ნა-რდ-ი** „გაზრდილი“... (ი. ყიფშიძე, 1914).

**მორდუ** სიტყვაფორმის გამოყენება ძალიან ხშირია სამწიგნობრო ენაში, აქედან გამომდინარე, მეგრული გახმოვანების ეს ერთეული სათანადო კვალიფიკაციით უნდა შევიდეს განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაში.

ზოგადად, სალექსიკონო ერთეულები უნდა შევიდეს ლექსიკონში იმ ფორმით, რასაც ითვალისწინებს არნ. ჩიქობავას მიერ შემუშავებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპები“. დიალექტური სახელური ფორმების შეტანა წინააღმდეგობას ვერ შექმნის; რაც შეეხება ზმნურ, სალექსიკონო მესამე პირის ფორმებს, დამატებით კვლევას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ისინი მასდარის სახით მაინც უნდა შევიდეს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში“, რადგან მათ მეგრულ მეტყველებაში სრული პარადიგმა აქვთ.

### გამოყენებული ლიტერატურა

**გამსახურდია 1992** – კ. გამსახურდია, თხზულებანი ოც ტომად, ნოველები, ტ. I, თბილისი

**გამსახურდია 1961** – კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, (ვაზის ყვავილობა, დიონისოს ღიმლი), ტ. V, თბილისი

**თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი

**ჟღენტი 1940** – ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში, ენიმკის მოამბე, ტ. 5-6, თბილისი

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ.ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი

**ქაჯაია 2001-2002** – ო.ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, II, III, თბილისი

**ქეგლ 2008** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, რედაქტორი ა. არაბული, თბილისი

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი

**ყიფშიძე 1914** – ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.ПБ.; წიგნში: ი.ყიფშიძე, რჩეული თხზულებები, თბილისი, 1994

**შეროზია 2013** – რ. შეროზია, ქართველური ეტიმოლოგიური მასალისათვის X, ქართველური მემკვიდრეობა XVII, ქუთაისი



**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი; წიგნში: არნ.ჩიქობავა, შრომები IV, თბილისი, 2008

**წულეისკირი 1977** – ნ. წულეისკირი, ნოველები, რომანი (სისატურა; დავით აღმაშენებლის ქვა; შეჩვევა; ბარკლაი დე ტოლის სიზმრები; აბრაგას სიკვდილი; ციცერონა; წვეულება; ლობიოჭამიების სასიძო; თუთარჩელა), თბილისი

**წულეისკირი 1987** – ნ. წულეისკირი, ძველი სამრეკლო, ზესნახესა და ბუძგურის სიყვარულის ამბავი, თბილისი

**ჭარაია 1997** – პ.ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

## გიორგი გოგოლაშვილი

### ქართული ენის დიალექტების აღმოსავლურად და დასავლურად განდასების ერთი ლინგვისტური პრინციპისათვის

ქართული ენის დიალექტთა პირველი, შეიძლება ითქვას, სერიოზული მეცნიერული კლასიფიკაცია მოცემულია აკაკი შანიძის ცნობილ მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (შანიძე 1920). ავტორი საგანგებოდ მიაჩნებდა, რომ მისი თვალსაზრისი დიალექტთა კლასიფიკაციისა სწორედ ამ პრეფიქსთა განაწილებას ეფუძნება: „მეორე პირის სუბიექტურისა და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების წესის მიხედვით დღესდღეობით ცოცხალი კილოები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლურად და დასავლურად. აღმოსავლურ ჯგუფს ეკუთვნიან: ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მოხევური და თუშური. დასავლურ ჯგუფს შეადგენენ: იმერული (ზემო და ქვემო), გურული და რაჭული“ (შანიძე, 1920, 144) ავტორი სქოლიოში შენიშნავს: „აქ ჩამოთვლილია ის კილოები, რომელთა შესა-

ხეზაც სანდო მასალები მაქვს“. ეს შენიშვნა ფასეულია დიალექტთა კლასიფიკაციის ზოგადი მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც...

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, აგრეთვე საინტერესოა ა. შანიძის მსჯელობა – „საზოგადო დახასიათება“ აღმოსავლური კილოებისა: „ჩვენი პრეფიქსების განხილვის დროს ყურადღებას თუ არ მივაქცევთ ფონეტიკურ ცვლილებასა და სხვადასხვაობას, არამედ მხოლოდ მორფოლოგიურ აგებულებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოსავლური კილოები თავის მხრივ კიდევ ორ ჯგუფად გაიყოფა. თუ ამ გაყოფას საფუძვლად S<sub>2</sub>-ის ხმარების წესი დაედო, მაშინ ქართლის კილო ცალკე გამოიყოფა, ერთ მხარეს, და დანარჩენი კილოები (კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მოხეური, თუშური) მეორე მხარეს იქნება; ხოლო თუ დაჯგუფების საზომად O<sub>3</sub>-ის ხმარების წესს მივიღებთ, მაშინ ცალკე გამოიყოფა ხევსურული, სხვები კი (ქართლური, ქიზიყური, ფშაური და თუშური) მეორე მხარეს მოექცევა. მაგრამ შეიძლება დაყოფის დროს უპირატესობა მიენიჭოს არა უღლების მორფოლოგიურ მხარეს, არამედ S<sub>2</sub>-ისა და O<sub>3</sub>-ის ფონეტიკური ღირებულების სხვადასხვაობას, მაშინ კი ხევსურული, მოხეური და თუშური სხვა აღმოსავლურ კილოებს გამოეყოფა ცალკე ჯგუფად, რომელსაც შეიძლება ფხოური უწოდოთ“ (შანიძე, 1920). ავტორის შენიშვნის თანახმად, ცხადია, გასაგები მიზეზის გამო, სურათი სრული არ არის.

მოგვიანებით სხვადასხვა ავტორთან დიალექტთა რაოდენობაც და განდასებაც სხვადასხვაგვარად იქნა წარმოდგენილი (იხ. გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, 2017), მაგრამ ჩვენთვის არსებითია საერთო: დიალექტები ძირითადად ორ მთავარ ჯგუფად წარმოგვიდგება: **აღმოსავლური დიალექტები და დასავლური დიალექტები...** ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დაჯგუფება არ არის მხოლოდ გეოგრაფიულ პრინციპებზე დაფუძნებული: „აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიალექტებად განდასება, რასაკვირველია, გეოგრაფიულ პრინციპს ეყრდნობა, მაგრამ ამას იმავდროულად მხარს უჭერს ენობრივი ნიშან-თვისებანიც. თითოეულ ამ ჯგუფში შემავალი დიალექტები ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად საერთო ტენდენციით ხასიათდებიან“ (ჯორბენაძე 1989).

ბ. ჯორბენაძე ფონეტიკურ პროცესთაგან ასახელებს შემდეგს: „აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებ-

ლია აე>ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: აელო > ეელო, ჭალაები > ჭალეები... ამ ნიშნით ერთიანდება აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დიალექტი; მათ ეკედლებაიმერული და რაჭულიც (თუმცა გარკვეული მერყეობით). იგივე კომპლექსი დასავლეთ საქართველოს დიალექტების უმეტესობაში, ჩვეულებრივ, უფრო რთულ ფონეტიკურ გარდაქმნას განიცდის - ასიმილაციას მოსდევს დისიმილაცია (აე -> ეე -> იე -> ძე): აელო -> ეელო -> იელო -> ძელო; ჭალაები -> ჭალეები -> ჭალიები -> ჭალძეები (დ-იანი ნაირსახეობა აჭარულში შეინიშნება“ (ჯორბენაძე 1989, 217).

ე. ი. აე -> ეე -> იე -> ძე კომპლექსის ცვლილების II საფეხური დამახასიათებელია ძირითადად აღმოსავლური დიალექტებისათვის, III და IV - დასავლურისათვის...

შეინიშნება ერთი საინტერესო კანონზომიერებაც: ხმოვანთა სამკუთხედზე ორი საფეხურით დაშორებულ ხმოვანთა შორის A რიგის კომპლექსებში (კომპლექსთა რიგებისათვის იხ.: დიდიჭური 1946) ასიმილაცია ხდება მხოლოდ დასავლურ დიალექტებში, აღმსავლურში - არა:

აუ -> ოუ -> უუ -> უ (->-უ): დაუმახა -> დოუმახა -> დუუმახა -> დუმახა (-> დუმახა);

აი -> ეი -> იი -> ი (->-ი): წაილო -> წეილო -> წიილო -> წილო -> (წილო)...

აღმოსავლურ დიალექტებში დასტურდება მხოლოდ პირველი საფეხური, ყველა დანარჩენი - დასავლურის სხვადასხვა დიალექტში (თუშურის შემთხვევა საგანგებოა და კანონზომიერებას არ არღვევს, მაგრამ ეს სხვა თემაა...)...

ეს კანონზომიერება არ ჩანს შემთხვევითი; ესაა დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტიპური მაგალითი; ამ მოვლენისათვის მოვლემინოთ ბ. ჯორბენაძეს: „მომიჯნავე დიალექტებში (ასევე - ერთი დიალექტის კილოკავებში) თავს იჩენს ურთიერთგამიჯვნის („თვითგამიჯვნის“) აშკარად გამოხატული ტენდენცია“ (ჯორბენაძე 1989, 37); ესაა ფაქტობრივ, ენობრივი თვითგამიჯვნის, „გაუცხოების“ ტენდენცია. „ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივისათვის მიუღებელი ფორმების, გამოთქმების შეცნობადობასაფუძველი ხდება დიალექტური მეტყველებისადმი მეტ-ნაკლებად შეგნებული დამოკიდებულებისა, რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს კილოურ თუ კილოკაურ სხვაობებს, ეწინააღმდეგება მათი ნიველირების პროცესს...“ (იქვე, 38).

ბ. ჯორბენამე მიიჩნევს, რომ „კილოკაური თავისებურებებისადმი დამოკიდებულება შეგნებული (და არა ინტუიციური თუ ინერციული)“... ამ საკითხზე მსჯელობისას მეცნიერი ასეთ დაკვნას აკეთებს: „ასე რომ, დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის (ურთიერთგანკერძოების) ტენდენცია რეალური ფაქტია. ესაა, ასე ვთქვათ, თავისებური ენობრივი იმუნიტეტის შედეგი. ეს განაპირობებს მათი სამეტყველო თავისთავადობის შენარჩუნებას“ (ჯორბენამე 1989, 40).

ამგვარად, აღმოსავლურ დიალექტაბში ორი საფეხურით დაშორებულ ხმოვანთა შორის რომ არ ხდება ასიმილაცია, ვფიქრობთ, ესაა დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციის მოქმედების შედეგი.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამის დასტური არის ფერეიდნული დიალექტის ჩვენება:

მაიტაცა ბარი, **დოუშინა** შირსა... **ჩოუშეს** ჭაში... დოუკივლეს: ოა ადამიანო... წყალი კი ოუზინდიაყო... დევს ძრიალ **გოუხარდა**... ქმარს **დოუქურდა** დიდი საქონელი... ერთი მუჭა ფული **ჩოუყარა**... და სხვა - მაგალითები მრავლადაა...

არის ორმაგი ფონეტიკური პროცესის შემთხვევები – **აუ>ოუ>ოვ**:

**გოუხარდაყე** (= გაუხარდაყე); **შოვჭამია** (= შაუჭამია); **დოვჭირონ** (= დაუჭირონ), **დოვჭირეს** (=დაუჭირეს); **შოვიდაყე** (= შაუვიდაყე); **გოვჯავრდაყე** (= გაუჯავრდაყე) და მისთანანი... (მაგალითებს ვიმოწმებთ წიგნიდან: გიგინეიშვილი 1961).

ფერეიდნული დიალექტი ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტთა რიგშია – იგი კახურის განაყარია. ეს პროცესი – **აუ -> ოუ** (ან – **აუ -> ოვ**) არ დასტურდება არცერთ აღმოსავლურ დიალექტში; ცხადია, არც ფერეიდნულის დედადიალექტში; ეს წმინდა დასავლური პროცესია... რა თქმა უნდა, ფერეიდნულზე დასავლური დიალექტების გავლენა არალოგიკურია; ვერც სპარსული ენის გავლენაზე ვისაუბრებთ... რა ხდება? რატომ ირღვევა მწყობრი კანონზომიერება?

ჩვენეული ახსნა ასეთია:

დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის (თვითგამიჯვნის) ტენდენცია მოქმედებს ერთ ენობრივ სივრცეში; ქართულ ენობრივ გარემოში დიალექტთა ერთი ჯგუფი (ან ერთი დიალექტი) ემიჯნება დიალექტთა მეორე ჯგუფს (ან დიალექტს)... ურთიერთგამიჯნულ დია-

ლექტთა ერთ სივრცეში თანაარსებობა აუცილებელი პირობაა. არა-ქართულ ენობრივ გარემოში მოხვედრილ (მოქცეულ) ქართულ ენობრივ ნაირსახეობას – ფერეიდნულს – ეს პრობლემა არ უდგას – იგი ისედაც გამიჯნულია სხვა ნაირსახეობებისაგან. ორი საფეხურით დაშორებულ ხმოვანთა შორის რეგრესული ასიმილაცია დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო აღმოსავლური დიალექტებისათვისაც, მაგრამ ურთიერთგამიჯვნის ტენდენციის გავლენით მოხდა მისი შეკავება, არ მოხდა მისი რეალიზება... ფერეიდნული დიალექტი როგორც კი მოწყდა ქართულ ენობრივ სივრცეს, ეს შემაკავებელი (შემზლუდავი) ფაქტორი მოიხსნა და ეს პროცესიც (აუ -> ოუ) ამოქმედდა (ანუ მოხდა მისი რეალიზაცია).

ვფიქრობთ, მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას ფერეიდნულში აო -> ოუ; აუ -> ოვ (დაუშინა > დოუშინა; შაუჭამია -> შოვჭამია) პროცესის არსებობა.

კითხვები, რა თქმა უნდა, ჩნდება; მაგ.: რატომ არ მოხდა აი -> ეი პროცესის რეალიზება; ან სხვა შემთხვევაში თუ გამოვლინდება ამდაგვარი პროცესი და სხვა... ამ თვალსაზრისით ფერეიდნული დიალექტის კვლევა უნდა გაგრძელდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

**გოგოლაშვილი, არაბული 2017** – გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული ახალი ქართული ენა, III, თბ. 2017

**გიგინეიშვილი 1961** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961

**შანიძე 1920**– ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირსა ქართულ ზმნაში, ტფ., 1920

**ძიძიგური 1946** – სშ. ძიძიგური, ხმოვანთ კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იკე, I, 1946

**ჯორბენაძე 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989

## ეკა და დიანი

### ნაცვალსახელი-ფილერები ქვემოიმერულში (ოკრიბული მეტყველების მიხედვით)

ფილერები (ინგლ. filler) ზეპირი მეტყველების (ტექსტის) შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მათ „პარაზიტ“ სიტყვებსაც ეძახიან. ისინი, ჩვეულებრივ, მეტყველების პროცესში შექმნილი პაუზის შესავსებად ჩნდება.

ფილერების დანიშნულებით გამოიყენება სხვადასხვა ენობრივი საშუალება: ბგერები/მარცვლები, ჩვენებითი ნაცვალსახელები, შორისდებულები, ნაწილაკები, ზმნისართები, ცალკეული სიტყვები, ფრაზები, ჟარგონი, პაუზა (თ. თურქია, 2006: 118). ამ ფუნქციით გვხვდება აგრეთვე სიტყვების, ფრაზების გამეორება, რითაც მოსაუბრე ცდილობს ნათქვამს ბუნებრიობა (უწყვეტობა) შესძინოს.

ფილერები ფართოდ არის გავრცელებული დიალექტებში. ამ მხრივ კილოები მეტ-ნაკლებად განსხვავდება. ამჯერად განვიხილავთ ქვემოიმერულში, კერძოდ, ოკრიბულ მეტყველებაში ფილერის ფუნქციით გამოყენებულ ნაცვალსახელებს. კვლევა ეყრდნობა გასული საუკუნის 90-იან წლებში (1993-1995) ორპირის თემის სოფლებში (ორპირი, კოკა, ჯონია, ჭყეპი, შუყერი, მანდიკორი) აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) თანამშრომელთა მიერ ჩაწერილ მასალას. შედარებისთვის დავამუშავეთ გამოცემული და ინტერნეტის ვრცეში (ქართულ დიალექტურ კორპუსში) განთავსებული იმერული დიალექტური ტექსტები.

ადრე გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებში (ი. გიგინიძე-ვილიძე, 1961, ქ. ძოწენიძე, 1973) ფილერები იშვიათად გვხვდება, რაც იმითაა განპირობებული, რომ მასალა ხელით იწერებოდა და ცოცხალი მეტყველების ყველა ნიუანსის დაფიქსირება რთული იყო. მომდევნო პერიოდში გამოცემულ ტექსტებში (ნ. შარაშენიძე, 2008) საანალიზო ფორმები საკმაოდ დასტურდება. თანამედროვე ციფრული აპარატურის საშუალებით შესაძლებელია მეტყველების ნაკადის ზუსტი ფიქსაცია, აგრეთვე ჩაწერილი მასალის შემოწმება-დაზუს-

ტება. ამდენად, ახალი მეთოდით ჩაწერილ ტექსტებში ფილერების სიხშირე თვალში საცემია.

ოკრიბულში პაუზის შემავსებლებად ძირითადად ის ენობრივი საშუალებები გამოიყენება, რაც ზოგადად ქართული მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი. ფილერის ფუნქციით ხშირია **ის(ა), იგი** ნაცვალსახელები. ისინი უმთავრესად ცალკეულ სიტყვას, იშვიათად კი ფრაზას შეესაბამება და მეტყველებაში პაუზით გამოიყოფა. საჭირო სიტყვას მთქმელი მეტწილად იქვე იხსენებს, ზოგჯერ კი კონტექსტით იგულისხმება. ნაცვალსახელთან ერთად არცთუ იშვიათად სხვა სახის ფილერებიც გვხვდება.

**ის(ა)** და **იგი** ნაცვალსახელი-ფილერები ზოგ შემთხვევაში პარალელურად იხმარება, უფრო ხშირად კი ერთმანეთს ემიჯნებიან.

განვიხილოთ დაწვრილებით **ის(ა)** და **იგი** ნაცვალსახელთა დისტრიბუცია.

I. **ის(ა)** ნაცვალსახელი-ფილერი გვხვდება როგორც ცალკე, ისე ზმნასთან კომბინაციაში.

1. დამოუკიდებლად წარმოდგენილი **ის(ა)** დასტურდება სხვადასხვა პოზიციაში: ზმნის წინ ან მომდევნოდ ფრაზის ბოლოში, შუაში, ხანაც (იშვიათად) იწყებს ფრაზას. გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (მხოლოდით რიცხვში).

**სახელობითში** ძირითადად **ისა** იხმარება, შედარებით იშვიათია **ის** ვარიანტი: **ისა** აქ მაგას, განკუთვნილი ფასი აქ; რა ქვია და **ისა...** გაზაფხულზეა, აღარ მახსოვს, ენძელა, ენძელა; დათაია აღარაა, მარა **ისაა**, ჩუბინიძეა იქინა; წისქვილს ააგეფ, სადაც **ისაა**, ხშირი მასახლეობაა; რაიკავშირის **ის** ვინაა? იმ იმაზე კინის **ის** იყო დასობილი...

გვხვდება ფონეტიკურად გამარტივებული **ი** ვარიანტიც: თავში მოხუთა იმას **ი**, რა ქუთია, ხის ტარი; ხო, **ი** დამამიწყდა, სახელი, ხო, სასკოლო წიგნების **ის** არი...

**ის(ა)** ზოგადად ფრაზის შესატყვისია: დედა, რა მითხრა იმან, **ისაო**: ბიგოლაო, შენ გენაცვალეო, კაი ხელი ქონია შენო.

მაგალითები გამოქვეყნებული ტექსტებიდან: თეთრია ქვა, მარა **ის** კი არ არი, დიდი ლორდნარი, პატარა წვრიმანი ქვა არი; ექანა, **ის** რო არი, პეტრეი, იმის მამის ძმას ეჭამა; მოვიდა ახლა **ისი**, ის პოლკოვნიკი (ქ. ძოწ., ზ.იმერ. <http://corpora.co/#/corpus>).

**მოთხრობითში** (აგრეთვე დანარჩენ ბრუნვებში) **იმა** ფუძე გვაქვს: თქუა **იმა**ნ, ოჯახის წეურმა; ხოდა, **იმა**ნ მითხრა, ტერენტი ღუდეღმა, დამარიგა; მაშინ რო გამოუშუა **იმა**ნ ბრძანება, სტალინ-მა; თავი ატეხოს ქურდებმა და **იმა**ნ შით.

შამობრუნა ღვდელი, **იმა**ნ, ერმილემ (ნ.შარაშ., 194); იქიდან გადმომცა **იმა**ნა, ტოლუმბაშმა და თითო ჭიქაობით ვადღინძეღე (წ.იმერ., ქ.მოწ., <http://corpora.co/#/corpus>).

**მიცემითი**: კურკანტელას და **იმა**ს ხო აქ ის, თავისი ბუსუსები; მატყლის დაწეწვას და **იმა**ს მეიღევდა და ამას გააკეთეფდა; ის ღე-ჭავდა **იმა**ს თურმე, ლაგამს.

ჩავდეფთ ჭადს და **იმა**ს, საჭამადს შითე, ყველს (ნ.შარაშ.. 195); მეიყირჭებდა იგი რაკუნს, **იმა**ს და წევიდოდა მერე (იქვე: 192); ზე-ვით შეგვიძლიან **იმა**ს, წყაროს, განი გაუჭრათ (ქვ.იმერ., შინამ-რეწველობის მასალები. <http://corpora.co/#/corpus>).

**ნათესაობითში იმის / იმის(ი)** ვარიანტები იხმარება: **იმის**, კა-ტის ნავალზე შენ არ გეიარო იმაზე; **იმის** მსგავსი იყო ეს, ღორობიას მსგავსი ტაფელები იყო; **იმისი**, ჭიშკრის დედუები უნა ყოფილიყო დითხან.

**მოქმედებითში იმით(ი) / იმით** ვარიანტები გამოვლინდება: მოგუაქ ე კუახები გარაკიდებული **იმითი**, სუნკით; ჩემზე უკეთესები იყუენ **იმითი**, ჯანით; ასეთი **იმითი** გამუანგარიშებული ქუქონდა მაგი; თოფით და **იმით** ხმა ვერ გევიგონე; სხუისი სიკეთე არ უხარია, მარა ფეხით და **იმით** კაია.

**ვითარებითში** წარმოდგენილია **იმათ** (<- იმად) ფორმით: გახუალ სამუშაოთ გამართული, არ გექნება სანათხოვროდ და **იმათ**; ალბათ **იმათ** გადადის, ტრადიციათ; იმას უკუე ის **იმათ** კი არ გადე-ექცა, რა ქუთია, ჩუევათ გადაექცა უკვე.

**წოდებითში** ცოცხალ მეტყველებაში იხმარება **იმა**ნო, თუმცა ოკრიბულ ტექსტებში, აგრეთვე გამოქვეყნებულ იმერულ მასალებში არ ფიქსირდება.

საანალიზო ნაცვალსახელს ჩვეულებრივ დაერთვის **თანდე-ბულები**.

საილუსტრაციო მასალა: ჭაჭას **იმა**ში ვაყენეფთ, თითონ სა-წურში; წყევლა იცის კარქიო ამ თქუენ **იმა**შიო, სოფელშიო; ნაკუერ-ცხალს დაყრიენ **იმა**ზე, კეცსე; ამ **იმა**ზე, მიწაზე სოიო უფრო კარგი არი; ვაშლები იცის მაგან **იმა**სავით, ტრიფოლიატივით არა, იმსისხო



არ არი; ეს იყო საზიანო **იმისთვის**, ადამიანისთვის; შამეიხედა და მე ვჟღივარ **იმასან**, შინსახკომის უფროსთან; მოდის საწყალი დიტილა **იმიდან**, ორპირიდან; ბაბუათქუენიდან და **იმიდან** ნათესავები ვართ ჩუენ; თან **იმამდი**, ქუთაისიდან **იმამდი** იყო, ხრესილამდი ჩუენი უბანი; გიორგობამდი ზამთარიყო, ასე იციან თქმა, ოზდასამ **იმამდი...** როგორც ვაშლი და ფსხალი მის-მის **იმაზე**, ე ისე იგი (შარამ. 218).

**ის** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმები (**ისინი/ისენი**) ფილერის ფუნქციით იშვიათად იხმარება. მაგ.: იმაზე ქონდათ ვერცხლის **ისინი** ჩამოცმული, ბუდეები; ბელელი გავაფსეთ პურის კაკლით, იმდენი **ისენი** იყო; დანებივით იყო რაცხა, პატარა პტყელი **ისენი**; დეიწყეს უცვათ არევა და **ის** დეიწყეს, ფრენა და **ისენი**, ხტუნოობა...

2. **ის(ა)** ნაცვალსახელი ხშირად შეწყვილებულია ზმნურ ფორმებთან: **შვრება - იზამს - ქნა - უქნია**, რომლებიც ჩვეულებრივ იცვლება პირის/რიცხვისა და მწკრივის მიხედვით. მაგ.: **იმას-შვრება, იმას-იზამს, იმას(ა)-ქნა / ის(ა)-ქნა...** აღნიშნული კომპოზიცია ერთიან ყალიბს ქმნის. ამაზე მიუთითებს ზმნური ფორმანტების (ზმნისწინების, პირის ნიშნების, ხმოვანი პრეფიქსების) დართვა. **ვ-პრეფიქსი** ძირითადად ზმნურ კომპონენტს, იშვიათად კი ერთიან ყალიბს აფორმებს (იმას-ვ-ქნი / ვ-იმასქნი); **ზმნისწინი**, როგორც წესი, მთლიან ყალიბს დაერთვის (**და-იმას-ვ-ქენი**). ამ პოზიციაში I-II თურმეობითში ზოგჯერ **უ პრეფიქსიც** გვხვდება (იმას-უ-ქნია / უ-მასქნია / უ-მას-უ-ქნია...).

ზმნასთან კომბინაციაში უმთავრესად მიცემითის ფორმა (**იმას**) იხმარება, სახელობითის **ის(ა)** სპორადულად გამოვლინდება. კერძოდ:

ა) I სერიის ფორმებთან **იმას** ფორმა -ს სუფიქსს კარგავს. ფონეტიკურად იცვლება მასთან დაკავშირებული ზმნაც: **შვრება -> შვება / შობა**. მაგ.:

**აწმყო**: გასაკეთებელია და რაღას **იმაშობი**, იგვიანეფ; კარქს **იმაშობა**, იზამს კვახს, კარგ **იმას**; პირველი ფოთოლი თოთო რომაა, მალე **იმაშობა**, ჭრაქავს.

**უწყვტელი**: ის თუ არ იქნებოდა, მე უკეთებდი საქმეს და **იმავეშობოდი**; ერთი მეზობელი მყავდა, მეზობელი და ცოტა ენა ეი-

**მაშობოდა**, ეწლიფებოდა; ცხტრები ყავდა ხალხს და **იმაშობოდენ...** ასთე **იმასშობოთ** (ნ.შარაშ., 180).

**მყოფადში** (აგრეთვე ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითში) **შვრება** ზმნას ძირითადად ენაცვლება **იზამს**: კონეფს **იმასიზამ**, გამეიღებ და **იმასიზამს** ასთე; თავისთავათ შეღპება და **იმასიზამს**, შეხურდება; დევისტენეფ პეტერას შით და **იმასვიზამ**, დევისტენეფ და გავაგძელეფ გზას-თქტა; თუთონ თავეფს **მოუიმასიზამენ**.

**იზამს** ზმნის პარალელურად იხმარება **ქნა**, რომელიც თანამედროვე ქართულში II-III სერიაში იხმარება. ყალიბი გაფორმებულია სხვადასხვა (-ი, -ავ, -ებ) სუფიქსით:

მესამე კონას, კონას **იმასქნი**, რო წყალი შით არ ჩავიდეს; რავარც გინდა, ისთე **იმასქნავ**, იმასხრეფ; სიმი(ნ)თს ნაკლები კაკლები აქ, იმას ვერ **იმასაქნავ**, ვერ გამუარჩეფ; იმას **მევიმასქნებდი**, ჩემ საქმეს, იმ ფულს მუუტანდი; მერე მო... **მოიმასქნიან**, მოჭრიან, მოხარშავენ და მერე **გაიმასქნიან**, გააკეთებენ.

**ხოლმეობითი**: შენ სინდისს არ, არ **იმასიზამდი**, ეს შეიძლებოდა; მოჭრიდენ ამ თხმელეფს, **გაიმასიზამდენ** და დახნავდენ; ჩემო ბატონო, რო **იმავსქნიდი**; გოჰსაც იქინა გაპუტაუდენ, იქინა **იმასქნავდენ...** მერე პარკის რო **იმასქნიდა**, უნდა ამეგველო პარკი (ნ.შარაშ., 196).

**მყოფადის კავშირებითი**: ახლა რამდი მაგრათ აცივდებოდეს და რამდი **იმასიზამდეს**, მანამდი შემსხუილდება მარცტალი.

ბ) **II სერიის** ფორმებთან **იმას(ა)** გამოიყენება. **ის(ა)** იშვიათად იჩენს თავს.

**წყვეტილი**: კოლმოურნობა იყო მაშინ და **იმავსქენი**, გავაკეთეთ მაშინ საპკოს იმითინ; ნესტიანში თუ **იმასქენი**, ჩალპება; მერეთ **იმასაქნა**, დაფუძდა და მომრაულდა; ერთი **ამეიმასქნა**, ერთი ამეილაპარიკა; პეტერე მადლიც ქე **მევიმავსქენი**; ზამთარში თხას სიცივით არ ცივა, თუ არ მიაბუქა და არ **ისქნა...** მერე ჩემი მამთილმა მი-თხრა, არ **იმასქნა** მაი შენო (ნ.შარაშ., 232).

**II კავშირებითშიც** **იმას(ა)** ფორმა გვაქვს: წვედილოთ ტყეშიო და მოვჭრათო სარმიკუტელიო და **იმავსქნათო**; რა უყო ახლა ამ ღორს მე, საღა **იმავსქნაო**? ვინცხა უნდა, **ჩაიმასქნას** მანქანაში, ჩააჯინოს; უნდა გამუარჩიოს, **დაიმასქნას**, დაანიავოს.

გ) **III სერიის** ფორმებთანაც **იმას(ა)** იხმარება. **ის(ა)** იშვიათია. **უ** ხმოვანი პრეფიქსი ძირითადად უშუალოდ ზმნას, ხანაც ერთიან ფუძეს დაერთვის.

**I თურმეობითი:** იგი არასდროს არ **იმასმიქნია**, მე არ დამიბანია არც ორშაბაცს; მაგენი ახლა მასე არ **დამიმასქნია**, არ დამიმახსოვნებია; არაფელი არ **უმასუქნიათ**, გამევიდა ბებიათისი; ეს შეყდომია ზორუგზე და ვედარ **უმასქნია** და დოუთელია შითე.

**II თურმეობითი:** ხელმეუწეველათ ვიყავით ჩუენ უფრო და რა უნდა **გუემასქნა**; უნდოდა თუ არ უნდოდა, ვითამ რაცხა უნდოდა **იმასქენა**.

**იმას(ა) / ის** გვხვდება განხილული ყალიბებისგან ნაწარმოებ მიმღეობებშიც. მაგ.: წინ აქუს იმას მერეთ კიდო მაფი ჩამბული ასაწევ-დასაწევი, **მისაიმასქნელი** ზეთ; ასე გაწუმპლული და **გაის...** ვიყავი.

**II. იგი** ნაცვალსახელი-ფილერი, **ის(ა)** ნაცვალსახელისგან განსხვავებით, ზმნასთან კომბინაციას არ ქმნის. დამოუკიდებლად მხოლოდობითი ოდენ სახელობითის ფორმით იხმარება. ამ შემთხვევაში **იგი** და **ის(ა)** ერთმანეთს ენაცვლებიან:

თქვენი **იგი** იყო, ეფისკოპოსი დავით კვაჭახიძე; ნათუალებზე **იგი** უნდა, მე რო ვთქუთი, ნახშირი; ცოტა ძუთირი იყო **იგი**, კრაველის ბუხრის ქუდი; გაგება აღარ არი, იმისანა ამბავია და **იგი**; გაბურღული იყო **იგი**, ხე, შუა ადგილზე; ჯონიაში კაცსე გუითხრენ **იგიო**, ქუა აქო სასთუმალთანო...

ერთი კაკლის ადგილზე, ორმოცია, **იგი**, ყვავილი (ნ.შარაშ., 231); თავ-თავისი **იგი** იცის ყველამ (198); შედგებოდა დიაკონი და **იგი** და ლოცულობდენ იქინე (201); რავარც ტყემლის **იგი**, ისე უნდა იმასაც (213); რო მოქხვებება, არ გატკენს, საქონლის **იგია** (196); საჭმელათ ნემეტანი **იგია**, მაგარია (233).

მრავლობითში, ჩვეულებრივ, გამოიყენება **იგი** ნაცვალსახელისაგან ნაწარმოები **იგენი** სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. საილუსტრაციო მასალა:

**სახელობითი:** იქით **იგენი** შევიდენ, მაყრები და აქეთ - ჩუენ; პალტო და **იგენი** საცხა მაქ, საათი, ქუდი; პირუტელათ ქე რო მაღალქუსლიანი **იგენი** იყო, რა ქუთია, ვალინკები, თუ გახსოუს; ჩემი მაზ-

ლები და **იგენი** გეიყუტენ კიდე; თუ გინახია ძუღლებური კაბები და **იგენი**...

მიწის კეცები იყო, კასრულე და **იგენი** არ იყო (ნ.შარაშ., 176); იცის ხაფსილე იმან, გმე-გმელი **იგენი**, ძაფეზივით არი (215); თეთრი ლეღვი და **იგენი** შამოდის პირველი აგვისტოიდან (225).

**მოთხრობითი:** ერთიანი ტკივილი, დასიება იცის, ნუნებმა, ტუჩებმა, **იგენმა**...

ახლა, მამამთილმა და **იგენმა**, კაი რამე მოუტანა **იგენმა** ჩემ დას (ნ. შარაშ., 178).

**მიცემითი:** ძროხეფს და **იგენს** რო ნაკლავა, ავალო ყოფილა ვინცხა, დოღონამე; გრაფინკის ტარეფს და **იგენს**, კაი შესახედავი რო იქნებოდა, თამაშობდა ბოვშები; მოუყარა **იმგენს** თავი, ცხტრეფს, ბა-ზარზე გეიყუტანა და გაყიდა.

**ნათესაობითი:** დოუკავშირდა **იგენის** მოურავს, არეშიძეების მოურაჟს დოუკავშირდა; ჩემი ფეხის დაბანაში და პირის და **იგენის**, ხელების დაბანაში, მომიტანა პალტოც, საათი; ახლაც იციან შავი გიშერის კაკილების და **იმგენის** ჩამოკიდება.

**მოქმედებითი:** დალოცავ ამ შენი **იგენით** და დატუეფ; ხალხი ქე მიდიოდა ფაიტონებით და **იმგენით**.

**თანდებულისანი** ფორმები: მე რო დავდივარ ფოთში და **იგენში**, ნათესავები მყავს; ტილიფეფში და **იმგენში** გედევეშუი თავით; ყვავილიანი ადამიანი არ დაგინახიათ, ქე რო დაჩენილი აქ სახეზე და **იგენზე?** შუყერისკენ და **იმგენისკენ** უფრო იწევდა...

ამგვარად, გაანალიზებული მასალის მიხედვით, ოკრიბულ მეტყველებაში ფილერებად ხშირად გამოიყენება **ის(ა)**, **იგი** ნაცვალსახელები. ისინი დისტრიბუციისა და ფორმაწარმოების თვალსაზრისით გარკვეულ სხვაობას წარმოაჩენენ; მხ. რიცხვში სახელობით ბრუნვაში **ის(ა)** და **იგი** ერთმანეთს ენაცვლებიან, დანარჩენ ბრუნვებში კი **ის(ა)** ნაცვალსახელის ფორმები გვხვდება (როგორც უთანდებულოდ, ისე თანდებულოდ); მრავლობითში გავრცელებულია **იგენი** სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (დაერთვის თანდებულებიც). **ისინი/ისენი** შედარებით იშვიათად გამოვლინდება. ამასთან, ზმნასთან კომბინაციაში მხოლოდ **იმას(ა)** / **ის(ა)** ნაცვალსახელი მონაწილეობს. **იგი** ნაცვალსახელი ამგვარ ყალობს ვერ ქმნის.

## გამოყენებული ლიტერატურა

ი.გიგინეიშვილი, ვ.თოფურია, ი.ქავთარაძე, 1961 – ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

თ.თურქია, 2006 – ტექსტობრივი პაუზის შევსების საშუალება-ნი: ჟურნ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. X, ქუთაისი, 2006.

ნ. შარაშენიძე, 2008 – საჩინოური ქართული, თბ., 2008.

შინამრეწველობის მასალები (შეკრებული ივ. ჯავახიშვილის ხელ.-ით): ჩაწერილია 1935 წ. გორდში; ქართული დიალექტური კორპუსი. <http://corpora.co/#/corpus>. 22.02.2020.

ქ. ძოწენიძე, 1973 – ზემოიძერული კილოკავი, თბ., 1973. <http://corpora.co/#/corpus>. 22.02.2020.

1993-1995 წლებში ორპირის თემში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები (დაცულია აწსუ ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში).

## ბ ი ნ ო ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე

### ტერმინ “ტერმინის” რაობისათვის

ენათმეცნიერებისათვის ერთ-ერთ უძველეს პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს საკითხი, აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ურთიერთობის შესახებ.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა სიტყვის, როგორც რეალური ენობრივი ფაქტის არსებობის თაობაზე, პრინციპული დირეზულუმებისაა. სწორედ მის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ლექსიკური, არამედ მორფოლოგიური სისტემების გამოკვლევა და ენათმეცნიერული შესწავლა (ბ. ჯორბენაძე, 1993, 5).

ჩვენი კვლევის საგანს ტერმინოლოგიის ლინგვისტურ პრობლემათიკასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს, კერძოდ, **ტერმინის რაობის** საკითხი.

ჩვენი მიზანია **ტერმინის** კომპლექსურად შესწავლა, ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მისი ლინგვისტური ანა-

ლიზი, ნიშნის, ცნებისა და ტერმინის ურთიერთმიმართების საკითხის შესწავლა და წარმოდგენა.

ცნობილია, რომ თეორია ტერმინის შესახებ წარმოდგენს თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიულ-გამოყენებით დარგს და მას დიდი ხნის ისტორია არა აქვს.

ტრადიციულად მიღებული განმარტების მიხედვით, **ტერმინი** განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტებს შორის ურთიერთგაგებინებას ნებისმიერი კონკრეტული დარგის ფარგლებში.

ტერმინის პრობლემატიკაზე მუშაობდნენ ცნობილი მეცნიერები (ნ. ვასილიევა, ტ. კანდელაკი, დ. ლოტე, ა. სუპერანსკაია, ჟ.-კ. გუადეკი, ჯ. პირსონი, მ. ჰარველი, თ. გამყრელიძე, რ. ღამბაშიძე, ბ. ჯორბენაძე პ. ცხადაია, ნ. პოდოლსკაია, ა. რეფორმატსკი და სხვ.).

ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რ. ღამბაშიძის მონოგრაფია „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“ (1986), რომელშიც ავტორს წარმოდგენილი აქვს XX საუკუნის ძირითადად რუს ენათმეცნიერთა დეფინიციები **ტერმინის** რაობის შესახებ. მაგ: ტერმინები განსაკუთრებული ფუნქციის მქონე სიტყვებია. ეს განსაკუთრებული ფუნქცია, გვევლინება მაშინ, როდესაც სიტყვა, როგორც ტერმინი, არის ფუნქცია დასახელებისა. ამ ფუნქციით გვხვდება ხშირად ჩვეულებრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვებიც და ეს ყოფითი სიტყვებიც შეიძლება იყოს ტერმინები. თუმცა, მათ შორის არსებით სხვაობად ითვლება ის, რომ ყოფითი ტერმინი საგნის დასახელებაა, ხოლო სამეცნიერო-თეორიული ტერმინი - აუცილებლად ცნების დასახელება (გვინოკური). რეფორმატსკისაზრით ყველაზე არსებითი ტერმინისათვის ისაა, რომ იგი დაკავშირებულია მეცნიერების ცნებებთან და სიტყვიერად გამოხატავს ამ ცნებათა სისტემას. ტერმინოლოგია კი, არის მეცნიერების, ტექნიკის, პოლიტიკის, ანუ ინტელექტუალურად ორგანიზებული სოციალური სინამდვილის თვისებადა სხვა (რ. ღამბაშიძე, 1986, 5-11).

მიუხედავად ამისა საბოლოოდ არ ჩანს **ტერმინის** ავტორისეული განმარტება, იგი მიუთითებს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ დასახელებული წამყვანი რუსი ლინგვისტების თვალსაზრისზე დგას მომდევნო თაობის მრავალი ენათმეცნიერი, ტერმინისა

და მისი რაობის შესახებ აზრთა ერთიანობა დღეს მაინც არაა მიღწეული. ეს საკითხი საბოლოო დადგენასა და გარკვევას საჭიროებს“ (რ. ღამბაშიძე, 1986, 12).

XX საუკუნის 50-60 წლებში ტერმინოლოგიური ცნებების ფორმირებაში პრესკრიფციული ხაზი არსებობდა. რაც იმას გულისხმობდა, რომ ტერმინი მონოსემანტური, სტილისტურად ნეიტრალური, კონტექსტისაგან დამოუკიდებელი, მოკლე სიტყვა იყო და არ გააჩნდა სინონიმები, სისტემურობა, დეფინიცია და ა.შ (ლ. რუხიაშვილი, 2019, 12).

საინტერესოა **ტერმინის** სხვა განმარტებები ქართველი და უცხოელ მეცნიერთა მიერ.

ტერმინი-სპეციალური სიტყვა ან სიტყვათშეთანხმებაა, რომელიც მიღებულია პროფესიულ საქმიანობაში და განსაკუთრებულ პირობებში გამოიყენება. ტერმინი-ცნების სიტყვიერი გამოხატულებაა, რომელიც პროფესიული ცოდნის განსაზღვრული სფეროს ცნებათა სისტემის შემადგენლობაში შედის. ტერმინი, ენის ძირითადი ცნებითი ელემენტია, რომელიც სპეციალური მიზნებისათვისაა განკუთვნილი (ა. სუპერანსკაია., 2003, 14), (<http://padaread.com/?book>), (ნ. პოდოლსკაია, 1978, 132).

**ტერმინი** (ლათ. terminus) არის სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც მიემართება (აღნიშნავს) ცნებას მეცნიერების სხვადასხვა დარგის, ტექნიკის, ხელოვნების, წარმოების, ვაჭრობის სისტემაში. **ტერმინი** აღნიშნავს ცნებას, რომელიც წარმოადგენს ენის გარკვეულ აბსტრაქციას, რომელშიც აქცენტირებულია არსებითი, რელევანტური ნიშნები. ტერმინი შეიძლება იყოს ნასესხები, კალკირებული ან მშობლიური ენის წიაღში წარმოქმნილი სიტყვა (პ. ცხადაია, 2005, 28).

ტერმინი არის სიტყვა, რომელიც შეიცავს ენობრივ სიმბოლოებს და სისტემებს (ანანიაძე, 1994). კაროლინამ განსაზღვრა "ტერმინი", როგორც მჭიდრო კავშირი სპეციალიზირებული, კონცეპტუალური შინაარსისათვის. დამოწმებულია (<https://doi.org/10.1016/>).

აგრეთვე არსებობს ტერმინის საკმაოდ გავრცელებული განმარტება, რომელიც ბლუმფილდმა წარმოადგინა, ტერმინი ეს არის "მინიმალური თავისუფალი ფორმა", იგი მიუთითებს, რომ ტერმინი ეს არის მცირე ზომის ერთეული, რომელსაც შეუძლია შექმნას სრუ-

ლი გამოხატულება, ცნებისა (კრისტალი, 2008) დამოწმებულია (<https://doi.org/10.1016/>). ჯენიფერ პირსონმა მოგვცა ტერმინის შემდეგი განსაზღვრება, ტერმინოლოგთა ტრადიციული განმარტებების მიხედვით, ტერმინი ეს არის ეტიკეტი იმ ცნებებისათვის, რომლებიც ტექსტიდან იზოლირებულნი არიან, თუმცა, ტექსტთან არის შეთანხმებული და შესაძლოა ერთგვარ შედეგსაც გამოხატავდეს, აქედან გამომდინარე, ტერმინი შეიძლება იყოს ერთი სიტყვა, ან სიტყვათა ჯგუფი” (ანანიაძე, 1994, 1034), დამოწმებულია (<https://doi.org/10.1016/>).

ტერმინის სხვადასხვა ავტორთა განმარტებებიდან ირკვევა, რომ მათი ერთი ნაწილი ტერმინის განმარტებისას სიტყვის ფუნქციასა და მნიშვნელობას მიიჩნევენ უმთავრესად, ხოლო მეორე ნაწილი ტერმინს განმარტავენ, როგორც ცნებას.

ამ არგუმენტის გასამყარებლად წარმოვადგენთ ტერმინის კიდევ ერთ, დეფინიციას: **ტერმინი** საკმაოდ ბუნდოვანი კონცეფციაა, იგი გამოხატავს სპეციფიკურ შეფასების კონცეფციას, რომელიც არსებითად აღწერილია. კამათის საკითხია, თუ როგორ უნდა იქნას ნაჩვენები ეს ბუნდოვანი საკითხი, თუმცა, შემდეგი მაგალითები შეიძლება დაგვეხმაროს ძირითადი იდეის გადმოცემაში (ბრენტ გ. კაილი) (<https://www.iep.utm>). კონცეფციები ხშირად ილუსტრირებულია და ეფექტური გამოხატულება გააჩნია. მაგალითად, **გამბედავი** და **გულუხვი**, სამოქმედო ცნებები, როგორცაა **მკვლევობა** და **ღალატი**, ეპისტემიური ცნებები, როგორცაა **დოგმატური** და **ბრძენი**, და ესთეტიკური ცნებები, როგორცაა **კაშკაშა** და **ბრწყინვალე**. ეს კონცეფციები, როგორც ჩანს, უფრო მეტად შეფასებითი ხასიათისაა, განსხვავებით წმინდა აღწერილობითი ცნებებისგან, როგორცაა წითელი და წყალი (ბრენტ გ. კაილი) (<https://www.iep.utm>).

მოცემული განმარტებიდან ჩანს, რომ ავტორი **ცნებას**, ყოფს შემდეგ კატეგორიებად: **სამოქმედო**, **ეპისტემიური**, **ესთეტიკური** და **აღწერილობითი ცნებები**. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცნება, ტერმინთან შედარებით არის უფრო ფართო და ზოგადი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეული. ამ აზრის გასამყარებლად მოვიხმობთ, სხვა განმარტებასაც, ედემი, ევგენ ვუსტერის (1974) გამოთქმული მოსაზრების ციტირებით, ამტკიცებს, რომ ნებისმიერი **ტერმინოლოგიის** მუშაობის საწყისი წერტილი არის



კონცეფცია, იგივე ცნება (ინგლ. Concept-ცნება), და რომ ტერმინოლოგია განასხვავებს ცნებებსა და აღნიშვნებს. სინამდვილეში, პირველი განიხილება, როგორც მეორესაგან დამოუკიდებელი, და ამიტომ ტერმინოლოგები საუბრობენ კონცეფციებზე, ხოლო ლინგვისტები საუბრობენ მნიშვნელობაზე. ანუ ტერმინოლოგი ყოველთვის დაინახავს, რომ კონცეფცია/ცნება არის ლექსიკური ერთეული, სიტყვა, რომელიც თავისთავად შედგენილია აღნიშვნისერთეულისაგან. ამასთან, ტერმინოლოგი ყოველთვის ხედავს, რომ სიტყვის მნიშვნელობა შემოიფარგლება მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომელთანაც იგი დაკავშირებულია მოცემულ და კონკრეტულ სფეროში. თანამედროვე ენათმეცნიერების უმრავლესობისთვის სიტყვა აუცილებლად შედგება ორი განუყოფელი ერთეულისგან: სიტყვა-ფორმა და მნიშვნელობა, ამტკიცებს ედემი (ი. ჩემსი, 2015) (<https://termcoord.eu>). ვისტერის თანახმად, კონცეფცია არა მხოლოდ ყველა ტერმინოლოგიის მუშაობის საწყისი წერტილია, არამედ განიხილება როგორც ძირითადი ცნება ტერმინოლოგიის პრაქტიკასა და დისკურსში (ი.ჩემსი, 2015) (<https://termcoord.eu>). ტერმინისა და ცნების შესატყვისობის საკითხს რ.ლამბაშიძე შემდეგნაირად განიხილავს: „განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინოლოგიაში ტერმინისა და ცნების ადეკვატურობის საკითხს ეთმობა. კარგად შედგენილი ტერმინი უთუოდ უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შესაბამის საგანსა თუ მოვლენაზე, ამიტომ ისეთი ტერმინია მიჩნეული იდეალურად, რომელიც გამჭვირვალეა თავისი შინაარსის მიხედვით, რომელიც მის შესაბამის ცნებას გააჩნია. ამისათვის საჭიროა ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობა ემთხვეოდეს მის ნამდვილ მნიშვნელობას“ (რ. ლამბაშიძე, 1986,14).

საკითხის შესწავლის შემდგომ, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ტერმინი ვიდრე ჩამოყალიბდება ტერმინად, თავდაპირველად ის უნდა იყოს ნიშანი, რომელიცარის ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი ლექსიკური ერთეული თავისი მნიშვნელობით. ხოლო შემდგომ, ნიშანი გარკვეულ შემთხვევებში თავისი სემანტიკითა და ფუნქციით იქცევა ცნებად. რომლის, ლექსიკური მნიშვნელობა უფრო კონკრეტული ხდება როგორც ჩანს, ბოლოსკი ცნება თავისი განსაკუთრებული სემანტიკური მნიშვნელობითა და ფუნქციით ხდება ტერმინი.

ტერმინის ჩამოყალიბების პროცესი სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს.

ადგილის სახელებს ვახუშტი იკვლევს და მას უწოდებს ადგილის, სოფლის, ქალაქის, ეკლესიის, მთის, მდინარის, ხევის სახელს და ა.შ. რომელთა გამაერთიანებელი ზოგადი ტერმინი არა აქვს, როდესაც იქმნება შემდეგ უცხოური ტერმინი **ტოპონიმი** უფრო ცხოველდება შესაბამისი ეროვნული ტერმინის არსებობის საჭიროება. ტოპონიმებში და მის ქვედარგებში. მაგ. ჰიდრონიმია, ორონიმია, ოიკონიმია, ქორონიმია, დრიმონიმი და ა.შ.

აღნიშნული საკითხის კვლევა ღირებული და აქტუალურია ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერებისათვის. გაანალიზებული მასალა ფასეულია ენათმეცნიერული თვალსაზრისით, მიღებული შედეგები დამატებით არგუმენტებად შეიძლება გამოდგეს განსხვავებული თვალსაზრისების დასასაბუთებლად ან უარსაყოფად.

### გამოყენებული ლიტერატურა

**რუხიაშვილი, 2019** – რუხიაშვილი ლ. „იურიდიული ტერმინოლოგია ენობრივი და სოციოკულტურული თვალსაზრისით (ინგლისური, ფრანგული და ქართული საოჯახო სამართლის მასალაზე)“, დისერტაცია, თბ. 2019;

**ღამბაშიძე, 1986** – ღამბაშიძე რ. „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, თბ. 1986;

**ცხადაია, 2005** – ცხადაია პ, „ონომასტიკის შესავალი“ თბ. 2005;

**ჯორბენაძე, 1993** – ჯორბენაძე ბ. „ონომასტიკური გულანი“, თბ. 1993;

**პოდოლსკაია, 1978** – Подольская Н.В. Словарьрусской ономастической терминологии ...www.twirpx.com > ... > Словари и разговорники М.: Наука, 1978;

**სუპერანსკაია, 2003** – Суперанская, А. В. Подольская, Н. В., Васильева, Н. В., Общая терминология. Вопросы теории, Москва; Едиториал УРСС. 2003;

**ჩემსი, 2015** – ChemssiYacine, „The importance of concepts in terminology“, 2015. <https://termcoord.eu/2015/11/the-importance-of-concepts-in-terminology/> (ნახვა: 18.05.2020);

**ბრენტ გ. კაილი,** – Brent G.Kyle, Internet Encyclopedia of Philosophy <https://www.iep.utm.edu/thick-co/> (ნახვა: 20.02.2020);

Stanford Encyclopedia of Philosophy <https://plato.stanford.edu/entries/concepts/> ნახვა: 21.05.2020;

ShairAliKhana \*, „The Distinction between Term and Word: A Translator and Interpreter Problem and the Role of Teaching Terminology“, International Conference on Teaching and Learning English as an Additional Language, GlobELT 2016, 14-17 April 2016, Antalya, Turkey <https://doi.org/10.1016/j.sbspro.2016.10.095> (ნახვა: 22.05.2020);

## მ ა ი ა კ ი კ ვ ა ძ ე

### ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობისათვის გურულში

ტრადიციული კლასიფიკაციის თანახმად, „გურული კილო იყოფა ზემოგურულად და ქვემოგურულად. ზემოგურული მოიცავს ჩონატურულ თქმას და ოზურგეთელის ნაწილს, ქვემოგურული კილოკავი აერთიანებს ლანჩხუთურ და ოზურგეთულ თქმებს“ (ჯორბენაძე, 1989: 515).

თითოეული დიალექტისა თუ კილოკავის შესწავლა იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ ენის განვითარების ეტაპებზე. სწორედ დიალექტებში იკითხება ერის წარსული, ისტორია და თანამედროვეობა.

ერთი კონკრეტული დიალექტის დახასიათებისთვის კიდევ უფრო მეტად საინტერესოდ გვეჩვენება თითოეული სოფლის მკვიდრთა მეტყველებაზე დაკვირვება. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, სხვაობაა თვით თქმებს შორისაც.

წინამდებარე შრომა გურიის სამი სოფლის – ჭანჭათის, ერკეთისა და იანულის მეტყველების ნიმუშებს ემყარება. აქედან ჭანჭა-

თი ლანჩხუთის რაიონში შედის, იანეული და ერკეთი კი ჩოხატაურის სოფლებია. დასახელებული სოფლებისადმი ჩვენი ინტერესი განაპირობა იმანაც, რომ აქ სახლობენ მაღალმთიანი აჭარიდან ჩასახლებულებიც. ბუნებრივია, სახეზე გვაქვს დიალექტთა შერევის შემთხვევებიც, რაც კარგად ჩანს აქაურთა სასაუბრო ენაში. აღვნიშნავთ იმასაც, რომ საანალიზო მასალა ახალია. ერთი ნაწილი (ჭანჭათის მეტყველება) უშუალოდ ჩემ მიერაა ჩაწერილი, ხოლო ერკეთისა და იანეულის მასალების ჩამწერები არიან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის 2020 წლის კურსდამთავრებულები სოფიკო კალანდაძე (იანეულის მასალები) და სოფიკო ჯინჭარაძე (ერკეთის მასალები).

გურული, და განსაკუთრებით, ქვემოგურული, ისე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტები, დღითი დღე იცვლება, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, მოსახლეობის სიმცირით, მეორე მხრივ კი დიალექტზე სალიტერატურო ენის გავლენით. დღეს მხოლოდ უფროსი თაობის მეტყველებაშია შემორჩენილი ტრადიციული გურულისთვის დამახასიათებელი ინტონაცია და ლექსიკური ერთეულები. ჩვენ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას, განსაკუთრებით ზმნებსა და სახელზმნებზე, მათ სემანტიკაზე.

### **ჭანჭათის მეტყველებიდან:**

**ჭანჭათი** – სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, [აკვითის](#) თემში მდებარეობს, [გურიის ქედის](#) სამხრეთ კალთაზე. აქ სახლობენ: წულაძეები, ჩიჩუები, გოგუაძეები, ვადაჭკორიები, ტოროტაძეები, შაინიძეები, ანთაძეები... ჭანჭათი საინტერესოა ლოკალური თვალსაზრისით. „იშვიათია შემთხვევა, როცა რომელიმე სოფელი სამ რაიონს ესაზღვრებოდეს... სამხრეთ-აღმოსავლეთით ის აერთიანებს ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონებს“ (წულაძე, 2001:9). ამის შესახებ სოფლის მკვიდრი, დავით ნაცვალაძე წერდა: „სამ რაიონს ადულაბებს ჩემი სოფლის მთაბარი...“. ამდენად, ჭანჭათელთა ცოცხალ სასაუბრო ენაში სამივე რაიონისთვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები შეინიშნება. ამას თან ერთვის სოფელში ჩასახლებულ ზემოაჭარელთა მეტყველებაც და იქმნება ერთობ საინტერესო ერთი სოფლის შერეული ლინგვისტური მოდეელი. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

**გააპინტრიშებენ** (<გაპინტრიშებული): *გაპინტრიშებული გულის კაციაო*. ამბობენ გულღია ადამიანზე. *მთელი მისი ოჯახია გა-*

**პინტრიშებული.** გურულში ღიად დატოვებულ კარზე იტყვიან „მაგენის კარი მიზდღემში გაპინტრიშებულია“. ეს ლექსიკური ერთეული არ მოიძებნა არც ქეგლ-ში და არც დიალექტურ კორპუსში. ალ. ღლონტის ლექსიკონში (ღლონტი, 1984) **პინტრიში**, **გაპინტრიშება** ასეა განმარტებული: ღობე-ყორის განადგურება, დანგრევა, დაქცევა (გურ.), რაც უპატრონოდ, ღიად დატოვებას ნიშნავს. აქ სიტყვის კონოტაცია უარყოფითია, თან საუბარია უსულო საგანზე. ჭანჭათელთა მეტყველებაშიც მისი მნიშვნელობა ღიას უკავშირდება, ოღონდ კონოტაცია დადებითია და ადამიანის დამახასიათებელ თვისებაზეა საუბარი.

**წაჩხაპუტება–წეიჩხაპუტე!** (=ფოსტლების ჩაცმა): **წეიჩხაპუტე** *ელანძე* და *წამოი!* **ჩხაპუტები** გურულში არის ფოსტლები, ჩუსტები. აქედანაა მიღებული ზმნა **წეიჩხაპუტებს**.

**მოგეთუნოთ** (=მოგეფეროთ): *მეც მსურს ჩემებრ მოგეთუნოთ, გითხრათ სამადლობელი*. შდრ ქეგლ: **თბუნება** (თბუნებისა) 1. სახელი ათბუნებს ზმნის მოქმედებისა, – რისამეს თბილად მოწყობა; დათბუნება. ორთქლმავლის თბუნება. 2. კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც თბობა (ოტია): სახლში შემოვარდებოდა და თბუნებას დაუწყებდა დაძრულ ხელებს ცეცხლზე (დ. კლდ.).

**ერაკუნება** (<რეკავს ზმნისა) პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოყენებული წინადადებაში: *გადმოვდექი გაღმა გორზე, ზარი ერაკუნებოდა*. შდრ. ჯარზე მოწყობილია **სარაკუნა**, **ერაკუნება** ზედა ქვაზე და ყრის სიმიანდს ან სხვა საფქვავს ზედა წისქვილის შუაგულში(ქდვ. ჩოხატაური, ხევი). შდრ. **რაკუნ-ი** (**რაკუნისა**) ხმაბამძ. ნაწყვეტ-ნაწყვეტიხმა, რომელსაც გამოსცემს მაგარი საგნის ასეთსავე საგანზე ხშირი ცემა, – კაკუნი: მცივაო, ცეცხლზე გამათბე, – მესმის კარებზე **რაკუნი** (ვაჟა); მცხოვრებლებმა დაავლეს ხელი თაბხებსა, ტაფებსა, ტაშტებსა, დაუწყეს **რაკუნი** ჯოხებით (გოგებ.). ისევ წისქვილის ისმის **რაკუნი** (ლეონ.).

**ერაკუნება** ზმნას გურულში დამატებითი მნიშვნელობაც შეუძენია და უმეტესად ქალთან მიმართებით გამოიყენება, კერძოდ, ქალის მიმართ, რომელსაც ბევრი სიარული და ზედმეტი ლაპარაკი უყვარს. ვფიქრობთ, სრულიად თავისუფლად შეიძლება უთავბოლო, დაუსრულებელი ლაპარაკის დაკავშირება წისქვილთან, საფქვავთან. ამის მაგალითებს ქართულ ფრაზეოლოგიზმებშიც ვხვდებით ლაპარაკის აღსანიშნავად, მაგალითად: **წისქვილის აბრუნება**,

**დაფქვა ყველაფერი, ააბრუნა ამან თავისი წისქვილი...** (ცეცხლაძე, 2018 :126-127).

გურულში საკმაოდ მრავლადაა თავად ხალხის მიერ სახელდახელოდ შექმნილი ფრაზეოლოგიური თუ ფრთიანი გამონათქვამები, რომლებშიც სწორედ ზმნური ფორმები გამოხატავს მთავარ სათქმელს. ფრთიან გამონათქვამებს ვხვდებით სოფლის მკვიდრთა ლექსებსა თუ მოთხრობებში, ანეკდოტებში. პოეზია, მწერლობა ყოველთვის ითვლებოდა სიმართლის თქმის ყველაზე მწვავე იარაღად. ეს აზრია გატარებული ერთ-ერთი მთქმელის ლექსში: „შეებრძოლე ყველა ბოროტს, გააშავე თეთრ ფურცელზე, მუქთახორა და მლიქვნელი, წამოაგე კალმის წვერზე“.

**ერკეთის მეტყველებიდან:**

**ერკეთი** ჩოხატაურის რაიონში ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია. იგი იყოფა ზემო და ქვემოერკეთად. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ოსმალთა შემოსევების დროს (XV–XVI სს.) ზემოერკეთში დასახლებულან სამხრეთ საქართველოდან გადმოსული ლტოლვილები (**ჯინჭარაძე, 2020**).

**აპორტყება** (=ასვლა, აფორთხება): *ბოლოს გრუზავიკზე შეკვირდით ჩას, ავპორტყედბოდიტ ჩვენც ძულათე ზეთ და მიგვექონდა პუნქტში*. იგივე მნიშვნელობაა დადასტურებული ქეგლში. შდრ. **აპორტყება** (აპორტყებისა) კუთხ. აფორთხება, აფოფხება. ეგება სველ სახურავზე აპორტყება ვერ გაბედოს (გეწ.).

**ახვეტვა** (=ფეხზე წამოყენება): *უუცთა უცებ ფეხი და ზნეყვა მიწაზე. მივეცივდით და ძულათე ახვეტეთ მიწიდან*. შდრ. ქეგლ: **ახვეტა** (ახვეტისა) ხვეტითაღება, აწმენდა. ფიგურ. ჩვენ მიწაწყალზე ოქროს **ახვეტა** მტაცებელთ ხროვას კვლავაც უცდია (აბაშ.); ნეტავი ერთი ხელს მომკიდებდნენ, რომ... ზურგით მტვერი **ვახვეტინო** (აკაკი); მოხსენით პირი გესლის გუდას სადმე სხვაგანა, აქ რაც დაგექვათ, **ახვეტეთ** და თან წარიტანეთ (ჩხ.). როგორც მაგალითებიდან ჩანს, **ახვეტვა** ერკეთის მეტყველებაშიც ფიგურალური თქმაა. დასახელებული ლექსიკური ერთეულები არ ჩანს არც ჭანჭათის და არც იანეულელთა სასაუბრო ენაში.

ცნობილია გურული წყევლისა დადალოცვის ფორმულები, რომლებიც ენობრივადაც საინტერესოა.

**სვარსვარი – ასვარსვარება** (=ხელებს ერთიმეორეს ურტყამდა): *იმფერს იწყევლებოდა, ხელებს ასვარსვარება ერთიმეორეზე და სულერთი იყო.* ეს ერთეული არ არის დადასტურებული ქეგლში. დიალექტურ კორპუსში შეტანილია **სვარსვალი**, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობა აქვს: მერე ეთერმა უთხრა: ეთერს რათ უნდა **ოქრო სვარსვალი**, არა ვარ ფრანგი ვაჭარიო (რაჭა-ლეჩხუმი).

**მოტაფული:** *მაღ ვნახე მოტაფული ასფალტზე* (=მკვდარი, გათავებული). გურულში **მოტაფვა** მოსპობას, განადგურებას, დანგრევას ნიშნავს. მაგრამ უმეტესად ჭურჭლისას (**ღლონტი, 1984**). შდრ. მოტაფული კვერცხი=შემწვარი კვერცხი, იგულისხმება არეული, ათქვეფილი კვერცხი. გურულთა მეტყველებაში **მოტაფული**, მიმღეობად ქცეული, გულისხმობს იმგვარ სიკვდილს, როცა ადამიანის სხეული ძალიან დაზიანებულია ავარიის შედეგად, გადმოვარდნით და ა. შ. სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს **ტაფვას** იმერულში, შდრ. ქეგლ **ტაფვა** (ტაფვისა) კუთხ. (ზ.-იმერ.) ჯოხისწათლა, წაწვეტება (წერეთ.).

სიკვდილის სემანტიკის გამომხატველია **წაქცევა და გასხმაფრაზეოლოგიურ** გამონათქვამში: **ჭიშკრის წაქცევა და ტვინის გასხმა: შენ წაგაქცა ჭიშკარი ადრეხანში; შენი ტვინი ვნახე გასხმული ასფალტზე.** შდრ. ქეგლ: **გასხმა<sup>1</sup>** (გასხმისა) სახელი გაასხამს<sup>1</sup> ზმნის მოქმედებისა, – გამოყოფა და დაღვრა (სითხისა):

გურულში მშობლების (განსაკუთრებით ხანდაზმულთა) ყურადღებას, მოვლა-პატრონობას გამოხატავს ზმნა **დარჩენა: შენ დოურჩი შენ პატრონს საწამლედ და სანემსედ სამიზდღემჩიოთ**“. დასახელებულ დალოცვაში ყურადსაღებია ლექსემები **საწამლედ და სანემსედ**, რომლებიც უშუალოდ ავადმყოფობას უკავშირდება. სხვა შემთხვევებში ვხვდებით: **შენ დოურჩი დედ-მამას წყლის მიმწოდებლად.** შდრ. ციტატა ხალხური ლექსიდან: ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზი, **დაურჩი** დედაშენსაო.

**დაგოზვა-მიაგოზავენ** (=მიაყრიან): *სულ წყევლა-წყევლით მიაგოზავენ მიწაში.* შდრ. **დაგოზვა** – ქვევრზე მიწის დატკეპნა; წებვა; აყალო მიწით ქვევრის თავის მოწებვა (ქეგლ გურ. ლეჩხ.). გურულში აქედანაა მიღებული ზმნა **მიაგოზავენ**. სიტყვის მნიშვნელობა აქ უფრო გაფართოებულია და არა მარტო ქვევრის თავის მოსაწებავად, არამედ მიცვალებულისთვის მიწის დიდი ბელტების ღრმად მიყრას ნიშნავს. თან ჩანს მიცვალებულისადმი უპატივცემულობა, გულგრი-

ლობა გარდაცვალების გამო. ანუ ეს ზმნური ფორმა დისფემიზმია. სემანტიკურად ეს შეიძლება დავუკავშიროთ **გოზლა**-ს, რომელიც იმერულ-რაჭულ ლექსიკონში განმარტებულია როგორც დიდი: „რა დიდი **გოზლა** გგონია შენი თავი, რა დიდად მოგაქვს თავი (ბერიძე, 1912).

### **იანულის მეტყველებიდან:**

სოფელი **იანული** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შედის. იანულში ცხოვრობენ: კეკელიძეები, კალანდაძეები, მახარაძეები, მგალობლიშვილები, თედორაძეები, მეფარიშვილები, დოლიძეები, ცინცაძეები, ვაჩიშვილები, თედორაძეები, სიხარულიძეები, გიორგაძეები, ბერიძეები. მოსახლეობაძირითადადმისდევსმესაქონლეობას, მეზღვეობას, მევენახეობას, მეფუტკრეობასდაა. შ. (კალანდაძე, 2020).

**სლიპინობს** (=სრიალებს): *ისე გუყუინია, სლიპინობს გზაი.* **სლიპინობს** თანხმოვნის შეცვლით მიღებული ფორმაა ზმნისა **სლიპინობს**, რაც მოძრაობას, სრიალს ნიშნავს., შდრ. სლიკინი – მოლიპულ ზედაპირზე ცურვა, სრიალი (ქეგლ).

**გამოთითინებული** (=სავსე):*კეცის გამოთითინებული/გათოთინებული ხაჭაპური* (იგულისხმება ყველით სავსე ხაჭაპური). გურიის სხვა სოფლებში ამ ფუძით, მაგრამ გამოცხობის მნიშვნელობით, გვხვდება ზმნა **გამოვათოთინებ**: *სახელდახელოდ გამოვათოთინებ ხაჭაპურს.* ამასთან, **გათოთინებული** გამოიყენება კარგად მოვლილის მნიშვნელობით: *ქი ყავთ ბალანა და ქალი გათოთინებული* (ჭანჭათის მეტყვე.). შდრ. **გათოთინებული**: ქალათ ქალი ნამეტანი კაი ყოფილა, ვოთხი ბალანაი ყავდა, მარა იმფერი სანახავი იყო თურმე, ჩვილ **გათოთინებული**, ლამაზი, თვარესავით გაფსებული (ქდვ, ბახვი, ოზურგეთი). სწორედ **სავსე**-ს მნიშვნელობა ჩანს იანულებელთა **გამოთითინებულში**. ალ. ღლონტის ლექსიკონში **გათოთინებული** ასეა ახსნილი: ძალიან მსუქანი (რა თქმა უნდა, იგულისხმება ადამიანი). ყველით სავსე ხაჭაპურისთვის გამოიყენება მიმლეობები: **გამოთითინებული/გათოთინებული/გამძემგნილი**. შდრ. **გამძემგავს**: ძალიან გაავსებს, გატენის: გავძემგეთ სასიმინდე, დავდგით ჩალის ზვინი (ქეგლ).

როგორც რამდენიმე ლექსიკური ერთეულიდან ჩანს, გურულში ხშირია სულიერ და უსულო სახელთა მიმართებისას ერთი და



იმავე სიტყვის გამოყენება. ამ დროს ყურადღება ექცევა საგნის ფორმას, ადამიანის გარეგნობას, ხასიათს, თვისებებს და ა.შ.

საანალიზოდ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები გურიის სამი სოფლის ცოცხალი მეტყველების ნიმუშებია. მსგავსი ტიპის ფორმები დღეს თითქმის იშვიათობას წარმოადგენს, ისინი ბებიების და ბაბუების, უფროსი თაობის ენაში თუ დასტურდება. ამიტომაც ითვლება ქვემოთურული მეტ-ნაკლებად რისკის ქვეშ მყოფ კილოკავად.

### **გამოყენებული ლიტერატურა და შემოკლებანი**

**ბერიძე 1912** – ვ. ბერიძე, სიტყვის კონაიმერულ და რაჭულ თქმათა, სანკ პეტერბურგი

**დლონტი 1984** – ალ დლონტი, ქართულ-კილო თქმათა სიტყვის კონა, თბილისი

**ჩიქობავა 1985** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი

**ცეცხლაძე 2018** – ნ. ცეცხლაძე, ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, თბილისი

**წულაძე 2001** – ა. წულაძე, ჭანჭათის სადღეგრძელო, ბათუმი

**ჯორბენაძე 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი

აბაშ. (აბაშიძე)

გურ. (გურული)

გეწ. (გეწაძე)

იმერ. (იმერული)

კუთხ. (კუთხური)

დ. კლდ. (დ. კლდიაშვილი)

ლეჩხ. (ლეჩხუმური)

ლეონ. (ლეონიძე)

წერეთ. (წერეთელი)

ფიგურ. (ფიგურალური)

ქდკ (ქართული დიალექტური კორპუსი)

ქეგლ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

## ინტერნეტწყაროები:

<http://www.ena.ge/explanatory-online>

<http://corpora.co/#/corpus>

<https://sites.google.com/site/mygeolingua/guruli-sitqvebis-leksikoni>

<https://www.ice.ge/liv/liv/guru.php> (გურული დიალექტის ლექსიკონი)

კალანდაძე ს. მასალები იანულის მეტყველებიდან, 2020

კიკვაძე მ. მასალები ჭანჭათის მეტყველებიდან-2017-2020

ჯინჭარაძე ს. მასალები ერკეთის მეტყველებიდან, 2020

## ლ ა მ ზ ი რ ა კ ო ბ ა ი ძ ე

### კაუზატივის ფორმოზრივ-სემანტიკური მიმართება სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტში

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, კაუზატივი არის ზმნის ისეთი ფორმა, როდესაც სუბიექტი მოქმედებას ასრულებს არა ნებელობით, არამედ სხვისი (ირიბი ობიექტის) დახმარებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონტაქტი მართო ქართულ გრამატიკაში არ გვხვდება, იგი სხვა ენებსაც გააჩნია: კაუზატივის ნაცვლად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი: ფაქტიტივი(გერმანული), იძულებითი (რუსული), ხოლო ქართულში მას აკაკი შანიძე ჯერ უწოდებდა „გზას“, შემდეგ „შეხებას“ და ბოლოს შუალობით კონტაქტის სახელით მოიხსენიებს (kontaqtus). უძველეს ქართულ გრამატიკაში ჩვენი მეცნიერები კაუზატივს მრჩობლ სხმითგარდასვლითს (ორმაგად გარდამავალი) უწოდებდნენ.

„კაუზაციას ანტონ პირველი უწოდებს სახეს. სახის კატეგორიაში ერთიმეორეს უპირისპირდება „პირველ სახე“ და „სხმით-გარდასლვით“. სხმით-გარდასლვით“ ზოგადი ტერმინია, გრამატიკული სემანტიკის მიხედვით შეიცავს საკუთრივ სხმით-გარდასლვოსა და მრჩობლ-სხმით-გარდასლვოს“.

(„ქართული ღრამმატიკა“, 1885, 11, §243).

თედო უთურგაიძე, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს ტერმინებს: **სახეს, სხმით-გარდასლვითს და მრჩობლ-სხმით-გარდასლვოს** და წარმოგვიდგენს მათს ლინგვისტურ მნიშვნელობას: “სახე წარმოადგენს ბერძნულის ..... ზუსტ თარგმანს (**რუსულად ВИД**) დიონისე თრაკიელი ამ კატეგორიას თითქმის ყველა მეტყველების ნაწილთან ასახელებს, ასე მაგალითად: სახელის მდევართა (კატეგორიათა შორის სქესის შემდეგ მეორე ადგილზე **სახეა** დასახელებუ; მას ზოგადი ფორმა აქვს: პირველადი და ნაწარმოები; მაგალითად, პირველადია „მიწა“, მეორადი კი „მიწიერი“ (მიწისაგან შობილი). **დიონისე თრაკიელი** აქვე ჩამოთვლის **ნაწარმოებ სახეთა** შვიდ ტიპს (Dionysi Thracis Ars grammatca).

**დიონისე თრაკიელს** პირველადი და ნაწარმოები ფორმები გამოყოფილი აქვს ზმნაშიც. აქ **სახე** მესამე ადგილზეა **კილოსა** და **გვარის** კატეგორიის შემდეგ; პირველადი ზმნის მაგალითია „**ვრწყავ**“, ხოლო ნაწარმოების „**ვრწყავ ხოლმე**“. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ქართული ენის **შუალობითი კონტაქტის ფორმა ზმნის წარმოქმნილ ფორმად** არის გამოცხადებული.... წარმოქმნილ ელემენტად კი გამოცხადებულია **-ინე** სუფიქსი..., დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **სახის, როგორც ნაწარმოები (მეორადი) ზმნური ფორმის** გაგება **დიონისე თრაკიელის** გრამატიკიდან მოდის. ქართულ ენაში **შუალობითი კონტაქტის ფორმა, როგორც ნაწარმოები, პირველად ზ. შანშოვანმა გამოყო და მწარმოებელ ელემენტად მანვე გამოუყო -ინე სუფიქსი (მოახსენებ-ინე, ათქმევ-ინე).** (ზ. შანშოვანი 1881, 10). სახეზე, როგორც ზმნურ კატეგორიაზე, შანშოვანის მსჯელობა იმპლიციტურ ხასიათს ატარებს. **დიონისე თრაკიელისა და შანშოვანისაგან** განსხვავებით **ანტონ პირველის** კვლევის შედეგი **სახის** კატეგორიის გამოვლინების თვალსაზრისით, ექსპლიციტურია. **ანტონის** მიხედვით, „**სხმით-გარდასლვითი** ტერმინი **თხზული სახელია**. პირველი კომპონენტი **სხმით** ნიშნავს „**მატერიალური ნიშნის ქონებას, დართვას**“, თხზული ტერმინის მეორე კომპონენტი **გარდასლვითი** ნიშნავს „**მნიშვნელობა შეცვლილს**“, ე.ი. **სხმით-გარდასლვითი** ტერმინის საერთო მნიშვნელობაა „**წარმოქმნითი**“ (რომელიც ხდება, სპეციალური აფიქსით); ხოლო **მრჩობლ-სხმით-გარდასლვითი** ნიშნავს **წყვილი(მრჩობლი) მწარმოებლის**

დართვას და შესაბამისად შინაარსის შეცვლასაც ორგზის (თ. უთურ-გაიძე 1989, 108-109).

კაუზატივი უმთავრესად გარდამავალ, მოქმედებითი გვარის ზმნებს მოუდის, სამპირიანებს. ეს გასაგებიცაა, რადგან თვითონ არსი კატეგორიისა გულისხმობს **სამი პირის სუბიექტის, ირიბი და პირდაპირი ობიექტების მიმართებას. სუბიექტი აიძულებს ირიბ ობიექტს იმოქმედოს პირდაპირზე**, ხანდახან ეს წყობა ირღვევა-პირდაპირი ობიექტი არცა ჩანს-საქმე გვაქვს ვნებითი გვარის ზმნებთან, რომელთაც იშვიათად შესწევთ უნარი კაუზატივის წარმოებისა **ეკვლება-ეკვლევინება**, თანაც ასეთი ფორმების მოძებნა ძველ ქართულში გაგვიძნელებდა (ვ. იმნაიშვილი 1970, 111-113).

გარდამავალ ზმნათა კაუზატივს(შუალობით კონტაქტს, როგორც აკ. შანიძე უწოდებს, **დისტანტურ-კაუზატიურ ზმნურ მნიშვნელობებს**, როგორც ი. გეწაძე, ვ. ნედიალკოვი, ა. ხოლოდოვიჩი მიიჩნევენ) ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში **ა-ი და ა-ევ** კონფიქსები გამოხატავენ, **ა-ი** შედარებით იშვიათია, **ა-ევ** საკმაოდ ხშირი **მაგ. დავაწერიე სულიერსა ძმასა ჩემსა**. იოანე ოქროპ. ცხოვრ. (ზ. სარჯველაძე 1984, 470) .

„ძველ ქართულში შუალობითი კონტაქტის გამოსახატავად გავრცელებული იყო **აღწერითი წარმოება**; ვითარებით ბრუნვაში-დასმულ საულღებელი ზმნის საწყისსერთვოდა **ცემა** ზმნა სხვადასხვა მწკრივისა თუ პირის ფორმით. მაგ: **მოკლვად-სცემს, მოღებად-სცა (მოატანინა), დაწერად-სცა (დააწაერინა)**.

აღწერითი ტიპის კაუზატივი ყველაზე მეტად II სერიაში დასტურდება (რ. სალინაძე 2008, 159-160).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება რომ უნდა ყოფილიყო უძველეს სალიტერატურო ქართულ ენაში კაუზაცია – კონტაქტის მსგავსი მორფოლოგიური კატეგორიის არსებობა და ამავე პერიოდში უნდა მომხდარიყო კონტაქტის კაუზაციისაგან გამოყოფის პროცესი „რაც ძირითადად ორმაგი კაუზაციისა და ობიექტის მრავლობითობის, ინტენსივობის მაჩვენებლების დართვით ხორციელდებოდა. ძველ ქართულში -ინ მაჩვენებლის გამოჩენა უნდა ასახავდეს კონტაქტის გრამატიკულ კატეგორიად ჩამოყალიბების პირველ საფეხურს. საინტერესოა, რომ -ინ ფორმალურად ემთხვევა ბრძანებითობის -ინ მაჩვენებელს. საზოგადოდ, „ბრძანებითობა“ სემანტი-

კურად, უახლოვდება კაუზაციას. ორივე შემთხვევაში მონაწილეობს cause „იძულების სემანტიკური ნიშანი..... სემანტიკურად მომწიფებულ ნიადაგზე ქართულში მოხდა ბრძანებითობის ინ-ის კონტაქტის ძირითად მაჩვენებლად განზოგადება (რ. ასათიანი, 1989, 123).

ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართული ენა არის აგლუტინაციური ტიპის ენა, სადაც ყველა მაწარმოებელი ფორმანტი აღჭურვილია თითო ფუნქციით. 1. საექვოდ მიმაჩნია, რომ **-ინ** მორფოლოგიური მარკერი ორი ფუნქციის მატარებელი ყოფილიყო, ანდა ბრძანებითობის მაწარმოებელი **-ინ**, კაუზაციურ მარკერად განზოგადებულიყო. უფრო მეტიც, უძველეს ქართულში მეათე საუკუნის მეორე ნახევრამდე კაუზაცია, როგორც გრამატიკული კატეგორია არც არსებობდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ გამოიყენებოდა **-ინ** ფორმანტი. ენა იყენებს მას სემანტიკური კუთხით (იძულებას გამოხატავს სემანტიკურად და არა მორფოლოგიურად), მორფოლოგიური მარკერის გარეშე). 2. სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიცით, რომ კონტაქტის ფორმათა წარმოებისათვის ამოსავალია აწმყოს, ან რომელიმე სხვა მწკრივის ფორმა (იკითხება კვლავ ასათიანის სტატიაში). ამ მოსაზრებასთან წინააღმდეგობაში მოდის ბრძანებითისეული **-ინ** ფორმანტის განზოგადება კაუზაციურ მარკერად. ბრძანებითი, როგორც I პირველი, ასევე მეორეც II, ძირითადად ეყრდნობა არა აწმყოს წრეს, არამედ უწყვეტლის ფუძეს. ასე ცნობილი ძველ ქართულიდან: „მოეპოვება მეორე-მესამე პირთა ფორმები, გამოხატავს მომავალი დროის, ბრძანებით კილოს, უსრული ასპექტის მოქმედებას, ეყრდნობა უწყვეტლის ფუძეს“.

მეტად საინტერესოა კაუზატორისა და ეგზეკუტორის ბრუნვათა ცვლილება უძველეს ქართულში. ცნობილია, რომ ძველ ქართულში არ იყო კაუზატივის მორფოლოგიური და შერეული ტიპის წარმოება, ძირითადად დომინირებდა აღწერითი კაუზატივის წარმოება (ვითარებით ბრუნვაში დასმულ სახელს (საწყისს) დაერთვოდა მოდუსური ზმნა -სცა. ქართული ენა კაუზატივის წარმოებისას დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ჩრდილო კავკასიურ ენებთან.

**ბესარიონ ჯორბენაძე** შემდეგნაირად განსაზღვრავს ფორმოზორივ და ფუნქციურ დეტერმინაციებს: „ფორმოზორივი დეტერმინაცია შეაპირობებს ენობრივი მონაცემების ფორმოზორივი სტრუქტურის შე-

ნებას. ფუნქციური დეტერმინაცია განსაზღვრავს ენობრივი მონაცემის ფუნქციურ სტრუქტურას... ფორმოზრივი დეტერმინაციის დროს საყრდენი მონაცემის ფორმოზრივი ელემენტი ან უშუალოდ გადადის წარმოებულ ფორმაში, ან უშუალოდ გადადის კიდევაც და თან მკაცრად განსაზღვრულ წევრს შემოიყვანს სტრუქტურაში, ან უშუალოდ არ გადადის ნაწარმოებ ფორმაში, მაგრამ განაპირობებს განსაზღვრული, ამ და არა სხვა ელემენტის არსებობას . მაგ. **ა-კეთ-ებ-ს – გა-კეთ-ებ-ულ-ი** უკანასკნელ ფორმაში **-ებ** ასევე გადმოსულია საყრდენი (**ა-კეთ-ებ-ს**) მონაცემიდან, მაგრამ იმავდროულად **-ებ** ფორმანტის არსებობა, თავის მხრივ, განაპირობებს მხოლოდ **-ულ** და არა რომელიმე სხვა ფორმანტის შემოყვანას ამ სტრუქტურაში. ფუნქციური დეტერმინიზმი განაპირობებს ნაწარმოები ფორმის სემანტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, მის იერ-სახეს ფუნქციური თვალსაზრისით, რაც უშუალოდაა განსაზღვრული საყრდენი ფორმის სემანტიკური სტრუქტურით, მისი **ფუნქციური რაობით**<sup>1</sup> (ბ. ჯორბენაძე, 1980, 97-98)“.

**აწუხებს-აწუხებინებს** დაპირისპირებაში ერთი კაუზატიური ფორმაა, მეორე-არაკაუზატიური. „ასე რომ, „პირველადი და მეორეული“ კაუზატივების ერთ კატეგორიად გაერთიანებას ფორმალური და ფუნქციურ-სემანტიკური წინააღმდეგობები ახლავს ფორმალური საკითხებიდან უმთავრესია, კაუზატივის კატეგორიის ფორმანტის საკითხი, როგორც **პირველად, ასევე მეორეული კაუზატივებისათვისა წუხს-აწუხებინებს,**

„კაუზაცია, როგორც სიტყვათწარმოებითი პროცესი, ხასიათდება პირის (აქტანტის მატებით) ეს დამატებითი პირი ირიბი ობიექტია; მართალია, მოქმედების რეალური შემსრულებელი, მაგრამ შემსრულებელია მხოლოდ სხვისი (სუბიექტის ნებით თავსმოხვეული მოქმედებისა... კაუზატიური ფორმის განმარტებაში არსებითია არა ის, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე ირიბი ობიექტის მეშვეობით, არამედ ის, რომ ირიბი ობიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე სუბიექტის ინიციატივით, მისი მიზეზით (გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე.... ე. ი კაუზაციაში ღირებულია ის, რომ სუბიექტი ინიციატორია და არა შემსრულებელი აკეთებინებს, აშენებინებს. როგორც ცნობილია, კაუზატივი გარდამავალი ზმნის

<sup>1</sup> ბ. ჯორბენაძე, 1980: 303-304

კატეგორიაა და მას ქმნის გარდამავალი არაკაუზატიური და კაუზატიური ფორმების დაპირისპირება, როგორც ძირეული და წარმოქმნილი ფორმებისა; მორფოლოგიურად წარმოქმნილი ფორმა განივრცობა სათანადო აფიქსებით, სინტაქსურად-ვალენტობის მატებით (**წერს ის წერილს- აწერინებს ის მას წერილს**); არაკაუზატიურ და კაუზატიურ ფორმებს შორის ფუნქციურ და სემანტიკურ განსხვავებას ქმნის ჩამდენი პირის გრამატიკული სტატუსი: არაკაუზატიურ ზმნებში მოქმედების ჩამდენი, შემსრულებელი თავისი ნებით მოქმედი სუბიექტია (**წერს ის წერილს**), კაუზატიურ ზმნებში შემსრულებელი სხვისი (სუბიექტის) ნების კარნახით, სხვისი ინიციატივით მოქმედი ირიბი ობიექტია(**აწერინებს ის მას წერილს**). ეს სხვა კაუზატიური ზმნის სუბიექტი, ძირითადად მოქმედების მაიძულე-ბელი და ინიციატორია; რადგან გარკვეულ პირობებში სუბიექტი შეიძლება მოქმედების შემსრულებლად მოგვევლინოს, მაგ. თუ ირიბ ობიექტად ზმნაში უსულო (რა ჯგუფის) სახელია წარმოდგენილი, ირიბი ობიექტის, როგორც მოქმედების უშუალო შემსრულებლის ფუნქცია ბუნდოვანი ხდება და მოქმედების შემსრულებლად სუბიექტი გვევლინება მაგ. სეტყვა ხეხილს ნაყოფს აყრევინებს. აქ მოქმედების შემსრულებელი არა ირიბი ობიექტი (ხეხილს), არამედ სუბიექტი (სეტყვა) მოიაზრება (გ. გოგოლაშვილი 2011, 583-585). მეცნიერი აქვე აღნიშნავს, რომ „ირიბი ობიექტი შუალობითი კონტაქტის ფორმებში ყოველთვის არ არის მოქმედების ერთადერთი შემსრულებელი. ბევრ შემთხვევაში მას თანამონაწილედ სუბიექტი ჰყავს მაგ. აბანინებს, ამოატანინებს, ამოაყვანინებს და. ა.შ. (გვ. 585. იქვე)

**აკაკი შანიძის** კვლევის მიხედვით ჩნდება კითხვები ძველი ქართულის კაუზატიური მორფოსინტაქსის თავისებურებებთან მიმართებით. კვლევის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ **შუალობითი კონტაქტი (ანუ კაუზატივი) კავშირშია გარდამავლობასთან. გვაქვს ერთი ფორმა (გარდამავალი ზმნისა), რომელსაც შეუძლია გამოხატოს გარდამავლობა და ამავდროულად შეუძლია გამოხატოს კაუზატივი. თუმცა აკ. აშანიძეს ასეთი ფორმულირება არ მოუვცია. ასევე არ განუხილავს ძვ. ქართულის ვითარება კაუზატივის გამოხატვის მიხედვით დანარჩენ კავკასიურ ენებთან მიმართებაში. არადა, ფორმოზრივი იდენტობისა და ბიფუნქციური კაუზატივის შესახებ იქ ვიპოვიდით პასუხს. ჩრდილო კავკასიური ენები ამოსავალში არ განარჩევენ გარდამავლობასა და კაუზატივის, გამოხატავენ**

ერთი და იმავე ფორმით. საქმე ეხება ობიექტურ უღვლილებას, რომელიც კლასოვანია და ზმნა გარდამავლობას გამოხატავს პირდაპირი ობიექტის მარკირებით, არ სჭირდება მას გარდამავლობის ცალკე გამოხატვა; შდრ. ქართულში - გარდამავლობას ნიშანი არა აქვს, გარდამავლობისთვის მთავარია პირდაპირი ობიექტის არსებობა, შემორჩენილია ობიექტური უღვლილების ზმნები - გ - ა- ქ - ებ მე შენ - სადაც ობიექტის პრიორიტეტია და, მიუხედავად იმისა, რომ ქართული დღეს პიროვანი უღვლილების ენაა, ეს არის კლასოვანი უღვლილების მოდელი, შემორჩენილი ქართულში, რომელიც ქართველურ ენათა დივერგენციამდე ჯერ კიდევ კლასოვანი იყო და მერე გახდა კლასოვან-პიროვანი და ბოლოს - პიროვანი სხვა ენათა სისტემების გავლენით. განსხვავებით ინდოევროპული ენებისაგან, ქართული პოლივალენტური მარკირების ენაა, ეს კი მიუთითებს მის უშუალო კავშირზე იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემასთან. კაუზატივი ამოსავალ სისტემა-სტრუქტურაში ეს არის შესაძლებლობა პოლივალენტური მარკირებისა (როგორც კლასოვანი, ასევე პიროვანი უღვლილების ენაში). კაუზატივის განხილვის დროს აქცენტი კეთდება ორ სუბიექტზე – ვერბალურ და რეალურ სუბიექტზე და მისი გამოხატვის ლექსიკურ, ანალიზურ -აღწერით თუ მორფოლოგიურ საშუალებებზე და არ კეთდება აქცენტი პირდაპირი ობიექტის მარკირებაზე, არადა, ჩვენი დაკვირვებით, სწორედ პირდაპირი ობიექტის მარკირება და მისდამი ზმნის სემანტიკისა და ფორმის მიმართებაა გადამწყვეტი საკითხი, რითაც ძველ ქართულში უნდა იქნეს განხილული კაუზატივის კატეგორია.

ჩვენი აზრით, ძველი ქართული ჯერ კიდევ არ არის რადიკალურად დაშორებული იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირეულ სისტემა-სტრუქტურას და ამიტომაცაა, რომ ძველ ქართულში არ გვხვდება მრავლად არც ანალიზური და მით უმეტეს, არც მორფოლოგიური კაუზატივი; ეს შედარებით გვიანდელი მოვლენაა. ძველ ქართულში ზმნაში პირდაპირი ობიექტის ვალენტობის მარკირება პირის ნიშნით (მოდელი არის ისეთი, როგორც მთლიანად იბერიულ-კავკასიურ ენებში), ეს არის „შესაძლებლობა“ – ასახოს კაუზატიური მორფოსინტაქსი, ისე, როგორც ეს დღემდეა ჩრდილოკავკასიურ კლასოვანი უღვლილების ენებში. თანდათანობით გარკვეული ზმნური სუფიქსები იტვირთებენ კაუზატიური შინაარსის გადმოცემას, მაგრამ ენა ამავედროულად ეძებს გამოხატვის ანალიზურ გზას და



მსგავსად დანარჩენი კავკასიური ენებისა, მოდუსურ ზმნად იყენებს გარდამავალ ზმნას - **სცა:სცა წერად „დააწერინა“**. ეს უნდა მიანიშნებდეს, რომ ობიექტური უღვლილების მოდელი დასუსტდა და მას კომპენსაცია სჭირდება – ანალიზური წარმოება სწორედ ეს გზა უნდა იყოს. **ქართული ენის ისტორია ადასტურებს, რომ ანალიზური წარმოება გარდამავალი ეტაპია და საბოლოოდ ყალიბდება მორფოლოგიური კაუზატივი, რომელშიც გამოყენებულია ეკონომიზმის პრინციპით ენაში უკვე რეალიზებული ზმნური მარკერები განსხვავებული სინტაგმატიკითა და ფუნქციური დატვირთვით.**

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ასათიანი 1989** – რ. ასათიანი, კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

**გოგოლაშვილი 2011**– გ. გოგოლაშვილი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

**იმნაიშვილი 1970** – ვ. იმნაიშვილი, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ტ-X, თბილისი.

**სარჯველაძე 1984** – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

**სალინაძე 2008** – რ. სალინაძე, ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები), თბილისი.

**უთურგაიძე 1989** – თ. უთურგაიძე, კაუზაციის კატეგორია ქართულ ენაში, იკე ენათმეცნიერება, ტ-XXXIII, „მეცნიერება“, თბილისი.

**შანიძე 1953** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თსუ, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ-III, თბილისი.

**შანშოვანი 1881** – ზ. შანშოვანი, მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა, სანტ-პეტერბურდი.

**ჯორბენაძე 1980** – ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თსუ, ახალი ქართული ენის კათედრა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**Dionysi Thracis Ars grammatca** – დიონისე თრაკიელის გრამატიკა.

„ქართული დრამმატიკა“, 1885.

## მ ა რ ი ა მ კ ო ბ ე რ ი ძ ე

### ადგილის ზმნისართები შიდაქართლურში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნისართის წარმოების, სტრუქტურის, ფუნქციისა და კვალიფიკაციის საკითხის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომია წარმოდგენილი. ჩვენი კვლევა ეხება ზმნისართის ერთ-ერთ საინტერესო ჯგუფს-ადგილის ზმნიზედებს. საანალიზოდ გამოვიყენეთ შიდა ქართლში, კერძოდ, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, ძამას, კავთურას, თემისა და ატენის ხეობის სოფლებში მოპოვებული უახლესი მასალა, რომელიც ქრონოლოგიურად შევუდარეთ ქართველ ენათმეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებში დადასტურებულ ჩვენთვის საინტერესო მონაცემებს.

როგორც ცნობილია, ადგილის ზმნიზედა აღნიშნავს ადგილმდებარეობას, სადაც მოქმედება ხდება, ან გვიჩვენებს მიმართულებას, რომელიც აღებული აქვს მოქმედების სუბიექტს ან პირდაპირ ობიექტს (ა. შანიძე 1980, 594). შიდაქართლურ მეტყველებაში მოქმედების ადგილის ან მდგომარეობის გამომხატველად დასტურდება შემდეგი ზმნიზედები:

**აქ//აქა.** მაგ.: ჩემი მამა-პაპაი რო ჩამოვიდნენ **აქა**, იშოვნეს ქართული ვაზის რქაი და დარგეს **აქა** (ძღვევიჯვარი); ბატონებმა **აქა** კაი წისქვილი გააკეთეს (წვერი), ძველათ ჭიდაობა ძიენ იცოდნენ **აქა** (არადეთი) (გრ. იმნაიშვილი 1974, 72, 73, 85, 92); გაპანკლული ის არი, კონკები რო **აქ** დაკიდებული, რო არა **აქ** რა, რა ჩაიცვას (ოძისი); ჟუჟუნა გო, წყალი გადმოგიხვედა, მოდი **აქა!** (ვარიანი) (თ. ბერო-

ზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981,90, 91); რო ჩამამიდგები ხოლმე აქა, სად გეჩქარება? (არადეთი); ექიმმა თქვა, აქა ტყვილა ხართ, ამას ვერ უშველითო (არადეთი); ტყვილა, ტყვილა, აქა რა უნდა ეთქვა (სალოლაშენი).

აქ//აქა ზმნისართების პარალელურად გვხვდება ექ//ექა (სუბსტიტუციით: აქ//აქა → ექ//ექა): ექ ჩაბარე ცოტაი, ვაშლებთანა (დვანი); ექა მსხვრევადი რაღაცა დენს და არ გატეხოთ (არადეთი); შვილო, ექა როგორა ხდება? (სალოლაშენი); ექა, ჯდას ვინმე? (არადეთი).

იქ//იქა. გაჰპანკლოდა უბედურათა ბაგრატასა პირი და ჩამოფხოტილიყო იქა (არცვეი); ისე გახურებულა, რო სუ გავემებულა, რაღა ჩააკრამს იქ პურსა (ძეგვი); მთელი საგურამოს ხალხი სულ გარბოდა იქა (ბიწმენდი); დიდხანს იჯდა იქა (საგურამო) (გრ. იმნაიშვილი 1974, 18, 91, 94); იქა გყვამდეს ე გოჭები დედასთანა, იქ უფრო მალე დაიჩვრიხებიან (ერედვი) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981,168); იქა იეფი არი ცხოვრებაი (არადეთი); გიო გუშინა იყო იქა? (არადეთი).

გხვდება -ც(ა), -ვე ნაწილაკებიანი ზმნისართები. მაგ.: რავი ირევა აქაცა (ქარელი); აქავე არის ძველი ქვევრები, სადაც ღვინოს აყენებდნენ ამ სოფლის მცხოვრები ტიელიძეები (ზერტი); იქაცა გამართა პურობაი (რუისი); იქავე ჩადიოდა ფრონეი, მერე შეიცვალა კალაპოტი (დირბი).

აექ//აექა (აი ექ //აი ექა). მაგ.: ჩვენი სოფლი გზები გადიოდა აექა (ტახტისძირი); აექ იყო ჩვენი ძველი სახლი, ნანგრევები რო ჩანს (დირბი); აიქ არ იყო გუშინა?; აიქა ვარ, ბერბუკში (ბერბუკი).

აგერ//აგერა (აქ//აქა). მაგ.: აგერ ვარ (სალოლაშენი); ვენახი ბოლოსა ვარ, აგერა (ტახტისძირი); აგერა, აქ არის (ბრეთი).

მანდ// მანდა//ემანდა: მანდა გყავს შენი სულის კლიტე (ძეგვი) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981, 384); -ბიჯო, მერაბა სად არი, ჰა? -ემანდა, მანდა (აი იქ) დგა (დირბი); ემანდა (იქ) უნდა გავჩერდე (ხვედურეთი); ხარ ნამყოფი მანდა? (იქ) (ხვედურეთი); თოვს კიდევ მანდა (იქ) (გორი); შენ რო დამჯდარხარ მანდა? (იქ) (ქარელი);არავინ დასვათ მანდა კლიენტი უნდა მამივიდეს და იმასა აქვს დაკავებული ეგ ადგილი (ქარელი); თოვს კიდევ მანდა? (გორი); მანდა არი, ბანკი რო არი (გორი). იმავე მნიშვნელობით გვხვდება მანდერა: შვილო, ე მანდერა ქათამი უნდა იყოს და გამო-

უქშიეი (არადეთი); ე **მანდერა**, შვილო, ადგილი დაკავებულია (სალოლაშენი); ე **მანდერა** ნიშანი, რო არი **მანდ** გამიჩერე (სალოლაშენი); აღნიშნული ზმნიზედები აქტიურად გამოიყენება დიალოგში. მაგ.: – **აქ** უნდა ჩამოვიდეს დავითაი და **აქ** უნდა დავხვდე. – **მანდა?** (სალოლაშენი). არნ. ჩიქობავას ვარაუდით, მა-ნ-დ-ა მიღებულია ან-მან//მად-ის კონტამინაციით, ანდა დ-ის წინ ნ-ს განვითარებით ფონეტიკურ ნიადაგზე (არნ. ჩიქობავა 1929, 174).

ატენისა და წედისის ხეობის მეტყველებაში ყურადღებას იქცევს **ინდე//იმდე** და **ანდე//ამდე** ზმნისართები, რომელთაც შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგ.: „აი აგერ“//„აი იქ“. ხშირად ისინი ერთმანეთის ნაცვლადაც იხმარებიან. მაგ.: **ანდე** (ე.ი. „აი აგერ“//„აი იქ“) ოდდარვაში დაბადებული (უჩვენა თითით), ანდე!; **ინდე** (ე.ი. „აი ეგერ“//„აი იქ“) რამოტოლა - ჩაკუნწლულია!; აი, **ინდე** ნახე! (= „აი, იქ ნახე!“) (ზნავისი); **ემდე** ლენა, **ემდე** ზინა... გამოშტერებული! (ღვარები). ზოგჯერ ორივე ზმნისართის ნაცვლად გვაქვს „ემდე“ (ო. კახაძე 1953, 294, 295). აღნიშნულ ზმნისართებს შეუძლიათ გაკვირვებისა და ნიშნის მოგების გამოხატვაც. მაგ.: **ანდე** (აი) ხომ გითხარი (ატენი), **იმდე** (აბა) ჩამოვიდა? (ზნავისი). ქართულში და, საერთოდ, სხვა კილოებში მრავლად გავრცელებული ა-ს ე-თი შენაცვლების შემთხვევების გათვალისწინებით, ოტია კახაძე ატენისა და წედისის ხეობის მაგალითზე, ვარაუდობს, რომ ანდე და ინდე ანდა და ინდა-საგან არის მიღებული ხმოვანთა სუბსტიტუციის გზით (ო. კახაძე 1953, 296).

იმავე მნიშვნელობით გვხვდება „**ენდალე მანდა**“. მაგ.: ენდალე **მანდა** (აი იქ) დევს (მეჯვრისხევი); **ენდალე მანდ** (აი იქ) იყო და თვალს გადამეფარა (ტახტისძირი).

ადგილმდებარეობის აღნიშვნელად გვხვდება **აგერ //აგერა** რომელიც თავისი მნიშვნელობით უახლოვდება „აქ“ ზმნისართს. მაგ.: ვიპოვეი არის **აგერა** (ტახტისძირი); **აგერ** წამოფრატუნდა გეროი (ღვანი). პარალელურად გვხვდება აგრა (ე ხმოვნის რედუქციით). მაგ.: აგერ ე, ბექაი, **აგრა** (ზობნევი); **აგრა** წამოყარეს ქათმებმა ლობიოი (ატენი). აღნიშნული მნიშვნელობით დასტურდება **აგრე-ც**: აი, **აგრე** (= „აგერ ა!“) ცხოვრობდა ღნავი! (ღვარები) (ო. კახაძე 1953, 297); **აგრე** არი ნოშრეი (ყექეული).

**წინ//წინა**: ქალი დაუხვდათ **წინა** (წინამძღვრიანთკარი)(იმნა-იშვილი, 1974, 8); **წინა** აღარ იხედებიან? (არადეთი); -გეცა, **ჭიშკრი**

**წინა**, თუთა რო დგა **მანდა** დევ (ერგნეთი); სახლი ფანჯარაი **წინ** ამო-  
უშენეი და კარქი გამოვა (დირბი).

**უკან//უკანა**: მათყენე, **უკანა**, **მანდა** გზაი ჩაიკეტება (სალოლა-  
შენი); ი ფული დაუბრუნა **უკანა** (ტახტისძირი); რათ დადიხარ კიბე-  
ებზე **წინ** და **უკანა**? (გარეჯვარი); გამოიწიეთ **უკანა**, კაცო (დოესი).

**გარეთ//გარეთა**: დოინჯ შემოიყრის და დგა თელი დღე **გარე-  
თა** (თამარაშენი); ბიძაჩემი დადმინებოდა **გარეთა**; დააწიკწიკებს მალ-  
ლა სახლსა, გამოვა და დაჯდება **გარეთა** (ბროწლეთი); ეს ქალბატო-  
ნი რო მოვიყვანე ურმითა, რო ძალლი არ გაიგდებოდა **გარეთა** (მე-  
ღვრეკისი) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981,16,  
150, 197, 232); შემოხაზულის **გარეთაც** იყვენენ მოწინაღმდეგე ბიჭები  
(კარალეთი). **სად//სადა**: შენი ფრანტები **სადა** დევ? (არადეთი); **სადა**  
ხარ დაკარგული? (სალოლაშენი). **სადაც**: **საცა** (← **სადაცა**): **საცა** ინახა-  
ვენ გამხმარ სიმინდსა (გარეჯვარი); შემდეგ, **სადაცა** გადააგდებდნენ,  
იქიდან ისევ აგორებდა ამ რიკს (ნული).

**ბოლოს//ბოლოსა**: ვერიდებოდი ლოლოსა, შემომხვდა ბალის  
**ბოლოსაო** (გარეჯვარი); ჩავედი ვენახი **ბოლოსა** (ტახტისძირი).

**შიგ//შიგა**: ტარ გაუყრიან **შიგა** (არადეთი); არაფერი არი **შიგა**  
(მეგვი); ჯერ გამოაყენე ეგ ნავი და მერე ისე დაწურე **შიგა** (კავთისხე-  
ვი) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981,105, 299 375);  
**შიგ** იყრებოდა ხორბალი ხვიმირაში (დვანი).

**შინ//შინა**: შამოვიდა ეს ბიჭი **შინა** (გრაკალი) (მ. მესხიშვილი  
2006, 9); სუ თლათ ლელეხი მოვიდა **შინა** (მერეთი); გულდამყავრე-  
ბული რატო არ იქნება, ყველანი **შინა** ჰყავ მოგროვილი (თ. ბეროზაშ-  
ვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981,137, 256); არავინა ყავს **შინაო**  
(ხიდისთავი).

**ზედ//ზედა**. მაგ.: ერთიცა არ შეურჩენიათ **ზედა!** (კავთისხევი);  
რომელიც კაი ღალიანია,რძე თუ მაწონი, ჭურჭელ ვედარ მაცილეფ,  
დაიპლიზება **ზედა** (საგურამო) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი,  
ლ. ნოზაძე 1981, 165, 295); შეიძლება **ზედაც** შეახმეს (კარალეთი);  
**ზედ** დადგი ეგ ქვაბი და ისე ურიეი (დვანი);

**ქვევით//ქვევითა// ქვეით//ქვეითა**. ვენახი მქონდა **ქვეითა** (დი-  
სევი); ტასომ ჩაიარა **ქვევითა** (ტყვიავი) ; **ქვეით//ქვეითა**:დაქშუის  
ადამიანზე იტყვიან, რო დაქრის **ზეით** და **ქვეით** დადის, სადაც უნ-  
და (თამარაშენი) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე  
1981, 172, 184), **ქვეითა**, რო მუხებია, იქა დგას ცოტაი (ტაქხისძირი).

**ზევით//ზევითა//ზეით// ზეითა:** ლობიოს რო ჩავდგამთ, გაცხელდება წყალი, დაიჩმაჩნება და ამოიკრიფება **ზეითა** (ბროწლეთი); **მხარბალიშის ზევით** თავბალიშ დაუდებენ ბავშვსა **აკვანშია** (ერთაწმინდა) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981, 168, 216). აღნიშნული ზმნისართები მარტო მდგომარეობას არ გამოხატავენ, კონტექსტში მოქმედების მიმართულეებასაც გამოხატავენ.

ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი არ, ნუ, ვერ უარყოფითი ნაწილაკებით ნაწარმოები უარყოფითი ადგილის ზმნისართები (არსად, ვერსად, ნურსად) შიდაქართულურში დასტურდება არსადა, ვერსადა, ნურსადა ფორმით, სადაც ა მავრცობი ხმოვნის ფუნქციით უნდა იყოს გამოყენებული (დ. იმნაიშვილი 1953, 61-64). მაგ.: არა ჩანს **არსადა** (ხელთუბანი); ვერ წავედი **ვერსადა** (ტახტისძირი); მაგ საფენებსა **ნურსადა** შეიტან და გამოალაგებ ხოლმე (ატენი).

ქემერტისა და ატენის მცხოვრებთა მეტყველებაში დასტურდება ძველი ქართული ენის ისტორიიდან ცნობილი მნიშვნელობის გადაწევის (ლოკალიზაცია სივრცეში-დეტერმინაცია დროში) საინტერესო ფაქტი (არნ. ჩიქობავა 1945, 485-493). ზოგი ადგილის ზმნისართი დროის აღმნიშვნელადაც იხმარება. მაგ.: ასეთ სიციხეები კულავ **არსად** (=არასოდეს) ყოფილა; თბილისში (ეკლესიაში) იყო **სადმე** (=როდისმე)?; ალაპარაკე **სადმე** (=როდისმე) შენა, ეგ ისეთი ვეკილია (ლ. ნოზაძე 1970, 343, 344).

შიდაქართულურში ხშირად გამოიყენება -დან//-დანა მორფემით გაფორმებული ზმნისართები სუბიექტის ან პირდაპირი ობიექტის მოქმედების მიმართულების დასაწყისი ( საიდან?). მაგ.: „ჩემი პაპაი წამოსულა **იქიდანა**“ (პატარა ხურვალეთი); „მერმე **იქიდანა** აქათ გადმოიწიეს“ (არაშენდა) (იმნაიშვილი, II, 1974 : 20,22); ისე დავტიში ბიჭები **აქედან**, რო! (დვანი) ; ი რკალისბოლოები **ზეიდანა** წნელით არი ჩაბმული (იგოეთი) ; ნუ იდღლამრები, დაიკარგე **აქედანა!** (კარალეთი) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981,178, 211, 228); აღარ მოიგდებს ქაფსა **ზემოდანა** (დიდი გარეჯვარი); **აქედან** შეერქვათ მძინარაშვილები (დიცი); გემეცალე ეხლა **აქედანა** (ახალქალაქი).

მოძრაობის მიმართულების გამოსახატავად გამოიყენება **კენ//კენა//კე** მორფემა (საითკენ?): „**იქითაკე** მიაშურე“ (მუხრანი) (გრ. იმ-

ნაიშვილი, II, 1974, 47); ნეფე-პატარძალმა ჩაიარა **იქითკენა** (დირბი); **იქითკენ** მიუკვალე წყალსა (ტახტისძირი).

მოქმედების ადგილის დასასრულს აღნიშნავს **-მდე// -მდის// -მდისა// -მდინა// -ნდინა** მორფემებით გაფორმებული ზმნისართები. მაგ.: **გამოღმამდინა** ეს ნაკვეთები სუ ტახტისძირისა იყო (ტახტისძირი); **აქანდის** ვიცოდი (ალ. ლლონტი 1980, 219); ერთი მიდი იქა, ცოლი ისეთ დღე დაგაყრი გონი, ისე დაგტიშოს რო, სად იყავი **აქამომდინაო** (ქვემო ჭალა) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981, 178); **აქამდისა** ისე მივიდნენ არავინ შეუწუხებიათ (არადეთი); **აქანდის** მოაღწია წყალმა (დირბი). ატენისა და წედისის ხეობის ქართლურში დასტურდება: **აქანამდის//აქანამდინ, იქანამდის//იქანამდინ, სადანამდის//სადანამდინ**. მაგ.: ბიჭო, **აქანამდის** ვერ უნდა ისწავლო? (ატენი); **-სადანმდი** ავიდნ? - აი, **ექანამდინ** (ატენი); **ექანამდინ** კარგად ვიყავით (ატენი); **აქანამდის** ოთხი იყო და ეხლა შემცირდა (ბნავისი) (ო. კახაძე 1953, 293).

შიდაქართლურში, ისე როგორც სალიტერატურო ენაში, ადგილის ზმნისართები ბრუნვის ფორმითაა (ბრუნვის ნიშნით ან თანდებულთ) წარმოდგენილი (ლ. კვაჭაძე 2001, 283). მიცემითი: წყალი უფრო **მაღლას** იყო (ლ. ნოზაძე 1970, 343); ფრონესა დაქანება არა აქვს **ძირსა** (ტახტისძირი). ნათესაობითი: წყალსა დაენმარა ქვევითა, **ბოლოსკენა** (დვანი). მოქმედებითი: **ზემოდან** წრიულად ქონდა თაღები (პატარა გარეჯვარი); **გალმიდანა** გამოქონდა ჭილი და წილოფეფსა წნავდა ხომე (ტახტისძირი); ისე არიან გატრუნულები **გარეთა** (გარეჯვარი); მე გადმომიშვი **აქეთა** (ზემო ხვედურეთი); ბილიკები გადახნა **იქითა** (დვანი). ვითარებითი: სუ მაგისი არ არი **გალმამდინა** (ტახტისძირი); ძლივა მივახწიე **სახლანდინა** (დირბი).

შიდაქართლურში მავრცობი ა ხმოვანი თითქმის ყველა მეტყველების ნაწილთან დასტურდება, მათ შორის ზმნისართთანაც. **აქა, იქა, აქეთა, იქითა, ზევითა, ქვევითა, წინა, უკანა, გვერდითა, მანდა, შიგა ...** ადგილის ზმნისართებში ა მავრცობი ხმოვანი მთქმელის მიერ დასახელებული მოქმედების აქცენტირების მიზნით უნდა იყოს გამოყენებული. მაგ.:სუ გაგვიხმა ნაკვეთში **აქა** (დიცი); ჩამოვიდა **აქა** (მერეთი); იშვიათათ არი **აქა** (თვალადი); აგერ გვარამაძე, **წინა** ცხოვრობს (ქორდი); არი **მანდა** გვერძე (არბო); ე, **მანდერა** ნიშანი რო არი, მანდ გამიჩერე ერთი (არადეთი); ძირითად გუგუტიშვილები ვართ სულ **აქა** (გუგუტიანთ კარი); მიაფენს **იქა** (ატენი);

წამომიყვანეს უკანა (გუგუტიანთ კარი); გილოცავთ, ექა მეზობელ სოფელში დღეობაა (ოკამი); შვილო, ემანდერა ქათამი უნდა იყოს (არადეთი).

სივრცესთან მიმართებით დაპირისპირებაა გამოხატული კონტექსტში: ისე აფუზულია საცოდავათა, ხან აქ გაჩერდება, ხან იქა (ტირმნისი); არც იქით არი ადამიანი, არც აქეთა, გამოშტერებული არი (ქვემო ჭალა) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე 1981 82, 170); აქა-იქ ება წვეროებში ცოტაი და ეგეცა ძირს ჩამოვიდა სულა (კირბალი); გაციებულია ჩემი პამიდორი ერთი აქა ღივღივებს, მეორე იქა (ქვეში); აქეთ-იქით დაქშუის მთელ დღესა (ტყვიავი). განხილული საილუსტრაციო მაგალითებიდან გამომდინარე ადგილის ზმნისართების მორფოლოგიური თვალსაზრისით შესწავლასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისიც (ვ. გაბუნია, 1993, 14).

საკვლევი საკითხის ანალიზი გვამღევს საშუალებას, რომ დავასკვნათ, შიდაქართლურში ადგილის ზმნისართების წარმოება და ფუნქცია მსგავსია ქართული სალიტერატურო ენისა, ხოლო განსხვავებული შემთხვევები მიუთითებს იმ პროცესებზე, რომელიც ქართლური დიალექტისათვის არის ნიშანდობლივი.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981** – თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**გაბუნია 1993** – ვ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**იმნაიშვილი 1953** – დ. იმნაიშვილი, უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები იბერიულ-კავკასიურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი.

**იმნაიშვილი 1974** – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**კახაძე 1953** – ო. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი.



**კვაჭაძე 2001** – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბილისი.

**მესხიშვილი 2006** – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**ნოზაძე 1970** – ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტური მასალები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი.

**ღლონტი 1980** – ალ. ღლონტი, ნ-ს პროცესი დირბულში: ფილოლოგის ჩანაწერები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**ჩიქობავა 1929** – არნ. ჩიქობავა მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: უნივერსიტეტის შრომები, X, თბილისი.

**ჩიქობავა 1945** – ზოგი სიტყვის განვითარებისათვის ძველ ქართულში (სივრცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში): ფსიქოლოგია, III, თბილისი.

## **ლ ე ვ ა ნ   კ ვ ქ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი**

### **აფიქსთა ფონეტიკური სახეცვლილებანი ქიზიყურში**

ცოცხალი მეტყველება ენისათვის ისეთი საარსებო გარემოებაა, სადაც ყოველი სიტყვის ინდივიდუალობა დაცულია დასურვილისამებრ იზიარებს ამა თუ იმ ფონეტიკურ პროცესს, რომელიც დაუშვებლად მოიაზრება სამწერლობო წიაღში. ფონეტიკური პროცესი მისთვის, როგორც მოცემულობა, ცნობილია; მყისიერად არ დაექვემდებარება ცვლილებას: თითქოს აკვირდება, მოსალოდნელი შედეგი პირველსახეს რამდენად შორდება და თვისებრივი შენარჩუნების პირობით კანონის მოქმედებას ისე უერთდება, რომ ფუნქციაც შეინარჩუნოს და ცვლილებაც მოირგოს, დროდადრო გაითავისოს კიდევ და მომავალს ფეხი ახალსახით აუწყოს, არც საწყისს მოსწყდეს და არც მარადიულობას მოაკლდეს.

გ. ახვლედიანი წერს: „ცალკეული სიტყვა არსებობს არა მხოლოდ როგორც სემანტიკური და გრამატიკული ერთეული, არამედ აგრეთვე როგორც ფონეტიკური ერთეული. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ სიტყვა არის სემანტიკურისა და გრამატიკული ფუნქციების მატარებელი და გრამატიკულად ცვლადი (ფორმიანობის შემთხვევაში) ერთეული; აგრეთვე იმით, რომ ძლიერ ხშირად მეტყველების აქტი შეიძლება შედგებოდეს ცალკეული სიტყვისაგან (ბრძანება, წყრომა, თხოვნა, თითოსიტყვიანი კითხვა-პასუხი და მისთანები) და ა. შ.“<sup>1</sup>.

ცვლილების სამიზნედ მორფემათა შორის ძირითადად აფიქსია. მოსალოდნელია მისი ყოველგვარი სახეობის გარდასახვა ადგილმდებარეობისა თუ ფუნქციის მიხედვით. მისი მორფოლოგიურ-სემანტიკური პოზიცია სუსტია ძირთან შედარებით და ფონეტიკური გარდაქმნის სამიზნედაც შესაძლოა ამის გამო იქცეს. თავდაპირველად ერთ კერძო შემთხვევაში იჩენს ცვლილება თავს, შემდეგ კი, როდესაც სემანტიკურ-მორფოლოგიურ იგივეობას აღმოაჩენს და მხოლოდ ფონეტიკურ სხვაობას ხედავს, ფორმათწარმოებას სახეცვლილი აფიქსით განარაგებს სათანადო კატეგორიის გამოსახატავად.

წინამდებარე კვლევა ორი საკითხისაგან შედგება, რომელიც მორფოლოგიურ პროცესებში გამოვლენილ ფონეტიკურ ცვლილებებს ეხება. თავდაპირველად განვიხილოთ სახელის ბრუნების მახასიათებელი რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სახეცვლილი და პირვანდელი ფორმები ერთობლივად იხმარება, შემდეგ კი – ზმნის ფორმათწარმოებაში გამოვლენილი ი ~ ე კორელაციური ოპოზიცია.

მიცემითი ბრუნვა ქიზიყურში ფუნქციურად განუსხვავებელია სამწერლობო ქართულისა და სხვა კილოებისაგან, თუმცა ფორმების წესი თავისებური აქვს: თანხმოვანფუძიანი სახელი უნიშნობით (-Ø) გამოირჩევა, ხოლო ხმოვნიანი /-ა/ სუფიქსს დაირთავს. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები<sup>2</sup>:

ა) თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა მიცემითის ფორმები:

1. პენსიდ მემრე მარინე მოიდა და ეგე კაც უთხრა-კე, ვალ გადახდა უნაო.

<sup>1</sup> ახვლედიანი 1966, 174-75.

<sup>2</sup> მასალები მოპოვებულია ბოხორის ქედის სოფლებში ავტორის მიერ 2013-16 წწ. განხორციელებული ექსპედიციების დროს.

2. კაციაანთ ჯუღეტამ **შვილიშვილ** ფსიქოლოგიურზე უსწავ-  
ლნია ქალაქში.

3. გიგავ, მათა ნუ აწკუვლებ **ძაღლ**, ტვინი მემეწამლა!

4. მამი, **ველოსიპედ** მიყიდი?

ბ) ხმოვანფუძიან არსებით სახელთა მიცემითის ფორმები:

1. ფულ ვერკი მოგცემ, კორმითვინ ვაგროებ, ჯო, **ზროხად** უნა  
უყიდო-კე.

2. ეკლესიაში მიხვალ და ემაგ **ბოლოკაბამ** იცვამ, გო?

3. ნონავ, ნონავ, **ყავად** მაადულეებ, ქა?

4. არკი მცალია, ოქრი, **გოგრამ** ვხარშამ.

უკანასკნელ ხანს შესამჩნევია მიცემითის /-ს/-ბოლოსართიანი ფორმების პოზიციური წარმოქმნაც. უმეტესად ეს ხდება დიალოგის დროს, როდესაც ამ ბრუნვით წარმოდგენილი სახელი წინადადებაში მეორდება აზრობრივი დაზუსტების მიზნით<sup>1</sup>: დამატება-ობიექტის ფუძე დაირთავს /-ს/ ნიშანს და მისი ფორმოზრივი გამყარებისთვის იყენებს /-ა/ სავრცობს, რომელიც, თავის მხრივ, მარცვალთმახვილით იძლიერებს ფონეტიკურ პოზიციას სიტყვაში<sup>2</sup>. მოვიყვანოთ სათანადო ნიმუშები:

1) – ლუკავ, მიდი ბაბოდ უთხარ, თოკი გამაგატანოდ.

– ვერა ვნახე.

– ჯო, ბაბოდ უთხარ, **ბაბოს**.

2) – დედი, ლიზი და მაირამი პუპლუც მემახიან, **პუპლუცსა**!

– რათა, შვილო?

– ლევანი ძია რო იმათთან დარჩა და ჩვენთან არა, ი<sup>ნ</sup>გე, მამას-ხრებენ.

3) – ვენერ, გო, ფულ ვერ მასესხებ რთვლამდი?

– რასამბჯო, ნატომ მალე ბალდი უნდა ეყოლოდ, **ნატოსა**. მა იმად რალა მივცე?

---

<sup>1</sup> ჩემი დაკვირვებით, თქმელს ექმნება განცდა, თითქოს თანამოსაუბრეს უჭირდეს ბრუნვის დიალექტური ფორმის შემეცნება (გააზრება) და შინაარსობრივი კონკრეტიკის ერთგვარ ხერხად, როგორც ჩანს, სამწერლობო ენისეული ფორმის გამოყენება მოიაზრა.

<sup>2</sup> შდრ. გოგოლაშვილი... 2016, 96-97.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ამგვარ გარემოებაშივე მიცემითის ფორმას სახელი (resp. დამატება-ობიექტი) /-მ//~~ლ~~/ ნიშნით აწარმოებს:

1) ელისოჭ, თინაჲ გედეეცი-კე, **თინაჲ**, ლატარიჲ ფული გამატანოჲ.

2) ერთი მჯო! ზოდბედ წყალი წაართვეჲ და სიღნაღ მიდცეჲ, **სიღნაღ**, მა ეგ საქმე იყო?

მიცემითის დიალექტურ (-მ//~~ლ~~-ნიშნიანი) და სამწერლობო ენისეულ (-ს-ნიშნიანი) ფორმათა ხმარება ერთი მთქმელის ფარგლებში გვერდიგვერდ შეინიშნება. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ მოსაუბრე ბრუნვის ნიშანს არჩევდა მსმენელის გათვალისწინებით<sup>1</sup>, თუმცა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პროცესი მოქმედებს გლობალურად და შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამწერლობო ენის ელემენტებით იმდიდრებს მორფოლოგიურ ინვენტარს. შესაძლებელია სხვაგვარი შეფასებაც მიეცეს **ს>მ>ს** პროცესს: შესაძლოა ქიზიყურში მიმდინარეობდეს მიცემითის ნიშნის პირველსახის აღდგენა, რაც საწყის ეტაპზეა ამჟამად და მორფოლოგიურ გარემოებათა მეშვეობით გაიმყარებს ფონეტიკურ პოზიციას სიტყვაში.

მეორე შემთხვევა, რომელიც აფიქსის ფონეტიკურ ცვლილებასვე ასახავს, ზმნის მორფოლოგიაში გამოვლინდა.

ქიზიყურში **ო**-ის ნიშანია /**მ**-/ თავსართი<sup>2</sup>. იგი ნებისმიერ გარდამავალ ორპირიან ზმნაში აღინიშნება, სამწერლობო ენისაგან განსხვავებით<sup>3</sup>:

1) დილით აქ იყო შენი ყმაწვილი, **შაყურებდა** ვენერაჲ სახლ. მემრე არკი მინახნია.

2) ნატომ ძალღ რატომგრე **დაიკვილა**, შამაშინა-ო.

3) ხოსროანთ მანქანა **გაიყიდე** და ელა ახალ მაიტანენ.

4) იეგ ბოცად წყალი **გაიდის**, შინამდი რა არ დეგელტურება?

---

<sup>1</sup> ვგულისხმობ, რომ მთქმელი უცხო, სტუმარს სალიტერატურო ენის ელემენტებს სთავაზობს მეტყველებაში, შინაურს (სოფლის, კუთხის მცხოვრებსა ან ნათესავს) კი ბუნებრივი ენით ესაუბრება.

<sup>2</sup> შდრ. გოგოლაშვილი... 2016, 263; 265-69.

<sup>3</sup> სხვა ის თავსართები, რაც ქართულის კილოებში გამოიყენება **ს**-ის აღსანიშნავად, ქიზიყურისთვის უცხოა.

მისი მორფოლოგიური პოზიცია მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და ალომორფთა უქონლობის გამო დისტრიბუციულადაც შეუზღუდავია.

ფონეტიკური თვალსაზრისით, მის პოზიციას შესაძლოა იკავებდეს /o-/ ქცევის ნიშანი ან /o-/ ვნებითი გვარის პრეფიქსი, რაც იწვევს სიტყვის ცვლის როგორც მორფოლოგიურად, ისე სემანტიკურად. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

**ვნებითი გვარი ~ მოქმედებითი გვარი:**

1) გაიყიდა ~ გაყიდა

კრიკალაანთ თამარად სახლი გაიყიდა.

მალხაზამ კრიკალაათ თამარად სახლი გაყიდა.

2) გამაილია ~ გამაილია

– კოთხევეში წრეულ მაყვალი გამაილია, გო, ვიყავ და აღარკი ესხა.

– რასმზგო, კიარ გამაილია, ფაცაანთ თინამ გამაილია, განა შენ შაგინახამდა?!

3) გაიძახის ~ გაძახის

ვიშქა! ეგ ნატომ ბალღმა ტვინი მამიწამლა უკე, მთელი დღე ვიუ-ვიუდ გაიძახის, შავლონდი, ქა!

– ბადრი, ბადრი, ერთი რა ყვირილია გარეთ, მადტა გაიჭედე.

– მაღარაული მარინე ნონამ წყლითვინ გაძახის.

წარმოდგენილი ნიმუშები მეტყველებს ი ~ ძ კორელაციური ოპოზიციით გამოწვეულ გვარის ფორმათა შეპირისპირებაზე.

**სათავისო ქცევა ~ საარვისო ქცევა**

1) ჩაიყრის ~ ჩაყრის:

ი<sup>ნ</sup>გე თავივ ვბოდთვინ ვმელა პურ ჩაიყრის-კე და მიაქ.

მოა მანქანა და განათები ბომებ ორლობეში ჩაყრის, ყურადღებით იყავ-კე.

2) დაიბანა ~ დაძბანა

ვენაჯიდან მოიდა და ჯელები დაიბანა, მემრე ძჭამა.

ეგე მარეხო, ახალი რძალი იყო და თავი მამამთილ ფეკები დაძბანა.

3) შაიკრიჭა ~ შადკრიჭა

პაპა სიღნაღში დალაქთან წავიდა, თმა შაიკრიჭა და მოიდა.

ეგე ყმაწვილმა კაკალ ტოტები **შააკრიქა**, ქუჩად ვერკი ვაღებ-  
დი.

კორელაციური ოპოზიცია აქაც /ო-/ და /ღ-/ აფიქსების მორფო-  
ლოგიურ-ფუნქციურ სხვაობას ამჟღავნებს, რაც ფონემათა შეპირის-  
პირების შედეგად ვლინდება.

მაშასადამე, **ღ** ფონემითქიზიყურის მორფოლოგიური ინვენ-  
ტარი წარმატებით სარგებლობს: იგი გამოიყენება როგორც სახე-  
ლურ, ისე ზმნურ ოდენობათა გამოსახატავად. ქართული სამწერ-  
ლობო ენის ისტორიის გათვალისწინებით, შეიძლება მისი კვალიფი-  
ცირება ამა თუ იმ აფიქსის დიაქრონიულ-ფონეტიკურ სახეობად,  
რამაც მდგრადი ხასიათი შესძინა სახელურ თუ ზმნურ ფორმათა პა-  
რადიგმებს.

თანამედროვე მეტყველებაში შეინიშნება აფიქსთა პირვან-  
დელი სახით წარმოჩენის ტენდენცია, პროცესი, ასე ვთქვათ, ჩანასახ-  
შია და მხოლოდ მიცემითის ფორმებში გამოვლინდა (\*ს>ღ>ს). არ  
გამოვრიცხავთ, პროცესი დროებითი იყოს და სამომავლო გავრცე-  
ლების (resp. განვითარების) საშუალება არ მიეცეს. სხვა შემთხვევებ-  
ში, კერძოდ, ზმნის ფორმათწარმოებაში, უცვლელად, მყარად გამოი-  
ყურება.

### გამოყენებული ლიტერატურა

**გ. ახვლედიანი, 1966** – ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბი-  
ლისი, 1966.

**გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, 2016** – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტე-  
ბი, თბილისი, 2016.

## თ ა მ ა რ   ლ ო მ თ ა ძ ე

### დიალექტოლოგიისა და სოციალური დიალექტოლოგიის კვლევის ობიექტები

დიალექტის შემსწავლელ მეცნიერებას დიალექტოლოგია ეწოდება. დიალექტი ძველბერძნული სიტყვაა და განიმარტება როგორცენისნაირსახეობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული მხარის, თემისა თუ სოციალური ჯგუფისათვის დაფონოლოგიურად, გრამატიკულად დალექსიკურად შედარებით ნაკლებად განსხვავდება იმავეენისსხვანაირსახეობებისაგან. როგორც ვხედავთ დიალექტი საკმაოდ ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც ტერიტორიულ ისე სოციალურ დიალექტებს. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ გავრცელდა მეტყველების სოციალური ასპექტით (თანამედროვე გაგებით) შესწავლა. როგორც საყოველთაოდაა აღიარებულიპირველად ამგვარი კვლევები დაიწყო ინდოეთსა და იაპონიაში 1930-იან წლებში, თუმცა სოციოლინგვისტიკის დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბება, რომელსაც უკვე შესწავლის საკუთარი ობიექტი და მეთოდები გაუჩნდა, მოხდადასავლეთში 1960-იანი წლებიდან. ამიტომ მის ფუძემდებლად მიიჩნევიან ამერიკელი ენათმეცნიერი უილიამ ლაბოვი, რომელმაც აჩვენა სოციალური მისწრაფებების გავლენა ენობრივ მახასიათებლებზე და ბრიტანელი სოციოლოგი ბაზილ ბერნსტაინი, რომელმაც ერთმანეთისაგან გამიჯნა დახვეწილი და შეზღუდული ენობრივი კოდები. მათ მიერ ჩამოყალიბებული ორი მიმართულება (სოციოლინგვისტიკა და მეტყველების სოციოლოგია) თავდაპირველად გაიმიჯნა კიდევ ერთმანეთისაგან, რადგან სოციოლინგვისტიკა შეისწავლის საზოგადოების გავლენას მეტყველებაზე, ხოლო მეტყველების სოციოლოგია იკვლევს მეტყველების გავლენას საზოგადოებაზე (ლომთაძე, 2017)

სოციოლინგვისტიკის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებამ წინა პლანზე წამოსწია სოციალური დიალექტების კვლევის საკითხი, რომლებსაც ტერიტორიული დიალექტების გვერდითიკვლევდა ტრადიციული დიალექტოლოგია. ამგვარი კვლევების მზარდმა ინტერესმა სოციალური დიალექტების პრობლემატიკა

თანდათან გამიჯნა ტრადიციული დიალექტოლოგიის კვლევის სფეროსგან და სოციალური დიალექტოლოგიის შესწავლის მთავარ ობიექტად აქცია. სოციალური დიალექტოლოგიის მეთოდები შეესაბამება ჰეტეროგენულ, მულტიკულტურულ ცვლად ურბანულ საზოგადოებას. მისი კვლევის საგანი კი – არაერთგვაროვანი, დიდი თუ მცირე ჯგუფების ენობრივი ცვალებადობის მექანიზმის აღმოჩენაა (ლომთაძე, 2010). შეიძლება ითქვას, რომ სოციალური დიალექტოლოგიის საგანია სოციოლინგვისტური სტრუქტურის აღწერა ერთ ენობრივ საზოგადოებაში. იგი ახდენს იმ ენობრივი ვარიაციების, სოციალური ატრიბუტების, ენობრივი ნორმების კოორდინირებას, რომლებიც ამ ენობრივ საზოგადოებაში დომინირებენ. ამერიკასა თუ ევროპაში სოციალური დიალექტოლოგია საკმაოდ სწრაფად განვითარდა და დღეისათვის იგი აწარმოებს არამხოლოდ სოციო, არამედ კულტურული და ენობრივი ქცევის დეტალურ კვლევასაც. მიღწეული შედეგები წარმოდგენილია ლაბოვის (1972, 1977, 1981), ჩამბერსისა და თრაჯილის (1980), დიტმარის, შლიბენ-ლანჟესა და შლობინსკის (1982), რომაინეს (1980), ლავანდერას (1971, 1981), ფაზოლდის (1984), სანკოვის (1980) და სხვათა შრომებში.

მაკდევიდის მიხედვით, სოციალური დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისათვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი მეტყველებისა, შეპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რწმენითი ფაქტორებით, ანუ, ამა თუ იმ სოციალური ფენის მსოფლგაგებითა და სულისკვეთებით (მაკდევიდი, 1975). აღნიშნული განმარტების მიხედვით, სოციალური დიალექტი არის ენობრივ თავისებურებათა ერთობლიობა, რომლებიც დამახასიათებელია რომელიმე სოციალური (პროფესიული, წოდებრივი, ასაკობრივი, რელიგიური) ჯგუფისათვის მოცემული ეროვნული ენის ფარგლებში. სოციალური დიალექტები განიხილება როგორც საერთო-სახალხო ენის ერთ-ერთი ცალკეული სისტემა, ანუ სუბსისტემა. სოციალურ დიალექტებში ერთიანდება მეტყველების ეთნიკური, რელიგიური, პროფესიული, ასაკობრივი თუ გენდერული ფაქტორით შეპირობებული დიფერენციაციები.

ბონდალექტოვი სოციალური დიალექტის დეფინიციისას აღნიშნავს, რომ სოციალური დიალექტების დანიშნულებაა, დააკავშიროს განსაზღვრულ სოციალურ თუ პროფესიულ დაჯგუფებაში შემავალი პირები, გააერთიანოს წევრები ერთ კორპორაციაში, რომელ-



საც თავისი ინტერესები გააჩნიათ. მაგალითად, პროფესიონალური, სოციალურ-წოდებრივი, ასაკობრივი, კულტურულ-ესთეტიკური და სხვა (ბონდალექტოვი, 1987, 68). სოციალური დიალექტი არ წარმოადგენს მთლიან კომუნიკაციურ სისტემას. ის ხასიათდება სპეციფიკური კონსტრუქციებით, ხოლო გრამატიკური კატეგორიები მთლიანად რჩება ზოგადენობრივი და არასპეციფიკური.

ამდენად, დიალექტოლოგია, როგორც ტერიტორიული და სოციალური დიალექტების შემსწავლელი მეცნიერება სოციოლინგვისტიკის ჩამოყალიბების შემდგომ ფოკუსირებული დარჩა ოდენ ტერიტორიულ დიალექტებზე, რადგან სოციალური დიალექტი ამიერიდან ბევრად უფრო ფართოდ იქნა გაგებული. სოციოლინგვისტიკის კვლევის სფეროში მოექცა სოციალური დიალექტოლოგია, რომლის შესწავლის საგანი სოციალური დიალექტებია. სოციალური დიალექტის პარალელურად თანამედროვე ლინგვისტიკაში გამოიყენება ტერმინი სოციოლექტი.

სოციოლექტი განიმარტება როგორც ენის ვარიანტი, რომელსაც იყენებს ესა თუ ის სოციალური ჯგუფი, როგორცაა სოციო-ეკონომიკური კლასი, ეთნიკური, რელიგიური, ასაკობრივი, გენდერული ჯგუფი და ა.შ... აქედან გამომდინარე, სოციოლექტიც საკმაოდ ფართო ცნებაა, რომელიც თავის ქვეშ აერთიანებს როგორც სოციალური, ასევე ეთნიკური, რელიგიური, პროფესიული, ასაკობრივი თუ სხვა ნიშნით გამოყოფილ ლექტებს.

თრაჯილი სოციოლექტს განმარტავს, როგორც ნაირსახეობას ან ლექტს, რომელიც დაკავშირებულია მოსაუბრის სოციალურ და არა გეოგრაფიულ ფონთან. სოციალური კლასის დიალექტი წარმოადგენს სოციოლექტს (თრაჯილი, 2003).

თავის ლექსიკონში გლუკი შედარებით ვრცლად განიხილავს სოციოლექტს და აღნიშნავს, რომ სოციოლექტი არის ერთ-ერთი სოციალური ჯგუფის ენობრივი თავისებურებების ერთობლიობა. იმისათვის, რომ ყოველი ვარიანტი არ ჩაათვალოს სოციოლექტად, ჯგუფი არამხოლოდ ენობრივად, არამედ სხვაგვარადაც უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მაგ., საერთო ჰობი, საერთო სამუშაო ადგილი და სხვა. სოციოლექტები განსხვავდებიან მხოლოდ განსაზღვრული ენის ფორმის გამოყენების სიხშირით, რომელთა აღწერაც ცვალებადობის წესებით ხდება (გლუკი, 2005).

ტერმინი სოციოლექტი გამოიყენება ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. სტოკველი აღნიშნავს, რომ სოციოლექტი ფართო მნიშვნელობით განიმარტება როგორც ლინგვისტური გამოყენების სოციალური ჟანრის სახე. მოცემული განსაზღვრება მოიცავს გაზეთის სტატიის ენას, ამინდზე საუბრის ენას, აკადემიურიპროზის ენას, რეცეპტის ენასაც კი მზარეულის წიგნში და სხვა. ასეთ შემთხვევებში ტერმინი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ზოგადი სახელწოდება ადამიანთა სოციალურ განკერძოებაზე დაფუძნებული სხვადასხვა ენობრივი და ჟანრობრივი წარმონაქმნისათვის. ის შეიცავს ენის არსებობის ძირითად ფორმებს (მაგ., ლიტერატურული ენა და დიალექტები), რომლებიც განიხილება როგორც ენის სოციალური დონეები (სტოკველი, 2005).

ტერმინი სოციოლექტი ასევე შეიძლება გავიგოთ ვიწრო მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში ის იგივეა, რაც არგო, ჟარგონი. ჩემოდანოვი სოციოლექტის დეფინიციისას, აშკარად ვიწრო მნიშვნელობას იყენებს, როცა ამბობს, რომ სოციოლექტი არის სოციალური ჯგუფის ენა, პროფესიული ენა, ჟარგონი, რომლის სპეციფიკაც ვლინდება, პირველ რიგში, ფონოლოგიურ და სემანტიკურ დონეებზე (ჩემოდანოვი, 1975, 16).

თუ შევაჯამებთ ზემოაღნიშნულ დეფინიციებს, თითქმის ყველა მეცნიერი სოციოლექტში შემავალ ერთეულებად გამოყოფს ჟარგონს, არგოს, სლენგს, ეთნოლექტს, რელიგიურლექტებს და ასე შემდეგ, რომლებიც ერთი ენის ფარგლებში არ არიან გეოგრაფიულად შემოსაზღვრულნი.

აღსანიშნავია, რომ სოციოლინგვისტიკისა და სოციალური დიალექტოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება, იმ პერიოდში იწყება, როცა საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილია. საბჭოთა ენათმეცნიერებაში კი სოციალური დიალექტოლოგია საკმაოდ ნელა ვითარდებოდა, რაც კვლევის საკითხთა არაპრესტიჟულობით უნდა აიხსნას. სწორედ ამიტომ ქართულ დიალექტოლოგიას, რომელსაც სერიოზული და ნაყოფიერი ტრადიციები აქვს ტერიტორიული დიალექტების შესწავლის თვალსაზრისით, სოციალური დიალექტების კვლევის მხრივ, მხოლოდ ერთეული ნაშრომები მოუპოვება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ფაქტს გარკვეული კანონზომიერება აქვს, რადგან საბჭოთა პერიოდში სოციალური დიალექტების საკითხი თითქმის არ იდგა სამეცნიერო კვლე-

ვის დღის წესრიგში მათი საზოგადოებრივი მარგინალიზაციის გამო. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ენათმეცნიერთა ნაწილი ტერიტორიული დიალექტების შესწავლისას სოციალურ დიფერენციაციას გვერდს ვერ უვლიდნენ (ლომთაძე 2010). ამიტომ, ფრაგმენტულად ამ ერთეულებზე მითითება და დახასიათება გვხვდება ნ. მარის (1934), ჩიქობავას (1952), ჟირმუნსკის (1964), ლარინის (1977), ფოჩხუას (1974), ჯორბენაძის (1989, 1997) და სხვათა შრომებში.

მიუხედავად იმისა, რომ სოციოლექტების მეცნიერულიშესწავლა უკვე თითქმის მთელი საუკუნეა გრძელდება, სოციოლექტებში შემავალ ერთეულთა ტერმინოლოგიური პრობლემები, ზოგჯერ-საზღვრები მათ შორის ჯერ კიდევ დაუდგენელია. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სადავო ტერმინები ჟარგონი, არგო და სლენგი, რომელთა გამოყენების შემთხვევები საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქვეყნების მიხედვითაც კი განსხვავებულია. ზოგჯერ-მათ შორის ტერმინოლოგიური სხვაობა თვალსაჩინოდაა წარმოჩენილი, ზოგჯერ კი ისინი ერთმანეთის მიმართ სინონიმებად გამოიყენება. ფრანგულ, რუსულ, ქართულ, ამერიკულ თუ სხვა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული არგოს, ჟარგონისა და სლენგის საზღვრები ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა (იხ. ჯაში, 1999, სიორიძე, 2008, ლომთაძე 2005, 2010). მაგალითად, ფრანგულში ტერმინი არგო ბევრად ფართოდ გამოიყენება, რუსულში - ჟარგონი, ინგლისურში - სლენგი. ჩვენთვის აღნიშნული ტერმინები სინონიმური არ არის და მათი საზღვრებიც შემოფარგლულია. არგოს აუცილებელი, კონკრეტული მახასიათებელია კომუნიკაციის საგნის დაფარვა, მაგალითად, კრიმინალების, ნარკომანების არგო, ასევე, სკოლის მოსწავლეთა არგო, როდესაც ისინი სპეციალურ სიტყვებსა და გამოთქმებს კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით ქმნიან. რაც შეეხება ჟარგონს, იგი უფრო პროფესიასთან ასოცირდება, ან ასაკობრივ ჯგუფებთანაც, მაგალითად, სტუდენტების, პროგრამისტების და ა. შ თუმცა არგოსაგან განსხვავებით ჟარგონისათვის კომუნიკაციის საგნის დაფარვა არ არის დამახასიათებელი, ჟარგონისათვის ეკონომიურობა და ემოციურ-ექსპრესიულობა არის წამყვანი. სწორედ ამიტომ უმეტეს სპეციალობებში გავრცელებულ პროფესიონალიზმებს, ჩვენ განვიხილავთ როგორც პროფესიულ ჟარგონებს. სლენგი კი ძირითადად ყოველდღიურ მეტყველებაში გავრცელებული არაოფიციალური სიტყვებია, რომელსაც თითქმის ყველა ასაკისა და ფენის

წარმომადგენლები იყენებენ. სლენგში გავრცელებული სიტყვების დიდი ნაწილი ნეოლოგიზმებია, რომლებმაც ჯერ ვერ მოიპოვეს ოფიციალური სტატუსი, თუმცა ბევრი მათგანი შეიძლება დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაშიც. სლენგის გამოყენება საკმაოდ მოდურია. თუ რამდენიმე წლის წინ გლუტონიმთა უმეტესობა სლენგურ ლექსიკად ითვლებოდა, დღეს უკვე ისინი ენის კუთვნილებად იქცა.

ძალიან ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში პროფესიული ჟარგონი და დარგობრივი ლექსიკაც არ არის გამოიჯნული ერთმანეთისაგან. როდესაც ბონდალექტოვი პროფესიულ ენებში ასახელებს მაგალითად, მეთევზეების, მონადირეების, ქოთნების დამამზადებლების, ხე-ტყის გადამამუშავებლების, ფეხსაცმელების, აგრეთვე სხვახელნაკეთობების და პროფესიების წარმომადგენლეთა ლექსიკას – უნდა გვახსოვდეს, რომ მათი უმეტესობა დარგობრივი ლექსიკის კუთვნილებაა, რომლებიც სხვაობს გეოგრაფიული არეალის მიხედვით. დარგობრივი ლექსიკა მხოლოდ მაშინ ხდება სოციოლექტში შემავალ ერთეულთა ჟარგონის ან სლენგის კუთვნილება, როცა ის გარკვეულ სოციალიზაციას განიცდის და მოდური ხდება. მაგ, ნადირობის, მეთევზეობის, ან სათხილამურო სპორტთან დაკავშირებული ერთეულები დღეს უფრო სლენგის ან ჟარგონის კუთვნილი სიტყვებია, ვიდრე დარგობრივი ლექსიკური ერთეულები, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მეფუტკრეობის ან მესაქონლეობის ან სხვა დარგის ლექსიკაზე. ისინი დიალექტოლოგიის კვლევის საგანია და არა სოციალური დიალექტოლოგიისა.

დიალექტოლოგიასა და სოციალურ დიალექტოლოგიას, მათი კვლევის ობიექტებს აქვთ საერთო ნიშნები:

ა) დიალექტოლოგიაცა და სოციალური დიალექტოლოგიაც შეისწავლის სალიტერატურო ენის რომელიმე ვარიაციულ სისტემას. როგორც ტრადიციული დიალექტოლოგია, ასევე სოციალური დიალექტოლოგიასთან დარტული ენისაგან განსხვავებულ, არანორმირებულ ფონოლოგიურ, გრამატიკულ და ლექსიკურ ერთეულებს სწავლობს. ანუ ერთეულებს, რომლებიც სალიტერატურო ნაირსახეობისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ორივე მათგანის საკვლევობიექტი სალიტერატურო ფონდისაგან ცალკე მდგომი სიტყვებია, რომლებიც გარკვეულ პლასტებს ქმნიან ეროვნული ენის ლექსიკურ ფონდში.

ბ) დიალექტიკა და სოციოლექტიკ ხშირად ხდება სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო.

რაც შეეხება განსხვავებას, კონკრეტულ მახასიათებლებს, ესიც ხელშესახება:

ა) სოციალური დიალექტოლოგია იწყებს ურბანულ სივრცეში ენობრივი ვარიაციის კვლევას, მაშინ, როცა დიალექტოლოგია სწავლობს ლინგვისტური ცვლილებების გეოგრაფიულ გადანაწილებას.

ბ) დიალექტური მეტყველება შედარებით დაბალი პრესტიჟის მატარებელია, ხოლო სოციოლექტების გამოყენება უმეტეს შემთხვევაში დაბალ პრესტიჟს არ უტოლდება. პირიქით, იგი უმეტესად გამოყენებულია როგორც საზოგადოების ამა თუ იმ ფენის ან ჯგუფის მაღალი პრესტიჟის გამოსახატავადაც.

გ) ტერიტორიული დიალექტები შეიძლება თავად მოგვევლინონ ენებად, რისი შანსიც ნაკლებად აქვს სოციალურ დიალექტებს. ეს უკანასკნელი შეიძლება საფუძვლად დაედოს სალიტერატურო ენას, მაგრამ დამოუკიდებელ ენად ქცევის შანსი ნაკლებია.

დ) დიალექტოლოგია სწავლობს ტერიტორიული დიალექტებისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ ასპექტებს, ხოლო სოციალური დიალექტოლოგია გარკვეული სოციალური ცვლადების – ეთნიკურობა, რელიგია, სქესი, განათლება და ა. შ – მიხედვით განსხვავებულ ფორმებს. ანუ, ისევე როგორც დიალექტოლოგები იკვლევენ, თუ როგორ განსხვავდება ამა თუ იმ დიალექტის მეტყველება სტანდარტული მეტყველებისაგან, ასევე სოციალური დიალექტოლოგების კვლევის მიზანია განსაზღვროს რამდენად განსხვავდება ამა თუ იმ სოციალური კლასის მეტყველება სტანდარტული მეტყველებისგან.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**თ. ლომთაძე**, ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი., 2005.

**თ. ლომთაძე**, თანამედროვე ქართული სოციოლექტები, თბილისი, 2010, გამომხველობა „მერიდიანი“

**თ. ლომთაძე**, (თანაავტორები: გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, თ. ლომთაძე, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე), ახალი ქარ-

თული ენა, დიალექტების მორფოლოგია, კრებსითი ანალიზი, თბილისი 2017, თსუ გამომცემლობა

**მ. სიორიძე**, ახალგაზრდული სლენგი თანამედროვე ფრანგულენაში, საენათმეცნიეროპიებანი, XXVI, თბ., 2008.

**ბ. ფოჩუა**, ქართულიენისლექსიკოლოგია, თბ., 1974.

**არნ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

**ქ. ჯაში**, არგოს ზოგადი ტიპოლოგია, ენა, თარგმანი, ლიტერატურა, ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. II – III, თბ., 1999.

**ქ. ჯაში**, თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი ადგილი ფრანგულ არგოთა სისტემაში, ენა, თარგმანი, ლიტერატურა, ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. II – III, თბ., 1999.

**ბ. ჯორბენაძე**, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

**ბ. ჯორბენაძე**, ენა და კულტურა, თბ., 1997

**Блумфилд Л.**, Язык, Москва, 1968.

**Бондалетов В. Д.**, Социальная лингвистика, Москва, 1987.

**Жирмунский В.**, Национальный язык и социальные диалекты, Ленинград, 1964.

**Макдэвид. Р. Мл.**, Диалектные и социальные различия в городском обществе, Новое в лингвистике, выпуск VII, Социолингвистика, Москва, 1975.

**Март Н. Я.**, Яфетическая теория, общий курс учения об языке, избранные работы, Москва-Ленинград, 1934.

**Чемоданов Н.С.**, Проблемы социальной лингвистики в современной языкознании, Новое в лингвистике, вип VII, социолингвистика, Москва, 1975.

**Chambers J., Trudgill P.**, Dialectology. Cambridge, 1980.

**Dittmar N.**, “Soziolinguistik – Teil I” In: StudiumLinguistik 12, Düsseldorf, 1982.

**Dittmar N., Schlieben-Lange B., Schlobinski P.**, “TeilkomentiereBibliographiezurSoziolinguistik von Stadtsprachen”. In: K.-H. Bausch (ed.): Mehrsprachigkeit in der Stadtregion. Düsseldorf, 1982.

**Fasold R.**, The Sociolinguistics of Society. Oxford. 1984.

**Hudson R. A.**, Sociolinguistics. Cambridge, 1980.

**Labov W.**, Sociolinguistics Patterns. Pennsylvania, 1972.

**Lavandera B.**, “Sociolinguistics”. In: Posner, R./J. N. Green (eds.): Trends in Romane Linguistics and Philologi, Vol.2, Synchronic Romane Linguistics, 1981.

**Mattheier K.**, Pragmatik und Soziologie der Dialekte. Heidelberg, 1980.

Mertzerlexikon Sprache, Cluck, 2005.

**Romaine S.**, “A Critical Overview of the Methodology of Urban British Sociolinguistics”. In: Görlach, M. (ed.): English World-Wide. Heidelberg 1980.

**Romaine S.**, Socio-historical Linguistics. Its Status and Methodology. London, 1982.

**Romaine S.**, Language in Society. Oxford: University Press, 1994.

**Schlobinski P.**, Jugendsprache. Fiktion und Wirklichkeit. Opladen, 1993.

**Stockwell P.**, Sociolinguistics: A resource book for students. London and New York: Routledge, 2005.

**Trudgill P.**, A glossary of Sociolinguistics, Edinburg University Press. 2003.

Wahrig Deutsche Wörterbuch, 2002.

[https://en.wikipedia.org/wiki/Basil\\_Bernstein](https://en.wikipedia.org/wiki/Basil_Bernstein) 08.08.2020

## ნ ა თ ე ლ ა მ ე ლ ი ქ ი ძ ე

### ხერთვისის ანთროპონიმია

(„გურჯისტანის ვილაიეთის დიდდავთარის“ მიხედვით)

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდდავთარმა“ შემოგვინახა XVI საუკუნის (1595 წელი) სამხრეთ საქართველოში გავრცელებული ანთროპონიმები. ოსმალთა აღწერილი მოსახლეობის მიხედვით შედგენილ საბევრო დოკუმენტში ოჯახის უფროსები მოხსენებული არიან: სახელით, სახელითა და მამისახელით, სახელითა და ძმის სახელით, იშვიათად ორი სახელით, ან მარტო მამის სახელით, ან პაპის სახელით.

„დავთარისდროინდელი“ დარაიონება განსხვავებულ სურათს ქმნის თანამედროვე დარაიონებასთან შედარებით. „დავთარი“ ახალციხის, ხერთვისისა და ახალქალაქის ლივებში მოიაზრებს ასპინძის, ჭაჭარაქის, ხერთვისის, ტყიანი ჯავახეთის, ბუზმარეთის, თმოგვისა და ნიალისყურის რაიონებს. ხერთვისის ლივის ხერთვი-

სის რაიონს მიეკუთვნება: ხერთვისის ციხის რაბათი, როკეთი, ხიზა-ბავრა, დადეში, აწკუტა, ტოლოში, თოლერთა, ნიჯგორი, ქუნცა, ბნა-ლა, კვარშა, ალანძია, კულულეთი, გომი, შალოშეთი, გელსუნდა, იფნიეთი, სართ, ოსკერია, ხიზა და ფია. ამჟამად ხერთვისი ასპინძის მუნიციპალიტეტის, ტოლოშის თემის, ერთ-ერთი სოფელია, რომელშიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად 1944 წელს ჩამოსახლებული მთიულებიც ცხოვრობენ.

„დიდ დავთარში“ **სოფელი ხერთვისის ციხის რაბათი** წარმოდგენილია 129 ოჯახით. ჩვენი მიზანია, ამ დოკუმენტის მიხედვით ვიკვლიოთ ხერთვისის მკვიდრთა სახელები, რომლებიც შემდგომ დაედო საფუძვლად გვარებისა და მეტგვარების ჩამოყალიბებას.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ამ ხევს ზეით (გულისხმობს შულავრის ხევს, რომელიც მ.ბერიძის აზრით, ისტორიულად ამ ხეობაში არ დასტუდება და ერთგვარად გადააზრებულია), ხერთვისის ერთვის ჯავახეთის მდინარე მტკუარი, რომელსა უწოდებენ ჯავახეთის მტკურად. ხერთვისს არს კბიდი მტკუარსა ზედა“ (ვახუშტი 1973, 667). ხერთვისი ს.ს.ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც „ზღვათა და წყალთა საშუალ ადგილი ხმელი“ (ს.ს.ორბელიანი 1993, 421). ძველი ტექსტების დამოწმებით ა.შანიძემ გაარკვია, რომ ხერთვისი აღნიშნავდა როგორც დღევანდელ კუნძულს, ისე ნახევარკუნძულსაც, რომელთა დიფერენციაცა მაშინ არ არსებობდა. „მიუხედავად ამისა, – წერს ა.შანიძე, – ხერთვისი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ნახევარკუნძული და არა კუნძული, თანაც ისეთი ნახევარკუნძული, რომელიც ორი მდინარის შეერთებით (ან მდინარის ზღვასთან შერთვით) არის წარმოდგენილი. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საზოგადო სახელი ხერთვისი საკუთარ სახელად იქცა ქართულში და გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ამოყო თავი“ (ა.შანიძე 1981, 272). კავკასიის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფლების გამოცემულ ხუთვერსიან რუკაზე ხუთ სხვა ხერთვისთან ერთად აღნიშნულია ხერთვისი იქ, სადაც მტკვარს ახალაქალაქის წყალი ერთვის. ა.შანიძის აზრით, ხერთვისს ეტიმოლოგიური კავშირი აქვს ერთვის ზმნის ფორმასთან, რომელიც ვნებითია თავისი წარმოებით და დამატება აქვს მიცემითში – ერთვის მას (ა. შანიძე 1981, 275). ა.ფრონელი აღფრთოვანებულია ხერთვისის „თვალწარმტაცი“ მდებარეობით: შეფენილია ტიტველი კლდის ფერდობზე, კობტა სახლები კიბე-კიბეა აშენებული და ამფითეატრივით მალლა,



კლდის წვეროსაკენ მიდის“ (ა.ფრონელი 1991, 165). ხერთვისის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ე. თაყაიშვილს უწერია, რომ „ხერთვისი იყო ქალაქი და პირველხარისხოვანი ციხე, რომელიც იცავდა ჯავახეთიდან სამცხისაკენ მიმავალ გზას“ (ს. ჯიქია 1958, 243).

„დავთრის“ მიხედვით, ხერთვისის მცხოვრებნი არიან: ველი ყაბდუ-ლ-ლაჰისძე, რიდვარ ყაბდუ-ლ-ლაჰისძე, ამირან, შელალა ძე მისი, სარგის ძმა მისი, დიაკონ მოსესძე, ხოსიკ დავითანისძე, ყუბად ჯემალისძე, გაბრიელ ძე მისი, პაპუ გრიგორისძე, მელიქა ძმა მისი, მაზანა გოგორისძე, ზაქარა, გოგი ბაჭასძე, გრიგორ ძმა მისი, სარგის მელიქი, შაჰრუხ ყარუყასძე, ჰანეს, ყანდუ ვილალისძე, აზარა ძმა მისი, ხაჩატურ ჰაირაპეტისძე, მურვან ძმა მისი, ბატატა ხაჩატურისძე, ბაგრატის შვილიშვილი, მიტიჩ ძმა მისი, ზამუკა ძე მისი, ყუბად ყურასძე, სარგის ძე მისი, პაპუ, ობალა და მისი ძმა, უმიკა ხანდამასძე, ასვატურ ძმა მისი, ნავსოს შვილიშვილი, გოგიჩა ჰათელასძე, ხოსიკ ძმა მისი, როსაფა და მისი ძე ვარძელ, ყუზან, ვარძელ ბეჟანისძე და მისი ძმა ელია, ძმები: ზადიკ და ემირგულ; ვარაზგულ, პაპუ მაზმანისძე, გულო ძმა მისი, აბესალომ ძე მისი, ზათელისძე, ვარძელ ძე მისი, სორაზან ვარდენისძე და მისი შვილები: ღარიბა და მაზან, ბადურ გულბეგისძე, ბადუკა სუხასძე და მისი შვილი ლომდარა, აბო ზააქისძე, ვარძელ შაჰყუბადისძე, ბატატა ყაითმასისძე, ხარეზა, იარაზიზ გიტოსძე, ხაჩატურ სორაზანისძე, გურასფა მოსესძე და მისი ძმა ზარასფა, სუმბატა ელიაზარისძე, ღონენა მათათასძე, მაზან, გაბრიელისძე და მისი ძმა ხაჩატურ, მაზანა, გრიგორ მღვდელი, ზაქარა, აბრამ მაზანასძე, კირაკოს ყანდუსძე, ზამუკასძე, მურვან ბაბელისძე და მისი ძე ოტია, ზამუკა ბაგრატისძე, მამუკა მიტიჩისძე, ვარძელ და ძმა მისი, პაპუ, მეტისა ყუბადისძე, აბო ზერეკასძე და დათუ ძე მისი, ბაინდურ აბოს ძმა, ძმები: გულაზა, ბატატა და ასვატურ; გრიგორ, სახელად გიორგი, ბაინდურ როსთევანისძე, გოგიჩა, სარგის, სახელად ზურაბა, ხაჩატურ ზადიკისძე, ბატატა კირაკოსისძე, სახელად ზაქარა, აბესალომის ძმა, ვარძელ და მისი ძე პაპუ, ველიჯან, ზარასფა, ხოსიკ კარიჭასძე, ნათა, უმიკ მიკირტიჩისძე, სახელად დალიქ და მისი ძე ზამუკა, ვარძელ, გოგინა ხარაბისძე, მოსე მღვდელი და იაკობ ქაქუჩასძე (ს. ჯიქია 1958, 173).

ხერთვისის ციხის რაბათის თოთხმეტი კომლის უფროსის სახელის ამოკითხვა სრულად ვერ მოხერხებულა, ზოგიერთის მამისახელი გაურკვეველია (ნათა, სახელად ბაგრატა, სახელად ზურაბა...),

ზოგი მხოლოდ მამისახელითაა წარმოდგენილი (**ზათელისძე**), ორსაც პაპისახელით ვეცნობით (**ბაგრატის შვილიშვილი, ნავსოს შვილიშვილი**).

ხერთვისელებს შორისაა **გაბრიელი** (ყუბად ჯემალისძის ვაჟი) და **გაბრიელისძე**. გაბრიელი დაფიქსირდა ზემო ოშორაში (ს.ჯიქია 1941, 144). **გაბრიელის შვილიშვილს** უცხოვრია ფანაკეთში (ს.ჯიქია 1941, 241), **გაბოს** – აგარაში (ს.ჯიქია 1941, 145), **გაბუასძეს** – ზემო ზურზველში (ს.ჯიქია 1941, 132). გაბრიელი ძველებრაულიდან მოდის და სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ჩემი ძალა ღმერთია“. მისი შემოკლებული და მოფერებითი ფორმებია: გაბრო, გაბო, გაბილა. ამათგან წარმოქმნილი გვარებია: გაბრიელაშვილი, გაბრუაშვილი, გაბრაშვილი, გაბრიაძე, გაბოძე, გაბოშვილი, გაბიაშვილი, გაბიანი, გაბლიანი, გაბლიშვილი, გაბილაია, გაბელაია, გაბელია (ზ. ჭუმბურიძე 1992, 103). გაბრიელიძეები და გაბუაძეები ამჟამად ასპინძაში არ არიან, მაგრამ გაბრიელი, გაბრო და გაბო პირსახელებად დასტურდება. ტოპონიმებში კი შემორჩენილია: **გაბოს სათიბი, გაბობიჩანგები** (მ.ბერიძე 2011, 197).

ხერთვისში **ყუბად** ჯემალისძეს და ყუბად ყურასძეს უცხოვრიათ. ვარძელ **შაყუბადისძეც** ხერთვისის მკვიდრია. ხოსიკ ყუბადისძე ფიქსირდება წუნდაში, **ქეიყუბადისძე** – ქვემო ნიალასა და დუმელიაში. ვფიქრობთ, ეს სახელი უნდა უკავშირდებოდეს ებრაულ ყოვადიას (ყოზადია), რომელიც ითარგმნება, როგორც „მონა უფლისა“ (ი. გაგულაშვილი 1993, 123). ა. ლლონტის სახელთა ლექსიკონი იცნობს ყოზიას და ყოვაის (ა. ლლონტი 1967, 139). ყუბადისგან მომდინარე გვარები ქართულში არ დასტურდება.

ძველებრაული სახელია **ზაქარია**, „ღვთის მიერ დაუვიწყარ“, სხვანაირად: „ღვთის მსახურს“ ნიშნავს. მისი მოფერებითი ფორმებია ქართულში: ზაქრო, შაქრო, შაქარა... მათგან ნაწარმოები გვარები: ზაქარიაძე, ზაქრადე, ზაქარაია, შაქარაშვილი, ზარქუა (< ზაქრუა) (ზ. ჭუმბურიძე 1992, 114). სამი **ზაქარა** და ერთი **ზააქისძე** გვხვდება ხერთვისში. სოფელ ვაშლობშიც სამ ზაქარას უცხოვრია (ს. ჯიქია 1941, 244), ზაქარა მღვდლის შვილს ჰქვია საროში (ს. ჯიქია 1941, 187), ზაქარა ჩოკასძე დუმელიელია (ს. ჯიქია 1941, 252), **ზაქარასძეა** ჭობარეთში (ს. ჯიქია 1941, 159). ერთი შეხედვით, ხერთვისის ციხის რაბათში დადასტურებული ზააქისძე (/ზაქისძე) ზოონიმიდან მომდინარე სახელს ჰგავს, მაგრამ რომ ნამდვილად ზაქარიასაგან მო-

დის, ამას ზურგს უმაგრებს ა.დლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონში ზაქას, ზაქრიას, ზაქეს, ზაქუს, ზაქუტას არსებობა (ა. დლონტი 1967, 81). შდრ. გვარი ზაქაიძე < საკსახელი ზაქა, შემოკლებით ზაქარია (ი. ახუაშვილი 1994, 353). შაქრო, მართალია, ზაქარიას მოფერებით ფორმად მიიჩნევა, მაგრამ ზ.ჭუმბურიძე ფიქრობს, რომ „შეიძლება მისგან დამოუკლებლად იყოს წარმოქმნილი“ (ზ. ჭუმბურიძე 1992, 148). **შაქარა შაქარასძე** და ბატატა შაქარასძე ხიზაბავრაში კომლთა უფროსები არიან (ს. ჯიქია 1941, 176). რომანოზ შაქარასძე საროს მკვიდრია (ს. ჯიქია 1941, 187), ორი შაქარა დასტურდება თმოგვის ციხის რაბათში (ს.ჯიქია 1941, 241). შესაძლებელია, შაქრო/შაქარა მოდიოდეს: ა)ებრაული შახარ ფორმიდან („ცისკარი, განთიადი, აისი“- ი. გაგულაშვილი 1993, 124), რადგან ზაქარიაც ებრაული გახმოვანებით არის ზახარ; ბ) მეტსახელიდან, რომელიც ტკბილ, დათაფლულ ადამიანზე მიანიშნებს. შდრ. შაქარა ვაშლი – ტკბილი წითელი ვაშლის ჯიშ.

ხერთვისში დოკუმენტირებულია **მაზანას** რამდენიმე ფორმა: მაზან, მაზანა, მაზანასძე და მაზმანისძე. გარდა ამისა, მაზანა დაფიქსირებულია ზემო ოშორაში, თოლერთაში, ნიჯგორსა და ხიზაბავრაში. **მაზანასძე** გვხვდება აწყვიტაში, ხიზაბავრასა და ქუნცაში, **მაზანისძე** – თმოგვის ციხის რაბათში, **მაზარ** – საროში, **მაზნია** – კორისხევში (ს. ჯიქია 1941, 253). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „მაზანა მამულით ერგო უცხო პირს; მაზანა, სახუნდარს მცხოვრები პაპია და დოლმაზა შანშიაშვილების გაყრის დროს ერგო დოლმაზს; გულეულს მცხოვრები მაზანასშვილი მამულით წილად ხვდა როსტევეან ჯანიაშვილს; მაზია, ჯიშითელი, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს; მაზმანისშვილი ვარძიელა წილად ხვდა ქაიხოსრო ციციშვილს; მაზმისშვილი ყანდუა მოწმეა მიწის ნასყიდობის წიგნისა...“ (პალ 2004, 5-7). ი.მაისურაძეს დასახელებული აქვს: მაზავრიშვილი, მაზავრაშვილი, მაზანაშვილი, მაზაშვილი, მაზიაშვილი, მაზმანიშვილი (ი. მაისურაძე 1990, 99). ამჟამად **მაზაშვილები** და **მაზმიშვილები** ცხოვრობენ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში; გავრცელებული შტოგვარია **მაზიენი/მაზათი** (მ. ქუქჩიშვილი 2007, 176). სავარაუდებელია, რომ სწორედ ხუთი საუკუნის წინათ მაზანამ და მაზანასძემ დაუდო სათავე მაზაშვილებს. მაზან, მაზარ, მაზნია, მაზანასძე, მაზანისძე უნდა უკავშირდებოდეს ებრაულ ფუძეს – მაზალ („ბედნიერება“- ი. გაგულაშვილი 1993, 130), რომელიც „დავთრის“ სახელებში ნარნარა ბგერების ცვალებადობით და

განსხვავებული სუფიქსებით გვხვდება (მაზალ > მაზან > მაზნია; მაზალ > მაზარ > მაზვარ). რაც შეეხება მაზმანისძეს, ის მოხელობის სახელიდანაა ნაწარმოები: მაზმანი საბასთან განმარტებულია, როგორც „ბალნის მსთველი, ბალნის მგრეხელი“ (ს.ს. ორბელიანი 1991, 428).

ხერთვისელთაგან, ვისაც მაზანა ჰქვია, ერთი **გოგორისძეა**. „მესხურ მატიანეზე“ დაყრდნობით, ი.მაისურაძე აცხადებს, რომ XVII საუკუნეში ცნობილი იყვნენ როინ, ბერი, ზურაბ, ბეჟან **გოგორიშვილები**. ცხოვრობდნენ ციხისჯვარში, გადასახლდნენ იმერეთსა და გურიაში (ი. მაისურაძე 1990, 48). „მცხეთის საბუთებში“, რომელიც აშუქებს მესხეთის ტერიტორიაზე მდებარე მცხეთის საკათალიკოსოს საეკლესიო და სხვა მამულების გამო ატეხილ დავას XV-XVI საუკუნეებში, დაფიქსირებულია, როგორ იმარჯვეს გოგორიშვილებმა და თავიანთი ყმების დახმარებით არ დაუთმეს მგელციხე თურქებს: „ამავე ქორონიკონსა, მარიამობისთუეს ზ, ხუთშაბათსა დღესა ხუანთქარის ლაშქარი და ლალაფაშა მგელციხეს მოადგეს, შეიბნეს. სამშაბათამდის ყოველ დღით ომში იყუნეს ციხიანი. გოგორიშვილი როინ და მისი ძმა-ბერი ერუშნელი და მისი ძმისწული ზურაბ იყუნეს, მათის ყმითა და ღთის შეწევნით უკუყარნეს და ციხე ჩ-ნვე დაგურჩა: ჩუნთა გაემარჯუა“ (ქრ. შარაშიძე 1961, 47). გოგორიშვილები, გოგორიშვილები ამჟამად ხერთვისსა და საერთოდ ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ გვხვდებიან, სამაგიეროდ, ტოპონიმია შემოინახა მათი ხსოვნა: **გოგორიშვილის/გოგორიშვილის ქალა** – საყანეები, სათიბი ჭობარეთში; **გოგორიშვილიქალის მზიგული** – სამოვარი, ქალა (მ. ბერიძე 2011, 198).

XVI საუკუნის მიწურულს ხერთვისის ოჯახის უფროსები არიან: **ხოსიკ** კარიჭასძე, ხოსიკ დავითანისძე და ხოსიკ ჰათელასძე (გოგიჩას ძმა). ეს პირსახელი საფუძვლად უდევს გვარსახელებს: ხოსიური, ხოსიაშვილი, ხოსიტაშვილი. ეს უკანასკნელი მითითებული აქვს ი.მაისურაძეს ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშენში (ი. მაისურაძე 1990).

**ვარძელი** ფართოდ გავრცელებული სახელია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, რომელიც უნდა უკავშირდებოდეს ტოპონიმ **ვარძიას**. ზ.ჭუმბურიძე ძველ ქართულში ადგილის სახელწოდებიდან ნაწარმოებ პიროვნულ სახელებში (ბირთველ, ორბელ, გაგელ, თორელ) აერთიანებს ვარძელს (ზ. ჭუმბურიძე 1992, 71). მ.ბე-

რიძის აზრით, ვარძელი ვარძიიდან წამოსულ კაცს დაერქმეოდა თავიდან და შემდეგ იქცა საკუთარ სახელად (მ. ბერიძე 2012, 15). ხერთვისის ციხის რაბათში ცხოვრობს ექვსი ვარძელი, მათ შორის ვარძელ ზათელისძე, ვარძელ შაჰყუბადისძე და ვარძელ ბეჟანისძე (ს. ჯიქია 1941, 172-173); ვარძელი გვხვდება როკეთში, ქუნცაში, ერკოტაში, ზველში, სახუდაბელში, ქვემო ოშორაში, ჭობარეთში, ნიჯგორში, შალოშეთში, საროში, თმოგვში, ინდუსაში, აწყვიტაში, თოლერთაში და ა.შ. ა. ლლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ გვხვდება ვარძელის სხვადასხვა მწარმოებლიანი ვარიანტები: ვარძელა, ვარძიელა, ვარძუკა (ა. ლლონტი 1967, 79). ი. მაისურაძეს მესხეთისა და ქართლის რაიონებში დადასტურებული აქვს გვარსახელი ვარძელაშვილი, ამავე ძირისად მიაჩნია: ვარძელაძე, ვარძიაშვილი, ვარძიელი, ვარძუკაშვილი (ი. მაისურაძე 1990, 64). XIX საუკუნის დასასრულს სოფელ ხიზაბავრაში უმოღვაწია მღვდელ მიხეილ **ვარძიელს**, იგივე **ვარძელაშვილს** (ნ. სუდაძე 1998, 71).

ხერთვისის ციხის რაბათში დაფიქსირებულია **სუმბატა** ელიაზარისძე. ნარნარა მ-ნ მონაცვლეობით და ტ-ს გაფშვინვიერებით გვაქვს **სუნბათისძე** ყურაში (ს.ჯიქია 1941, 133), **სუნბატ** - ლეპისში (ს.ჯიქია 1941, 252), **სუმბათასძე** - ხიზაბავრაში (ს. ჯიქია 1941, 175). XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით: სუმბატაშვილის ნაოხარი მამული ზაქარია კათალიკოსმა უწყალობა ელია ზუმბულიძეს; ამირან სუმბატაშვილმა მიჰყიდა ქრისტესა ბეჟანისშვილს ყმები... (პალ 2007, 212). ვფიქრობთ, სუმბატა/სუმბათა ერთი მხრივ, დაკავშირებულია სუმბულა ფორმასთან, მეორე მხრივ - ზუმბა / ზუმბადა / ზუმბულასთან. (შდრ.გვარები: ზუმბადაშვილი, ზუმბულაშვილი. ი. მაისურაძე 1990, 70; ზუმბულაძე - ი. ახუაშვილი 1994, 357). შალოშეთის მკვიდრი, **სახელად ზუმბა**, სწორედ სუმბატას ფორმაცვლილ სახელს ატარებდა (ს. ჯიქია 1941, 185).

**ვარდენისძე** ხერთვისის ციხის რაბათის მკვიდრია (ს.ჯიქია 1941, 172). ვარდენს უკავშირებს ი. ახუაშვილი ვარდუას, ვარდოს (ვარდიკოს), ვარდიას, ვარდიგულას (ი. ახუაშვილი 1994, 344). ზ.ჭუმბურიძის აზრით, ვარდენი შესაძლებელია **ვარდანის** (ირან. „გმირი“ ან „მოქალაქე“) ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენდეს (ზ.ჭუმბურიძე 1992, 112). ჩვენ ვიზიარებთ ი.მაისურაძის მოსაზრებას, რომ **ვარდია**, **ვარდო** ქართული სახელებია და აწარმოებს გვა-

რებს: ვარდიაშვილი, ვარდიძე, ვარდოძე, ვარდიშვილი, ვარდოშვილი, ვარდოკაძე, ვარდოსანიძე (ი. მაისურაძე 1990, 64). **ვარდენა** მოფერებითი სახელია (სოფ. ზველი, ასპინძა), -ენ-ა სუფიქსით გაფორმებული, შდრ. გულენა, ნათენა; **ვარდო**თი მიმართავდნენ მესხეთში უმცროს მაზლებს წინა საუკუნის 40-50-იანი წლების პატარძლები.

ზ. ჭუმბურიძე ხელობისა და თანამდებობის სახელებისაგან წარმოშობილ გვარებში იხსენიებს ეკლესიის მსახურთა სხვადასხვა სახელწოდებისაგან მიღებულ გვარებს: დეკანოზიშვილი, დეკანოსიძე, წინამძღვრიშვილი, მრევლიშვილი, მღვდელაძე, ხუციძე, ხუციშვილი, ნახუცრიშვილი, დიაკონიძე, მაგალობლიშვილი... (ჭუმბურიძე, 1992: 69). ხერთვისის მკვიდრია **დიაკონ** მოსესძე (ს. ჯიქია 1941, 171). აქ „დიაკონ“ საკუთარ სახელადქცეული თანამდებობის სახელია, რომელიც -ა მანთროპონიმებული სუფიქსითაც გვაქვს წარმოდგენილი „დავთრის“ სოფელ ჩუნჩხელში: **დიაკონა** ძმა მისი. ამ სახელმა დაუდო სათავე გვარებს დიაკონიძე და დიაკონაშვილი. ხერთვისში უცხოვრიათ მღვდლებს: გრიგორსა და მოსეს, მაგრამ მათი შვილები ჯერ ოჯახის უფროსებად არ არიან დაფიქსირებული, ისე როგორც ეს ტოლოშის, საროს, ცხეკნელას, ჭობარეთისა და ოთის შემთხვევაშია: ზაქარა **მღვდლის შვილი** გვხვდება ჭობარეთში (ს. ჯიქია 1941, 180), მანასე მღვდლის შვილი - ოთაში (ს. ჯიქია 1941, 146), ზაქარა მღვდლის შვილი - საროში (ს. ჯიქია 1941, 187), ზასილა მღვდლის შვილი - ცხეკნელაში (ს. ჯიქია 1941, 180), ხოლო იოსებ **მღვდლის ძე** - ტოლოშში (ს. ჯიქია 1941, 178). სავარაუდებელია, რომ თანამდებობის სახელიდან მომდინარე მამისახელმა დაუდო სათავე ისეთ გვარებს, როგორიცაა: მღვდლიშვილი (< მღვდლის შვილი < მღვდელი), მღვდლიაშვილი, მღვდლიაძე. შდრ. მეტსახელი **ღვდელა** - „გაუპარსავი, წვერმოშვებული“.

ხუთი საუკუნის წინანდელ ხერთვისში დოკუმენტირებულია საკუთარი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები: -ა (მელიქა, როსაფა, ზაგრატა, ზურაბა, ბაჭა, აზარა, ყურა, ღარიბა), -ან/-ან-ა (მაზან, მაზანა, ყუზან, დავითან), -ალ-ა (შელალა), -ატ-ა (ბატატა, მათათა), -იჩ/-იჩ-ა (მითიჩ, გოგიჩა), -ო (გულო), -უ (დათუ, პაპუ, ყანდუ), -უკ-ა (ბადუკა, მამუკა), -ისა (მეტისა). კომპოზიტური სახელებიდან აღსანიშნავია შაჰ-, -ბეგ და -გულ კომპონენტის სახელები: **შაჰყუბადი**, **ქეიყუბადი**, **ვარაზგული**, **ემირგული**, **გულბეგი**.

ეპითეტური სახელებიდან შეგვხვდა: **სარგის მელიქი, მოსე მღვდელი და გრიგორ მღვდელი.**

„დიდი დავთარის“ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში დადასტურებული პირის საკუთარი სახელები დაედო საფუძვლად გვარებს: **ლონდარიძე** (< ლომდარა), **მაზაშვილი** (< მაზა), **ველიჯანაშვილი** (< ველიჯან), **ვარძელაშვილი** (< ვარძელ), **ნათამე/ნათენაძე** (< ნათა, ნათენა), **დიაკონაშვილი** (< დიაკონ)..., რომელთაგან არცერთი არ დასტურდება ამჟამად ხერთვისში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ახუაშვილი 1994** – ი.ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, I, თბილისი, 1994.

**ბერიძე 2011** – მ.ბერიძე, სოფლები და ნასოფლარები მოგვი-თხრობენ, თბილისი, 2011.

**ბერიძე 2012** – მ.ბერიძე, ზველი და მისი შემოგარენი, ერთი სოფლის ტოპონიმი (1), ახალციხე, 2012.

**გაგულაშვილი 1993** – ი.გაგულაშვილი, ქართული გვარები, ძირითადი ლექსიკური ფონდი; საკუთარი სახელები, ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი, ქუთაისი, 1993.

**ვახუშტი 1973** – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

**მაისურაძე 1990** – ი.მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბილისი, 1979.

**ორბელიანი 1991** – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1991.

**პალ 2007** – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაც. მოამზადეს: გ.ოთხმეზურმა, გ.მჭედლიძემ, მ.სურგულაძემ და სხვ. ტომი შეადგინეს და რედ.გაუკეთეს: მ.სურგულაძემ და დ.კლდიაშვილმა, თბილისი, 2007.

**სუდაბე 1998** – ნ. სუდაბე, სოციალური ვითარება და საგანმანათლებლო საკითხები XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1998

**ფრონელი 1991**– ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბილისი, 1991.

**ქუქიშვილი 2007**– მ. ქუქიშვილი, მეტეგვართა წარმოებისათვის მესხურში (სოფელ ხიზაბავრის მაგალითზე), კრებული „ქართველური ონომასტიკა“, III, თბილისი, 2007.

**ღლონტი 1991** – ა. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1967.

**შანიძე 1981**– ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1981.

**შარაშიძე 1961**– ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბილისი, 1961.

**ჭუმბურიძე 1992** – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი, 1992

**ჯიქია 1941** – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თარგმანი, თბილისი, 1941.

**ჯიქია 1958** – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბილისი, 1958.

## **მერაზ ნაჭყეზია**

### **ლაზური საზღვაოსნო ტერმინოლოგია ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკაში**

ნებისმიერი ერი ცდილობს თავი დაიმკვიდროს მსოფლიო ხალხთა ცივილიზაციაში. თუ ქვეყანას აქვს პრეტენზია, ითვლებოდას დიდი კულტურული მემკვიდრეობის შემქმნელად, მან თავი უნდა წარმოაჩინოს არა მარტო თანამედროვე მიღწევებით, არამედ წარსულით, ტრადიციებით, ადათ-წესებით; განსაკუთრებით ეთნოკულტურის სფეროში, რაც ვლინდება ამ ქვეყნის მოსახლეობის სამე-



ურნეო ცხოვრების განვლილი გზით, რომელიც აისახება მიწათმოქმედებაში, ხელოსნურ წარმოებაში, საცხოვრისის ტიპებში, ტანსაცმელში, მუსიკალურ და კვების კულტურაში, ხალხურ მედიცინაში და ა. შ. ბუნებრივია, ძველი ცივილიზაციის ერებში, რომლებშიც სამართლიანად ითვლება საქართველოც, სამეურნეო ცხოვრების მრავალფეროვნებას თან ახლდა ტერმინოლოგიური მრავალფეროვნებაც; ამ მხრივ ქართული ეთნოკულტურა, რომელიც ქართველი ხალხის, მისი ყოველი კუთხის მკვიდრთა ერთობლივი შემოქმედებაა, მეტად მრავალფეროვან პალიტრას წარმოგვიდგენს. მათი აღნუსხვა, გამომზეურება, დღის სინათლეზე გამოტანა და მივიწყებულ სიტყვა-ტერმინთა გააქტიურება-შეხსენება იმდენად აუცილებელია, რამდენადაც ამას გვიყენებს თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესები. საქმე ისაა, რომ კაცობრიობის განვითარების თანამედროვე მაღალი დონე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება დადებითთან ერთად შეიცავს უარყოფით მხარეებსაც. იგი საფრთხეს უქმნის ტრადიციული დარგების განვითარებას. მივიწყებულია და ფუნქციონირება შეწყვეტა უამრავმა ტრადიციულმა საწარმოო ჩვევამ, მხოლოდ ლექსიკონებსა და ძველ წიგნებში შემოგვრჩა მრავალი სიტყვა, რომელიც ასე აქტიური იყო ჩვენი წინაპრების ყოველდღიურ საქმიანობაში. ტერმინოლოგიური ლექსიკა გახდა უფუნქციო, გაღარიბდა და ხშირ შემთხვევაში მივიწყებას მიეცა კიდევ. თუმცა იძიება ისეთი მარგალიტები, რომელთა გაცოცხლება, მათთვის სულის შთაბერვა აუცილებელია მაშინ, როცა ქართული ენა ასე განიცდის უცხო ენათა ზეწოლას და სრულიად გაუმართლებელი და გაუსაძლისი ხდება ამ ბარბარიზმებით მეტყველი ქართული საზოგადოება.

ამდენად, სამეცნიერო პროგრესმა მოიტანა ის, რომ ტრადიციული დარგობრივი ლექსიკა დღეს უკვე აღარ შეესაბამება თანამედროვე ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონეს. მიმდინარეობს ტერმინთა უნიფიკაციის პროცესი. ივარგება ერის წიაღში არსებული ათეულობით და ასეულობით ისტორიულად ჩამოყალიბებული დარგების აღმნიშვნელი ლექსემები; მათი აღნუსხვა-შესწავლა ლინგვისტური თვალსაზრისით (უპრიანია სხვა მიმართულებითაც) აუცილებელი ხდება. გარდა ისტორიული მნიშვნელობისა, ვინ იცის, ეს მივიწყებული ლექსემები (resp. ტერმინები) როდის დასჭირდება ენას ამა თუ იმ სახელდების სარეალიზაციოდ.

ლაზების დასახლება და მათი მეტყველება საქართველოს ტერიტორიაზე კვარიათიდან იწყება და თურქეთის ტერიტორიაზე მელიათამდე გრძელდება; თუმცა ისტორიულად ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა. ლაზეთი გადაჭიმული იყო შავი ზღვის სანაპიროს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე - ჭოროხის ხეობიდან ტრაპიზონამდე („ტრაპიზონი“ ლაზურად „ტრამტრა“ [ვანილიში, თანდილავა], ძველი ქართველები კი „ხალდეს“ უწოდებდნენ). „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქ. ტრაპიზონი ლაზებით ყოფილა დასახლებული. მომდევნო საუკუნეებში ლაზთა ასიმილაცია მოხდა ჯერ ბერძნების, შემდეგ კი ოსმალების მიერ.

სინონიმური ტერმინები **ლაზი//ჭანი** (აქედან ლაზეთი//ჭანეთი) საუკუნეების მანძილზე ურთიერთმონაცვლეობდა, მაგრამ ისტორიულად ტერმინ **ჭანს** უფრო ვიწრო მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენთვის მისაღებია დებულება, რომლის თანახმად **ლაზი**-ი ისტორიულად აღნიშნავდა ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ მეგრელ-ლაზს, ხოლო **ჭან**-ი მიემართებოდა უფრო მთისწინა ზოლში ან მთაში მცხოვრებ კოლხებს. ამის კვალი ჩანს თანამედროვე ლაზურშიც, როცა არცერთი ლაზი საკუთარ თავს **ჭან**-ად არ მოიხსენიებს, მაგრამ „მისი საცხოვრისიდან მოშორებით, მთაში მცხოვრებს, იმავე ლაზს ზღვისპირელი ლაზი **ჭან**-ს უწოდებს, ხოლო ის, ვისაც ზღვისპირელი **ჭან**-ს ეძახის, მასზე მაღლა სოფელში მოსახლე **ლაზს** ასევე **ჭან**-სახელით მიმართავს... [ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 2015, 10].

ანტიკური თუ ქართული წყაროები ერთხმად მიუთითებენ ლაზებზე, როგორც მეომარ ხალხზე. ისინი სახელმოვჭილი ვაჭრები და მეზღვაურები იყვნენ მთელ აღმოსავლეთში და დიდ მეტოქეობას უწევდნენ ყველა სხვა ტომებს. ყოფილან კარგი გემთმშენებლებიც: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა“ (ვახუშტი, 1964). ოსმალეთის ფლოტში მეზღვაურთა სამ მეოთხედს ლაზები შეადგენდნენ.

ლაზური, როგორც ზღვისპირას მცხოვრები ხალხის მეტყველება, მდიდარია საზღვაოსნო ლექსიკით. წინამდებარე წერილში განალიზებულია **ლაზური საზღვაოსნო ტერმინოლოგია**, რომელიც შემოსულია და დამკვიდრებულია ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ტერმინოლოგიაში. ნაჩვენებია ამ ტერმინთა წარმომავლობა, ფუნქცია და შემლებისდაგვარად მოდიებულია მათი სენხია სიტყვები სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში. ესე-

ნია: აპლადი, გირგირი, ვარდული // ქულბაქი, ლაკუმი, ლესა მანია-  
თი, ლუხუმი // ლოკუმი, მოლა, მოლოზმა, მონი, ფელუკა, სანდალი...

საინტერესოა ის, რომ ჩამოთვლილი ტერმინებიდან მხოლოდ რამდენიმე მათგანი დასტურდება ა. თანდილავას „ლაზურ ლექსიკონში“. რაც შეეხება ქართულსა თუ მეგრულს, დასახელებული ლექსემები არ დასტურდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

**თანდილავა, 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013.

**ვანილიში, თანდილავა, 1964** – მ. ვანილიში, ა. თანდილავა. ლაზეთი, თბ., 1964.

**ვახუშტი, 1964** – ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1964.

**კუტაღეიშვილი, 1987**– ზ. კუტაღეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში. 1987).

**ლაზურ-მეგრული, 2015** – ჭაბუკი ქირია, ლალი ეზუგბაია, ომარ მემიშიში, მერაბ ჩუხუა. ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია. თბ., 2013.

**ქმკელ** – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2013.

**ჩიტაია, 2000** – გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, შრომები, ტ. II, თბ., 2000.

## მ ე დ ე ა ს ა დ ლ ი ა ნ ი

### ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური ადაპტაციისათვის სვანურში. I.<sup>1</sup>

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ უცხოენოვან რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა ფუძეები სვანურში დასტურდება როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით, ასევე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა თუ სემანტიკური ნიუანსებით (სახეცვლილი მონაცემებით). ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს სწორედ ნასესხებ რელიგიურ ტერმინთა სესხების მიმართულებისა და სესხებისას მიმდინარე ფონეტიკური ადაპტაციის წესების გარკვევა წარმოადგენს.

საანალიზოდ თავმოყრილი ნასესხები რელიგიური ტერმინოლოგია სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობითა და სესხებისას მიმდინარე სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გათვალისწინებით დავაჯგუფეთ რამდენიმე ნაწილად:

#### 1. ფონეტიკურად სრულიად უცვლელი ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულები:

**აიაზმა** (ზს.) „წმინდა, ნაკურთხი (წყალი)“ < ქართ. აიაზმა < ბერძ. **Αγιαμός** : (აგაისმოს) „კურთხევა“ (შდრ. ზს., ლშხ. **ღებრისდე**, ბქ., ლნტ. **ღებრისტე** {ლიც/ნიც} „ნაკურთხი წყალი“)

**ბარძიმ** (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. ბარძიმ-ი „საეკლესიო ფეხიანი ჭურჭელი ვერცხლისა (ან სხვა ძვირფასი ლითონისა), განკუთვნილი ზიარებისათვის“ < ფალ. **Barzīn** „მაღალი“

**გომიჯ** (ბზ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **გომეჯ**, ლშხ. **გომინჯ** „სეფისკვერი; სარიტუალო პური“, 2. „მრგვალი პური, კვერი“ < ქართ. (ლექზ., რაჭ., აჭ.) გომიჯ-ი „უსაფუერო და უმარილო მრგვალი პური, ნაღვერდალში გამომცხვარი“

---

<sup>1</sup> მოხსენება მომზადდა 2018 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)“ ფარგლებში.

კალანდა (ლნტ.), შდრ. ბქ. კანდა < ქართ. (გურ.) კალანდა <- ლათ. *calendae* „თვის პირველი დღეები“ (შდრ. ბზ., ლშხ. ზომხა „ახალი წელი“)

საკმეუტელ (ლშხ.) < ქართ. სა-კმ-ევ-ელ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. ნატუსუნ, ბქ., ლნტ. ნატუსუნ)

სამება (ზს., ქს.), შდრ. ჩოლ. სანება <- ქართ. სამება

ყუელიერ (ჩოლ.), შდრ. ბზ. ყუელაერ, ბქ. ყუილაერ <- ქართ. ყველიერ-ი „დიდმარხვის წინა კვირა, როცა ხორცეული არ იჭმებოდა“...

2. ფონეტიკური ნიუანსებით სახეცვლილი ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულები:

ა) -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაულტო) ძირები:

აზმა (ლშხ.) „წმინდა, ნაკურთხი (წყალი)“ < ქართ. აიაზმა < ბერძ. *Αγιασμαός* (აგაიასმოს)

ზირაზ (ზს.)/ზირებ/ზიარებ (ლშხ.)/ზირაბ (ლნტ.)/ძიარება (უშგ.) < ძვ. ქართ. ზიარ-ებ-ა

მარხუ (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. მარხ-ვ-ა < ფალ. *pähr*-იდან მეტათეზის გზით *pähr* > *parx* > მარხ (ანდრონიკაშვილი 1966:256), შდრ. ზს., ლნტ. უიჭმ, ბზ. ლინ/ლჩაწლ „მარხვა“

ელე/ელ (ბზ.)/აელი (ზს., ქს.), შდრ. ზს., ლნტ. ელია/აელია, ბზ. ელია, ლშხ. აელია, ლნტ. ელია < ქართ. ელია<sup>1</sup>

სახრაზ (ზს.)/სახრებ (ლშხ.) 1. „სახარება“, 2. „აღდგომის ცისკრის წირვა“ < ძვ. ქართ. სა-ხარ-ებ-ა

ტაზრობ (ბზ.) „საქონლის სიმლიერისა და გამრავლებისათვის განკუთვნილი დღესასწაული“ < ძვ. ქართ. ტადრ-ობ-ა-ფ

წმინდ (ქს.) < ქართ. წმინდა < ფალ. *spand* (შდრ. ბზ. წყეზამ, ზს. წყილიან, ჩოლ. დაიაზ)

ჭაზგობ (ზს.)/ჭაზკობ (ქს.) „რელიგიური დღესასწაული (ზედმიწ. \_ ჭაბუკ-ობ-ა)“ <- ქართ. ჭაბუკ-ი <- ფალ. *čāpūk* „სწრაფი, მოხერხებული, ცოცხალი, მარდი“...

ბ) -ე ხმოვანმოკვეცილი ძირები:

ზედაშ (ზს., ლნტ.)/ზედაშ (ლშხ.) <- ქართ. ზედაშე. შდრ. ძვ.

---

<sup>1</sup> ქართულიდან ნასესხები ელია დასტურდება, ასევე, შესიტყვების ელია მგლმ (ბზ.)/ელაშ მგლამ (ბქ.)/აელია ლემეს (ლშხ.) „ელვის ცეცხლი“ პირველ კომპონენტად.

ქართ. ზედაშე-ე „ჟამისწირვისას აუცილებელი ღვინო“

**იჭრდან** (ბქ.) „ნაკურთხი წყალი, აიაზმა“ <- ქართ. იორდანე <- ბერძ. **Ιορδανης**

**სამეთხ** (ლნტ.) <- \***სამტეთხ** <- ქართ. სამოთხე „ღმერთის მიერ შექმნილი ბაღი, წალკოტი, სადაც შეცოდებამდე ცხოვრობდნენ ადამი და ევა, \_ ედემი“...

გ) -**ო ხმოვანმოკვეცილი ან ნარედუქციალი** (ო -> უ) ძირები:

**სამარხტ** (ბზ., ქს.) <- ქართ. სა-მარხ-ო (მდრ. ზს., ლნტ. **სატიჰმ/სატიჰმ**, ლშხ. **საუჰმ**)

**სამრჰკუტ** (ზს., ლნტ.) <- \***სამრეკუტ** <- \***სამრეკლუტ** <- ქართ. სა-მ-რეკ-ლ-ო (მდრ. ბზ. **ლაზგნგლჰგ**, ბქ. **ლაზგნდლაგარ**)

**სატიჰმ/სატიჰმ** (ზს., ლნტ.)/**საუჰმ** (ლშხ.) „სამარხო“ <- ქართ. \*სა-უ-ჰმ-ელ-ო (მდრ. ძვ. ქართ. უჰმემა „უჰმელობა“, უჰმელი „მარხული“)

**ურწყუტ** (ბქ.) „ადამიანი, რომელიც მარხულობს მგლოვიარობის გამო“ <- ქართ. უ-რწყ-ო (უწყლო - საბა). ძვ. ქართულში ურწყო ნიშნავს „წმინდა, წყალშეურევნელი“...

3. **აუსლაუტში თანხმოვანმოკვეცილი ძირები:**

ა) **სახელები, რომელთაც აუსლაუტში ცალი თანხმოვანი აქვთ მოკვეცილი:**

**მარხუობ** (ჩოლ.) <- ძვ. ქართ. მარხ-ულ-ობ-ა <- ფალ. **pāhr**-იდან მეტათეზის გზით **pāhr** -> **parx** -> **მარხ**, მდრ. ზს., ლნტ. **ტიჰმ**, ბზ. **ლინ/ლჩწლ** „მარხვა“

**წირ** (ზს., ქს.), მდრ. ბზ., ლშხ. **წირ[ტ]** <- ძვ. ქართ. წირ-ვ-ა

**ხსინ** (ჩოლ.), მდრ. ზს. **ქსნილ**, ლშხ., ჩოლ. **ხსნილ** <- ქართ. ხსნილ-ი...

ბ) **სახელები, რომელთაც აუსლაუტში ერთი, ორი ან მეტი მარცვალი აქვთ მოკვეცილი:**

**შემინდ** (ბზ.)/**შემინდტილ** (ბქ., ლშხ.) „ნებადართული, ღვთისაგან შენდობილი, დასაშვები; შეწყნარებული“ <- ქართ. შე-ნ-დ-ობ-ილ-ი

**წირ** (ზს., ქს.), მდრ. ბზ., ლშხ. **წირ[ტ]** <- ძვ. ქართ. წირ-ვ-ა

**შონდო** (ლშხ.) „საგალობელი მიცვალებულის პატივსაცემად, შენდობის სიმღერა“ <- ქართ. შე-ნ-დ-ობ-ა...

4. **თანხმოვანთა ცვლილებები ნასესხებ რელიგიურ ლექსიკურ**

ერთეულთა აუსლაუტში:

ა) გ ა მ ჟ დ ე რ ე ბ ა :

**ზანგლზგ** (ბზ.)/**ზანდლზგ** (ბქ.) <- ქართ. ზან-ზალ-აკ-ი „ზარი“, შდრ. ფშ. ზანგალაკ-ი

**პრისდაჷ** (ბზ.)/**პრისდაჷ** (ქს.) <- ქართ. პრისტავ-ი <- რუს.

**Пристав**

**ქრისდე** (ზს., ლშხ.) <- ქართ. ქრისტე <- ბერძ. **χριστός**

**ჭაბგობ** (ზს.), შდრ. ქს. **ჭაბკობ** „რელიგიური დღესასწაული“ <- ქართ. ჭაბუკ-ი <- ფალ. **čapük** „სწრაფი, მოხერხებული, ცოცხალი, მარდი“...

ბ) ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა :

**წნგულეჯ** (ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **წნგ[უ]ლეზ/წნგლრზ**, ბქ. **წნგლეზ**, ბქ., ლშხ. **ანგლოზ**, ლნტ. **წნგელოზ**, ჩოლ. **ანგულეზ** < ძვ. ქართ. ანგელოზ-ი < ბერძნ. **ἀγγελος** „შიკრიკი, მაცნე; მოციქული, მოამბე ანუ მაუწყებელი“ (**ზ > ჯ**)

**თარი[ნ]ძელ/თარიგძელ/თარიძელ** (ლშხ.)/**თარგძელ** (ჩოლ.), შდრ. ზს. **თარგლეზერ**, ბზ., ლშხ. **თარინგზელ/თარგზელ**, ლშხ. **თარი[ნ]გზელ/თარგლეზერ**, ლნტ. **თარინგზელ/თარინგზელ/თარინგლეზერ/თარიგლეზერ**, ჩოლ. **თარგზელ/თარინგზელ/თარიზელ/თარზელ/თარინგზელ** <- ძვ. ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი (**ზ -> ძ**)...

გ) დ ა ყ რ უ ე ბ ა (შედარებით იშვიათად):

**ბადრზხ** (ზს.)/**ბადრახ/ბარახ** (ლშხ.) <- ქართ. ბაირად-ი „ეკლე-სიის წმიდა დროშა“ <- სპარს. **bajrak**...

5. გაუმლაუტებული ფუძეები:

ა) **პალატალური უმლაუტი** (სახელობითი ბრუნვის მორფემის მოკვეცის შედეგები):

**მაცხტჷრ** (ბზ.)/**მაცხტჷრ** (ბქ., ლნტ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **მაცხტჷრ**, ჩოლ. **მაცხტარ** 1. „მაცხოვარი“, 2. „მაცხოვრის ეკლესია“ <- ძვ. ქართ. მა-ცხ-ოვ-არ-ი

**სწცეცხტჷრ** (ლნტ.) <- ქართ. საცეცხლურ-ი „სასაკმეველ“

**ხატ** (ზს., ლნტ.)/**ხატ** (ლშხ., ჩოლ.)<sup>1</sup> <- ქართ. ხატ-ი <- არაბ. **xaṭ**

<sup>1</sup> საანალიზო სიტყვის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები (**ხატ/ხაწ/ხაზ**) დასტურდება ერთ-ერთი სვანური რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელი კომპოზიციის – **ხაწჷუენალ/ხაზსჷუეჯნალ/ხატსჷუეჯნალ/ხატსჷუეჯნალ** პირველ კომპონენტად.

**ჯუპრ** (ზს., ლნტ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ჯუპარ**, ჩოლ. **ჯარ** < ქართ. **ჯვარი**-ი (შდრ. ბზ. **სტარუნ**, ბქ. **სტარინ**, ლშხ. **სტარუნ**, ლნტ. **უსტარუნ**, **უსტარუნი** „ჯვარი; პირჯვარი“)...

**უმლაუტი სახელობითი ბრუნვის მორფემის -ი ალოფონის წინ:**

**სუინა** (ბზ.) „ნათლია, სვინა; ნათლიმამა, ნათლიდედა“ < ძვ. ქართ., ქართლ. სვინა „ნეფის მეჯვარე“; „შვილის მომნათლავი“ (შდრ. ბზ., ლშხ. **პეპი**, ბქ., ლნტ. **პპი**)

**უსხუა** (ბზ.)/**უსხუა** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს. **უსხუ**, ლნტ. **უსხუა** „სამსხვერპლო მოზვერი“ <- ძვ. ქართ., რაჭ. უსხ-ი  
{**ქეშმა** (ბზ.) „ემმა, გრძნეული, ეშმაკი“ <- ძვ. ქართ. ეშმა <- ფალ. **hēsm**, **hišm** „ავი, ბოროტი, ცოფიანი, მრისხანე“...  
**ფუძისეულ ხმოვანთა (ა+ი > ა)** უმლაუტი:

**ბარძი** (ზს., ლნტ.) 1. „ბარძი-ი“, 2. „შხამი, საწამლავი“ <- ძვ. ქართ. ბარძ/ზიძი-ი <- ფალ. **barzīn** „მაღალი (ჭურჭელი)“

**სახსნილ** (ლნტ.), შდრ. ბზ. **საჯსნილ**, ჩოლ. **სახსნილ** <- ქართ. სა-ხსნ-ილ-ო „არასამარხვო საჭმელი“ (შდრ. ზს., ლშხ. **ლგშრატე**, ზს. {**უ**}**ხხდრის**)...

**ფუძისეული ან სუფიქსისეული ე ხმოვნით გამოწვეული უმლაუტი (ა+ე):**

**ზედაშ** (ზს., ლნტ.) <- ქართ. ზედაშე  
**იტრდან** (ბქ.) „ნაკურთხი წყალი, აიაზმა“ <- ქართ. იორდანე <- ბერძ. **Ιορδάνης**...

**ო ხმოვნის უმლაუტი, გამოწვეული სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვით:**

**ანგ[უ]ლეზ/ანგლოზ** (ბზ., ლნტ.)/**ანგტლეჯ** (ლნტ.)/**ანგტლეზ** (ჩოლ.), შდრ. ბქ. **ანგლოზ**, ბქ., ლშხ. **ანგლოზ**, ლნტ. **ანგლოზ** <- ძვ. ქართ. ანგლოზ-ი <- ბერძნ. **ἀγγελος** „მიკრიკი, მაცნე; მოციქული, მოამბე ანუ მათუწყებელი“

**კირტენ** (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**კირონ** (ლშხ., ლნტ.)/**კირენ** (ლნტ.) „კელაპტარი, ცვილის დიდი სანთელი (უნთებენ მიცვალებულს)“ <- ძვ. ქართ. კერეონ-ი, კერ-ოვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა“. ზს. **კირტენ** <- ლშხ. **კირონ** <- \***კერონ** < ძვ. ქართ. კერეონ-ი

**მირტენ** (ლნტ.) „ნათელ-მირონი; ნათლია“ < ქართ. მირონ-ი < ბერძ. **μύρον** „სურნელოვანი ზეთი, ნელსაცხებელი“...

**უ ხმოვნის უმლაუტი, გამოწვეული სახელობითი ბრუნვის**



მორფემის დაკარგვით ან მომდევნო პოზიციაში მყოფი პალატალური ხმოვნით:

**სწეცხტირ** (ლნტ.) <- ქართ. საცეცხლურ-ი „სასაკმეველ“  
**უისხტ** (ზს.)/**უისხტა** (ლნტ.), შდრ. ბზ. **უსხტა**, ლშხ., ჩოლ.  
**უსხტა** „სამსხვერპლო მოზვერი“ <- ძვ. ქართ., რაჭ. უსხ-ი  
**უჭმ** (ზს., ლნტ., ჩოლ.), შდრ. ლშხ. **უჭმ** 1. „მარხვა, ქრისტეშობის მარხვა“, 2. „ქრისტეშობისთვე, დეკემბერი“ <- ძვ. ქართ. უ-ჭმ-ი, უჭმება „უჭმელობა“, უ-ჭმ-ელ-ი „მარხული“...

ბ) **უკანა მიმართულების უმლაუტი**:

**განცხადაბ** (ზს.) „ნათლისღება, გამოცხადება“ <- ძვ. ქართ. განცხად-ებ-ა

**სახრაბ** (ზს.), შდრ. ლშხ. **სახრებ**, ლნტ. **სახარება** 1. „სახარება“, 2. „აღდგომის ცისკრის წირვა“ <- ძვ. ქართ. სა-ხარ-ებ-ა...

6. **ხმოვანთა სიგრძის მოვლენები**:

ა) **ხმოვანთა შერწყმა (კომბინატორული სიგრძე)**: **დრკუენ** (ბზ.)/**დრკონ/დრკუან** (ლშხ.), შდრ. ბქ. **დიაკენ/დიაკუან**, ლნტ., ჩოლ. **დიაკუენ**, ლნტ. **დიაკონ** <- ქართ. დიაკონ-ი <- ბერძ. δίακονος  
**მაცხტარ** (ბზ.)/**მაცხტარ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ბქ., ლნტ. **მაცხტარ**, ჩოლ. **მაცხტარ** 1. „მაცხოვარი“, 2. „მაცხოვრის ეკლესია“ <- ძვ. ქართ. მა-ცხ-ოვ-არ-ი...

ბ) **საკომპენსაციო სიგრძე** (ხმოვანი დაგრძელებულია თან-ხმოვნის დაკარგვის სანაცვლოდ): **თარინგზელ/თარენგზელ** (ბზ., ლშხ.)/**თარიგზელ/თარი[ნ]ძელ/თარიგძელ** (ლშხ.)/**თარგზელ/თარი-ზელ/თარზელ/თარიგზელ** (ჩოლ.), შდრ. ზს. **თარგლეზერ**, ლშხ. **თარ-გლეზერ/თარიძელ**, ლნტ. **თარიგზელ/თარიგზელ/თარიგლეზერ/თარიგლეზერ**, ჩოლ. **თარინგზელ** <- ძვ. ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი...

**ზოგჯერ თანამედროვე ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ნასესხებ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს, ასეთებია**:

**ამენ** (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **ამენ/ამინ/ჰამენ**, ლნტ. **ამენ!** <- ქართ. ამინ!

**ყუელიერ** (ბზ., ლშხ.)/**ყუელიერ** (ბზ.), შდრ. ბქ. **ყუილიერ**, ლშხ. **ყუელიერ** <- ქართ. ყველ-იერ-ი „დიდმარხვის წინა კვირა, როცა ხორცეული არ იჭმებოდა“...

7. **ხმოვანთა რედუქცია ნასესხებ ფუძეებში**:

ა) ა, ა, ე, ი, გ ხმოვანთა რედუქცია მსუბუქ ბირთვში:

**ბარბლჷშ** (ბზ., ლნტ.)/**ბარბტლჷშ/ბარბოლ** (ბქ.)/**ბარბლაშ** (ლმზ., ჩოლ.) „ბარბალობა ზედმიწ. - ბარბალე-ის-{ა}“ <- ქართ. წმ. ბარბარე <- ბერძნ. Βαρβάρα

**კირტენ** (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**კირონ** (ლმზ., ლნტ.)/**კირენ** (ლნტ.) „კელაპტარი, ცვილის დიდი სანთელი“ <- ძვ. ქართ. კერეონ-ი, კეროვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა“...

ბ) ა, წ, ე, ი ხმოვანთა რედუქცია მძიმე ბირთვში ანაპტიქსური გ ხმოვნის მონაცვლეობით:

**გარცამ** (ზს., ლნტ.), შდრ. ბქ., ლნტ. **გარცამ**, ლმზ. **გარცემ** „ხატზე გადაცემა/დაფიცება“ <- ძვ. ქართ. გარ-და-ც-ემ-ა „გადადინება, თავს გადასვლა, ავსება“, ახ. ქართ. გა-და-ც-ემ-ა

**წყელან** (ზს.)/**წყელან** (ლმზ.)/**წყელიან** (ლნტ.), შდრ. ზს. **წყილიან**, ბქ. **წყილ-ან** „წმინდა, სუფთა“ <- ქართ. წყლიან-ი <- \*წყალიან-ი...

გ) უ სონანტთან მონაცვლე ბაგისმიერ ხმოვანთა რედუქცია მსუბუქ ბირთვში:

**იურდან** (ბქ.) „ნაკურთხი წყალი, აიაზმა“ <- ქართ. იორდანე <- ბერძ. Ιορδανης

**ქაშტეთ** (ბზ.)/**ქაშტეთ** (ბქ.) ტოპ. „სოფელი, ეკლესია“ <- ქართ. ქაშუეთ-ი...

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ნასესხებ რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა უმეტესი ნაწილი შეთვისებული ჩანს ქართულიდან (მაგ.: **სამება**, **სანთელ**, **ყუელიერ**, **ჯუარ**...), ნაწილი კი – სხვა ენებიდან, კერძოდ: ბერძნულიდან (მაგ.: **აიაზმა**, **ქრისტე**, **იურდან**, **პნგ[უ]ლეზ**, **მირტენ**...), ლათინურიდან (მაგ.: **კანდა**...), ფალაურიდან (მაგ.: **ბარბიმ**, **მარხუ**, **ჭაბგობ**...), არაბულიდან (მაგ.: **ხატ**...) და ა. შ. ქართულ-მეგრულის მეშვეობით; ცხადია, გზადაგზა მათ თვალსაჩინო ფონეტიკურ-ფონოლოგიური ცვლილებები განუცდიათ, თუმცა ხშირად ფონეტიკურად სრულიად უცვლელი ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულებიც (მაგ.: **აიაზმა**, **საკმეტელ**, **საკურთხ**, **სამება**, **ხსნილ**, **ჯუარ**...) დასტურდება.

ზოგიერთი ნასესხები ფუძე „გასვანურებულია“, ანუ შეიცავს სვანური ენისათვის დამახასიათებელ მორფონოლოგიურ ინვენტარს: პალატალურ, ველარულ თუ ლაბიალურ უმლაუტს (მაგ.: **მაცხუარ**, **მოძღუარ**, **ჯუარ**; **სუინამ**, **უსხუამ**, **{ჰ}ემამ**; **ბარბიმ**,

სახსნილ, ფარისებულ; ზედაშ, იურდან; ანგ[უ]ლეზ, კირუენ, მირუენ; დღესასწაუთ, მოცქუთ; ანლაზ, ფერცლაზ...), გრძელ ხმოვანს (მაგ.: დრკუენ, ზორებ, საკმელუ; თარინგზელ; ამენ, ყუელიერ, ჭანტილოზ...), ანაკტიკსურ ელემენტს (მაგ.: გვრცამ, ლიწვრუელი, საღვრმათ, წყელამან...) და ა. შ., რაც ერთგვარ მეგზურობას გვიწევს სესხების გეოგრაფიული მიმართულების გარკვევაში.

ნასესხებ რელიგიურ ლექსემათა ერთ ნაწილში მკაფიოდ გამოიკვეთა სვანურ სახელთა აუსლაუტის ბუნების ერთი ფრიად გამოკვეთილი ტენდენცია ღამარცვლიან სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნისა. შეგვხვდა როგორც -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაუტო) ძირები (მაგ.: აზმა, განცხდებ, სახრაზ, ტაზროზ, წირ, ხუალმობ...), ასევე, -ე ხმოვანმოკვეცილი (მაგ.: ზედაშ, იურდან, სამეთხ...) და -ო ხმოვანმოკვეცილი ან ნარედუქციალი (ო -> უ) ძირები (მაგ.: სამარხუ, სამრპკუ, საწუთრ, ურწყუ...), რაც ფორმათა გამარტივებას გულისხმობს. გარდა ამისა, საკმაოდ ხელშესახები აღმოჩნდა თანხმოვანთა ცვლილებები აუსლაუტში: გამჟღერება (მაგ.: ზანგლაგ/ზანდლაგ, პრისდაუ, ქრისდე, ჭაზგობ...), აფრიკატიზაცია (მაგ.: ანგულეჯ, თარი[ნ]ძელ/თარიგძელ...), დაყრუება (მაგ.: ბადრახ/ბარახ...) და სხვ.

ცხადია, ნასესხებ რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა საკუთარ ყალიბში მოსაქცევად სხვა ფონეტიკური პროცესებიც მოქმედებენ, რომელთა შესახებ დაწვრილებითი ანალიზი წარმოდგენილი იქნება შემდგომ ნაშრომში.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ანდრონიკაშვილი** 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბ., 1966

**გაზდელიანი** 1988 – ე. გაზდელიანი, ზოგი სვანური რელიგიური ტერმინის წარმომავლობისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1988

**საღლიანი** 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2005.

## ნათელა ფარტენაძე

### წარმოქმნილი და თხზული სახელები მარადიდულ კლარჯულში

მარადიდული ქართული კლარჯული კილოს ნაწილია, რომელიც რიგი მახასიათებლებით განსხვავდება როგორც აჭარულისაგან, ისე შავშურისა და ტაოურისაგან, თუმცა ბევრი საერთოც აქვთ ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე. ვიტყვით, რომ მარადიდულთა ქართული კარგად გადარჩენილი მოწმეა ერთ დროს ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული კლარჯული დიალექტისა. ამდენად, მარადიდულთა მეტყველების ანალიზი მნიშვნელოვანია კლარჯული კილოს შესასწავლად. ამჟამად წარმოვადგენთ წარმოქმნილ და თხზულ სახელებს მარადიდულ კლარჯულში.

-ობა სუფიქსი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ის ფართოდაა გავრცელებული აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად:

მაშინ **შიშიანობა** იყო, ფული არ იყო; **სირცხვილობა** გემიელი იყო (ხინწკანა); **ღარჭობაში** წვევლით ისტამბულ და იმისთინ ბევრი არ ვიცით (ზემო მარადიდი); **ბაღნობაში** აიშე აბლად ბევრს არ ისაქმებდა, ეტყოდენ, ისაქმეო, პაწად ჰერსდებოდა (ნუსრეთიე); ძველი დროს **ფუხრობა** იყო, არ იყო რამე, ახლა თეელი რამე არი (ხეზა); ახლა **ზახჩობა** არ ვიქავთ; **ყავეჯობა** ვიჯებოდი, ისე დავბერდი; ძველი ინსნების **უსტობა** არ მაქვან; წინანდელი იმსოდ **მარანქოზობა** უქნიან; **მაყარობა** აქაც იყო, ჰამა აწიეს; **გელინობა** მეტი ჩეთინი იყო; **ოლქობა** ეს იყო, მაგალითად, ერთი სოფელი მიმაგრებული იყო მეორეზე და იცავდა. ჩხალა მიმაგრებული იყო მარადიდთან და მარადიდი ჩხალასთან. მაგალითად, მოიკლა კაცი, მოხდა **ქურდობა**, ან ბავშვის მოპარვა მოხდა; **ნიშანლობა** იყო, ეწწინ დედანიშნავდენ, რაცხამდონი სურე (ზემო მარადიდი); ღმერთმა **კარქობა** მოქცონ, მუბაარექმა (ხინწკანა); პაწობაში, ასე ექსი თვის იყო, იმად ათეში გავრია, სიცხე, **ავადეველობა** (ხინწკანა); დუნია **გონჯობაზე** წევდა (ნუსრეთიე); **გონჯობას** იჯება მეტი (ხინწკანა); **მაყარობა** აქაც იყო, ჰამა აწიეს (ახმედიე); **გელინობა** მეტი ჩეთინი იყო, მეტი საქმე იყო (ახმედიე); გელინო, გელინო, რომს მოხველი, კად ფეხით მოხველი, აქევრობას შეეჩვიო, კად **გელინობა** ქნაო (ზემო მარადიდი); **ნადობა** ქალეზმა იქ

მოდენ, კაცებმა მოტანვა-მიტანვა იქმოდენ (ნუსრეთიე); წინ იყო **ნა-ლობა**, სიმინდი გარჩვენაში, ლობიო გარჩევამი (ნუსრეთიე)...

-**ობა** სუფიქსი გვხვდება აგრეთვე დროის განსაზღვრული მონაკვეთის გამოსახატავად:

ჩვენ **პაწობაში** მოვედი და მეტი არ ვიცი, ყაფაში არ მაქ (ახმედ-იე); აქ მაშინ **თხილობა** არ იყო (ახჩაგოჯა); ჩემი დედამთილი **ახლობაშიც** კად იყო, ახლაც კადა (ხინწკანა)...

-**ობა** აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად პროდუქტიულია ზოგადად კლარჯულსა და შავშურშიც (იხ. კლარჯეთი, 2016:580-583; შავშეთი, 2011: 272-275).

-**ობა** აწარმოებს მასდარის მნიშვნელობის სახელებს:

ძველებური **ნახულობა** იტყოდენ და დიდი **ნახულობა** იქნა; ქათმებთან **თამაშობა** ეამება და (შერეფიე); თხილი **კრიფობა** მალე დედწყება (ახმედ-იე); მე ზათინ არ ვერევი ქი **დაქორწილობაში**, **გათხვობაში** არ ვერევი (ხინწკანა)...

-**ობა** ზოგჯერ ენაცვლება **სა-ო** აფიქსსაც: ჩემი კაცი **მუშავობა-ზე** მურღულში წევდა (ხინწკანა)... და **-ება-** აფიქსსაც: ახლა **გემოვნობა** ცოტა განსხვავებულა...

-**ობა** სუფიქსი დაერთვის ზედსართავ სახელებსაც და იძლევა ზმნიზედის მნიშვნელობის სიტყვებს:

თქვენ მეტი **კარგობა** ადეთი გაქვან (ხება); ყველამფერი **ჰაზირობა** შედნახვენ, აბა. ტანტრაბაში დადეფ, სიმინდი სერენში შედნახ. ყველამფერი გააკეთავ, **ჰაზირობა** იქავ (ხება); **ჰიდავრობაში** წებველით, ჰად იყავთ? (ხინწკანა); **იქავრობაში** იმრანიე ჩვენზე მუყე-მია, ის იერები ლამაზი (ნუსრეთიე); მოქწონდენ **აქავრობა?** (ხინწკანა)...

ადამიანთა წარმომავლობა გადმოიცემა **-ელ**, **-ურ**//**-ულ** სუფიქსებით: **-ელ** სუფიქსი გვიჩვენებს ადამიანის სადაურობას:

მე ზედამ **მარადიდელი** ვარო, ძველებმა ლაპარიკობენ მეგერ (ადლიე); ჩვენი რძალი **მარადიდელია** (ქვემო მარადიდი)...

ხშირია **-ელ** სუფიქსიანის გვერდით განსხვავებული წარმოებაც და უაფიქსოც კი, თუმცა კონტექსტით იგულისხმება **-ელ** სუფიქსი:

ჩემი ნენე **ქართული** არ იყო; მე **ბორჩხის** (=ბორჩხელი) გოგო ვარ (ზემო მარადიდი)... სიტყვები: ქართული' და ბორჩხის' მოცემულ კონტექსტში ნიშნავს - **ქართველი** და **ბორჩხელი**...

ასევე:

**ქედქედელმა** კაცი მოკლიდა ძველათ, **მარადიდმა** ყვეს შეას-  
ვავს ოქროს ფინჯანით; ჩვენ **ზედობანლი** არ ვართ, **მარადილი**  
ვართ; ჩვენ **მარადილი** გურჯი ვართ//**მარადიელი** ნაჯიე; საი-  
დან მოვდენ არ ვიცი, მარა ვიცი, ყველა **ბორჩხალია**... აქ არიან **მარა-  
დიდი**, ჰამა დუზჯეს გაბარგილან. ჩვენ **აზნავრები** ვართ, ჰამა აქ  
**კლასკურელ** მიძახიან (ახჩაგოჯა); **ართვინელების** და ჩვენი გურჯუ-  
ლი აინია, ჰამა **ხენდეკლები მურდულები** არიან, ჩვენ თეელი **მარა-  
დილი** ვართ (ნუსრეთიე)...

**-ულ (-ილ):**

ართვინელების და ჩვენი **გურჯული** აინია (ნუსრეთიე); ალ-  
თმიშ სენე უკან აქ თურქჩა არ იცოდენ, **გურჯულად** ილაპარიკებდენ  
სახში, სოფელში, თურჩა ვერ გეგონებდი (ბალაბანი)...

**-ურ** საყოველთაოდაა გავრცელებული ზმნიზედისაგან ნაწარ-  
მოებ სახელებში და ითქმება ადამიანებზეც და არაადამიანებზეც.  
ზმნიზედებისგან ნაწარმოებ სახელებში უმეტესად **-ურ'** სუფიქსის  
ხმოვანი (**უ**) ჩანაცვლებულია **ვ'** თანხმოვნით, ზმნიზედის ბოლოკი-  
დურა ხმოვანი **ა'** კი – **ე'** ხმოვნით: **აქევრი** (←**აქა-ურ-ი**) გელინია (ზე-  
მო მარადიდი); **აქევრები** გურჯები არიან (ნუსრეთიე); ჰამა **იქევრი**  
ლაპარიკი და ჩვენებური ლაპარიკი ერთი არაა (ჰამიდიე)...

სიტყვაწარმოებაში ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენს დანიშნუ-  
ლების სახელები. დანიშნულების სახელებს ორგვარი წარმოება აქვს:  
პრეფიქსული და სუფიქსური, ხოლო მაწარმოებელი აფიქსებია: **სა-  
ე, სა-ო, სა-ურ//ულ**. როგორც ჩანს, პრეფიქსი ყველგან ერთია, გან-  
სხვავებას ქმნის სუფიქსი. არნ. ჩიქობავას აზრით, **სი-, სა-** და **ს-** პრე-  
ფიქსები ყველგან ნივთის კატეგორიაზე მიუთითებენ და „**რა**” კატე-  
გორიის სახელებს გულისხმობენ. **ს-**ანის ეს უძველესი ფუნქცია დი-  
დი ხანია აღარ მოქმედებს ენაში. უმეტესად იგი სუფიქსებთან ერ-  
თად გვეკლინება სიტყვაწარმოების მოდელად, ამა თუ იმ მნიშვნე-  
ლობის გადმოსაცემად (ჩიქობავა, 1942: 234).

**სა-ელ/ე, სა-ო** აღნიშნავს დანიშნულებას, განკუთვნებას:

ქუთლიეთი, **სანისლიე** მის გაღმა (ზემო მარადიდი)...; თვა-  
ლის **საცემელი** მანაა, მე რა'ნა ვუკითხო; **საძიგველის** ქვას სად აკეთე-  
ბენ?; იქა **გასაყიდელი** რამ არ ქონდენ; იქიდან მაქინა გადმუტანია  
ხელით, **საკერელი**, აქ ვინმეს არ ქონდა მაშინეზე (ხინწყანა); ანნემა

იტყვის, რომ დღეს **საქმობელი** ინსნები მყავდენ; **დასაწოლელი** ოდა გუუწყობდენ...; **საქორწილო** ბიჭი მყავს (ზემო მარადიდი)...

„ქართულ ენას აქვს საშუალება საგანი დაახასიათოს იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ, ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით, საამისოდ მას მოეპოვება წყვილ-წყვილი მაწარმოებლები: **ნა-არ** და **ნა-ევ**, რომლებიც ერთია ფუნქციით, მაგრამ ერთ ფუძესთან შეიძლება ერთი მაწარმოებელი იყოს დამკვიდრებული, მეორესთან კი მეორე, ზოგჯერ ერთი და იგივე ფუძე თანაბრად იგუებს ორივე სახის წარმოებას, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ სუფიქსით განსხვავდებიან“ (შანიძე, 1973: 133). სახელის ფუძისაგან ნაწარმოები წინა ვითარების მაწარმოებელია პრეფიქსი **ნა-**:

შენი ასე **ნაქნი** გუუგნიანო; აქ **ნავალი** ხარ?; იქავრი **ნასაქმი** ჩვენთან არ გეცდა; ჩემი ბიჭი იქ **ნასაქმია** და იცის...

**ნა-არ**: იმანაც **ნაცოდინარ** იყოს, გაგაგნებიეფს; იმანაც **ნაცოდინარ** იყოს, გაგაგნებიეფს (შერეფიე)...

გეოგრაფიული სახელები უაფიქსოდაც დასტურდება და უცხოური აფიქსითაც: მერე **უზბეკში** სურვილი ქნეს, თერთმეტი წელი იქ დარჩენ. თურქეთში რომ ბევრი ნათესავეები ყავან, იმსოები თეელი, წერილი გუუგზანია **უზბეკში**. ბევრი გაგზანეს **უზბეკისტანში** (ნუსრეთიე); **გურჯისტანი** აჰა'და ერთი ჭაჭვი ვართ, დაფანტილი, მოდენილი ვართ თელ დუნიაში (ბალაბანი); **გურჯისტანიდან** რომ მოვდენ, მაშინ დასახლდენ აქ (მურადიე)...(გეოგრაფიულ სახელთა წარმოების შესახებ დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

-ა სუფიქსი არ არის ფართოდ გავრცელებული. ის თავისი ძირითადი, კნინობითის ფუნქციით იშვიათად გვხვდება. ძირითადად მისი ფუნქცია ნათლად არ არის გამოკვეთილი და უმეტეს შემთხვევაში მას მოსდევს ნახევარხმოვანი **ი**:

აიშე აბლას **ბუდღუჩაი** ვეტყოდით, ასე ლამაზი თმები ქონდა, გვალი პირი და **ბუნძულაი** ვეტყოდით, გავაჰერსებდით, ასე დევზარდეთ (ნუსრეთიე); ჩერქეზები **მოფათხულაი** არ იმუშავებდენ, **ქიბარულაი** იქდენ (ნუსრეთიე); ხალხმა დააბიწყდა **გურჯულაი** ლაპარიკი (ნუსრეთიე); ჩვენს უკანაებმა ქართული არ იციან, ამა ჩვენებური ვილაპარიკავ, ისინი გააგნებენ, მარა **ჩვენებურაი** ვერ იტყვის (ხინწკანა); **უჩუმარაი** კლიან (ზემო მარადიდი)...

-იან სუფიქსი რთულია, პირველი ნაწილი (-ი) წარმოშობით ბრუნვის ნიშანს უნდა წარმოადგენდეს და ამავე დროს, როგორც ჩანს, სიტყვაწარმოებითი ფუნქცია ჰქონდა, შემდგომში, როცა მათ დაკარგეს თავიანთი ფუნქცია, ამა თუ იმ შინაარსის გადმოსაცემად დასჭირდათ დამატებითი სუფიქსები -იერ, -ან (ჭუმბურიძე, 1990: 58). მკვლევართა აზრით, -ან საკუთრივ ქართული, უძველესი სუფიქსია, იგი დაერთვის საკუთარი სახელის ფუძეს და აღნიშნავს განკუთვნილებას რომელიმე გვარეულობისადმი, ოჯახისადმი... თანამედროვე ქართულში ის იშვიათად იხმარება. მარადიდულში -იან არც თუ ისე იშვიათია და აღნიშნავს მქონებლობას:

**გემოდანია**, მოხრაკილი||მუხლამა; დოდოფალი **მაღალი ტანიანი**, ჰამა ბიჭიც მასავენ აინი; ჩვენი ძველები მუსლიმანი იყო, **ქრისტიანები** სხვები იყვენ (ხინჭკანა)...

„ქონების სახელთა ანტონიმებია უქონლობის სახელები, ეს ის სახელებია, რომლებიც აღნიშნავენ უქონლობას ძირეული საგნისას. უქონლობის სახელთა წარმოება ქართულში სამი ტიპისაა: **უ-**, **უ-ურ** და **უ-ო**, ესენი ერთიანია წარმოშობით, მაგრამ მათი გამოყენება ქართული სალიტერატურო ენის ხაზით განსხვავებულია ქრონოლოგიურად. უფრო ძველია **უ-ურ**, მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული დღემდე, სამაგიეროდ დღესაც მკვიდრია **უ-ო**, რომელიც ამჟამად ერთადერთი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა ახალ სიტყვათა ფუძისაგან (შანიძე, 1953: 126).

მარადიდელთა მეტყველებაში გვხვდება **უ-ო** კონფიქსიანი უქონლობის სახელები:

წინ-წინ **უსაჭმელო** კაცი არ წევდოდა. ახლა არ აჭამვენ (ნუსრეთიე); ეს **უსიმიन्दო** ადგილებია; თითო ყანა ჭყინტი გვაქ, **უსიმიन्दო** არ იჯება (ხინჭკანა); **უსაქმო** პურ ვერ ვჭამ (ნუსრეთიე)...

იშვიათია ხელობის მაწარმოებელი **მო-ე**, **მე-ე** აფიქსები:

**მოსაქმე** არიან, თემბელი არ არიან...; ჩემი ბიჭი მაგარი **მოსაქმე** ბიჭია (ნუსრეთიე); **მექორწილები** ბაქლავა მოთხოვდენ (ხება)...

გვხვდება ასევე თურქული აფიქსებით ნაწარმოები ქართული სიტყვები და, პირიქით, ქართული აფიქსებით ნაწარმოები თურქული სიტყვები:

ჩემი შვილმა **გურჯიჯეც** იციან, **თურქეც**. ამან **ლაზჩე** იცოდა და ამან **გურჯიჯე** დემწავლა (ხინჭკანა)...



ყველამფერი გააკეთავ, **ჰაზირობა** იქავ (ხება); **ღარკობაში** წევე-ლით ისტამბულ და იმისტინ ბევრი არ ვიცით (ზემო მარადიდი); ძველათ **ფუხრ-ობა** იყო (მაჰმუდიე)...

ზოგჯერ ისეთი ფორმებია ნაწარმოები, სადაც აფიქსი არ არის საჭირო:

**ძველანდელი** რა დევნახეთ, არაფელი, რა დევნახეთ (ხება)... უნდა იყოს ძველად'. მიერემა **ფოთოგრაფობა** მუშავობს (ხინწკანა)... უნდა იყოს ფოტოგრაფად.

**კომპოზიცია.** როგორც ცნობილია, კომპოზიციის პრინციპი ყველა ენაში ერთნაირია: „ხდება ორი ან მეტი ფუძის ან ბრუნვიანი სიტყვის შეკრება, განსხვავება მხოლოდ შეერთების საშუალებებშია. ცნობილია სამი საშუალება: 1. უკავშირო (ასუდენტური, მარტივი) შეერთება; 2. კოპულატიური (და' კავშირით) და 3. შემაერთებელი ხმოვნით შეერთება“ (თოფურია, 1959:281).

მარადიდულ კლარჯულში ხშირია ფუძეგაორკეცებული და ნაირფუძიანი კომპოზიტები:

იმსოჲ ჭადი იქნებოდა, **ცხელ-ცხელი** იქნებოდა... შევჭამდით (ეშმე ახმედიე); **ტყვილი-მართალი** არ ვიცი, ასე გევეგონე, ასე – გითხარით (გულდიბი); **დიდვან-დიდვანი**; **ლამაზ-ლამაზი**; **ნელ-ნელა**; **წვიტ-წვიტი...** წინეთ **ბაბა-ნენეს'** და მოწონდენ, სხვა თეელი ვერ ითხოვდი (ნუსრეთიე); წინ **გოგო-ბიჭი'**ნა დავაქორწილოთ, ერთმანები არ დედანახონ (ნუსრეთიე); კალო იქნება, კარ-მიდამო იქნება (ხება); ეს ზაფხულში ამოდის, მე **ზამთარ-ზაფხულ** აქ ვარ (ზემო მარადიდი)...

ასეთი ტიპის კომპოზიტებში „და' კავშირი გამოტოვებულია, მაგრამ შეიძლება ვიგულისხმოთ“ (კიზირია, 1981:77).

აქვე შეიძლება გამოვყოთ ასონანსური კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი პირველის ფონეტიკურად შეცვლილი ვარიანტია, ძირითადად იცვლება მეორე კომპონენტის პირველი თანხმოვანი:

– არ დარჩენ ხალხი. დომუზებმა **თხილი-მილი** ჭამდენ, ახლა კიდევ ჭამვენ, **თოფი-მოფი** აყრიან... (ახმედიე);

– მერე სახში დაჯდებოდენ, **საჭმელები-მაჭმელებს** იქნებოდა ბოური, **საჭმელი-მაჭმელი** მოთავდებოდა, იმის შემრე დეაწყებდენ ხუმრობა; სახლები დააქციენ. შაჭმელი მიცენ: **ფილავი-მილავი**, შეჭამენ, დარჩენ (ზემო მარადიდი);

- ამნებს არ ეამებოდა მოკლევლიანი, **აჩული-მაჩული** (ული-ბეი);
- ბებიათისი, ბაბუათისი წველით, გოგო მოვთხვეთ, დავაბით ბეჭედი, **ქორწილი-მორწილი**, ვსიო (ერდემლი);
- მისი სულისთინ უკითხებენ, **ღვინო-მინო** არ ალი (ნურუ ოს-მანიე);
- **ყველი-მელი** არ ვაკეთავთ, ერთი ძროხა მყავს (ქვემო მარადიდი);
- **ქალაქი-მალაქი** არ ვიცი. ჩემი ბიჭი იქ ნასაქმია და იცის (შერფეი);
- **ტათლი-მათლი** გავაკეთავთ, წულებდით წასლიხან. ახლა არა, ახლა მალაზიაშია ხაზირი (ხება);
- ძროხას ვარჩენდი, **ხოზო-მოზო** ვზიდიდი (ქვემო მარადიდი);
- თუ **ნაჭიჭყი-მაჭიჭყი** ქალია და ფეხით მეგემ დადის მაინც არ იყიდის (ხინწკანა);
- მე **სურათი-მურათი** არ მინდა (ქვემო მარადიდი)...

გვხვდება კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი სახელია, მეორე ნაწილი კი - მიმღობა:

**ახალნაშობიარეფს** დანა, სპიჩკა, ალიყური'ნა ქონდეს თავზე; **პირამოხვევლი** ვიყავ და თქვა, ისე გავს ყიყვი (ჩიყვი) აქო... (ქვემო მარადიდი)...

დასტურდება სხვა სახის კომპოზიტებიც, რომელთა ორივე ნაწილი სახელია: ან ორივე არსებითი სახელები, ან - არსებითი და ზედსართავი:

**პტყელძირა** ნავისგან არის აღებული (ნუსრეთიე); **თერძხანე** - თერძის სახლი, სამკერვალო სახლია (ბალაბანი); **ფეხშიშველა** ყანიდან-ყანაში (ზემო მარადიდი); თავი თუ **თავრახი** არ მაქ. დეგელაპარიკები; **კარისთავიდან** შესლიხან დოდოფალ ის ემე დუუდებენ...(ზემო მარადიდი); ირმი - **ახალმოზდე**; ბავშვს თავზე ბადეს წამუახურავ და **ნიორწყალიან** დავასხამ...

ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მარადიდულ კლარჯულ მეტყველებაში სალიტერატურო ქართულისა და ქართული ენის სხვა კილოების თხზული სახელების (ცხელ-ცხელი, ლამაზ-ლამაზი, დიდვან-დიდვანი; ზამთარ-ზაფხულ...) გვერდით გვხვდება განსხვავებული კომპოზიტებიც (აჩული-მაჩული, ახალმოზდე, თერძხანე და ა. შ.).

## გამოყენებული ლიტერატურა

**თოფურია, 1953** – ვარლამ თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, ქართული ენის სტრუქტურის საკითხები, I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

**კიზირია, 1981** – ანტონ კიზირია, კომპოზიტები ახალ ქართულში. ქართული ენის სტრუქტურის საკითხები, V, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.

**კლარჯეთი, 2016** – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თბილისი.

**შანიძე, 1973** – აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**შავშეთი, 2011** – მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტყარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი.

**ჩიქობავა, 2013** – არნოლდ ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თხზ. ტ. VII, თბილისი.

**ჩიქობავა, 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

**ჭუმბურძე, 1990** – ნ. ჭუმბურძე, ყოლა-ქონების აღმნიშვნელი რთული სუფიქსები ქართულში, იკვ, ტ. XXIX, თბილისი.

## მამია ფაღავა

### ვაზი ჭოროხის ხეობაში

მცენარეთა სახელები ენის ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ქვემოთ ვისაუბრებთ ვაზის სახელებზე ჭოროხის ხეობაში.

საქართველო რომ ვაზის სამშობლოა აღიარებული ჭეშმარიტებაა. „საქართველოს ამპელოგრაფიის“ სახელმძღვანელოს დართული აქვს 524 ქართული ვაზის ჯიშების „დასახელებანი მათი წარმოშო-

ბის ადგილის, ფერის, მიმართულებისა და გავრცელების საკითხების განმარტებით” (რამიშვილი, 1970:14). ხოლო ბონდო კალანდაძის ვრცელ შრომაში, „საქართველო ღვინის აკვანი” დასახელებულია ვაზის 525 ჯიში (იხ. კალანდაძე, 2015). მართლაც სოლიდური ციფრია პატარა ქვეყნისათვის 524 თუ 525 ვაზის ჯიში. წინასწარვე ვიტყვი, რომ ეს ციფრი კიდევ შეიძლება გაიზარდოს ჭოროხის ქვეყნების ხარჯზე. ამოვდივართ დებულებიდან, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, რაც ჩანს ვაზის სახელწოდებებშიც. ბარემ აღვნიშნავ, რომ ზემოდასახელებული 524 თუ 525 ვაზის ჯიშიდან 45 აჭარიდანაა. ჭოროხის აუზის საერთო სურათის წარმოსაჩენად დავასახელებთ მათ: **ალმურა** (თეთრი), **ალმურა** (შავი), **ახალაკი** (მუქი წითელი), **ბათომურა** (შავი), **ბაღის ყურძენი** (თეთრი), **ბროლა** (თეთრი), **ბურძღალა** (შავი), **ბუტკო** (შავი), **გორგოული** (თეთრი), **ვაიოსსაფერავი** (შავი), **თეთრა**, **თურვანდი** (თეთრი), **კაიკაციშვილისეული** (თეთრი), **კვირისთავა** (თეთრი), **კიბურა** (ვარდისფერი), **კირწითელა** (შავი), **\*კლარჯული** (თეთრი), **კორძალა** (გურია-აჭარა), **ლივანურა** (შავი), **მაგარა** (შავი), **მეკრენჩხი** (შავი), **მორცხულა**, **მწვანურა** (თეთრი), **მწვანეაჭარული** (თეთრი), **ორჯოხული** (თეთრი), **პოვნილი** (მუქი წითელი), **სალიკლევი** (შავი), **საფერავი** (შავი), **სხალთური** (თეთრი), **\*\*ტაგიძურა** (შავი), **ტყის ყურძენა** (შავი), **ქორქაულა** (შავი), **შავ-შურა** (თეთრი), **შიშველი** (შავი), **ჩიტისთავალა აჭარული** (შავი), **\*\*\*ცვითე** (თეთრი), **ცხენის ბუძუაჭარული** (შავი), **წვიტე** (თეთრი), **\*\*\*\*ჭეჭიბერა** (თეთრი), **ჭიპაკური** (შავი), **ჭოდი** (შავი), **ხარისთვალააჭარული** (შავი), **ჯავახეთურა** (თეთრი), **ჯინეში** (შავი).

ჩამოთვლილ სახელწოდებებში არ ჩანს **ჩხავერი**, ფართოდ გავრცელებული ვაზის ჯიში აჭარაში (იხ. ნიჟარაძე, 1971), ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, ისტორიულ კლარჯეთში გვხვდება ტოპონიმი **ჩხავენარა** <- **\*ჩხავერნარ** ისაგან, ადგილი სადაც ჩხავერი ხარობს (ფაღავა, 2015:29). შეიძლება ითქვას, ჩხავერი არაა მხოლოდ ვაზის გურიაში გავრცელებული ჯიში, იგი გვხვდება აჭარაშიცა და ხარობდა კლარჯეთშიც.

**\*კლარჯული** გვხვდება ქვემო აჭარაში, ოღონდ მას **კალაჯულს** უწოდებენ, ასეც უნდა ჩაიწეროს ლიტერატურაშიც და არა მისი გალიტერატურულეული ფორმა.

**\*\* ტაგიძურა** - ჩაწერის პრობლემაა, რომელიც მეორდება სხვადასხვა გამოცემაში, უნდა - **ტაკიძურა** (შდრ. გვარი ტაკიძე).

\*\*\* ცვითე იგივე წვიტეა (წ:ც მონაცვლეობით).

\*\*\*\***ჭეჭიბერა** <- **ჭიჭიბერა**‘საგან (ი-ი -> ე-ი დისიმილაციით), იგივე უნდა იყოს, რაც **ჭიჭიმერი** (გვხვდება მურღულში. იხ. **ფუტკარაძე, 1993**) <- **ჭიმჭიმერი** <- **ჭიმჭიმური**‘საგან (მ-მ -> 0-მ). **ჭიმჭიმი** კიდეც ძველი სოფელია ტაოში. ბარემ ვიტყვი, რომ ვაზის ჯიშები ჭოროხის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა და ეს არცაა გასაკვირი, რამდენადაც აჭარას, შავშეთს, კლარჯეთსა და ტაოს შორის ინტენსიური ურთიერთობა იყო.

ჭოროხის ქვეყნებში სხვადასხვა ექსპედიციების დროს საყურადღებო ფაქტები გამოვლინდა, კერძოდ:

ჯერ კიდეც გასული საუკუნის დასაწყისში ნ. მარმა მიაქცია ყურადღება ვაზისა და მეღვინეობის საკითხს შავშეთსა და კლარჯეთში:

- სათლელ რაბათთან (შავშეთი - მ.ფ.) ახლოს, კოჩიბაურში, ჩაფარ გასპარის, იქაური მკვიდრის ცნობით, ადრე საუცხოო ვენახი იყო. „იქ იპოვეს უზარმაზარი ქვის საწნახელი. გასპარის მამამ ოცი წყვილი ხარი შეაბა, რომ საწნახელი სახლში მოეტანა” (**მარი, 2012:141-142**).

- ანაკერტის (კლარჯეთი - მ.ფ.) მაჰალეში (უბანში - მ.ფ.), თავადგილში, ნ. მარმა ნახა ქვაში ამოკვეთილი საწნახელი კოდით. „საწნახელიდან კოდში, გვერდით კედელში, ფსკერთან გაყვანილია მილი, ანუ მრგვალი არე, სუფთა ღვინის გასავლეადა. საწნახელის ფორმა მოგრძო ოთხკუთხედაა: სიგრძე 1 საყენი და 10 გოჯი, სიგანე - 1 არშინი და 7 გოჯი, სიღრმე 12 გოჯი” (**მარი, 2012:276-277**).

- მარანი ნახა ნ. მარმა ბარეთელთას ახლოს (**მარი, 2012:284-285**). აქვე ერთ ცნობასაც დავამატებთ: ქერიმ ჩიფთჯი, ჭედილას იმამი (ტერიტორიულად ჭედილას ქვემოთაა ბარეთელთა, ჭოროხთან ახლოს - მ. ფ.) მოგვითხრობს: „ძველად ჭედილა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ფერდობებზე ვაზი ყოფილა გაშენებული. დაკრეფილ ყურძენს ადგილზე წურავდნენ საწნახელებში, ტკბილი კი კერამიკის მილებით დაბლა, მარანში ჩამოედინებოდა და იქ ღვინდებოდა. ქვემო მაჰალეში დღესაც ნახულობენ ქუფებს, ჭურებსო” (იხ. **ფაღავა, II**).

- ნ. მარი ყურადღებას მიაქცევს, რომ ვაზი ხარობდა კარჩხალას ხეობაში (კლარჯეთი - მ.ფ.), ვერანა ბაღებში, „რომელიც სულ რამდენიმე წელია, რაც დაამუშავეს როგორც ვენახი და დიდებული

ყურძენი მოდის” (მარი, 2012:288). მოგზაურისა და მეცნიერის ცნობის ერთგვარი გაგრძელება XX საუკუნის 60-იანი წლების ამბავი, რომელიც გამეშეთელმა (გამეშეთი იმერხევის, მექართულე შავშეთის სოფელია - მ.ფ.) მუსტაფა უზუნმა (გამეშიძემ) მოგვითხრო: ერთხელ ენვერთან (იგულისხმება ბაზგირეთელი ენვერ დემირი - მ.ფ.) მივდოდი დიდვენახში. მოგვშივდა. აქ სულ ყურძენის ბაღები იყო. ერთი ტევანი მოვწყვიტე. იმხელა იყო ორ ხელში დევკავები” (ფაღავა, II). ცნობა საინტერესოა იმიტომაც, რომ XX საუკუნის 60-იანი წლებში კარჩხალას ხეობაში ჯერ კიდევ ხარობდა ვაზი. ისრაფილ ავჯის ცნობით, თხამ გადაჭამა კარჩხალას ვენახები. აღსანიშნავია, რომ გადმოცემით კარჩხალას ხეობას მიუყვებოდა საქარაენე გზა, რომელსაც აბრეშუმის გზას უწოდებდნენ. დასტურად მდ. კარჩხალაზე გადებული ორი (ადგილობრივთა ცნობით სამი - მ.ფ.) ხიდი და ძველი გზის ნაშთებიც კმარა. ზემოთ, მთის კალთებზე გადიოდა მეორე საქარაენე გზაც, რომელსაც ღვინის გზას ეძახდნენ. მეორე გზის ნაკვალევსაც გიკვენებენ დიდვენახისა თუ ვერანა ბაღების მკვიდრნი. დაბოლოს, კარჩხალელთა ცნობით, „წყაროშიდამ, დიდვენახის დელეში, ქვეით ყოფილე ბევრი ქუფები (ჭურები - მ.ფ.), ამევლებდით” (ფაღავა, II). მევენახეობის კვალი ჩანს წყაროსთავის სამონასტრო კომპლექსის მიდამოებშიც.

- ნ. მარი აღწერს ფორთაში მიკვლეულ საწნახელს: „კოშკიდან სამხრეთ-დასავლეთით, ფორთის ხევის ზემოთ არსებულ ფერდობზე შემორჩენილია საწნახელი... იგი ამენებულია ქვებით ამოყვანილ ტერასაზე. თვით საწნახელი სიგრძით 1 საჟენი და 11 ¼ გოჯია, სიგანე 1 არშინი და 3/4 გოჯი. სიღრმე მინაყართაა დაფარული...” (მარი, 2012:347-348). ანალოგიურ საწნახელზე მიუთითებს მკვლევარი ჯმერკსა (მარი, 2012:393) და გვერდშიც (მარი, 2012:291).

ზემოთქმულს ერთ ცნობასაც დავუმატებთ: 2014 წელს კლარჯეთში ექსპედიციის დროს ბოსელთას ციხეზე ვნახეთ ქვაში ამოკვეთილი მოზრდილი საწნახელი, რომლის ზომებია: 180x80, სიღრმე 26-30 სმ. საწნახელს აქვს ხვრელი, საიდანაც ქვაზევე ამოკვეთილი ღარებით ტკბილი ორ მოზრდილ ქვევრში გადადის. იქვე კიდევ რამდენიმე მოზრდილი ქვევრია (ფაღავა, II).

მოყვანილი ცნობები დასტურია იმისა, რომ კლარჯეთი მეღვიწეობის კერაა.

ახლა ვისაუბროთ ვაზის ჯიშებზე, ნ. მარს რომ ჩაუწერია კლარჯეთში:

I. შავი ყურძენი:

1. **სუერევი** - მთავარი ჯიში, შავი. ეს ყურძენი კარგად ხარობს და მწიფდება გვერდასა და ჯმერკში. „ის მთელი წელი შეიძლება შეინახოს. მისგან ღვინოს არ წურავენ. მარცვლები განსაკუთრებით დიდი არ არის, სფეროსებურია, მაგრამ ბოლოსკენ წაწვეტებული.

2. **ახელევი** - ღია შავი, კარგია საჭმელადაც და საღვინედაც. გვხვდება წყალთეთრაშიც, ბერდშიც (ბერთში <- ბერთაში - მ.ფ.), მაგრამ ყველაზე უკეთესად მაინც ჯმერკსა და გვერდაში ხარობს. მარცვლები მსხვილია.

3. **შავი ორჯოხული** - არც ისე მსხვილი [მარცვლები], სუფრის (გვხვდება ჭარაშიც - მ.ფ.).

4. **საფერავი** - საღვინე, როგორც ყველა შავი ჯიში, მწიფდება თეთრზე გვიან.

სქოლიოში ნიკო მარი შენიშნავს: „ადგილზე ქართულ სიტყვას, საფერავი, უწოდებენ **ჭიაფერსაც**, მცენარეს წითელი კენკრათი, მოგრძო მტევნებით (აჭარაში ამ მცენარეს **ჭყურტას** ეძახიან - მ.ფ. იხ. **მაყაშვილი, 1991 - ჭიაფერა; ნიჟარაძე, 1971 - ჭყურტა**). სომხები მის ნაყოფს იწახავენ ღვინის წითლად შესაღებად (**მარი, 2012:368, სქ.**).

5. **სირკლევი** - საღვინე.

6. **ხალთური** - საღვინე.

7. **ჯღე** - საღვინე.

შეგნიშნავთ, მეგრულში **ჯღე/ჯღა** ნიშნავს - ბორჯღალა სარი, ღოჯი, ღივი, ბორჯღლელი (იხ. **ქობალია, 2014**). შდრ. აჭარული - **ღჯა**. ლაზურში გვხვდება **ჯღატა** - ჭრელი (**თანდილავა, 2013**). შესაძლებელია, ყურძნის ჯიში ლაზურ **ჯღატა** სთან (ჭრელი) იყოს კავშირში.

8. **ატ-მემესი** - ასე უწოდებენ სომხებიც, მაგრამ ახალმა ჭედელელმა, რომელმაც ქართული არ იცოდა, მისი ქართული სახელი თქვა - ცხენის ძუძუ. არის **თეთრი** და **შავი** ჯიში, ორივე საჭმელია (სუფრის ყურძენია - მ.ფ.). ჩანს, **ატ-მემესი** ახალია, ძველი **ცხენის ძუძუს** თურქული თარგმანი.

9. **შავროპი**.

II. თეთრი ყურძენი:

1. **თურვანდა** - მსხვილი, ადრე მწიფდება, სუფრის ჯიშია.
2. **დევრიშ ალი** - მსხვილი, ოქროსფერი, საუცხოო არომატით, უფრო სუფრის ჯიშია.
3. **თეთრი ორჯოხული** - სუფრის.
4. **მელის კუდი** - სუფრის ჯიში, ოქროსფერია.
5. **ხევარდული** - საჭმელი, ოქროსფერია.
6. **ბუტკო** - ნამდვილი ღვინო მისგან იწურება.
7. **გორგოული** - ოქროსფერი, შედარებით პატარა მარცვლებით.

8. **წყალთეთრული** - როგორც საჭმელი/სუფრის, ისე საღვინე.
9. **ფუნდუხ უზუმი** - (თხილის ყურძენი?- მ.ფ.) წვრილი, მრგვალი მარცვლები, ძალიან ტკბილი.

შევნიშნავთ, რომ ფუნდუხ უზუმი რომელიღაც ქართული სახელწოდების თურქული თარგმანია, ანდაც სახელმდებელმა სახელდებისას ახალი ნიშანი შეარჩია.

10. **შიშველი** - წითელი ყურძენი, მარცვალი არაა მსხვილი.
11. **პარმახ ხათუნი** - არის თეთრიცა და შავიც, მარცვალი არაა მსხვილი (**მარი, 2012:367-369**).

შ. ფუტკარაძეს კლარჯეთში ჩაუწერია **დოდოფლი თითაძ** (**ფუტკარაძე, 1993**). ვფიქრობ, პარმახ ხათუნი ქართული „დოდოფლი თითაძს“ თურქული თარგმანია.

ნ. მარი შენიშნავს, რომ ამ ჯიშებს შორის არსებობს ზამთრისა. მას ბელლებში ინახავენ სექტემბერ-ოქტომბერში მოკრეფის შემდეგ. შეიძლება მათი შენახვა ხუთი-ექვსი თვე. ასეთებია: **სუერევი, ახელევი, შავი ორჯოხული, ატ-მემესი** (თეთრი), **თეთრი ორჯოხული, დევრიშ-ალი, ნაწილობრივ ბუტკო**.

როგორც ვხედავთ, ნ. მარს შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობისას ყურძნის ოცი ჯიში დაუფიქსირებია, - 11 თეთრი და 9 - შავი, მათგან ნაწილი საღვინეა, ნაწილიც - სუფრის, საჭმელი.

აღვნიშნავ, რომ შავშეთსა და კლარჯეთში შენახულ ყურძნის ჯიშებზე მსჯელობს ივ. ჯავახიშვილი ს. ტიმოფეევის შრომაზე და ნ. მარის „დღიურებზე“ დაყრდნობით. ს. ტიმოფეევი ნ. მარისაგან განსხვავებულ რამდენიმე ჯიშს ასახელებს, ესენია: **თეთრი მწვანურა, სორევი** (ვფიქრობთ, იგივეა, რაც ნ. მარისეული **სიურევი**), **ალი ჩელები, ოქუხ გოზი, სტამბულ უზუმი** (ჯავახიშვილი, 1986:482-486).



შევნიშნავთ, რომ **ოქუზ გოზი** ქართული ხარისთვალას (შდრ. მეგრული - ხოჯისშთოლი) პირდაპირი თარგმანია.

ამდენად, ნ. მარის მიერ დადასტურებულ ვაზის 20 ჯიშს შავ-შეთსა და კლარჯეთიდან კიდევ შეიძლება დამატოს ს. ტიმოფევი-სეული 4 ჯიში მაინც.

ვფიქრობთ, დასახელებული 24 ჯიში მაინც უნდა შეტანილიყო ვაზის ქართული ჯიშების ჩამონათვალში.

ნ. მარის მოგზაურობიდან ას წელზე მეტი გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა ისტორიულ კლარჯეთში. ასიმილაციის პროცესი შორს წავიდა, შესაბამისად, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე კლარჯები ასახელებენ ყურძნის ჯიშებს, ზოგჯერ სახელშეცვლილსაც.

1. **გურჯი უზუმი** (შდრ. გურჯუზუმი - ფუტკარამე, 1993).

2. **კასრევილი** - მრეში მჟავა. აქვს დიდი მტევნები. თუ ჩრდილი უყურებდა თეთრი-შავი, ჭრელი მარცვალი ჰქონდა, მხეს თუ უყურებდა - წითელი. თუ წვიმები წავიდოდა, მარცვალი სკდებოდა.

3. **ბუტკო** - შავი, წვრილმარცვლიანი ყურძენია (სამივე ჯიში ჩავიწერეთ კარჩხალას ხეობაში 2011 წლის ზაფხულში).

4. **ძაბრა**.

5. **ჯინეში**(შავი).

6. **ხარისთვალა**.

7. **რუსულა**.

8. **ისტამბოლელა** - მტევნები დიდია, პარკიც (მარცვალი) - დიდი (დასახელებული ხუთი ჯიში ჩავიწერეთ მურღულში 2007 წელს (იხ. ფაღავა, 2012:80).

9. **სალთერა/სალთეთრა** - გამოთქმის პრობლემა ჩანს, იგივე უნდა იყოს, რაც ნ. მარისეული წყალთეთრული.

10. **რეზაყი** - შავი.

11. **ორჯოხული**.

12. **გოლგოური** (შდრ. გორგოული - აჭარა).

13. **ადესა** - დასახელებული ჯიშები ჩავიწერე დაბასა და ჯმერკში 2011 წელს.

14. **შირა ყურძენი** (იხ. ფაღავა, 2017:392-401).

15. **ჯინეში** (თეთრი) - ჩავიწერეთ ტრაპენში 2014 წელს.

შ. ფუტკარამემ ისტორიულ კლარჯეთში ჩაიწერა ვაზის რამდენიმე ჯიში:

1. გურჯ უზუმი, 2. დედოფლი თითაჲ, 3. თეთრი ყურძენი, 4. ისტამბოლაჲ, 5. ჭიჭიმერი (მურღული), 6. საწურავი (მურღული), 7. ჩიტი ყურძენი - წვრილმარცვლიანი ყურძენი, 8. ცხენის ძუძუ, 9. ხართვალაჲ, 10. ხოფათური, 11. ჯინეში (იხ. ფუტკარაძე, 1993).

მურღულში იცინა ხარდალი, - ვაზის სარი (შდრ. ხარდანი - სარიანი ვენახი. ორბელიანი, 1949).

მემედ ალი ქესკინმა (ბისონიძემ) 2014 წელს ანჭკორაში (კლარჯეთი - მ.ფ.) ჩაიწერა: სორევი, ბუთკო, ახალაქი (შდრ. აქარ. ახალაკი), ჩიშველი (შდრ. შიშველი), ადესა, რეზავი (შდრ. რეზაყი), ავიბოლაზი.

მ.ა. ქესკინის ჩანაწერებში ამკარად თავს იჩენს თურქული გამოთქმის კვალი: ბუთკო (<- ბუტკო), ჩიშველი (<- შიშველი)...

აღვნიშნავთ, რომ ყურძნის ჯიშს უკავშირდება ტოპონიმი ჩხავრეთი (\*<ჩხავერ-ი-ეთ'ი), ადგილი კლარჯეთში, სადაც ჩხავერი ხარობდა.

ნ. მარიდან დღემდე შავშეთსა და კლარჯეთში ვაზის ორმოცზე მეტი ჯიში დადასტურდა. ამ ქვეყნებში მევენახეობა, როგორც მეურნეობის დარგი, მას შემდეგ დაეცა, რაც აქ ოსმალები გაბატონდნენ, მიზეზთა გამო აღარ იწურებოდა ღვინო და ყურძენმაც დაკარგა სამეურნეო მნიშვნელობა. მიუხედავად ყველაფრისა, შავშეთსა და კლარჯეთში ახსოვთ ვაზის ჯიშები, აშენებენ მას და მოგვითხრობენ აქაური ღვინისა და ჭურ-მარანის შესახებ.

„ყურძენმა თვალი აკეთავს” - ვიტყვითო, გვითხრა ხასან ყავაზოლიმ. ყურძენი, ხილი ზოგადად, შეიმთვალაო - იტყვიან აჭარაში. ერთსაც მივაქცევთ ყურადღებას, ანჭკორაში, არტანუჯს ზემოთ, არის მარანი სირთი, ტოპონიმი გამჭვირვალეა და დამატებით კომენტარს არ საჭიროებს.

ახლა ტაოშიც გადავიდეთ და იქაური ვაზის ჯიშები მოვიკითხოთ. ვიტყვით, რომ ტაოელებსაც უშენებიათ ვაზი, ახსოვთ ძველი სახელწოდებებიც:

1. ჩოჩხასი.

2. ცხენის ძუძუ - თეთრი (ბალხიზარი).

3. ხათხული - შდრ. ხათხა - ადგილი ნიხორში.

4. ჯინეში - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში არჯევანსა და ქსფოროთში, ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც.

5. **ბუტკო** - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში არჯევანის ხეობიდან.
6. **დევური** - წითელყურძნიანი ვაზის ჯიში არჯევანის ხეობიდან.
7. **ელვანი** - შავყურძნიანი ვაზის ჯიში.
8. **თურვანდა** (ისმის - თულრანდაც) - წითელნაყოფიანი ვაზის ჯიში ქისქიმში, ბალხიბარში, არჯევანსა და ქისფოროთის ხეობებში.
9. **თურვანდა** - თეთრი.
10. **კარული//კაროლი** - ვაზის ჯიში ბალხიბარიდან.
11. **კრალ უზუმი** - თეთრი, ვაზის ჯიში არჯევანის ხეობიდან.
12. **კურტამ//კორტამ** - შავი.
13. **მართალი ყურძენი**.
14. **სარამ**.
15. **საფერავი**.
16. **ქეჩი მემესი** - შდრ. თხის ძუძუ.
17. **ქუზუ გოზი** - შდრ. ბატკნის თვალი.
18. **ყარა უზუმი** - შდრ. შავი ყურძენი.
19. **ყარუტა უზუმი** - ვაზის ჯიში ბინათიდან.
20. **ჩითლები** - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში ქისფოროთის ხეობიდან.

ერთ ამბავსაც მივაქცევ ყურადღებას: მოგვითხრობენ, რომ დუგურში, მასისის კალთებზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მაღლა ვაზი ხარობდაო, ჯიშებსაც ასახელებენ - **ჯინეში, ცხენის ძუძუ, კარული, კურტამ**. დაუჯერებელი კია ამ სიმაღლეზე ვაზის არსებობა, მაგრამ ასე იყო, გვიმტკიცებენ ტაოელები. „უწინ აქ ყურძენი იყო,... ხინძანიც (//ჰინძანი - საწნახელი) იყო, ახლა გაბეთილებულია” (ქვა-ლორღითააო ავსილი). ვაზის ქოქებიც (ფესვები - მ.ფ.) არი-სო აქ, მთის კალთებზე... ტაოში **საწნახელს ყურძნის დასაწურს** ეძახიან.

ვაზის კულტურას უკავშირდება ფრაგმენტები ქაღოცას დღესასწაულის შესახებ. ქაღოცამ ზოგადად შემოდგომის, რთველის დღესასწაულია, იმართებოდა მოსავლის აღების შემდეგ, ოქტომბერში (ქაღოც - ოქტომბერი):

- [ქაღოცას] ყურძენ კრეფდეს, ბექმეზ ვიქმოდით, ტკბილ ვიქმოდით, შელლიგ (მხიარულებას - მ.ფ.) ვიქმოდით, ვიფერხულებ-

დით... სხვა სოფლებ ხებერ (ამბავს - მ.ფ.) მისცემდეს, ხვალ ქალოცაა, აქ ჩუმოდითო...”

- ძველათ [ქალოცას] ყურძენ დაკვრეფდით, ბექმეხ ვიქმოდით, შელლიგ ვიქმოდით. ორ-სამ რამეს ხალხი შეიყრებოდეს ბალხიდამ, ქუაბაიდამ... ჩუმოვდოდეს, მოსაფირი (სტუმარი - მ.ფ.) შეიქნებოდეს, ორ-სამ რამეს შელლიგი იქნებოდეს...(მეველუდ ბაქმაზი - დო-ლენჯაშვილი ხევეკიდან).

ქალოცას შესახებ გადმოცემა ჩავიწერეთ წითლეკვარშიც (ტაოს მექართულე სოფელში):

„ქალოცას ყურძენ კრეფვენ, ჰინძანი ჯეხმეებით კარგათ ტყლერჭვენ (აქ: ჭყლეტენ), ყურძენი ვავსებთ შიგან, ვადულეებთ თემ-თით, ყაზანით, ბექმეხი იჯვენება, ტკბილი იჯვენება”.

ახალ დროში შინაარსი შეუცვლია ქალოცას, ყურძენს - დანიშნულება: ყურძენს კრეფენ, საწნახელშიც ჭყლეტენ, თუმცა ტკბილი-დან ღვინის დაყენების ნაცვლად ბექმეხს (ბეთიმეხს, ბაქმაზს) აკეთებენ, ტკბილსაც ინახავენ.

დაბოლოს, ხუახში (ოლთისი) არის ტოპონიმი **ზუარი**. ჩვენს კითხვაზე:

- ზვარი/ზუარი ქართულია, აქ ვაზი ხარობს?

- უწინ იყო ალბათ, ქუფები (ქვევრები - მ.ფ.) ჩანს, უწინ ღვინოს აყენებდნენ ძველი კაცები, - გვიპასუხეს.

ახალ ხუახელთა ხსოვნას შეუნახავს ცნობა, რომ მათი წინაპრები ვაზსაც ამენებდნენ და ღვინოსაც აყენებდნენ, დასტურად არქეოლოგიურ ნაშთებს გვაჩვენებენ.

ჭოროხის ხეობაში სადღეისოდ გამოვლინდა ვაზის ასზე მეტი ჯიში, ამათგან მხოლოდ 45 ჯიშია შეტანილი კატალოგებში აჭარ-დან...

აღვნიშნავთ, რომ ვაზის რამდენიმე ჯიში საერთოა ჭოროხის ქვეყნებისათვის, კერძოდ: აჭარასა და კლარჯეთში გვხვდება: **ახალაკი//ახელევი, გორგოული, შიშველი, ორჯოხული** (თეთრი - აჭარაში, შავი - კლარჯეთში), **ხარისთვალა**.

აჭარაში, კლარჯეთსა და ტაოში დასტურდება: **საფერავი, თურვანდი, ჯინეში, ცხენის ძუბუ**.

ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია, რომ ჭოროხის ქვეყნებს შორის ინტენსიური სამეურნეო კავშირები არსებობდა, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა.

ყურადღებას იქცევს ვაზის სახელწოდებები, რომელთა მეტი ნაწილი ქართულია, ნაწილიც - უცხოური, არაქართული.

უცხოური: **ატმემესი, ფუნდუხ უზუმი, პარმახ ხათუნი, ოქუზ გოზი, ავიბოლაზი, გურჯიუზუმი//გურჯუზუმი, კრალ უზუმი, ქეჩი მემესი, ქუზუ გოზი, ყარა უზუმი, ყარუტა უზუმი.**

ერთი სახელწოდება ქართულ-თურქულია: **შირა ყურძენი.**

ვაზის დასახელებული სახელების ნაწილი ქართულის პირდაპირი თარგმანია, ზოგჯერ გვერდიგვერდ იხმარება ქართული და თურქული სახელები: **ატმემესი//ცხენის ძუძუ, პარმახხათუნი//დოდოფლი თითაჲ//ქალის თითა, ოქუზ გოზი//ხართვალა...** სხვები, შესაძლოა, ახალი ჯიშებია ამ კუთხეებში, ანდაც სახელშეცვლილი - ძველი.

სხვა სახელები ქართულია.

ყურადღებას იქცევს ვაზის სახელების საკითხი, გამოიყოფა,

ა. წარმომავლობის სახელები: **ალმურა** (შდრ. ალმე, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში, ახლა - ვაშლოვანი), **ბათომურა, გორგოული, კიბურა** (შდრ. კიბე - სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში), **კლარჯული//კალარჯული, კორძალა** <- \***კორძაული** (შდრ. კორძაული - ადგილი ჯაბნიძეებისა და ქიძინიძეების მიჯნაზე, შუახევის მუნიციპალიტეტში), **ლივანურა, მორცხულა** (შდრ. გვარი - მორცხულავა), **მწვანურა, ორჯოხული** (შდრ. ორჯოხი, სოფელი ისტორიულ კლარჯეთში), **სხალთური** (შდრ. სხალთა - სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში), **ტაკიძურა, ქორქაულა** (შდრ. გვარი - ქორქია), **შავშურა, ჭიპაკური //ჭიბაკური (?), ჯავახეთურა, სალთური** (სხალთური?), **ხევარდული, წყალთეთრული** (შდრ. წყალთეთრი - სოფელი შავშეთში), **კასრევი** <- \***კასრეული, რუსულა, ხოფათური** (შდრ. ხოფა), **ხათხული** (შდრ. ხათხა უბანი ნიხორში), **დეფური** (შდრ. დეფთისა, სოფელი ტაოში), **კარული** (შდრ. კარი, ისტორიული ყარსი), **ისტამბოლელა...**

ყველა მათგანში გამოიყოფა **-ურ//ულ** სუფიქსი.

ბ. სახელდებისათვის გამოყენებულია რაღაცასთან მსგავსება: **ბროლა, ბურძალა, თეთრა, მაგარა, კვირითავა, ცხენის ძუძუ//ატმემესი, ხარისთვალა//ოქუზგოზი, მელის კუდი, ძაბრა, დოდოფლი თითაჲ//პარმახ ხათუნი, კურტაჲ//კორტა, ქეჩი მემესი** (შდრ. თხის ძუძუ), **ქუზუ გოზი** (შდრ. ბატკნის თვალი)...

გ. ადამიანის სახელები//გვარები: **კაიკაციშვილი, ალი ჩელები, დევრიშ ალი...**

დ. ნაყოფის გარეგანი მახასიათებელი: **შავი ორჯოხული, თეთრი მწვანურა, შიშველი...**

ე. დანიშნულება: **საწურავი, საფერავი...**

ჩანს, სახელმძღვანელო კონკრეტულ ნიშანს არჩევდა სახელდებისას. აქ ერთი რამაა გასათვალისწინებელი: ჯავახეთიდან მოტანილ ვაზის ჯიშს **ჯავახეთურა** უწოდეს, შავშეთიდან - **შავშურა**, კლარჯეთიდან - **კლარჯული//კლარჯული...** მნიშვნელოვანია, რა ქვია ამ ვაზს ადგილზე, - ჯავახეთში, შავშეთსა თუ კლარჯეთში...

ჭოროხის ხეობაში დღემდე დადასტურებული ასზე მეტი ვაზის ჯიშში, აღმოჩენილი მარნები თუ საწნახელები, მევენახეობასთან დაკავშირებული ტოპონიმები, შემოდგომის დღესასწაულის ფრაგმენტები... დასტურია, რომ ჭოროხის ხეობა ისტორიულად ვაზის სამშობლო იყო, ვაზი კიდევ - ქართველთა იდენტობის ერთი ნიშანია.

დაბოლოს, ჭოროხის ქვეყნებში აღმოჩენილმა ვაზის ჯიშებმა კუთვნილი ადგილი უნდა დაიჭიროს ქართული ვაზის კატალოგში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**თანდილავა, 2013** – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013

**კალანდაძე, 2015** – ბონდო კალანდაძე, საქართველო ღვინის აკვანი, თბ., 2015

**მარი, 2012** – ნიკომარი, შავშეთსადაკლარჯეთშიმოგზაურობისდღიურები, ბათუმი, 2012

**მაყაშვილი, 1991** – ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991

**ნიჟარაძე, 1971** – შოთანიაჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, 1971

**რამიშვილი, 1970** – მაქსიმე რამიშვილი, ამპელოგრაფია, თბ., 1970

**ფაღავა, 2012** – მამიაფაღავა, ნიკომარიდამისიმოგზაურობაშავშეთსადაკლარჯეთში. იხ. ნ. მარი, შავშეთსადაკლარჯეთშიმოგზაურობისდღიურები, ბათუმი, 2012

**ფაღავა, 2015** – მამია ფაღავა, ოდენსუფიქსური წარმოება კლარჯეთის ტოპონიმიაში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი, 2015

**ფაღავა, 2017** – მამია ფაღავა, კლარჯული ჩანაწერები, თბ., 2017

**ფაღავა, II** – მამიაფაღავა, კლარჯულიჩანაწერები, II (ხელნაწერი).

**ფაღავა, V** – მამია ფაღავა, კლარჯული ჩანაწერები, V (ხელნაწერი).

**ფუტკარაძე, 1993** - შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993

**ქობალია, 2014** – ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2014

**ჯავახიშვილი, 1986** – ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი II. თხზ. 12 ტომად, ტ. V, თბ., 1986

## ტ ა რ ი ე ლ ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე

### „მაფშალიას“ ეტიმოლოგიისათვის

სამეცნერო ლიტერატურაში დღემდე გაზიარებული მოსაზრების მიხედვით „მაფშალია“ („ბულბული“) არის პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ფუძე, რომელშიც გამოიყოფა ფშალ-ძირი: მა-ფშალ-ია, სადაც ფშალ- („ფშალე“, „ფშალი“) ძირი აღნიშნავს „სვიას“; მაგ., ი. ყიფშიძე ფშალი „ზვუია“ (სვია) ერთეულთან ასახელებს ფორმებს: მა-ბ/ფშალია, მე-ფშალია, მა-შაია მა-ვშაია „ბულბული“; მა-ფშალური „ბულბულისებური“, მაფშალური „ბულბულივით“. მა-ფშალ-ი-ა „ფშალოსჩიტს“ გულისხმობს (ყიფშიძე, 1914). ლაზურ ლექსიკონშიცაა შესული „მაფშალე“; ეს ფორმაც გააზრებულია როგორც „მესვით“; იადონი“ (თანდილავა, 2013). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ სპარსული „ბულბული“ და ბერძნული „იადონი“ სიტყვაფორმების შესატყვისი ქართულ ენაში უნდა ყოფილიყო „მეფშალია“, რომელიც დღესაც გამოიყენება მეგრულში

„მაფშალია“ სიტყვა-ფორმის სახით (არნ. ჩიქობავა შრომები, V ტომი, "ვეფხისტყაოსნის" ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, თბ. 2011, გვ. 30-31 . სტატია დაბეჭდილია 1966 წლის "მნათობის" მე-9 ნომერში, გვ. 70-81)

შდრ., აგრეთვე, ოთარ ქაჯაია:

"ფშალო/ფშალე - სვია - მცენარე, რომლის ყვავილისაგან ხარ-შავენ საფუარს, რაც სასიამოვნო გემოს აძლევს პურს. ამ მცენარის ხშირ სტუმარ ჩიტს ეძახიან მაფშალიას. ის ხშირ მეტამორფოზს განცდის, ამიტომ ვერ ცნობენ. ეს ჩიტი გაზაფხულზე და ზაფხულში მაფშალიაა (ფშალოს ჩიტი), შემოსგომაზე - ნიბლია, ზამთარში - გულწითელა (გურმეჭვია). ზოგი მას იადონს ეძახის... (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, 2002, გვ. 122).

ვფიქრობ, ჩიტ მაფშალიას (ბულბულის) ეტიმოლოგიური დაკავშირება მცენარის სახელთან არალოგიკურია, რამდენადაც ამ ფრინველს საერთოდ არ უყვარს სვია. გარდა ამისა, თუკი მაინც დავუშვებთ ამგვარ კავშირს, აუხსნელი რჩება "ფშალო" და "ფშალე" ფორმებში ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვის მიზეზი: „ფშალი“ ვარიანტი ზანურ კილოებში არ დასტურდება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაფშალია („ბულბული“) წყლის მოყვარული ჩიტია; ბინადრობს წყლის სიახლოვეს ბუჩქნარში. წყაროების, მდინარეების ნაპირებზე, ტყისპირებში; შესაბამისად, ვფიქრობთ, „მაფშალიას“ ძირია **ფშა** „წყალი“ და არა „სვია“.

სიტყვაფორმა ასე დაიშლება: მა-ფშ-ალ-ი-ა; მა—ალ- სიტყვა-მაწარმოებელი კონფიქსი; -ია კნინობით-ალესობითი სუფიქსი.

ზანური **ფშ**- მომდინარეობს საერთოქართველური **ფს**- (**ფსა** „წყალი“, რომელიც შემორჩენილია სიტყვაფორმებში: ფსუმა (ფსმა), სუფსა (სურების ფსა „სურების წყალი).

შდრ.: მო-ფს-ა; მეგრ.-ლაზ.: ფსუმა/სუმა; სვანური: ლი-ს-ენ-ე მოფსმა. მე-ფსა-აი - ქვეშაფსია (სარჯველაძე, ფენრიხი).

ფს-/ფშ- საერთო იბერიულ-კავკასიური ძირია: -ფსა - დასველება, წყალი. შდრ., ასევე: „ფშანა“ ტოპონიმი სოფ. აზლაღაში (esenkırı, hopa ilçesi) - მდინარის სათავეა მ. ლაბაძე; იმერული: „ფშანი“; ზანური: ფსქაია „პატარა მდინარე, დელე“ (მ. ჩუხუა, 2017, 181, 190)...

მეგრულში გვაქვს მსგავსი წარმოების სხვა სიტყვებიც:

მა-ბჟა-ალ-ია;



მა-ფატ-ია = მე-ფეტვ-ია (აქ მხოლოდ პრეფისი მა- გვაქვს);  
მა- სქუა-ალ-ი „მაკვერცალი“ მეკვერცხე დედალი; შდრ.: მარ-  
ქვალი - კვერცხი: მა-რქუა-ალ-ი;  
მა-გორ-ალ-ი - გორუა „ძებნა“ გორუნს ძებნის;  
მა-ლალ-ურ-ი - მოლალური (ლული - ლეღვი);  
მა-სკა-ალ-ია - სკა: ქობალია 2010: 393 (მაგალითი მანანა ბუკი-  
ამ) - ფუტკრის დედა  
მა-სკა-ალ-ია - მარწუხი (?);  
მაჭკიდა - მჭადა;  
მა-სქა-ალ-ია...

წარმოდგენილი ფს-/ფშ- ძირი შეიძლება იყოს სვ- ძირის ვარი-  
ანტიცი: ფს-/ფშ-/სვ (სველი, სუამს)... შდრ., ფ-ს განვითარების შემთხვე-  
ვები: ფსუა - ფრთა /ფსუალეფი - ფრთები/ -სუა „ფრთა“; ფსუ / სუ  
„კაკალი“; ფსკა - სკა... ეს საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს.

ამრიგად, **მაფშალია** არის ჩიტი, რომელიც ხშირადაა წყალში,  
ამიტომაც დაერქვა მაფშალია - წყლის ჩიტი; „მაფშალია“ ეტიმოლო-  
გიურად უკავშირდება წყალს - ფშა-ს და არა - „ფშალოს“ (სვიას).

აქვე აღვნიშნავთ ერთ არსებით გარემოებას:

მართალია, სპარსულ „ბულბულ“ ფორმას ძლიერ აქვს ფეხი მო-  
კიდებული, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში „მაფშალია“ გა-  
რკვეულ წინააღმდეგობას უწევს მას და ხშირად გამოიყენება თანა-  
მედროვე ქართულ სალიტერატურო ენაშიც (იხ., მაგ., ნ. წულეისკი-  
რის, თ. მღვდლიაშვილის და სხვათა შემოქმედება). სამწუხაროდ,  
„მაფშალია“ დღემდე არ არის შესული ქართული ენის ლექსიკონებში.  
ვფიქრობთ, ქეგლ-შიც მას კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს.

## გამოყენებული ლიტერატურა

**ქაჯაია 2000-2009** – მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ.,  
**ჩიქობავა 2011**– თხზულებათა მე-5 ტ., თბ.,  
**ჩუხუა 2017**– ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიუ-  
რი ძიებანი, თბ.,

## მაია ქუქჩიშვილი

### -ემ თემის ნიშნის გამოყენების თავისებურებები ქართული ენის ჯავახურ დიალექტში

მოხსენებაში წარმოვადგენთ-ემ თემის ნიშნის გამოყენების თავისებურებებს ქართული ენის ჯავახურ დიალექტში, სადაც დღეს არსებული რეალობისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ვითარებაა და მხოლოდ ღრმად ასაკოვანი ადამიანების მეტყველებაშია ფიქსირდება (იშვიათად შუა ასაკის ადამიანებთან, ახალგაზრდები კი უკვე აღარგამოიყენებენ). ამიტომ, ვფიქრობთ, საშური საქმეა, მოესწროს დიალექტოლოგიური ექსპედიციების მოწყობა და ასაკოვანი ადამიანების მეტყველების ჩაწერა).

ჯავახური დიალექტის -ემ თემის ნიშანზე დაკვირვებისას სააწალიზოდ გამოვიყენეთ ჩვენ მიერ მოპოვებული დიალექტოლოგიური საველე მასალა ვარგავიდან (ინფორმატორი - ნ. ლაზარაშვილი, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარგავი, 90 წლის, 2020 წელი, იანვარი; სამწუხაროდ, ჩვენი ინფორმატორი, ჩემი ოჯახის ნათესავი ქალბატონი, ჩაწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა). ვარგავი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის მხარის ასპინძის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფელი თოკი). ახალქალაქის პლატოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 1710 მეტრზე, ასპინძიდან დაშორებულია 24 კილომეტრით. სოფლის მიდამოებშია ტუფის ქვის საბადო. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 105 კაცი, 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 53 კაცი (<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98>).

არაერთგზის გამოკვლეულა სხვადასხვა მიმართულებით ჯავახური დიალექტი ჩვენი სახელოვანი ენათმეცნიერების (არამ მარტიროსოვის, გრიგოლ ბერიძის, გიორგი ზედგინიძის, სერგო მელიქიძის, მერაბ ბერიძის, მარინე ბერიძის) მიერ.

ჩვენს სტატიაში საუბარი გვექნება ჯავახური დიალექტის თემის ნიშანთა თავისებურებებზე უწყვეტელში, რამეთუ ტექსტში

გამოყენებული ზმნები, თითქმის მხოლოდ ამ დროის ფორმებითაა წარმოდგენილი.

საზოგადოდ ცნობილია, რომ **თემა ჰქვია** ზმნის ბაზისს, რომელზედაც დაყრდნობილია პირველი სერიის მწკრივთა ფორმები ან მეორე სერიისა, ე.ი. რომელიც საერთოა I ან II სერიის მწკრივთა ყველა ფორმისათვის. თემა ეს არის ჩონჩხი, რომელზედაც ასხმულია ზმნის ფორმები ერთ-ერთ სერიაში: პირველში ან მეორეში (შანიძე 1972, 387).

თემის ნიშანთა მონაცვლეობა იმდენად თავისებური და თავისუფალია ჯავახურში, რომ ამ პროცესისათვის რაიმე კანონზომიერების დადგენა ძნელია. თემის ნიშნები **-ებ**, **-ობ**, **-ავ**, **-ებ**, **-ევ**, **-ოვ**, **-იდ** სხვადასხვა ვარიანტებით გვხვდება და ამ ნაწილს მაგალითებით გავამყარებთ. საინტერესო სურათს ქმნის, პირველ რიგში, **-ავ** თემის ნიშნის ვარიანტები ჯავახურში. *ავიან* ზმნათა ჯგუფი საკმაოდ დიდია ტექსტში და იგი შემდეგ სურათს იძლევა:

1. **-ავ** თემის ნიშანიცვლება:

ა. **-ემ** თემის ნიშნით: ვკლემდით, ვნახემდით, დავბეგვემდით; სწვემდნენ; ვთესემდით, დავკლემდით; ვართემდით, არაყსა სვემდა, მოვზილემდით, ვწვემდით, ვჩეჩემდით, გადავკიდემდით, დავსვემდით;

ბ. **-ენ** თემის ნიშნით: გავქექენდით

გ. გვაქვს პარალელური ფორმებიც ამ/-ან: მყამდა / მყანდა

2. თემის ნიშანი **-ებ** იცვლება - **ემ** თემის ნიშნით: ვითენემდით, ვაკეთემდით, გავაკეთემდით, ვაჩუქემდით, გავუგორემდით, ჩავდემდით, მოვატანიემდით, დააგემდნენ, ჩავაგდემდით

ა. **-ებ** თემის ნიშანი იცვლება **-ამ** თემის ნიშნით: ვაკეთამდით

3. **-ობ** შეიძლება შეიცვლოს **-ენ/-ემ** პარალელური ფორმებით ან მხოლოდ **-ემ** ფორმანტით: ვაცხენდით / ვაცხემდით, დააწყემდნენ, ჩავასემდით, დავალბემდით,

4. **-ობ** იცვლება **-ომ/-ონ** პარალელური ფორმებით: ვყიდულომდით/ვყიდულონდით, ვაცხომდით.

5. **-ობ** თემის ნიშანიცვლება **-ებ** თემის ნიშნით ვახმებდით

6. **-ევ** თემის ნიშანიცვლება **-ემ** თემის ნიშნით: ვურემდით

7. **-ოვ** თემის ნიშანიცვლება **-ომ** თემის ნიშნით: ვქსომდით

8. -იდ თემის ნიშანიცვლება -ემ თემის ნიშნით: ვყიდემდით ტექსტში ერთდროულად გვხვდება ვაცხემ, გამოვაცხემდით-ობ/-ემ/გამოვაცხენ -ობ/-ენ/ფორმები.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „-ემ თემის ნიშანი ერთადერთ ფუძეს აქვს, რომელიც სხვადასხვა ზმნისწინით გამოიყენება. ეს გახლავთ მი-ცემ-ა და ზმნისწინების დართვით სხვადასხვა ფორმას და სემანტიკას უკავშირდება: მივცემ, გაცემს, დაეცემა“ (შანიძე 1955, 209).

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ჯავახურისთვის ყველაზე აქტუალურ თემის ნიშნად ქცეულა -ემ ფორმანტი უწყვეტელში. იგი ენაცვლება-ებ, -ობ, -ევ, -ავ, -იდ თემის ნიშნებს და ყველაზე პროდუქტიულია: ვკლემდით, ვნახემდით, დავბეგვემდით; სწვემდენ; ვთესემდით, დავკლემდით; ვართემდით, არაყსა სვემდა, მოვზილემდით, ვწვემდით, ვჩეჩემდით, გადავკიდემდით, დავსვემდით...

ზოგადად, „ქართული ენის დიალექტებში ფართოდ გავრცელებული პროცესია -ავ და -ამ თემის ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობა. ავ → ამ: დიალექტთა ერთ ჯგუფში -ავ თემის ნიშანს ენაცვლება -ამ: მალ-ამ-ს, თეს-ამ-ს, ბარ-ამ-ს, ხატ-ამ-ს... ეს პროცესი დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის, ისე დასავლეთში... მთის დიალექტთაგან ადასტურებენ მთიულურგუდამაყრულში. ესეც, ვფიქრობთ, ბარის დიალექტებთან სიახლოვის შედეგი ჩანს. ძნელი ასახსნელია, რა არის საფუძველი ამგვარი ურთიერთსაპირისპირო პროცესებისა. შედეგი უცნაურია: გვექონდა -ავ და -ამ თემისნიშნაანი ზმნები, გვაქვს -ავ და -ამ თემისნიშნაანი ზმნები, ოღონდ ავ-იანები ამ-იანები გახდა და, - პირიქით... საინტერესოა ისიც, რომ დგ-ავ-ს, სვ-ავ-ს ტიპის ფორმები ფეხს იკიდებს ქალაქურ მეტყველებაშიც, რაც საფუძველი ხდება მათი შემოჭრისა მედიის ენაში... ისეთი მასშტაბური ხასიათისაა ავ → ამ პროცესი, რომ შეიძლებოდა უნიფიკაციის (გაერთფეროვნების) ტენდენციის გამოვლენად მიგვეჩნია; თუმცა ამ → ავ პროცესის არსებობა ამ თვალსაზრისისათვის კითხვის ნიშანს დაგვასმევინებს; ყოველი შემთხვევისათვის, უნიფიკაციის ტენდენციის დარღვევის ეს შემთხვევა (ამ → ავ) სერიოზულ ახსნას მოითხოვს. ჩვენ პრინციპულად არ ვეთანხმებით მსგავსი ფაქტებისათვის გამონაკლისის კვალიფიკაციის მიცემას (ხშირად ვიმეორებთ და ვეთანხმებით ვარლამ თოფურის მოსწრებულ ნათქვამს: `გამონაკლისი და ანალოგია გაჭირვების ახსნაა`)...

ამ მასშტაბურ პროცესთან დაკავშირებით (ავ → ამ) კიდევ ერთი საკითხი მოითხოვს გარკვევას: **ეს პროცესი ფონეტიკური მონაცვლეობაა ზგერათა თუ მორფოლოგიური შენაცვლება?** ჩვეულებრივ, დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში ავ → ამ და ამ → ავ პროცესები თანხმოდანთა **სუბსტიტუციად** განიხილება: ვ -> მ და მ -> ვ. ანალოგიისათვის მოჰყავთ მსგავსი შენაცვლება სხვა სიტყვებშიც (ვითამ -> მითამ და ა. შ.)” (გოგოლაშვილი 2015,71).

ავტორი აქვე დასძენს, რომ თემის ნიშანთა მონაცვლეობის თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა მესხურში: **ავ/ამ** თემის ნიშნებს აქ **-ან** ფორმანტი ენაცვლება. ეს შემთხვევა განსხვავებით **ავ→ამ** მონაცვლეობისა, მორფოლოგიურ შენაცვლებად განიხილება. მალ-ავ-ს → მალ-ან-ს, დგ-ამ → დგ-ან-ს... ეს შენაცვლება უფრო რთული პროცესის ნაწილი ჩანს: ე და ო ხმოვნიან თემისნიშნებშიც ხდება ნ თანხმოვნის ჩანაცვლება: აკეთ-ებ-ს → აკეთ-ენ-ს, ათბ-ობ-ს → ათბ-ონ-ს, კოჭლ-ობ-ს → კოჭლონ-ს...ზოგ შემთხვევაში ე ხმოვნიანი ვარიანტი შუალედური საფეხური ჩანს: აკეთ-ებ-ს → აკეთ-ენ-ს → აკეთ-ან-ს... საბოლოო შედეგი ა ხმოვნიანი ვარიანტის გაჩენაა.... როგორც ჩანს, თემის ნიშანთა ისტორიული მონაცვლეობის საფუძველი და მიზანი უფრო რთული და მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი მარტივი ფონეტიკური პროცესი (ვ -> მ... მ -> ვ... ვ -> ნ...) (გოგოლაშვილი 2015, 78).

მარინე ბერიძეს დეტალურად აქვს შესწავლილი მესხური დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, სადაც იგი წერს: მესხურში გამოიყოფა -ან, -ენ, -ონ, -ამ, -ომ, -ოვ, -ებ თემის ნიშნები. ზოგი მათგანი ფონეტიკური ვარიანტების სახით გვხვდება, შეინიშნება თემის ნიშანთა ფუნქციური მონაცვლეობაც: აწმყოს -ან-ს მყოფადში ენაცვლება -ენ: ვაკეთან - ვაკეთენდი; ვკლან - ვკლენდი, ვგრიხან - ვგრიხენდი.. (ბერიძე 209-210).

მიუხედავად იმისა, რომ -ნ ფორმანტი სამცხე-ჯავახეთის ძირითად ტერიტორიებზე დასტურდება, საინტერესოა, რომ ჩვენი ინფორმატორი, რომელიც არის ვარგავის მკვიდრი (ასპინძის მუნიციპალიტეტი) მას არ გამოიყენებს. იგი ძირითადად, **-მ** ფორმანტს სხვადასხვა ფონეტიკურ კომბინაციებში იყენებს.

ჯავახურში-**ამ//ემ** თემის ნიშნების მონაცვლეობა ისევე პროდუქტიულია, როგორც სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში **-ებ** სუფიქსი. როგორც ჩვენ მიერ განხილული მაგალითე-

ბიდან ჩანს, თემის ნიშნები საკმაოდ აქტუალურია ჯავახურში და ძირითადად მოხუცებულთა მეტყველებაში გვხვდება. რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალურ გარემოს, სადაც იგი ცხოვრობს ან მოღვაწეობს; იშვიათად გვხვდება საშუალო ასაკის მეტყველებაშიც, ახალგაზრდებში კი მკვეთრად შემცირებულია და მათი მეტყველება დაახლოებულია სალიტერატურო ქართულთან.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ბერიძე 1993** – მარინე ბერიძე, სამცხურის ძირითადი თავისებურებანი, დისერტაცია.

**ბერიძე 1980** – მარინე ბერიძე, თემის ნიშნები ქართული ენის მესხურ დიალექტში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიური ენათა მორფოლოგიიდან, გვ. 94-103. თბილისი

**გოგოლაშვილი 2015** – გ. გოგოლაშვილი, -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა ზოგი თავისებურება ქართული ენის დიალექტებში, თემის ნიშანთა მონაცვლეობა; იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLIII, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

**შანიძე 1955** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**შანიძე 1972** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

### გამოყენებული ელ. რესურსი:

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98>.

## ხ ა თ უ ნ ა   ყ ა ნ   დ ა შ ვ ი ლ ი

### ხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელის ბრუნების საკითხისთვის ფერეიდნულში კახურთან მიმართებით

ფერეიდნული დიალექტი მრავალ თავისებურებას ავლენს სხვადასხვა გრამატიკული ფორმისწარმოების თვალსაზრისით. საინტერესოა საზოგადო არსებითი სახელის ბრუნების საკითხიც.

ფერეიდნული კახური დიალექტის განაყარია და სამი საუკუნის განმავლობაში ეს ორი განშტოება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდება. კახური ქართულენოვან სამყაროშია, მას აქვს როგორც სხვა დიალექტების, ისე ქართული სალიტერატურო ენის გავლენა, ხოლო ფერეიდნული კი მოწყვეტილია ქართულენოვან გარემოს. არნოლდ ჩიქობავა მიუთითებს, რომ „ფერეიდნული სრულიად მოწყვეტილია ქართულ კილოებს და მის ევოლუციაში ამ უკანასკნელთა ზეგავლენა, როგორც ფაქტორი, სრულიად გამორიცხულია“ (ჩიქობავა, 2010; 182). საინტერესოა, განსხვავებულ ენობრივ სამყაროში არსებულ დიალექტებს რა აქვთ საერთო და განსხვავებული.

ჩვენთვის საინტერესოა, რა მსგავსებასა და განსხვავებას ავლენს ფერეიდნული ხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელების ბრუნების თვალსაზრისით კახურთან მიმართებით.

ჩვენი საკვლევი საკითხის ანალიზი და მიმოხილვა ეყრდნობა იმ მასალებს, რომლებიც არის განთავსებული არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიალექტურ კორპუსში. დიალექტური კორპუსი მოიცავს ყველა დროს ჩაწერილ და გამოქვეყნებულ ტექსტებს; შესაბამისად, ეს უკეთესად იძლევა იმის საშუალებას, რომ კარგად გახედეს აღსაქმელი, გარკვეული დროის ინტერვალში რა რითი შეიცვალა და რა არის მსგავსი და განსხვავებული ამ ორ დიალექტს შორის.

განვიხილავთ სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან საზოგადო არსებით სახელებთან ი ხმოვნის განვითარების საკითხს დაასვევთ გავაანალიზებთ კვეცადი სახელების უკვეცელობის შემთხვევებს.

ფერეიდნულში სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელეთბთან **ი** ბგერის დართვის შემთხვევები ხშირი არ არის, თუმცა დასტურდება საკლვევი მასალის მიხედვით, მაგალითად:

„დოთამ მანამ **ზაზაი** აგე ამეცა თქო“ (corpora.co)

„ერთი-ორი რო ვთქო, გორა იყო ერთი **ყოლეი** გოქიო“ (corpora.co)

„აი ხავილსაყე ადგების **რუი** და მიდის“ (corpora.co)

ასეთი ნიმუშები დადასტურდა როგორც 1976 წლის, ისე 2009-2014 წლის ჩაწერილ ტექსტებში, რაც იმას ადასტურებს, რომ **ი** ხმოვანი სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან ახლაც გამოიყენება. საინტერესოა კახურის მონაცემების გათვალისწინება. ამჟამად, ჩვეულებისამებრ, კახურში **ი** ხმოვანი სახელობით ბრუნვაში არ ვლინდება ხმოვანფუძიან სახელებთან. დავინტერესდით, იყო თუ არა მსგავსი ენობრივი ფორმები კახურში ძველად და შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ფერეიდნულმა კახური დიალექტის ძველი ენობრივი ვითარება შემოინახა. მასალის მოსაპოვებლად კახურისთვისაც გამოვიყენეთ ზემოხსენებული დიალექტური კორპუსი და დავადასტურეთ მსგავსი ენობრივი ფაქტები.

„იმ ღამეს მართლა **გზაი** გაკეთდა“ (corpora.co)

„ხელმწიფემ: **კატი** ხაზინაში ჩააგდეთო“ (corpora.co)

„მეჯდა ი ფსვლიკი ზედა, როგროც **მეფეი**“ (corpora.co)

„მემერი, მუახლე და **გოგოი** ცხენის მუაზე გამააზა“ (corpora.co).

არამ მარტიროსოვისა და გრიგოლ იმნაიშვილის „ქართული ენის კახურ დიალექტშიც“ (1956) აღნიშნულია, რომ კახურში „სახელობითში ბოლოხმოვნიანი სახელები ზოგჯერ -ი სუფიქსს დაირთავენ, მაგალ.: დაიწყეს ცხოვრებაი, გათხარა მიწაი“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1949: 68). ჩვენს საკვლევ მასალაში ხმოვანფუძიან სახელებთან **ი** ხმოვანი სახელობით ბრუნვაში დადასტურდა ადრინდელ, 1935 წლიდან 1949 წლამდე, ჩაწერილ ტექსტებში მხოლოდ გარე და შიგნიკახურში, ხოლო ქიზიყურში ასეთი შემთხვევები არ გამოვლინდა. ამ წლების შემდეგ მოპოვებულ საკვლევ მასალებში მსგავსი ფაქტები ვერ დავადასტურეთ, რაც იმის მანიშნებელია, რომ კახურში **ი** ხმოვნის გამოყენება უკვე დიალექტური არქაიზმია და, როგორც ჩანს, ეს ენობრივი მოვლენა შემოინახა ფერეიდნულმა.

ასევე საინტერესოა უ-ზე ფუძედაბოლოებული სახელებიც. ფერეიდნულში შევხვდით შემთხვევებს, როდესაც სახელობით



ბრუნვაში უ ხმოვნის შემდეგ ჩნდება ვთანხმოვანი და შემდეგ დაერთვის მას ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი, მაგალითად:

„ჩემ პაპას არ აგონდების, **რუვი** გამხმარიყოს“ (corpora.co)

ასეთი შემთხვევები დასტურდებოდა კახურშიც. ამის შესახებ მარტიროსოვი და იმნაიშვილიც მიუთითებენ: „უ-ზე დასრულებული ერთმარცვლიანი სახელები ზოგან ბოლოთანხმოვნიანებადაა გაგებული უ-ს მომდევნოდ ვ-ს არსებობის გამო: ბუვი, ცრუვი...“ (იმნაიშვილი, მარტიროსოვი, 1956: 68). ასეთი მაგალითები კახურში ჩვენც შეგვხვდა საკვლევ მაღასაში. მოვიყვანთ ილუსტრაციას:

„**ხევხუვი** ალაგია, იქ იცის მსხვილი ნადირი“ (corpora.co)

„**ყრუვი** იქნებოდაო“ (corpora.co)

ფერეიდული შესაძლოა კახური დიალექტის ძველ ენობრივ ვითარებას გვიჩვენებდეს, რადგან ამჟამად კახურში საშუალო ასაკის ადამიანების მეტყველებაში აღარ შეინიშნება ამგვარი ფორმების გამოყენების შემთხვევები და თუ გამოიყენება, ისიც იშვიათად, მხოლოდ იმიტომ, რომ დიალექტის ძველი ფორმების გამოყენებას გაეცვას ხაზი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ უ-ზე დაბოლოებულ სახელებთან ვ ბგერის არსებობა უფრო დიალექტის არქაულობას გვიჩვენებს. ამჟამად კახურში, ჩვეულებისამებრ, უ-ზე ფუძედაბოლოებული სახელები ვ ბგერის გარეშე გვხვდება სახელობით ბრუნვაში, მაგალითად:

„იქ, საცა ის ძროხა **ხევხუვი** იყო, ბნელოდა“ (corpora.co)

„**ყრუვი** ყოფილაო“ (corpora.co)

„**რუვი** თუ გაფუჭდა, ყველა მეწისქვილე მოვალე ვართ ერთად წავიდეთ და გავაკეთოთ“ (corpora.co).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ფერეიდულში „ა-ზე და ე-ზე დაბოლოებული სახელები არ იკვეცება: ჯინჭას ჯმა მოდის; დანაით დაჭრა; ღამეთ მოდდეს“ (ჩხუბიანიშვილი, 2012: 193). ამის შესახებ ქართულ დიალექტოლოგიაში ასევე აღნიშნავს ბესარიონ ჯორბენაძე: „ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშანი ვერ კვეცავს“ (ჯორბენაძე, 1989: 367), იქვე მითითებულია, რომ ხშირად უკვეცელია სახელი მოქმედებით ბრუნვაშიც; ბრუნვის ნიშანი შემდეგი ნაირსახეობითაა დამოწმებული: -ით, -ათ, -თ“ (ჯორბენაძე, 1989: 367). ა და ე ხმოვნებზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან მსგავსი შემთხვევები ფერეიდ-

ნულში ხშირად შეგვხვდა ჩვენს საკვლევ მასალაში, ძირითადად კი მოქმედებით ბრუნვაში, მაგალითად:

„ველათ **კოკაით** წყალი ჩავდგითყე“ (corpora.co)

„ოცი ცხენითა და **მეთოფით** ახალგაზრდა ბიჭია, ღმერთმა შაინახოს“ (corpora.co)

უფრო მრავლად დასტურდება უკვეცელ ფორმებში **ი** ხმოვნის ნაცვლად **ი**-ის გამოყენების შემთხვევები მოქმედებით ბრუნვაში:

„ქუას **ენაით** ემას დაასველებს“ (corpra.co)

„ემის ნახევარი, ეგეთ ქობი **მიწაით** და ტალახით“ (corpora.co)

„გომზე რო გუნდა ადღეთ, სახლის **კიბეთ** ავალთყე“ (corpora.co)

ჩვენთვის ასევე საინტერესოა, რომ დაბოლოების მიხედვით მოქმედებითი ბრუნვის დიალექტური მაწარმოებელი ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით შეგვხვდა, მაგალითად:

„ემ თაჩინა ზამთრისა კაცებმა **სანადიროით** წაიდიანყე“ (corpora.co)

კახურში **ა** და **ე** ფუმეხმოვნიან კვეცად სახელთან უკვეცელობის შემთხვევა ნათესაობით ბრუნვაში გამოვლინდა ისიც მხოლოდ გარკვეული ტიპის გამოთქმებში, მაგალითად:

„**დღის** იქით უნდა გაახდე ჩვენი რმალიო“ (corpora.co)

სიტყვის უკვეცელობა შესაძლოა მისი შინააორობრივი ნიუანსით იყოს განპირობებული. მსგავსი ფორმები სისტემურად არ გამოიყენება.

შემდეგი ნიმუში ზღაპარში დადასტურდა და აქაც შინააორობრივი მხარეა გასათვალისწინებელი:

„ცოტა ხან ეზოშო შამოდიო, მდეოო, შენამც **ჩალაის** კუნძათო, შიგ დაგერჭოს აღმასის ცულიო“ (corpora.co)

ზოგადად კი, კახურისთვის უცხოა **ა**-ზე და **ე**-ზე ფუმედაბოლოებულ სახელთა უკვეცელობა. ეს ფერეიდნულში განვითარებული ენობრივი მოვლენაა და არ ასახავს კახურის ენობრივ ვითარებას. ამ პროცესს შესაძლოა ხელი შეუწყოს იმ გარემოებამ, რომ ფერეიდნული მოწყვეტილია ქართულს და მოქცეული არის უცხოენოვან გარემოში, მას არ აქვს არც კახურის, არც სხვა რომელიმე დიალექტისა და არც სალიტერატურო ენის გავლენა.

ჩვენთვის ასევე საინტერესოა, თუ რა თავისებურებას ავლენს უ-ზე ფუძედაბოლოებული სახელები ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ფერეიდნულსა და კახურში.

ო და უ ფუძიანი სახელები, როგორც წესი, უკვეცელია და ბრუნებისას განსხვავებულად დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს. მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვებისფორმები ემთხვევა ერთმანეთს და განსხვავებას კონტექსტი ქმნის. რაც შეეხება მოქმედებით ბრუნვას, მხოლოდ გვხვდება -თ ელემენტი, მაგალითად: მიცემითი: ბუ-ს, ნათესაობითი: ბუ-ს(ი), მოქმედებითი: ბუ-თ(ი). ასეა სალიტერატურო ქართულში. კახურში ერთმარცვლიან ფუძეებთან იშვიათად გვხვდება -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, მაგალითად:

„ვიოლინოს სახმაურის მსგავსი, ძუის მაგიერ ცხვრის ნაწლავის მსხვილი ლარი აქვს გაბმული“ (corpora.co)

ორმარცვლიან ფუძეებთან ასეთი ფორმების გამოყენება კახურისთვის უცხოა, თუმცა ფერეიდნულში უ-ზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან შევხვდით -ის ნათესაობითის და-ით მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებს როგორც ერთმარცვლიან, ისე ორმარცვლიან ფუძეებთან:

„თუ არადა რუის ექით-ანქით გადავა“ (corpora.co)

„ეხლა კი ძუძუით გავზარდოთ“ (corpora.co)

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ფერეიდნულს კახური დიალექტის ბევრი თავისებურება შემოუნახავს. რაც ამჟამად არ გვხვდება კახურში, დასტურდება ფერეიდნულში. ზოგი რამ კი ფერეიდნულს დამოუკიდებლად განუვითარებია. ა და ე ხმოვანებზე ფუძედაბოლოებულ სახელთა უკვეცელობის შემთხვევები არ ახასიათებს კახურს, თუმცა ეს ენობრივი მოვლენა უცხოენოვან სამყაროში ფერეიდნულს განუვითარდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურიძე, 2016 – გ. გოგოლაშვილი, ნ.შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, დიალექტები II, თბილისი.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 – არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი.

ქ.დ.კ. – ქართული დიალექტოლოგიური კორპუსი  
**ჩიქობავა, 2010** – არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავი-  
სებურებანი, შრომები, I., თბილისი.

**ჩხუბიანიშვილი, 2012** – დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო  
წერილები, თბილისი.

**ჯორბენამე, 1989** – ბ. ჯორბენამე, ქართული დიალექტოლო-  
გია, I., თბილისი.

## ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

### შემასმენლურდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადება სვანურში<sup>1</sup>

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება მთავარი წინა-  
დადების გაშლილი ნაწილია და ხსნის, აზუსტებს მთავარში შედგე-  
ნილი შემასმენლის ნაცვალსახელით გამოხატულ სახელად ნაწილს,  
რომელიც ყოველთვის სახელობით ბრუნვამია.

მთავრის ამხსნელი შემასმენლურდამოკიდებულიანი წინადა-  
დებები სხვა ქართველური ენების მსგავსად სვანურშიც დასტურდე-  
ბა, თუმცასხვა წევრთა გამომხატველი დამოკიდებული წინადადე-  
ბისაგან განსხვავებითმათი რაოდენობა არ არის ბევრი.

ამჯერად, სვანურის ოთხივე დიალექტისა და ჩოლურული მე-  
ტყველების ნიმუშების გათვალისწინებით, სწორედ, აღნიშნულ ჰი-  
პოტაქსურ კონსტრუქციებს წარმოვადგენთ (ილუსტრაციები დამებ-  
ნილია როგორც გამოცემულ სვანურ ტექსტებში, ისე საველე პირო-  
ბებში მოპოვებულ მასალებში):

ხედღჷა ექჷას ჟი ალწინიდ, შიყმიშ მესგემ ეჯა ლირიდ (ბზ.,  
სვან. პოეზ., 54) „რომელიც მაშინ მოვერევი, ზურგშემქცევი ისინი  
(„ის“) ვიქნებით“.

---

<sup>1</sup>კვლევა განხორციელდა 2019 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერთა  
კვლევების პროექტის („პარატაქსურ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურში YS-19-  
435“) ფარგლებში.

ლემბაჟ ესერ ეჯი ლი, ერე ჯუამ გეზალ ელთუქუარს სემი დჭუ ესერ ჩოთდაგრა (ბქ., სვან პროზ. ტექსტ., 99) „საკვირველი ის არისო, რომ ძუენა ძაღლის შვილს ელთუქუარს სამი დევი მოუკლავსო“.

ერუბა ადაბეწკერი ალ მეგამს ტოტრუმუ, ეჯი ირა ლამარგ (ლნტ., სვან. ქრესტ., 318) „ვინც დაანაწევრებს („წვრილად დააპობს“) ამ მორს ხელებით, ის იქნება მარჯვე“.

ხოჩა ქორწილ ეჯი ლი, სოფელრ ერ ხეჩდა ლამრათე (ლშხ.) „კარგი ქორწილი ისაა, სოფელიც რომ მონაწილეობს სამზადისში“.

ეჯი ლი ლუქუჩნე, მერუბა ლომტ სედნი ლტუჟი (ჩოლ.) „ის არის ჩაჭრილი, ვინც უკან რჩება გაქცევისას“.

შემასმენლურდამოკიდებულებიან ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადების შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად გვხვდება **ეჯი/ეჯა/ეა** „ის“, **ეკვლი/ეკვამ/ეკვამბ/ეჯგუბრ** „ისეთი, იმისთანა“, **ეჩთან/ეშთან** „იმისთანა“, **ამთან** „ამისთანა“ ნაცვალსახელები:

ეჯა ლემრ მაშენე მახელუაჟ, მერუბა ათორიგუენა მესუფელს ჰარყი მეთრად (ბზ.) „ის ყოფილა უფროსი ვაჟკაცი, ვინც გარიგებია თანასოფლელს არყის მსმელად“.

ბეფშ ეკვლი ლემრელი, ერე ეშხუ ლდელისა ლემცხემლი ეშხუ კამილს (ლნტ., სვან. ქრესტ., 324) „ბავშვი ისეთი ყოფილა, რომ ერთ დღეში იზრდებოდა ერთ მტკაველს“.

ბაგურელ ეკვამ ლას, ერე მამ ხეკუდროლ ლირუბლუნ ჩუათმა (ჩოლ.) „ქურდი ისეთი იყო, რომ რაც ენდომებოდა გათენებამდე მოლოზდა“.

ქორთანჯიდხ, მარე ეჯგუბრ ლასუ გუბმი, ერე სგა ტენდ გარ ანჯიდხ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 257) „სახლში შემოიტანეს, მაგრამ ისეთი იყო მძიმე, რომ ძლივს შემოიტანეს“.

ეშთან ლი, ერე მამა ხოჩა ამშა ლისგდის (ლშხ., სვან. ქრესტ., 176) „იმისთანაა, რომ არაფერი სჯობს ამის ყურებას“.

ხოლამდ ერ მახლინრლნნ მიშგუტი ჭამ, ამთან ხტორრლ'ა ათხე?! (ჩოლ.) „ცუდად რომ მომქცეოდა ხოლმე ჩემი ქმარი, ამისთანა ვიქნებოდი ახლა?!“

შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილად კი **ხტი** „ვარ“ და მისი მონაცვლე ზმნათა ფორმებია წარმოდგენილი:

მაკავწ'ინწკუტიდა ლითრელღერჟი ხტას, ეკვამ ხტი აჯახუდ (ჩოლ.) „როგორც პირველ რძლოზაზე ვიყავი, ისეთი ვარ კვლავ“.

დერუბა კაცხეში ანკედენდა, ეჯი ლას მარეში (||ქორა) მეჭუში, მერბად დერუბანკედენდა, ეჯი იროლ კუმში მეჭუში (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 60) „ვინც პირველი („წვეროსი“) ამოვიდოდა, ის იყო ადამიანის („კაცის“) (||სახლის) მეკვლე, მეორედ ვინც ამოვიდოდა, ის იქნებოდა საქონლის მეკვლე“.

მარბ ზეგიდ იზგალდა, ეჯი ლას გოში მეზე (ლშხ.) „ვინც მაგრად შრომობდა, ის იყო სავსე ოჯახი“.

ხუბან ეჭკალიბრ ლემარ, ერე დერხი ზურლარ ქა დემ ოღნახ მეშხალს მინე იტალადედ (ჩოლ.) „ბევრჯერ ისეთიც ყოფილა, რომ ზოგიერთი ქალი („ქალები“) ვერ იხდიდა შავებს მთელი ცხოვრება“...

განსახილველ ქვეწყობილ წინადადებებში კომპონენტთა დასაკავშირებლად დამოკიდებულში გვხვდება მაქვემდებარებელი კავშირი **ერე/ე** „რომ“ და მიმართებითი ნაცვალსახელები **მარბ/დერუბა**, **ვინც** „/ მარბ რაც“, **ხედრ / ხედუბა** „რომელიც“, **მაკარ / მაკაიბრ** „როგორიც“...

იარბ ლესკხენ ლოხრგან, ეჯი ლი მიჩა ერდგულ (ლშხ.) „ვინც გვერდით დაუდგა, ისაა მისი ერთგული“.

ერუბა ალეს ათეჭემენდა, ეჯი ლას მებარგ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 47) „ვინც ამას გაჰყვებოდა, ის იყო მებარგ“.

მარჯ ათხე ეჯის ესშელდან, სრჯ ეჭკაბ ხი (ჩოლ.) „რაც ახლა მას უთხარი („დაათვალე“), შენც ისეთი ხარ მეთქი“.

ხედუბლე ლულკუტჰე ჟიბაჰ ხეყრენი, ეჯა ლი მებნე ლიყანსგურალშ (ზხ. სვან.ქრესტ., 37) „რომელი არჩეულიც ზემოთ გადაბრუნდება, ის არის დამწყები რიკის თამაშისა“.

მაკაბ ნიჩბრ ლამჭიდხ ეჩქა, ეჭკაბ ხუი მრმაგ ათხე (ჩოლ.) „როგორი სახეც მიჩვენეს („ამაფარეს“) მაშინ, ისეთი ვარ ახლა მეც“.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა სახის ჰიპოტაქსური კონსტრუქციების დაკვირვებისდროსაც, ნათლად გამოჩნდა, რომ სვანურის დიალექტებში კავშირად განსაკუთრებული ინსტენსივობით გვხვდება ხოლმე წვერ-კავშირები, მიმართებითი ნაცვალსახელები **დერუბა**, **ხედუბა** და გამონაკლისი არც შემასმენლურდამოკიდებულიანი წინადადებაა და აქაც მაქვემდებარებელი **ერე/ე** „რომ“ კავშირის გამოყენების შემთხვევებს არ ჩამოუვარდება:

მანკუ ხომა ერუბა ირი ქორისგა, ეჯი ირი სგუბინ მეზი (ბქ.) „თავიდან უფროსი ვინც იქნება სახლში, ის არის წინ წამსვლელი“.



მგბტყენე, ჯელტრიმ ხეხლი, ეჯი ლი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 305) „მჰენტავი, რთვა იცის, ის არის“.

თუმცა დამოკიდებული წინადადება, რომლის თავშიცაა მოქცეული მაქვემდებარებელი კავშირი, ყოველთვის მოსდევს მთავარ წინადადებას:

ჰერუდად მეკუჰე ზურნლ ეჯკლიბ ლასუ, ერე დესუზა ნთი მრმ ხორდა (ბზ., სვან. ქრესტ., 54) „კუდიანად განთქმული ქალი ისეთი იყო, რომ ვისაც ნათესავი არ ჰყავდა“.

ეჰკამ ლი თათრულ უინტოჰკა, ერე იმრ ახთოფნე ქა დემ ხაქდენიხი (ჩოლ.) „ისეთია თათრული ვინტოგვა, რომ რასაც ესვრი არ ააცილებ“.

შემასმენლურდამოკიდებულისანი წინადადება ნარევი სახის წინადადებაშიც დასტურდება, სადაც პარატაქსული და ჰიპოტაქსული წინადადებების ადგილი მკაცრად არ არის განსაზღვრული:

სამ ლეთი ი ლადელუნლტე გურახენქა ქანჯად ი ეჯკლიბ ლი ლესგდი მახელტუჰ, ერე ლესგდიდ ლი ცოდ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 257) „სამი დღე-ღამის შემდეგ ტყავიდან გამოვიდა და ისეთია საყურებლად ვაჟკაცი, რომ საყურებლადაა ცოდვა“.

დირიმდ ჩრ ჩუ შალ ხაყა, მარე მაჩენე ეჯა ლ'ე, ხედუზა მალკანში ზუმულდუჰ გარ ხულუჰე... (ბზ., სვან. ქრესტ., 140) „დირესთვის ყველაფერი ვარგასავით, მაგრამ საუკეთესო ისაა, აი, რომელსაც სიმაგრე ოდნავ მარტო აქვს“.

ლენაბჰე ეჯი ლი, ერ უბრალ ჟას დარმომ ხასელა ი ალ მეთხუდარა ლუჰარდ ახოჯიდა ძირხოჩუ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 80) „საკვირველი ის არის, რომ უბრალო ზვავს ვერავინ გადაურჩება („გადარჩენია“) და ეს მონადირეები ცოცხლად ჩამოუყვანია ძირს“.

ათხად იშგანცხან მან ლოქ ხომშია, ეჯი ლოქ ლი მეთუჰე ი მიჩაცახან ნრმშა ლედუ ლოქ ხარ (ჩოლ) „აქამდე სხვასთან რაც უმუშავიაო, ის არისო დაკარგული და მასთან ნურაფრის დარდი აქვსო“...

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შემასმენლურდამოკიდებულისანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურის ყველა დიალექტში გვხვდება, თუმცაუკავშირო დამოკიდებული ბალსქვემოურისთვის უფროა დამახასიათებელი. მაქვემდებარებელი კავშირისაგან განსხვავებით დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი ყოველთვის გამოხატულია,



ხოლო კავშირი ერე „რომ“ ხან არის წარმოდგენილი, ხან კი კონტექსტით ივარაუდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

**სვან. ენის. ქრესტ.** 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოლური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოლური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1967 – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

**სვანური პოეზია 1939** – სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ გუჯეჯიანმა, თბ., გამომც. „მეცნიერება“.

## ნ ი ნ ო შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე

### მეოთხე სერიის მწკრივთა წარმოება და პარადიგმები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში

მეოთხე სერიის ფორმები თავისი სემანტიკური თავისებურების გამო გამოყენების დიდი სიხშირით არ გამოირჩევა. სიტუაციური კონტექსტი ავიწროებს ამ ფორმათა ხშირ გამოყენებას. ნა-პრეფიქსიან ფორმათა სემანტიკა განაპირობებს იმ გარემოებასაც, რომ დადასტურებულ შემთხვევათა უმეტესობაში ამგვარი წარმოება მესამე პირის ფორმით გვხვდება.

ნა-პრეფიქსიან ფორმათა არსებობა მეგრულის გავლენას მიეწერება და ეს გარკვეულილად მოსალოდნელია იმ დიალექტთა წყებაში, რომლებშიც ეს ფორმები დასტურდება. ის ფაქტი, რომ ქვემო-მერულისათვის ეს წარმოება ყველაზე უფრო მეტადაა დამახასიათებელი, მეგრულიდან ამ წარმოების მიღების ფაქტს ადასტურებს. მესამე პირის ფორმების სიუხვე კი არა მარტო იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ ეს ნაკვთები მესამე პირის საფუძველზეა ჩამოყალიბებული (როგავა, 1953, 29), არამედ იმის თქმის საშუალებასაც იძლევა, რომ ფორმის რეალიზების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი სწორედ სემნატიკაა.

მეოთხე სერიის ფორმები რამდენიმე სემანტიკური ნიშნით ხასიათდებიან:

1. ადმირატიულობა ანუ მოულოდნელი შედეგი, როცა მოლაპარაკისათვის ნახული ფაქტი მოულოდნელობაა;

2. ინფერენცია, ანუ ლოგიკური დასკვნა, რომელიც ემყარება მოქმელისთვის ცნობილ ფაქტს და მასზე დაყრდნობის გამოტანილ დასკვნას ზოგადი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით;

3. ხმებზე დამყარებული ინფორმაცია, რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებული სემანტიკაა და გულისხმობს არსებულ, გავრცელებულ ხმებზე დამყარებულ ინფორმაციას. მიღებული ინფორმაცია, მართალია, გადაუმოწმებელია და ამდენად მასში არაა დარწმუნებული მოლაპარაკე, მაგრამ მაინც იყენებს მას და ხდება ამ აზრის გამტარი. ამ სემანტიკის მარკირება სწორედ ნა-პრეფიქსიანი ფორმებით ხდება. ამგვარ შინაარს მთლიანად იტევს ნა-პრეფიქსიანი ფორმები და სწორედ ამიტომაც შემოადგინა ამ ფორმებმა გარკვეული სემანტიკის გადმოსაცემად უფრო ფართო მოხმარების ქართულშიც (აქ ვგულისხმობთ ინტერნეტსივრცეში სხვადასხვა ფორუმისა თუ კომენტარების ტექსტებში დადასტურებულ ამგვარ ფორმებს).

როგორც ფორმის სემანტიკის ძირითადი მახასიათებლებიდან ვლინდება, პირველი პირი ყველა შემთხვევაში დაკავებულია, რადგან სწორედ იგი ხდება ინფორმაციის გამტარებელი, შემფასებელი, აღმქმელი და გამომხატველი. ამიტომაცაა, რომ მნიშვნელოვანადაა შეზღუდული პირველი და მეორე პირის ფორმათა გამოყენება. ეს გარემოება თავად ფორმის სემანტიკამ შეზღუდა. ასევე შეზღუდულია ამ წარმოების გავრცელება ყველა ტიპის ზმნაზე.

ნა- პრეფიქსიანი ფორმები მხოლოდ ოთხ დასავლურ დიალექტში დასტურდება. რამდენადაც წარმოება შედარებით იშვიათია, წარმოების სისტემისა და პარადიგმის აღსადგენად საინტერესოა სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებული ფორმების ანალიზი:

<p>ქვემოიმერული:</p>	<p><u>მესამე თურმელობითი:</u> <i>მინავალა, მინაქონა, ნაყვარება, ნაგდება, ნათობა, ნაყდომა, ნაწერა / ნაწერავა, , ნაგზავნა, ნაქარავა, ნაშენება. „ნაყდომამოვშითავისთვის“, „ნაწერა დედამის წერილებს“, „ნაგზანა და ნაგზანაპასილკებს მოსკოვიდან“, „ნაშენება კაი ბოსელს საქონლიზა“, „ნაჯდომამოვში თავისთვის...“, ქენატკვივარა, მარა ქრ ამოულია ხმაი“, მინაქონაურემით შეშა თავის სახში“, „ნაჭირებათავისთვინ“...</i></p> <p><u>მეოთხე თურმელობითი:</u> <i>მინავალიყო, განათობიყო, ნაფიქრალიყო, „განათობიყო საწყალი ცეცხთან“, „ნათესიყოსიმიდს ყანაში“, „ნამზავიყო ძროხას ხის ძირში“, განაკეთებიყო სხვის საქმელ“, განათობიყო საწყალი ცეცხლთან“, ნაპიქრალიყო თურმე შვილზე“, „ქენაჭამიყო მოპარულ ბალს“, „მინაქონიყო თავის ადგილას დასადებათ და ქეგოულტყტა“...</i></p> <p><u>მეოთხე კავშირებითი:</u> <i>იშვიათია: მინავალიყოს, ნათობიყოს, ნაყვარებიყოს, ნასროლიყოს... „რო აქ ნასროლიყოს, მაშინ კარ მოკვებოდა“, „იმას რო ნაყვარებიყოს, ეგი ხო არ მოხთებოდა“,</i></p>
<p>რაჭული:</p>	<p><u>მესამე თურმელობითი:</u> <i>„ერთი უბრალო გლეხი(ს) ბიჭი დადის საეგზაოთ ი ზღვის ძირზე, ნავალა“ (ზემორაჭული); ნართავა, ნაყურება, ნართმევან, ნაზოგავან, ნაკითხავან (რივნისთაური); „თორმეტი მანათი ნადირალა“, „იქანა ნაცხოვრება“, „ქვანაქეცვა“ (გლოლოური);</i></p> <p><u>მეოთხე თურმელობითი:</u> <i>„ენახა ჩალის ზვინი და იმაშინადგომიყო ღამე“ (ქვემორაჭული); „დიდგულ საქმესაც ჩანავალიყო“ (რივნისთაური).</i></p>
<p>ლეჩუმური</p>	<p><u>მესამე თურმელობითი:</u> <i>ნაპარავა, მინავალა, დანავალა, ნასუქება, ნაკეთება, ნაკრევა.</i></p> <p><u>მეოთხე თურმელობითი:</u> <i>ნაპარავიყო, მინავალიყო.</i></p>
<p>გურულში:</p>	<p><u>მესამე თურმელობითი:</u> <i>მინავალა, ნაყვარება, ნაზიდავა, ნაშენება...</i></p> <p><u>მეოთხე თურმელობითი:</u> <i>მინავალიყო, ნაყვარებიყო...</i></p>

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მეოთხე სერიის მწვრივთა ფორმები სისტემურად ქვემოიმერულ დიალექტში ვლინდება (კუბლაშვილი, 170). მართალია, გარკვეული ფორმები, როგორც ვნახეთ, სხვა დასავლურ დიალექტებშიც ჩანს (ლეჩხუმურში, რაჭულსა და გურულშიც), მაგრამ უმეტესად მხოლოდ მესამე პირისა და მხოლოდბითის რიცხვისაა. პირველი და მეორე პირის წარმოება ქვემოიმერულში ვლინდება: *„შენაა ჩემზე რო ნაწერავხარ რაღაც სისულელეებს? - მე ვნაწერავარ?“*; *„ამასობაში ქემივნასლეღვარ დანიშნულ ადგილას...“*; *„შეგნადლება ამ საქმის გაკეთება!“*; *„კი ვნარეცხავარ თურმე ამ ხელითაც“*; *„ნამეტანი გნაყვარება ცოლ-შვილი...“*; *„ნაყვიდავართსიმიდს, იმდენი გვქონია...“* (კუბლაშვილი, 1985, 171)

როგორც ზემოთ მოცემული მაგალითებიდან ჩანს, დადასტურებულ ფორმათა უმრავლესობა მაინც მესამე პირის ფორმებია. ყველა შემთხვევაში მთქმელი აღმქმელია ფაქტისა, ხოლო ფაქტი კი მისთვის ან მოულოდნელობაა, ან იგი გამომტანია დასკვნისა ან მიღება ინფორმაციისა. ამგვარი სემანტიკა კი ნაკლებად ეგუება პირველ პირს. რაც შეეხება იმ კონტექსტებს, რომლებშიც დასტურდება პირველი და მეორე პირის ფორმები, მთქმელი მაინც აღმქმელია: *მივნასლეღვარ, ვნარეცხავარ* - გამოხატავს მოულოდნელობის განცდას საკუთარი ქმედების გამო, *ნაყვიდავართ* - კი სხვებისგან მიღებულ ინფორმაციას გულისხმობს საკუთარი ოჯახის წარსულის შესახებ, რასაც მთქმელი არ მოსწრებია და მხოლოდ სხვებისგან იცის; რაც შეეხება მეორე პირის ფორმებს: *გნაყვარება* ფორმა გულისხმობს, რომ მთქმელისთვის თანამოსაუბრის სიყვარულის ფაქტი ან მოულოდნელობაა, ან სხვებისგან მიღებული ინფორმაცია. თავად ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე პირველი პირის ფორმა *\*მნაყვარება* არცაა მოსალოდნელი, რადგან საკუთარი გრძნობის მოულოდნელობის განცდა, მის შესახებ დასკვნის გამოტანა ან სხვებისგან ინფორმაციის მიღება ნაკლებად წარმოსადგენია; *შეგნადლება* - ნიშნავს, რომ თანამოსაუბრის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია ან მოულოდნელობაა, ან ლოგიკური დასკვნა, მაგრამ პირველი პირის ფორმის წარმოება *\*შემნადლება*, ზმნის სემანტიკის გათვალისწინებით, აქაც ნაკლებ მოსალოდნელია. მეტად კონკრეტულ სიტუაციას გულისხმობს კონტექსტი *„შენაა ჩემზე რო ნაწერავხარ რაღაც სისულელეებს? - მე ვნაწერავარ?“*. კონტექსტი გულისხმობს, რომ მოლაპარაკის-

თვის თანამოსაუბრის მოქმედების შესახებ ინფორმაცია სხვებისგანაა მიღებული, ხოლო პასუხი კი ამ ინფორმაციის გადაუმოწმებლობას უსვამს ხაზს და **ნა-** პრეფიქსიანი ფორმა სწორედ ამიტომაცაა პირველ პირში გადმოცემული „*მე ვნაწერავარ?*“ კითხვითი წინადადების კონსტრუქციითაა წარმოდგენილი, ხოლო თხრობით წინადადებაში, ბუნებრივია, ეს ფორმა ვეღარ გამოიყენებოდა, რადგან საკუთარი ქმედებისთვის სხვისგან მიღებული ინფორმაციის კვალიფიკაციის მინიჭება ძნელი წარმოსადგენია. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზმნა პირველი პირის ფორმით დასტურდება, მის რეალიზებას ხელს უწყობს კითხვითი კონსტრუქცია, სხვა შემთხვევაში კი ეს ფორმა სემანტიკური შეზღუდვის გამო არც იარსებებდა.

ამდენად, მართალია ზმნის წარმოების პარადიგმა შეიძლება თეორიულად კი აღდგეს, მაგრამ სემანტიკური შეზღუდვის პრინციპი ხელს შეუშლის ამგვარი ფორმის რეალიზებას.

როგორც გ. როგავა აღნიშნავს, მეგრულში მეოთხე სერიის ჯგუფში „არაა გარჩეული გარდამავლობა, გვარი, ქცევა, აბსოლუტურობა-რელატიურობა. ამ ჯგუფის ნაკვეთებს ახასიათებთ მხოლოდ პირის, რიცხვის, დროის, კილოს, ასპექტის და გზის კატეგორიები“ (როგავა, 1953, 26), ხოლო რაც შეეხება ფუქციას და შინაარსს, ამ მხრივაც ქართული ენის დასავლური დიალექტები მისდევს მეგრულს: „პრეფიქსიანი თურმეობითის ნაკვეთები ქართულის დასავლურ დიალექტებში იმავე ფუნქციის მქონეა, რა ფუნქციაც აქვს **ნო-**პრეფიქსიან მეგრული ზმნის ნაკვეთებს: მინავალა - მიდის თურმე / მიდიოდა თურმე, მინავალიყო - მიდიოდა თურმე...“ (როგავა, 1953, 28; ძოწენიძე, 1948, 55). მესამე თურმეობითი ნაწარმოებია **ვარ/ხარ/არს** მეშველი ზმნებით, ხოლო მეოთხე თურმეობითი კი **ვიყავი/იყავი/იყო** მეშველი ზმნის საშუალებით, რაც შეეხება მეოთხე კავშირებითს, იგი **იყო** მეშველი ზმნითაა ნაწარმოები. პირის ნიშნები შესაძლოა წინ უძღოდეს **ნა-**პრეფიქსს: *ვნაკეთებვარ, ვნაწერვარ, ვნაყვარება, შეგვანძლებია...*

მეოთხე სერიის ფორმების მთავარი მახასიათებელი სფეციფიკური ნიშნით განსაზღვრული უნახავი აქტის გამოხატვაა. ყველა მწკრივის ფორმა (მესამე თურმეობითი, მეოთხე თურმეობითი და მეოთხე კავშირებითი) კინა-პრეფიქსითაა ნაწარმოები, რომელცწინავითარების აღმნიშვნელი აფიქსია სახელებში. მისი ეს ფუნქცია ზმნურ ფორმაშიც აისახება. დროის საკითხი ამ ფორმებშიმეშველი

ზმნის დართვით ვლინდება. მესამე თურმეობითი წარსულ მოქმედებას აღნიშნავს, რომლის შედეგი ჩანს აწმყოში, ხოლო მეოთხე თურმეობითის მაწარმოებელი მეშველი ზმნის წარსული დროის ფორმა მოქმედებას კიდევ უფრო გადასწევს წარსულ დროში. რაც შეეხება კავშირებით მეოთხეს, იგი უფრო მოდალური ხასიათისაა, როგორც კავშირებითის ყველა მწკრივი და მოდალური სემანტიკის ხაზგასმას ზმნური ფორმა ნაწილაკის მეშვეობით ახდენს. მეოთხე კავშირებითის ფორმა, როგორც უკვე ითქვა და როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მეტად იშვიათი წარმოებისაა. ქვემოთმოდებული იგი **ნეტაი** (**<ნეტავ>**) ნაწილაკს ირთავს და მისი მეშვეობით წარმოაჩენს ფორმის მოდალურ სემანტიკას. აქვე უნდა აღინიშნოს ის კონსტრუქციები, რომლებშიც ეს ზმნური ფორმები ვლინდება: მესამე თურმეობითი უმეტესწილად მარტივი წინადადების კონსტრუქციაში გვხვდება; მეოთხე თურმეობითი - პირობითი წინადადების კონსტრუქციაში, უმეტეს წილად **რო(მ)** კავშირიან კონსტრუქციაში; ხოლო მეოთხე კავშირებითი **ნეტაი** (**<ნეტავი>**) ნაწილაკთან ერთად ან **თუ** კავშირიან ფიცის ფორმულებში:

<p><b>მესამე თურმეობითი მარტივი წინადადების კონსტრუქცია</b></p>	<p>(1) „შეხედე, აქანე <b>ნაწოლა</b> ე საქონელი.“  (2) „რა კაი კალათებს <b>ნაკეთება</b> ეგი, შეხედე.“  (3) „<b>აქანე ნაცხოვრებლარიენ</b> ეგენი, მე კარ ვიცოი...“</p>
<p><b>მეოთხე თურმეობითი</b></p> <p><b>რო(მ) კავშირიანი პირობითი წინადადების კონსტრუქცია</b></p>	<p>(4) „<b>მე რო ვნაკეთებიყაი</b> მაგას, ქვეყანა გეიგებდა.“  (5) „<b>მაგას რო ნაფიქრებიყაი</b>, მასე კარ იქნებოდა ყორფელი... მარა ვინ იცის მაი...“  (6) „<b>აქანე რო ნაწოლარიყო</b> ე საქონელი, ქე იქნებოდა ნიშანი.“  (7) „<b>აქანე რო ნადებლარიყო</b> ეგი, ქე მივავნებდი მამვინ.“  (8) „<b>იქინე რო ნაყდომლარიყო</b> მაი, ქედევინახავდი.“  (9) „<b>მაი რო მაგდენს ნაფიქრებიყო</b>, ქე ექნებოდა საშველი.“  (10) „<b>მაგი რო ნაკეთებიყო</b> მაგას, სა დეიმალებოდა, ქვეყანა გეიგებდა მაგას.“</p>
<p><b>მეოთხე კავშირებითი</b></p> <p><b>ნატვრა ან სინანული</b></p>	<p>(11) „<b>ნეტაიქენაფიქრებიყოს</b> მაგი მაგას და ვინ მამადლი.“  (12) „<b>ნეტაი მეც ქენაფიქრებიყო</b> მაგას.“</p>

წარსული ქმედების გამო ფიცის ფორმულა	(13)“ნეტაიქუნაკეთებო მამას და ვინ მამამაღლი...” (14)“მე თუ მამას ნაფიქრებო, ქვე მოვმკტარიო-მაშვინ...”
-------------------------------------	--

მწკრივთა ფორმების ფუნქცია და წარმოება კი ამგვარად ჩანს:

მწკრივი	მაწარმოებელი	ფორმა	სემანტიკა
III თურმეობითი:	ნა---- ვარ/ხარ/ა(რის)	ნაკეთებვარ ნაკეთებხარ ნაკეთება	წარსულში მომხდარი მოქმედების მთქმელისთვის მოულოდნელი შედეგი აწმყოში.
IV თურმეობითი	ნა -- ვიყავი/იყავი/იყო	ვნაკეთებო ნაკეთებო ნაკეთებო	წარსულში მომხდარი მოქმედების მოულოდნელობის აღქმა წარსულში.
IVკავშირებითი	ნა--იყო / იყო / იყოს	ნაკეთებო ნაკეთებო ნაკეთებოს	წარსულში სავარაუდო მოქმედების მოულოდნელი შედეგის მთქმელისეული შეფასება.

მრავლობითი ფორმების წარმოება ჩვეულებრივ წესს ემორჩილება, ანუ პირველსა და მეორე პირში -თ სუფიქსის დართვით ხდება, თუმცა მესამე თურმეობითის მესამე პირის მრავლობითში სრული სახით დაერთვის არიან >არიენ / ლარიენ მეშველი ზმნა. სტატიკური ზმნებისათვის დამახასიათებელი დბოლოება ანალოგიის შედეგად გავრცელდა არა მარტო ყველა სტატიკურ ზმნებზე, არამედ ვლინდება მესამე თურმეობითშიც. რაც შეეხება -ლ- ელემენტის გაჩენას ფორმაში, იგი ახსნილია დისიმილაციით და გადასულია სხვა ზმნებში ანალოგიით.

ქვემოთ წარმოვადგენთ სხვადასხვა ტიპის ზმნის პარადიგმას მეოთხე სერიაში ქვემოიმერულის ვანური თქმის მასალების მიხედვით. შედარებით სრული პარადიგმა და სამივე მწკრივის მეტ-ნაკლებად რეალიზებული ფორმები სწორედ ამ რეგიონს ახასიათებს. ზოგიერთი ზმნის მეოთხე თურმეობითისა და მეოთხე კავშირებითის ფორმების აღდგენას მოვერიდეთ ხელოვნურობის გამო:

მეოთხე სერიის მწკრივთა პარადიგმები:

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
გარდამავალი ზმნა -ავ თემის-ნიშნიანი	<u>მესამე თურმეობითი:</u> I ----- II - ნაპარაგზარ III - ნაპარაგა	I ----- II - ნაპარაგზართ III - ნაპარაგვლარინ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u> I ----- II - ნაპარაგვიყაი III - ნაპარაგვიყო	I ----- II - ნაპარაგვიყაით III - ნაპარაგვიყვენ	
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u> I ----- II - ნაპარაგვიყო III - ნაპარაგვიყოს	I ----- II - ნაპარაგვიყოთ III - ნაპარაგვიყონ	

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
გარდამავალი ზმნა -ამ თემის-ნიშნიანი	<u>მესამე თურმეობითი:</u> I -(ჩა)ნაცვამვარ II -(ჩა)ნაცვამზარ III -(ჩა)ნაცვამა	I -(ჩა)ნაცვამვართ II -(ჩა)ნაცვამზართ III -(ჩა)ნაცვამლარინ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u>		
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u>		

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
გარდაუვალი ზმნა -ებ თემის ნიშნით (ვნებითი გვარისა)	<u>მესამე თურმეობითი:</u> I ----- II ----- III - ნალაგა	I ----- II ----- III - ნალაგვლარინ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u> I ----- II -----	I ----- II -----	



	III - ნალავიყო	III - ნალავიყვენ	
	<u>მეოთხე კავშირები-</u> <u>თი:</u>		

ზმნის ტიპი	მხოლობითი	მრავლობითი	წარმოება
გარდაუვა- ლი ზმნა -ებ თემის ნიშ- ნით (ვნები- თი გვარისა)	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - ----- II - ნაჯდომხარ / ნა- წოლხარ / ანადგომ- ხარ III - ნაჟდომა / ნაწო- ლა / ანადგომა	I - ----- II - ნაჯდომხართ / ნაწოლხართ / ანად- გომხართ III - ნაჟდომლარიენ / ნაწოლარიენ / ანადგომლარიენ	
	<u>მეოთხე თურმეობი-</u> <u>თი:</u>		
	<u>მეოთხე კავშირები-</u> <u>თი:</u>		

ზმნის ტიპი	მხოლობითი	მრავლობითი	წარმოება
გარდაუ- ვალი ზმნა -ობ თემის ნიშნით (საშუალი გვარი გვა- რისა: ფიქ- რობს)	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - ნაფიქრებვარ II - ნაფიქრებხარ III - ნაფიქრება	I - ნაფიქრებვართ II - ნაფიქრებხართ III - ნაფიქრებლა- რიენ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u> I - ნაფიქრებიყაი II - ნაფიქრებიყაი III - ნაფიქრებიყო	I - ნაფიქრებიყაით II - ნაფიქრებიყაით III - ნაფიქრებიყვენ	
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u> I - ნაფიქრებიყო II - ნაფიქრებიყო III - ნაფიქრებიყოს	I - ნაფიქრებიყოთ II - ნაფიქრებიყოთ III - ნაფიქრებიყონ	

ზმნის ტიპი	მხოლობითი	მრავლობითი	წარმოება
	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - ნაცხოვრებვარ II - ნაცხოვრებვარ	I - ნაცხოვრებვართ II - ნაცხოვრებვართ	

გარადაუ- ვალი ზმნა -ობ თემის ნაშნით (საშუალო გვარი გვა- რისა- ცხო- ვრობს)	III - ნაცხოვრება	III - ნაცხოვრებლა- რიენ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u> I - ნაცხოვრებიყაი II - ნაცხოვრებიყაი III - ნაცხოვრებიყო	I - ნაცხოვრებიყაით II - ნაცხოვრებიყა- ით III - ნაცხოვრებიყ- ვენ	
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u> I - ნაცხოვრებიყო II - ნაცხოვრებიყო III - ნაცხოვრებიყოს	I - ნაცხოვრებიყოთ II - ნაცხოვრები- ყოთ III - ნაცხოვრები- ყონ	

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
გარდამავა- ლი ძირმო- ნაცვლე ზმნა	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - ----- II - ნათქვამხარ III - ნათქვამა	I - ----- II - ნათქვამხართ III - ნათქვამლარიენ	
	<u>მეოთხე თურმეობი- თი:</u>		
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u>		

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
ვიცი ზმნა	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - ----- II - ნაცოდნარხარ III - ნაცოდნარა	I - ----- II - ნაცოდნარხართ III - ნაცოდნარალიენ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u>		
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u>		

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
მიმაქვა / მომაქვს ზმნები	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - ----- II - წანაღებხარ / მონა- ტანხარ	I - ----- II - წანაღებხართ / მონატანხართ	

	III - წანალება / მონატანა	III - წანალებლარიენ / მონატანლარიენ	
	მეოთხე თურმეობითი:		
	მეოთხე კავშირებითი:		

ზმნის ტიპი	მხოლობითი	მრავლობითი	წარმოება
შვრება ზმნა	მესამე თურმეობითი:		
	I - -----	I - -----	
	II - ნაქნარხარ	II - ნაქნარხართ	
	III - ნაქნარა	III - ნაქნარლარიენ	
	მეოთხე თურმეობითი:		
	მეოთხე კავშირებითი:		

ზმნის ტიპი	მხოლობითი	მრავლობითი	წარმოება
გარადა-უვალი ზმნები, ინვერსიული ზმნები (მაქვს)	მესამე თურმეობითი:		
	I - -----	I - -----	
	II - -----	II - -----	
	III - ნაქონა	III - ნაქონლარიენ	
	მეოთხე თურმეობითი:		
	მეოთხე კავშირებითი:		

ზმნის ტიპი	მხოლობითი	მრავლობითი	წარმოება
გარადაუვალი ზმნები, ინვერსიული ზმნები (მაქვს)	მესამე თურმეობითი:		
	I - -----	I - -----	
	II - გნაყვარება	II - გნაყვარებათ	
	III - ნაყვარება	III - ნაყვარებლარიენ	
	მეოთხე თურმეობითი:		
	I - -----	I - -----	
	II - გნაყვარებიყო	II - გნაყვარებიყო	
	III - ნაყვარებიყო	III - ნაყვარებიყვენ	
	მეოთხე კავშირებითი:		
I - -----	I - -----		
II - გნაყვარებიყო	II - გნაყვარებიყო		
III - ნაყვარებიყოს	III - ნაყვარებიყონ		

ზმნის ტიპი	მხოლოებითი	მრავლობითი	წარმოება
ინვერსი- ული ზმნა, მი- ნდა	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - ნანდომვარ II - ნანდომხარ III - ნანდომა	I - ნანდომვართ II - ნანდომხართ III - ნანდომლარიენ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u>		
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u>		

ზმნის ტიპი	მხოლოებითი	მრავლობითი	წარმოება
ზმოვანმო- ნაცვლე ზმნები	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - ----- II - ნაკრეფავხარ III - ნაკრეფავა	I - ----- II - ნაკრეფავხართ III - ნაკრეფავლარიენ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u>		
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u>		

ზმნის ტიპი	მხოლოებითი	მრავლობითი	წარმოება
გარდაუვა- ლი ძირმო- ნაცვლე ზმნა (არის ზმნა)	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - ----- II - ნამყოფარხარ III - ნამყოფარა	I - ----- II - ნამყოფარხართ III - ნამყოფარლა- რიენ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u>		
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u>		

ზმნის ტიპი	მხოლოებითი	მრავლობითი	წარმოება
გარდაუვა- ლი ძირმო- ნაცვლე ზმნები (დი / ვალ / ვედ)	<u>მესამე თურმეობითი:</u> I - მინავალვარ II - მინავალხარ III - მინავალა	I - მონავალვართ II - მონავალხართ III - მონავალარი- ენ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u> I - მინავალიყაი II - მინავალიყაი III - მინავალიყო	I - მინავალიყაით II - მინავალიყაით III - მინავალიყვენ	

	<u>მეოთხე კავშირებითი:</u> I - მინავალიყო II - მინავალიყო III - მინავალიყონ	I - მინავალიყონ II - მინავალიყონ III - მინავალიყონ	
--	--	--	--

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
სტატიკური ზმნეები (დევეს)	<u>მესამე თურმეობითი:</u>		
	I - -----	I - -----	
	II - -----	II - -----	
	III - ნადება	III - -----	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u>		
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u>		

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
სტატიკური ზმნეები (დევას)	<u>მესამე თურმეობითი:</u>		
	I - -----	I - -----	
	II - ნადგომხარ	II - ნადგომხართ	
	III - ნადგომა	III - ნადგომლარიენ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u>		
	I - -----	I - -----	
	II - ნადგომიყაი	II - ნადგომიყაით	
	III - ნადგომიყო	III - ნადგომიყვენ	
	<u>მეოთხე კავშირებითი:</u>		
I - -----	I - -----		
II - ნადგომიყო	II - ნადგომიყონ		
III - ნადგომიყოს	III - ნადგომიყონ		

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
სტატიკური ზმნეები (წევს)	<u>მესამე თურმეობითი:</u>		
	I - -----	I - -----	
	II - ნაწოლხარ	II - ნაწოლხართ	
	III - ნაწოლა	III - ნაწოლარიენ	
	<u>მეოთხე თურმეობითი:</u>		
<u>მეოთხე კავშირებითი:</u>			

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი	წარმოება
სტატიკური ზმნები (წევს)	მესამე თურმეობითი:		
	I - -----	I - -----	
	II - ნაწოლხარ	II - ნაწოლხართ	
	III - ნაწოლა	III - ნაწოლარიენ	
	მეოთხე თურმეობითი:		
	მეოთხე კავშირებითი:		

### გამოყენებული ლიტერატურა

**როგავა გ.**, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იკე VI, 1953.

**კუბლაშვილი კ.**, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თსუ გამომცემლობა, თბ. 1985

**ძოწინიძე ქ.**, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება, ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, ქუთაისი 1948.

**მიძიგური შ.**, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკის მოამბე II, ტფ. 1937

### ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

#### სამეგრელოში გავრცელებული მეტსახელები ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოდის მონაცემის მიხედვით

საკუთარ სახელთა შესწავლას არაერთი გამოკვლევა მიემდგნა. ამ მხრივ, საყურადღებოა აკაკი ჭანტურიას, ალექსანდრე ლლონტის, პაატა ცხადაიას, ზურაბ ჭუმბურიძის და სხვათა ნაშრომები.

გარდა ოფიციალური სახელებისა, საზოგადოდ, ენაში გავრცელებულია ადამიანთა მეტსახელები, რომლებიც შერქმეულია მათთვის აღნაგობის,თვისების, ხასიათის, მოძრაობის, სოციალური კლასის, საქმიანობის, ბუნების მოვლენების, წარმომავლობის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ადამიანთა მეტსახელებად წარმოდგენილია: ცხოველთა, ქვეწარმავალთა, მწერთა, ფრინველთა, მცენარეთა და სხვა საგანთა აღმნიშვნელი სიტყვები. სახელი იწარმოება სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან.

მასალა ჩავიწერეთ სამეგრელოში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭოღაში. მეტსახელების გავრცელების არეალი სხვადასხვაგვარია. ადამიანი მეტსახელით ცნობილია სხვადასხვა წრეში: ოჯახში, მეზობლებში, ნათესავებში, მეგობრებში, სამსახურში, უბანში, სოფელში. ზოგჯერ მეტსახელი ოფიციალურზე მეტად არის გავრცელებული. არის ისეთი შემთხვევა, როცა ერთ ადამიანს ჰქვია რამდენიმე მეტსახელი.

მასალა საკმაოდ ვრცელია, რომელიც დაჯგუფებულია გარკვეული საერთო ნიშნების მიხედვით. ლექსიკურ ერთეულთა სიუხვის გამო, წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს.

კერძოდ:

### **აღნაგობის მიხედვით**

**ჭუკულ-ი** - კაცის სახელია. ამ ფუძეში შეიძლება გამოიყოს **-ულ** სუფიქსი, **ჭუკ-** ძირია, რაც ნიშნავს „მცირეს, პატარას“, შესაბამისად, ჭუკული ტანმორჩილ ადამიანს ჰქვია.

**ღაბჩა** - კაცის სახელია. როგორც ინფორმატორმა განმარტა, ადამიანს ეს სახელი ჰქვია იმის გამო, რომ მსუქანია და აქვს ღაღაბი. სიტყვა მიღებულია **ღაღაბ-** ფუძიდან **-ღა-** მარცვლის ამოვარდნით, **-ჩა** კი სუფიქსია. ამ ფუძისთვის ამოსავლად შეიძლება მივიჩნიოთ **\*ღაღაბჩა** „ღაღაბიანი“.

**ტუმუზია** - გოგოს სახელია. ეს სახელი დარქმეულია სიმსუქნის გამო. ამ სიტყვისთვის ამოსავალი უნდა იყოს მეგრ. ზმნური ფუძე **ტუმუზუა**, „დაზეღვა, დაგუნდავება“ (ქობალია 2010).

**პიპინია** - ქალის სახელია. ინფორმატორის განმარტებით ამ სახელის მატარებელი ადამიანი ჩუმი და წყნარია. მეგრ. **პიპინი**, „დუმილი, ტუჩების მოკუმვა განაზებით“ (ქობალია 2010). „ნაზობა, კოხტა-

ობა, ტუჩშეკვრით ჩუმად ყოფნა“ (ქაჯაია 2002). ამასთან ერთად შემოკლებული პიპო ვარიანტიც გვხვდება.

**წურუა** - ქალის სახელია. ასე ჰქვია იმიტომ, რომ მხრებაწეული დადის. მეგრ. წურუა „წურვა“ (ქობალია 2010).

**დაჩხირი** - ქალის სახელია. ასე ჰქვია თმის ფერის გამო - ცეცხლივით, ალივით წითელი თმა აქვს.

#### **თვისების მიხედვით**

**ცულუ** - კაცის სახელია. ასე ჰქვია მოხერხებულობის და ცულ-ლუტობის გამო. სახელის მნიშვნელობით ლექსიკონშიც არის ეს სიტყვა დადასტურებული (ქაჯაია 2002). რადგანაც ინფორმატორი ამ სახელის შინაარს ცულლუტს უკავშირებს, ის შეიძლება ქართ. **ცულ-ლუტ**-ი სიტყვის შემოკლებული ფორმა იყოს.

**მაჯინე** - კაცის სახელია. ჰქვია ისეთ ადამიანს, ვისაც სხვისი შრომით უნდა ცხოვრების გატანა. ეს სიტყვა ამგვარად არის განმარტებული „მონადირე, ნადირის მოდარაჯე, მზირი, ზედამხედველი, მაყურებელი, შემყურე“ (ქობალია 2010). წარმოქმნილი სიტყვაა, გამოიყოფა **ჯინ-** ზმნური ძირი „ცქერა, მზერა, ლოდინი, ზვერვა, ხედვა, ჩინი თვალისა“ ((ქობალია 2010).) და მა- -ე პრეფიქს-სუფიქსი.

**ფარსადან-ი** - ქალის სახელია. როგორც ინფორმატორმა აღნიშნა, მას ეს სახელი ჰქვია წინდახეულობის გამო.

**ბულათია** - კაცის სახელია. უქნარა, უნიათო, უუნარო ადამიანს ჰქვია. ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია როგორც „მჭედელი“ (ქობალია 2010).

#### **ხასიათის მიხედვით**

**ჯღირჯღ** - ქალის სახელია. ასე ჰქვია იმიტომ, რომ ყველაფრის გამო ჯიჯღინებს და ჯღავის. მეგრ. ჯღირჯღინი „ჯიჯღინი, ჯღავილი“ (ქობალია 2010).

**ქეთუსა** - კაცის სახელია. ქალის თვისებები ახასიათებს, კერძოდ, ჭორიკნობა. ამიტომ დაერქვა ეს სახელი. ამოსავალი არის ქალის სახელი ქეთო.

**მწარე** - ქალის სახელია. ასე ჰქვია იმიტომ, რომ ყველაფრის გამო შენიშვნას აძლევს ადამიანს.

#### **მოდრაობის მიხედვით**

**ქარიშხალა** - ქალის სახელია. ასე დაერქვა სწრაფი მოძრაობის გამო.



**ქვათა** || **ქვათალა** - ქალის სახელია. ეს სახელი დაერქვა მოძრაობის მანერის მიხედვით. მეგრ. **ქვათა** „დაბალი, ტანმორჩილი“. **ქვათალა** „თიმთიმა, კუდეციცინა, პირმოთნე“, **ქვათალ-ი** „თიმთიმი, კუდის ქიციანი, პირმოთნეობა“ (ქობალია 2010).

**ცაკალა** - ბიჭის სახელია. ეს სახელი დაერქვა სიგამხდრის, მოუსვენრობისა და სწრაფი სიარულის გამო. მეგრ. **ცაკალ-** ტანით და ასაკით პატარის ანდა გამხდარი პირის სიარული ან რაიმეზე გადასვლა (ქაჯაია 2002).

#### **საქმიანობის მიხედვით**

**სოფლის მაცნე** - ქალის სახელია. ასე ჰქვია იმიტომ, რომ იმ უბანში, სადაც ის ცხოვრობს, ახალ ამბებს ავრცელებს.

#### **სამოსის მიხედვით**

**ფუფალა** - ქალის სახელია. ნაოჭებასხმული ტანსაცმლისა და კობტად ჩაცმის გამო დაერქვა.

#### **მცენარეების მიხედვით**

**ჭუჭელ-ი** - კაცის სახელია. ასე ეძახიან იმიტომ, რომ უყვარს შენიშვნების მიცემა. ჭინჭარით იკბინება. მეგრ. **ჭუჭელ-ი** „ჭინჭარი“ (ქობალია 2010).

#### **ცხოველების მიხედვით**

**ტურა** - კაცის სახელია. შეარქვეს მოხერხებულობის გამო.

**ურჩხულ-ი** - კაცის სახელია. ასე ეძახიან იმის გამო, რომ ძალიან მაღალია.

**ჰალაია** - ქალის სახელია. ამ ცხოველივით სწრაფად დადის და ამიტომ შეარქვეს ეს სახელი.

#### **ფრინველები**

**წერო** - გოგოს სახელია. შეარქვეს იმის გამო, რომ აქვს მაღალი ფეხები.

გამოიყოფა ისეთი სახელები, რომელთა სემანტიკა გაურკვეველია. მაგალითად: **ფილუ**, **ცოხოლი**, **პირტო**, **ჭაპა**, **პულო** და სხვა.

მეტსახელთა აღწერა და შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ენათმეცნიერული, ასევე, ისტორიული თვალსაზრისით. როგორც წარმოდგენილმა მასალამ აჩვენა, ზოგ შემთხვევაში აღნიშნულ სახელებში გამოვლენილი შინაარსი სხვაგან არ გვხვდება, სემანტიკა ხშირად გამჭვირვალეა, ზოგჯერ ბუნდოვანი. ამ ჯგუფის მასალა ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს სიტყვის სემანტიკის კვლევისა-

თვის. ის საყურადღებოა მორფოლოგიისა და სინტაქსის მხრივაც. გვხვდება: მარტივი, რთული ფუძეები და შესიტყვებები.

გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე მეტია ზედსართავი-საგან ნაწარმოები სახელები და ნაზმნარი ლექსიკური ერთეულები. სტატისტიკურად, მასალის გათვალისწინებით, მეტსახელი შერქმეულია აღნაგობის მიხედვით.

საკითხის საფუძვლიანი შესწავლისათვის მნიშვნელოვნად გვესახება სამეგრელოს სხვა სოფლების აღწერა.

### გამოყენებული ლიტერატურა

**მეგრულის ლინგვისტური ანალიზი 2010** – მეგრულის ლინგვისტური ანალიზი (ავტორები: გ.კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია), თბილისი

**ქაჯაია 2001** – მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-1, თბილისი

**ქაჯაია 2002** – მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-2, თბილისი

**ქაჯაია 2002** – მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-3, თბილისი

**ქობალია 2010** – ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010

**ღლონტი 1986** – ალექსანდგე ღლონტი, ქართველური საკუთარი სხელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), თბილისი, საბჭოთა საქართველო)

**ცხადაია 2016** – პაატა ცხადაია, საკუთარი სახელი მეგრულ (ზანურ) ენაში : მეგრული ტოპონომიის, ანთროპონომიისა და ზოონომიის მასალების მიხედვით, თბილისი, 2016

**ჭანტურია 2006** – აკაკი ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, კოლხური სერია 2, თბილისი, 2006

**ჭუმბურიძე 1978** – ზურაბ ჭუმბურიძე, როგორ გაჩნდა სიტყვა, თბილისი

## მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

### **დიალექტიზმები შოთა ნიშნიანიძის ვერლიბრით შექმნილ უცნობ ბელეტრისტულ პოემებში**

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემები გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი და ხელმისაწვდომი დიდი შემოქმედის ეს ძვირფასი ქმნილებები მხოლოდ ახლახან – 2019 წელს – პოეტის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულით გახდა (შოთა ნიშნიანიძე – 90 საიუბილეო კრებული. თბ., 2019. გამომცემლობა „მერანი“. პროექტის ავტორი და რედაქტორი მაყვალა გონაშვილი. შემდგენლები: ბალათერ არაბული, ნათია ნიშნიანიძე).

დიდი პოეტის საიუბილეო კრებულის შესავალ წერილში („ქვაში გამომწყვდეული ცეცხლის სიბრძნე“, გვ. 5-6) რედაქტორი მაყვალა გონაშვილი წერს: „თქვენ ამ ახალ კრებულში ახალ შოთა ნიშნიანიძეს შეხვდებით, დღემდე ცნობილ შედეგებთან ერთად სრულიად უცნობ ბელეტრისტულ პოემებს წაიკითხავთ, სადაც ცეცხლოვანი პოეტის უკვე „გაციებული ცეცხლის“ სიბრძნესა და სიდიდეს ეზიარებით. თუ შოთა ნიშნიანიძის ადრეულ პოეზიაში მისი აღმოდებული სტრიქონები გატყვევებდათ, სიბრძნის ასაკში დაწერილ ამ პოემებში აზროვნების სიდიადე და ტკივილის სიმძაფრე დაგამუნჯებთ. პოემები პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებშია დაწერილი, 90-იანი წლების უჟამურ, უმძიმესწლებში... ქვეყნის უბედობით გულდამძიმებულ პოეტს თითქოს სტრიქონიც უმძიმდება, ამიტომაც იწყებს ჯვარზე გაკრული ჯვარედინი რითმების უარყოფას, სიტყვებს ლექსის ჩვეული არტახებიდან ათავისუფლებს და უხვი ინფორმაციის, ინტელექტუალური სათქმელის გამოსახატავად ვერლიბრს მიმართავს“.

დიდი პოეტის უცნობი ბელეტრისტული პოემები, უპირველესად, სწორედ ვერლიბრის გამო იმსახურებს საგანგებო ყურადღებას. საკმარისია გავიხსენოთ ვერლიბრის თაობაზე გამართული პოლემიკა და პოეტის შესანიშნავი პუბლიცისტური წერილები: (I) „რა იქნა ლერწამში დამალული ცეცხლი?“ („ლიტერატურული საქართველო“, 1977, 13.05) და (II) „თქვენ როგორი ლექსი მოგწონთ, მკი-

თხველო?“ („განთიადი“, 1977, 24.06). საკითხის აქტუალურობისათვის და შემოქმედის პოზიციის წარმოსაჩენად მოვიხმობთ რამდენიმე ამონარიდს აღნიშნული წერილებიდან:

„რითმა-ურითმობის საკითხი სულაც არ წყვეტს პოეზიის რანგის საკითხს... თანამედროვე ქართულ თავისუფალ ლექსს ანარქიული უფრო ეთქმის, ვინემ თავისუფალი“ (I).

„ვერლიბრის ფორმა, როგორც ყველა სხვა სალექსო ფორმა, თვითონ საგნის შინაარსმა, ფაქტურამ უნდა გვიკარნახოს. ყველაფრის ვერლიბრით გამოხატვა არ შეიძლება... ქართულ ვერლიბრსა და რითმიან პოეზიას შორის იმხელა განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის, მაგრამ ვერლიბრით წერაზე უარს არცმე მოვითხოვ. ვერლიბრს თავისი ადგილი აქვს, რითმიან ლექსს – თავისი. გადახედეთ ვერლიბრისტა წიგნებს, ისინი სავსეა ავადმყოფური ხილვებით, კომმარული ჩვენებებით, ყალბი ფილსოფიური პოზიირობით, სრული საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმით, სიცარიელით, სიცარიელით... საზოგადოებრივი აზრის სისუსტე, მოვალეობის გრძნობის უქონლობა, უპასუხისმგებლობა ზოგჯერ სხვაგანაც გამოჟონავს ხოლმე.

ლიტერატურაში წარმატებისათვის ნიში მთავარია, მაგრამ დროისა და გარემოების ფაქტორიც დიდ როლს თამაშობს. დიდი ეპოქალური ძვრების დროს პოეზია „ყელთამდეა სავსე“ პოზიციით, იდეებით, პოლიტიკურ-სოციალური საფენელით, მოქალაქეობრივი პათოსით.

... არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს ქართული ვერლიბრი და თეთრი ლექსი საერთოდ წარუმატებელი მოვლენა იყოს. კარგი ნიმუშები აქაც იპოვება, მაგრამ ძალიან ცოტა.

... დღევანდელი ქართული ვერლიბრული პოეზია ბაბილონის გოდოლს მაგონებს თავისი გაუგებრობით, ქაოსურობით, ერთფეროვნებით, სიცარიელით.

... იქნებ დღევანდელი ვერლიბრის ბალასტი ხვალინდელი ნამდვილი პოეზიის ნიადაგია.

... დღევანდელი ვერლიბრის განვითარების გზებს მე კითხვის ნიშანს ვუსვამ.

... ჩემი წერილი ერთის მხრივ ვერლიბრის გაფეტიშების, ხოლო მეორეს მხრივ, მისი გაყალბების წინააღმდეგ დაიწერა.

ჩემი კრიტიკული სიმძაფრე მხოლოდ იმ „ულტრამოდერნისტებს“ ეხებათ, რომლებმაც კატეგორიულად უგულვებელყვეს რითმიანი ლექსი და უპირატესობა ვერლიბრს მიანიჭეს.

... მე ვებრძვი ანარქიულ და არა თავისუფლ ლექსს (ყოველგვარი თავისუფლება თავისუფლება არაა).

მე ვებრძვი ფორმის რღვევას, პოეზიის ფალსიფიკაციას.

მე ვებრძვი უაზრობის მაღალ აზროვნებად გამოცხადების ცდებს.

... შემემლო ვერლიბრული ხელწერის უამრავი „ოქროს მტვერი“ მიმეწოდებინა მკითხველისათვის, მაგრამ მკითხველმა თვითონაც კარგად იცის ამ პოეზიის ავ-კარგი.

საერთოდ, ვერლიბრული საღებავები პრინციპულად გამორიცხავენ ყოველგვარ მთლიანობას, სინთეზს, შენივთებას, სინათლეს, წესრიგს; სამაგიეროდ, ანალიზის, დაშლის, რენტგენური სხივის ძალმოსილება აქვთ. ყველაფერს აშიშვლებენ, ხლეჩენ, აქუცმაცებენ. ისინი ე. წ. „ასოციაციური აზროვნების“ პრინციპზე არიან აგებულნი ანუ იმპრესიონისტული წამიერი ხედვის, წამიერი შთაბეჭდილების ფერად კარნავალს ჰქმნიან“ (II).

ამ ვრცელ ამონარიდებში სრულიად ნათლად ჩანს, რომ პოეტს ვერლიბრი არც ხიბლავს და არც დიდად აინტერესებს, თუმცა თვითონვე უაღრესად სამართლიანად დასძენს: „უნიჭო ვერლიბრს შევებრძოლე, ნიჭიერს ხომ არა, შემოქმედებით უილაჯობას შევებრძოლე, აღმაფრენას ხომ არა“. პოეტის ამგვარი დამოკიდებულებისა და შედეგების გვერდით, მის შემოქმედებაში ვერლიბრით შექმნილი ბელეტრისტული პოემები (13 პოემა!) მრავლისმეტყველი ფაქტია. ამ ფაქტით, უპირველეს ყოვლისა, დროის, სივრცისადა სოციალურ-კულტურული ანუ ეპოქის პარადიგმის სიმძაფრე და უმკაცრესი რეალობა (ვგონებ, ტრაგიზმი) იკითხება. ამ თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკა დამოუკიდებელი კვლევა-ძიების სფეროა. ამ თვალსაზრისით, პოეტის უცნობი ბელეტრისტული პოემები და, საერთოდ, შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია ელის თავის ღირსეულ მკვლევრებს და, ვფიქრობთ, მრავალ საინტერესო დაკვირვებასა და დასკვნას შემოგვთავაზებს. ერთი კი ამთავითვე უნდა ითქვას: შოთა ნიშნიანიძის ვერლიბრი სრულიად ახალი სიტყვა და ახალი სიმაღლეა ქართულ პოეზიაში. მის უცნობ ბელეტრისტულ

პოემებში ვერლიბრის ხელოვნება „დიახაც რომ უმაღლეს დონეზე, ასე ვთქვათ, ოლიმპოს დონეზეა გადაწყვეტილი“. ეს პოემები თითქოს მისივე პუბლიცისტური ნააზრევის გაგრძელებაა და ერთგვარი გამოძახილი, ნიჭიერებით აღსავსე ღირსეული პასუხია იმ მწარე სატკივარსადა საფიქრალზე, რასაც პუბლიცისტური წერილებით ეუბნება მკითხველ საზოგადოებას. როგორც ჩანს, ეს წიანაღმდებლობებით სავსე შემოქმედებითი საკითხები, ცეცხლოვანი ტკივილები, ინტელექტუალური და სულიერი ფორიაჟი მისი პიროვნების მარადიული საკუთრება იყო, რომელიც დიდი შემოქმედის ტალანტმა ბოლოს ამგვარად დაწურულ-დაწმენდილი თუ ამღვრეული ფორმით – ვერლიბრით ჩამოსხმული დიდებული პოემების სახით დაგვიტოვა.

საიუბილეო კრებულში დაბეჭდილია შოთა ნიშნიანძის 13 უცნობი ბელეტრისტული პოემა:

I. აქა ამბავი აპოლონის ჩანგისა და სხვათა მრავალთა / ანტიკური პროლოგი

II. ქვეშევრდომები

III. მუსიკის აპოლოგია

IV. ყვავები

V. ტიცინანის პალტო

VI. კაფე „ოლიმპიური თავლა“

VII. წითელი და იისფერი

VIII. ფიჭვის გირჩები

IX. ვირის აპოლოგია

X. პროვოკატორი თხა

XI. კეისარო, გახსოვდეს!

XII. თავვის წელიწადი

XIII. „ინდოეთის აკლდამა“

ამ პოემათა ინტელექტუალური და ლინგვისტური სამყარო, შემოქმედებითი ფსიქოლოგიისა და ესთეტიკის საკითხები, მისტიკურ-რეალური ნაკადები, პოეტური ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფიული პორტრეტები, მეტალინგვისტური რეფლექსიის ბრწყინვალე ნიმუშები, „მეტაფორის ალქიმია“ და მრავალი სხვა მკვლევართა სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს და კვლევადიების ახალ გზებს სახავს. დიდი შემოქმედის 13 ბელეტრისტულ პოემაში დავა-

ნებული მხატვრული სამყარო, ცხადია, პოეტური ენითადა ლინგვისტური მიეზებიტაც იქცევს ყურადღებას.

შოთა ნიშნიანის ბელეტრისტულ პოემათა ლინგვისტური სამყაროდან ჩვენ ამჯერად დიალექტიზმებს გამოვყოფთ. ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ავტორი დიალექტიზმებს წმინდა სტილური ფუნქციით იყენებს, მართალია ძუნწად, მაგრამ მიხანმმართულად; კერძოდ, იმ მეტყველების გასაცოცხლებლად, რომელიც ქმნის მისთვის საჭირო გარემოსა და კოლორიტს. ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია პოეტის თითქოსდა სხვათაშორის ნათქვამი რამდენიმე ფრაზა პოემიდან „თავის წელიწადი“: „პანის მეტყველებაში მეგრული კილოკავის სილბო ჟონავდა, / როგორც ჩანდა, თავისი მოადგილის გავლენას განიცდიდა / ტყეების დიდი ბატონი. / ოჩოკოჩმა მეგრულად შეულოცა“ (გვ. 190). ეს ფრაზები ერთგვარ კომენტარსაც წარმოადგენსდა თვით შემოქმედის უტყუარ პოეტურ აღღოსა და ფაქიზ თვალ-ყურზეც მრავლისმთქმელია. საერთოდ ხმა, ინტონაცია ყოველთვის იყო ყველა დიდი შემოქმედის საფიქრალი და არამარტო „საკუთარი ხმის“ მიების გზებზე. ენის ესთეტიკური ფუნქცია ყველაზე ძალუმად სწორედ ხმითა და ინტონაციით შეიგრძნობა და შეიმეცნება. ამას ადასტურებს მეტალინგვისტური რეფლექსის ბრწყინვალე ნიმუში „ანტიკური პროლოგის“ თითქმის პირველივე სტროფებიდან: „... გაწვიმდა... / განათდა ცა გადაფერდილი / და როგორც ელადურ გაზაფხულს შეჭფერის: / წვიმა წამოვიდა მთლად ჰეგზამეტრივით, / ელვის ცენზურით და ქუხილის რეფრენით... / აყივლდა ხოხობიც – ქართული ტემბრით, / ხოხობი – კოლხეთის მფრინავი ღერბი, – / ფაზანად ცნობილი ფაზისრიონელი. / კოლხეთის ჭალებში გაზრდილი პიონერი. / აქეთ სალორია, იქით აჯამეთი – / წითელყელსახვევთა მთელი მაჯამეთი... / მელორეს, სიმღერაში გამარჯვებულს, / დაფნის გვირგვინები უწყალობეს. / – ვააავა! – ვილაცამ შეიცხადა, სიმღერის ყოფილათ პიტიახში, / მაგრამ ეს უღვაში გამპარსეთო, მაგაზე ნაკლებად თუ გალობდეს, / რომელიც გნებავთ, ოჩოკოჩი ლებარდესა და კიწიაში...“ (გვ. 16-17). დიალექტური ფორმის გამოყენებით განუმეორებელი პოეტური ეფექტი იქმნება, თუნდაც ერთი დიალექტური სიტყვა, როგორც ერთი წვეთი საკმაზი, ტექსტს სხვა ემხსა და სურნელს სძენს – ენის ესთეტიკური და პოეტური ფუნქცია უფრო ძალუმად შეიგრძნობა.

ამდენად, როგორც მოსალოდნელი იყო, დიალექტიზმების გამოყენება პოეტისთვის ერთ-ერთი მხატვრული ხერხია, რომელსაც გარკვეული ჩანაფიქრის განსახორციელებლად მიმართავს. დიალექტიზმთა გამოყენების გზით ცოცხლად იგრძნობა ის საუბრული სტილი, რომლის მეშვეობითაც იგი არსებითად აფორმებს პოემათა მხატვრულ და ენობრივ სტილს. ამგვარი ფორმებით პოეტი მონათხრობის რეალურობას უფრო სარწმუნოს ხდის; დიალექტიზმთა სიმცირე ერთთავად ამ ფორმათა ხაზგასმასაც ემსახურება, ამბავს ნამდვილობის ელფერს უნარჩუნებს, ხელოვნურობას იცილებს, მკითხველს თავს არ აბეზრებს და, პირიქით, წაკითხვას უიოლებს. პოემათა ენაში გამოყენებულია იმერული, მეგრული, ქართლური და ქიზიყური დიალექტური ფორმები. ასე მაგალითად:

„– მეორედ მოსვლაა, დედიჯან, მეორედ მოსვლაა, მას!.. / გაიჯღანა ტაბურეტზე ჩამომჯდარი მექისე“ (გვ. 46); „– ხვალ სანადირო თოფს მოვიტან და შიგ შუბლში ვყვინავ / მაგ წუპაკს, მაგას! – იმუქრებოდა ნირწამხდარი დარაჯი“ (გვ. 48); „– ა, არ ქნა მაგ ამბავი, თორემ შამშვებსაც შეიწირავ – / შეამშველეს აქეთ-იქიდან“ (გვ. 48); „მაგრამ ერთი ტომარა ბრინჯის აბოჭვა / უფრო ადვილი იყო, / ვიდრე ჩემი გულისყურის მოკრეფა“ (გვ. 63); „და წართმეული პალტო / დიდი მოწიწებით მოუხურიათ ტიცვიანისათვის“ (გვ. 67); „– სუ, ბიჭო! არ დაგიჭირონო“ (გვ. 138); „სიცოცხლეს მოუსწრაფავენ / ისედაც ლოგინზე მიჯაჭვულ დედაჩემსო“ (გვ. 143); „– დიდუუ, დიდუუ-ო შეიცხადა და / ცომიანი თითებით ლოყები ჩამოიხოკა“ (გვ. 146); „– რას ბჟუტურობ, ქალო! – დაუტატანა / თვალეზგადმოქაჩულმა ქმარმა“ (გვ. 146); „მეზობელიც ეგეთი უნდა“ (გვ. 147); „გული ხელით ეჭირა... / და ნაჭუჭში მოფაცუნე ჭუჭულასავით წიწკნიდა...“ (გვ. 155); „იდგა ერთი ბასტი-ბუბუ, წიფვივი – წიალი და ბოჭირი“ (გვ. 156); „– თუ ღმერთი გწამსყე, გამოუშვით მა სალდათები, / ჩემს ჭადარას ეცით პატივიო“ (გვ. 160); „– ჰა, სპარტაკჯან, მგონი ვაფრენთ“ (გვ. 180); „ო, შე გიჟუნია, შენა, ეს რა სიზმარი გინახავს, ვეჟო?!“ (გვ. 189); „– ვააავა, ვაავა! ასე უღმერთოდ ვინ გაგპარსათ ზევსოვიჩო“ (გვ. 189); „– აგერ წყლის პირად, მუხის ჩეროშიო“ (გვ. 190); „ცეცხლზე გავარვარებული ბაკანი მდინარეში გაახანჭალა და / ისე დაუბრუნა თავის მფლობელს“ (გვ. 191).



დიალექტურ ფორმათა გამოყენების თავისებურებებით განსაკუთრებით გამოირჩევა პოემა „პროვოკატორი თხა“. თუ სხვა პოემებში დიალექტიზმთა სიმცირეა არსებითი, აქ პირიქით, დიალექტიზმთა შედარებითი სიუხვე იქცევს ყურადღებას. ცხადია, ამას პოემის სათქმელი განაპირობებს, რომლის უმთავრესი შინაარსი ისაა, რომ „ჰაი დედასა, რას არ ჩაგადენინებს სიყვარული, გინდა თხა იყავი და გინდა ადამიანი!“ (გვ. 136). პოემის სათაურის სრულყოფილი სახე ასეთია: „პროვოკატორი თხა (სალახის ნამზობი) 1937“. სათაურის ამგვარი ინფორმაციულობით დატვირთვა მიკთხველს განწყობასაც უქმნის და ამბის აღსაქმელადაც ამზადებს: ამბავი უთუოდ ტრაგიკულია, ღრმაშინაარსოვანი პლასტებით, საინტერესო ეთნოგრაფიული ფონით, რთული ფსიქოლოგიური ძიებებითა და წიადსვლებით, პარალელებით სულიერ არსებათა შინაგანი ბუნების შტრიხებისა, შედარება-დაპირისპირებებით და ა. შ. ამ ყველაფერს კი მოგვითხრობს თვით ამბის მთავარი პერსონაჟი – სალახი (ყასაბი). ამბის გადმოსაცემად გამოყენებულია ქართლური და ქიზიყური დიალექტური ფორმები. მთელი პოემის მანძილზე შენარჩუნებულია ის რიტმი, ინტონაცია – სალახის ხმა, რაც რეალური დიალექტური გარემოს განცდას ქმნის და ამით (მხატვრულობის თვალსაზრისით) ნაწარმოები მკითხველის მოლოდინს ამართლებს: მკითხველი ენდობა მოქმედი პირის (ავტორის) ნამდვილ და გულწრფელ, აღსარებისმაგვარ საუბარს. სალახი ამბავს ყვება ისე, როგორც ყოველდღიურად ლაპარაკობს კიდეც მისი ხელობის კაცი, ეს მისთვის ჩვეულებრივი სასაუბრო გარემოა. რეალური გარემოს განცდას ქმნის სწორედ ის, რომ საუბარში ოსტატურადაა მიმოხვეული დიალექტური ფორმები, ვულგარული გამოთქმები და ინტონაციის დამკვიერი დამხმარე მეტყველების ნაწილები (მააშ, ვაჰ, შვილოსან, მახლას, მა რა...). სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ: „იცი, სალახობა რა არი? აბა, შენა ყოფილხარ, აი! / სალახობა, შვილოსან, ვაჟკაცური ხელობაა, ვაჟკაცური! / სალახობა საქონლის კვლასა ჰქვიაან... / ეჰ, ბოლო-ბოლო, სალახები ან ვგოყდებით / ან ერთმანეთსა ვხოცავთ... / სისხლი ცოდვილიანია, ერთხელაც იქნება, მოგაკითხავს... / მააშ, პასუხს მოგთხოვს... / ოთხში ამოღება ხო გაგიგია? გუდა... აი, ისემე... ტიკი, ტიკჭორა? / ჰოდა, მაგეებს თხის ტყავისაგან აკეთებენ, / მახლას, ოთხში ამოღება მთლიანად გატყავებასა ჰქვიაან“ (გვ. 132); „ეჰ, ერთი

აქ იყოს ის ისპანია, / რამთონ ფულს ვიშოვიდი! ჩემმა მზემ, / ერთ თვეში მილიონერი გავხდებოდი! / ვაჰ, რატომ ისპანიაში არ დავიბადე!..“ (გვ. 134); „მართალია, ჩვენთვის სასარგებლო საქმეს სჩადიოდა, / მაგრამ თანამომეტა მიმართ პროვოკატორი იყო, შობელმადლი, / ამიტომაც გაპონი შევარქვით. / მომმეთა სისხლის ფასად სუქდებოდა, / ნებივრობდა, დიდკაცურად ცხოვრობდა“ (გვ. 135); „ვაცბოტის „კაიკაცობამ“ მაგრა დაგვაზარალა, / ჩვიდმეტი ცხვარი დაგვეხრჩო მტკვარში! / ზარალი კი სალახებს გადაგვახდევინეს. / ასეა, შვილოსან, ყველგან პატარა კაცი ისჯება... / ვაცზე კი შური ვიძიე; / დავიჭირე, ხეზე ჩამოვკვიდე; / ოთხში ამოვიღე ცოცხლად... / ოთხში ამოღება ნაღდი ქართულია, / ხატოვანი გამოთქმაა, შვილოსან!.. ხატოვანი!..“ (გვ. 136).

დასასრულ, დავძენთ, რომ სიტყვის ფენომენის შეცნობისათვის ეგებ დიალექტიზმები უპირატესიც იყოს, როცა შემოქმედისთვის მხოლოდ ამბავი, შინაარსი კი არ არის მთავარი, არამედ ამ შინაარსის გამოხატვის გზებით მშვენიერის (უმაღლესი ესთეტიკური კატეგორია!) წვდომა და დასაკუთრება. ამგვარი ფორმებით, როგორც ყველაზე სანდო და მარჯვე ინსტრუმენტი, დიდი ხელოვანი უაღრესად ადვილად გვარწმუნებს საკუთარ ენობრივ სიმართლესა და შემოქმედებით დიდოსტატობაში. წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ შოთა ნიშნიანიძის ვერლიბრით შექმნილი ბელეტრისტული პოემების ენაში დიალექტიზმთა გამოყენება მშვენიერის გამოსახვის მშვენიერი ნიმუშია.

### გამოყენებლი ლიტერატურა

„განთიადი“, 24.06. თბილისი, 1977.

„ლიტერატურული საქართველო“, 13.05. თბილისი, 1977.

შოთა ნიშნიანიძე 90 – საიუბილეო კრებული, თბილისი, 2019.

## მერაბ ჩუხუა

### ხარისხის ფორმათა წარმოების ერთი თავისებურებისათვის ქართველურში

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით პირდაპირი გარღვევა იყო აკაკი შანიძის კვლევათა თვალსაჩინო შედეგი, რომელიც ჩამოყალიბდა მნიშვნელოვან ისტორიულ-შედარებითი ღირებულების ნაშრომში „პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში“ [შანიძე 1981 : 402-409]. როგორც ცნობილია, დასახელებულ ნაშრომში ავტორი მეტ (ძირითად) ყურადღებას უთმობს შედარებითი ხარისხის (ავტორის ტერმინოლოგიით უფროობითი ხარისხის) წარმოებასა და გენეზისის პრობლემას ქართველურ ენა-კილოებში.

ჩვენთვის საინტერესო ხარისხის მაწარმოებლად ქართულში უ-ე-ს კონფიქსი გვევლინება, რომლის არქაულ სახეობად გამოყოფილია ჰ-უ-ე-ს (ჰაემეტ ძეგლებში) და ხ-უ-ე-ს (ხანმეტ ტექსტებში), ხოლო მეტად საყურადღებო უ-ე კი ვეფხისტყაოსანშია ფიქსირებული. მკვლევარმა მიუთითა ზანურ უ-ა-შ შესატყვისზე მეგრულში, რომელსაც სავსებით კანონზომიერად სვანური ხ-ო-ა შეეფარდა. წარმოდგენილი სადერივაციო აფიქსები, როგორც მოსალოდნელი იყო, აკაკი შანიძემ საერთო წარმომავლობის გრამატიკულ ინვენტარად დასახა და აღნიშნა, რომ ისინი სახვადასხვა კომპონენტებისაგან შედგება; კერძოდ, ითქვა, რომ თავკიდურა ხ (//ჰ) ძველ ქართულსა და სვანურში წარმოშობით მესამე ობიექტური პირის ნიშანია, ანუ იმ პირისა, რომელიც **შედარების** ობიექტს წარმოადგენს. პრეისტორიულ პერიოდში ობიექტური პირის პრეფიქსაცია ცვალებადი უნდა ყოფილიყო, - განსხვავებული პირების მიხედვით: მ- პირველ ობიექტურ პირს წარმოაჩენდა, გ- კი - მეორე, ასევე ობიექტურ პირს; ე. ი. პირიელი ფორმები ამ სახისა უნდა ყოფილიყო:

მ-ი-დიდ-ე-ის-ი „ჩემთან შედარებით დიდი, ჩემზე დიდი“

გ-ი-დიდ-ე-ის-ი „შენთან შედარებით დიდი, შენზე დიდი“

ხ-უ-დიდ-ე-ის-ი „მასთან შედარებით დიდი, მასზე დიდი“

ტენდენცია ერთგვაროვანი აღმოჩნდა ქართველურ ქვესისტემებში, უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ, განზოგადდა მესამე პი-

რის ფორმები (ხუდიდისი, ხუფროისი, ხუცეისი...), რომელიც დღემდე შემოგვრჩა მეტ-ნაკლები დისტრიბუციით ყველა ქართველურ ენაში, ხოლო პირველი და მეორე პირის ფორმები ბრუნვიანი სიტყვისა დაიკარგა [შანიძე 1981 : 407]. მესამე პირის ზმნურ ფორმათა განზოგადება ცნობილია სვანურიდან, შდრ. სვან. ხონ-ი „უნდა“ -> ხონ-ი „თუნდაც“, „თითქოს“ [ჭუმბურიძე 2007 : 102], ლაზურიდან - ჩხალური: მა ბჰარა უნ(ონ) „დავწერ“, სი ჭარა უნ(ონ) „დაწერ“, ემუქ ჭარას უნ(ონ) „დაწერს“.. განსხვავებით ძველქართულისა და სვანურისაგან, მეგრულსა და რუსთაველის პერიოდის მომდევნო ქართულში შედარებითი ხარისხის მაწარმოებელი პრეფიქსები (რეალურად პირის ნიშნები - ხ/ჰ) დაიკარგა, შდრ. ქართ. ხ-უ-ც-ე-ს-ი : ზან. უ-ჩ-ა-შ-ი : სვან. ხ-ო-შ-ა...

სუფიქსური -ე-ის- დაბოლოება მოგვიანებით ორად დაიყო და -ე პრეფიქსთან ერთად ხარისხის მარკერად გამოცხადდა, ხოლო -ის კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც არ ჩანს აუცილებელი რუსთაველის ენისათვის: უ-ამ-ე, უ-არ-ე.., თანამედროვე ქართულიდან იმერული დიალექტის სოფელ ხრეთის მეტყველებაში აკაკი შანიძე ამოწმებს უ-მალღ-ე „უმაღლესი“, უ-ხნ-ე „უხნიერესი“ ტიპის სიტყვაწარმოების ნიმუშებს, რაც იმის მაგალითადაა მოხმობილი, რომ ქართულ-ზანური (უდიდეს-/უდიდაშ...) ალომორფები წარმოშობით ნანათესაობითარი ფორმებია. ავტორი საკუთარი მოსაზრების რეალურობას ამყარებს სვანური შესატყვისების მოხმობით, როცა ქართულ ე-ს შეეფარდება ბოლოკიდური -ა სვანურში (ხ-ო-ჩ-ა, ხ-ო-შ-ა..) მაშინ, როდესაც ნათესაობითის -ის ფორმანტს (ზან. -იმ//შ) სვანურში ნული შეეფარდება [შანიძე 1981 : 141].

როგორც ვხედავთ, აკაკი შანიძე საუბრობს ბოლოკიდურ ქართ. -ე და სვან. -ა მორფემათა ფუნქციურ და არა მატერიალურ შესატყვისობაზე, თუმცა არაფერს ამბობს მათ წარმოშობაზე, ეს საკითხი ავტორთან ღიად რჩება. მომდევნო ეტაპზე ქართველური შედარებითი ხარისხის განსხვავებულ ფორმათა გენეზისის პრობლემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გ. მაჭავარიანმა. მან ხარისხის ფორმათა ზმნური დერივაციის იდეა გაიზიარა და წამოაყენა ახალი დებულება იმის შესახებ, რომ სუფიქსური -ე ქართულში ზმნური აფიქსია და იგი უკავშირდება წყვეტილის ნაკვთის (აორისტის) -ე სუფიქსს ქართულში [მაჭავარიანი 1958 : 121-122]. ამგვარი მიდგომა არ

იქნა გაზიარებული ქართველოლოგების მიერ, ვინაიდან ქართული წყვეტილის -ე სუფიქსს სვანურში იდენტური -ე შეესატყვისება, მაშინ, როდესაც შედარებითი ხარისხის მაწარმოებელი სუფიქსი ქართულში არის -ე, ხოლო სვანურში კი იგი -ა სუფიქსითაა წარმოდგენილი. ეს გადაულახავი წინააღმდეგობაა, ვინაიდან ხმოვნური ბგერათშესატყვისობა ქართ. ე : სვან. ა არ არის დამოწმებული ქართველურ კომპარატივისტიკაში [ჭუმბურიძე 2007 : 104].

მაშ რა შეიძლება იყოს ბოლოკიდური -ე და -ა ქართულ-სვანურში?

ჩვენი პასუხი ცალსახაა და წარმოადგენს აკაკი შანიძის ზმნური წარმომავლობის იდეის გაგრძელება-ეგოლუციას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართ. ხ-უ-ც-ე- და სვან. ხ-ო-შ-ა წარმოშობით სრულად ზმნური ფორმებია, ოღონდ არა აორისტისა, როგორც ამას გივი მაჭავარიანი ვარაუდობდა, არამედ თავიანთი წარმომავლობით ისინი ქართველურ ზმნათა კარგად ცნობილი სტატიკური ფორმებია. ამას გვაფიქრებინებს ზანური მასალის ჩართვა შედარებითი ხარისხის სუფიქსაციის გენეზისის კვლევაში, კერძოდ ის სხვაობა, რასაც ვაფიქსირებთ მეგრულისა და ლაზურის ჩვენებათა შედარებითი შესწავლისას. ამისათვის მკაფიოდ ვახდენთ იმის დემონსტრირებას, რომ სტატიკურობის მარკერები მეგრულსა და ლაზურში განსხვავებულია, შდრ. მეგრ. უ-ჩქ-უ-ნ/ლაზ. უ-ჩქ-ი-ნ „იცის“; მო-ბ-ძ-უ-ნ/მო-მ-ძ-ი-ნ „მაძევს; მაცვია“... ზუსტად იგივე ვითარებაა შედარებითი ხარისხის ფორმათა სუფიქსებშიც, შდრ. მეგრ. უ-ჯგ-უ-შ-ი/ლაზ. უ-ჯგ-ი-შ-ი „უკეთესი“. ზედმეტი არც იმის თქმა იქნება, რომ ზმნური -ჯგ- მეგრულში უ-ჯგ-უ-ნ, ხოლო ლაზურში უ-ჯგ-ი-ნ „ჯობია“ ფორმებითაა წარმოდგენილი. ამ მიგნებით ადვილად აიხსნება -ი დაბოლოების პოვნირება ლაზურში იქ, სადაც მეგრული დიალექტი ქართული -ე-ს კანონზომიერ -ა შესატყვისს წარმოგვიდგენს, შდრ. ქართ. უ-დიდ-ე-ს- : მეგრ. უ-დიდ-ა-შ- : ლაზ. უ-დიდ-ი-შ- „უდიდესი“..., ანუ ქართ. -ე, მეგრ. -ა, ლაზ. -ი სტატიკურობის მაჩვენებელი სუფიქსებია.

სვანურიც ამასვე გვიდასტურებს, ვინაიდან სტატიკურობის -ა ნიშანი სვანურში მეტად გავრცელებულია, შდრ.: მ-აყ-ა „მყავს“, მ-აჩ-ა „მეცინება“, ხ-ა-ქახ-ა „ჰქვია“ და სხვ. ამით კი იმის თქმას ვცდილობთ, რომ, მაგალითად, ხ-ო-შ-ა „უდიდესი“ მთლიანად ზმნური

ფორმაა სვანურშიც და გამოხატავს „შედარებით დიდა“-ს შინაარსს. მეგრულის -უ-ს კი, რომლისგანაც ისტორიულად ლაზური -ი მომდინარეობს (უ -> ი) შესატყვისი ეძებნება თვით ქართულშიც, როდესაც ძველ ქართულში მეტად და თანამედროვე ქართულის ორ მაგალითში შედარებითი ხარისხის სუფიქსურ ნაწილად -ო წარმოჩნდება (უ-მცრ-ო-ს-ი, უ-ფრ-ო-ს-ი, უ-ტკბ-ო-ს-ი...). ქართ. -ო : ზან -უ ისეთივე კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობაა, როგორც ქართ. -ე : ზან. -ა (ხუც-ე-ს/უზ-ა-შ-). სწორედ ეს -ე უნდა გამოვეყოს სტატიკურობის მარკერად ჰ-გი-ე-ს ტიპის სტატიკურ ზმნებში ქართულში, რომელიც მეტად პროდუქტიულადაა თავჩენილი უდიდ-ე და ა. შ. ტიპის ხარისხის ქართულ ფორმებში.

აქედან დასკვნა: შედარებითი ხარისხის ფორმები ქართველურში მთლიანად ზმნური წარმომავლობისაა, კერძოდ კი სტატიკური ზმნის პირიელი ფორმებია, რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის მარკერებით ფორმდება ქართულ-ზანურში, სვანური გაჩერდა რუსთაველისა და სოფელ ხრეთის მსგავსად და ყოველგვარი სახელური გაფორმების (მარკერის) გარეშე იტვირთა სახელური ფორმების გრამატიკული სემანტიკა.

### გამოყენებული ლიტერატურა

**მაჭავარიანი** – გივი მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში; თსუ შრ., ტ.71 (ფილოლ. მეცნ. სერია I); თბ., 1959

**შანიძე** – აკაკი შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თხზ. ტ. IV; თბ., 1981

**ჭუმბურიძე** – ზურაბ ჭუმბურიძე, სვანური ენა; თბ., 2007

## ნინო წიკლაური

### უკითხვითსიტყვო კითხვითი წინადადება ქართულში

კითხვითი წინადადების ორგანული წარმოება კითხვითი სიტყვებისა და ნაწილაკების გარეშე შექმნილ სინტაქსურ კონსტრუქციებს წარმოადგენს, სადაც კითხვითობის გამოხატვა ინტონაციას ეკისრება.

უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „ინტონაცია – ა) მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობაა, რომელიც დამოკიდებულია ტონის აწევ-დაწევაზე, ბ) ის წარმოთქმის მანერაა, რომელიც მთქმელის გრძნობას გამოხატავს და ხმის სახეცვალებაა სიმაღლის მიხედვით.

საკუთრივ ინტონაციური მრავალფეროვნება მეტყველების ორგანული ელემენტია და იგი ბგერის საშუალებით ხორციელდება, პარალელურად გასათვალისწინებელია:

„**პაუზა**, რომელიც არსებითად მეტყველების რიტმის წევრია;

**მელოდია**, ხმის ტონის მოძრაობა, ამადლება, დადაბლება;

**დინამიკა**: ხმის გაძლიერება - შესუსტება;

**რიტმი**: მეტყველების ელემენტების მოწესრიგება დროის განზომილებაში;

**ტემბრი**: ხმის ელფერის ცვალებადობა;

**ტემპი**: მეტყველების სიჩქარის ხარისხი” .

ინტონაციის ძირითადი კომპონენტები, ერთი მხრივ, აწარმოებენ მეტყველების დანაწევრებას რიტმიკულ ჯგუფებად, სინტაგმებად, ფრაზეებად და ა. შ., ხოლო, მეორე მხრივ, აერთიანებენ ამ ერთეულებს და აზრის მთლიანობის შესაბამისად წარმოიქმნება უწყვეტი ინტონაციური ხაზი.

გარდა ზემოთ თქმულისა, აღწერით კითხვით წინადადებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება ლოგიკურ მახვილს, რომელიც სხვა მოდალობის სინტაქსური კონსტრუქციებისგან განსხვავებით, არა წინადადების ბოლო სიტყვაზე, არამედ კითხვით სიტყვაზე მოდის.

ენის კანონების თანახმად, ლოგიკური მახვილი წინადადებაში დაესმის გარკვეულ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს და ეს სი-

ტყვა გამოიკვეთება. ამ დროს არ იცვლება წინადადების აზრი, შინაარსი, მაგრამ იქმნება განსხვავებული ნიუანსი. ლოგიკური მახვილით გამოვყოფთ სიტყვას, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმასა და, აგრეთვე, დიალექტებში სრული ერთგვარობა და გარკვეულობაა მაშინ, როცა ზმნას წინადადებაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს; ინტონაცია აღმავალია. კითხვის მახვილს ატარებს ბოლო მარცვალი, რომელიც გაგრძელებულად წარმოითქმის. მაგალითად:

**მოწმე გყავსო?** (ილია. 11); **ნამუსი აღარა გააქვს?** (ილია. 3). **ორნი შევიდეთ, ოთხი გავხდეთო?** (ჯავახ. 356); **ჩვენ საწყლებს ქალს მოგვცემსო?** (ქართლ. 324); **ხუთკუნჭულა, გამასწარი?** (ქართლ. 296); **სოლომონ ბრძენი მანდ არისო?** (ქართლ. 303); **მემრე ისივ რო წავიდნენ ეს ცხვრები და – არა ადგებითო?** (მთ. 64); **გუდამაყრელებს რო ხანჯარი უყორს, პირბასრი, პირაჭრელი-უა?** (გუდ. 80)...

თუ გადავხედავთ ძველი და საშუალო ქართული ლიტერატურის ძეგლებს, ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კითხვის ორგანული წარმოება აქაც ინტონაციურია და მახვილი ძირითადად ისე გადანაწილდება, როგორც ახალ ქართულში.

საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ:

**ნუუკუე ცნას და მომკლას მე?** (შუშანიკი. 39); **და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად?** (შუშანიკი. 36); **იხილეთლა, ძმანო საყვარელნო, სიმდაბლე საქმით სრულ ეპიფანეს?** (გრ.ხანძთ. 162); **უკეთუ მწვალბეღთა შვილი მოქცეოდეს მართლმორწმუნედ, ნათლისღებაი უხმსა ანუ არა?** (გრ.ხანძთ. 194); **აწ უკვე შემძლებელ ვართ ცილობად უფლისა ბრძანებასა?** (გრ.ხანძთ. 126).

როდესაც შემასმენელი არ არის წინადადების ბოლოში, კითხვითი მახვილი მაინც მას გადაჰყვება, წინადადების დასასრულს ტონი დაბლდება, მაგრამ არა იმდენად, როგორც ამას თხრობითში აქვს ადგილი. ინტონაცია აღმავალ-დამავალია. მაგალითად:



შენ ხა'რ ჩემი შვილიო? (ზ/აჭ. 518); იცნობაე'ვ იმ მშაველსაც, რომენმაცავ შენავ სისხლი მაგადინავ? (ხევს. 13); შენ გენაცვალე, გლახაათ ნევსები?; გამლახა ქალმაო? (ქართ. 307-308)...

ზოგადად მოდალობაზე საუბრისას, და, განსაკუთრებით, კითხვითობის საკითხზე მსჯელობისას, ინტონაციასთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა აქვს სიტყვათა განლაგებასაც. თუ კითხვის ქვეშ დაყენებულია არა შემასმენელი, არამედ წინადადების სხვა წევრი, ეს უკანასკნელი შემასმენლის წინ ექცევა და ინტონაცია უფრო რთულ სახეს იღებს: ასეთი სიტყვა ლოგიკური მახვილით გამოიყოფა, ხოლო კითხვის მახვილი შემასმენლის ბოლო მარცვალზე მოდის.

მაგალითად: **ეს წიგნი იმან დაწერა?** (ილია. 143)

ამ წინადადებაში ლოგიკური მახვილით გამოიყოფა ქვემდებარე იმან, კითხვის მახვილი კი შემასმენელზეა. ქვემდებარე რომ პირველ ადგილზე გადმოვსვათ, ლოგიკური მახვილის ქვეშ სხვა სიტყვა დადგება: **იმან ეს წიგნი დაწერა?**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ზემოთ დასახელებული წინადადებები ქვეწყობილი კონსტრუქციის მთავარი წინადადებაა, დამოკიდებული წინადადების სახე ლოგიკური მახვილის ქვეშ არსებული წევრის შესაბამისად შეიცვლება, ამის მიხედვით პირველი მაგალითი ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება გვექნება, მეორე კი - განსაზღვრებითი.

თუ ზმნა-შემასმენელი გამოტოვებულია, კითხვითი მახვილი იმ სიტყვის პირველ მარცვალზეა (ბოლოდან), რომელსაც წინადადებაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს. **მაგალითად:**

**მარტო ეგ რას გვეყოფა? – ერთი კარგი ჩიხირთმა? – ჩიხირთმა?.. ჰა, ჩიხირთმა?..** (ილია. 349);

თუ ამ ტიპის წინადადების ბოლოს მიმართვაა, კითხვის მახვილი მის წინ მდგომი სიტყვის პირველ მარცვალზეა (ბოლოდან). მაგალითად:

**შენი სახელი', მძობილო? – მკითხა იმან** (ილია. 271); **არა', დათო?** (ილია); – **შენა', დარეჯან?** (ილია. 123).

კითხვა ზოგჯერ მიმართვითაც არის გადმოცემული. ამ შემთხვევაში კითხვის მახვილიც მასზეა.

მაგალითად: – **ვეყო!** – **ბატონო?** (ილია. 256).

ზოგჯერ თხრობითად წარმოდგენილ წინადადებას მოსდევს უარყოფითი ნაწილაკი არა (ან დადასტურებისა ხომ), რომლითაც მთქმელი ნათქვამის დადასტურებას მოითხოვს. ასეთი ნაწილაკი დამოუკიდებელ ერთეულად არის წარმოდგენილი და სიტყვა-წინადადების ბადალია. კითხვითი მახვილი კი მას-ზეა. მაგალითად:

**დილით გიორგი უცილობლად დახვდებოდა, არა?** (ილია. 82).

ორგანული კითხვითი წინადადების გადმოსაცემად, განსაკუთრებით კი დიალექტებში, არცთუ იშვიათად დასტურდება წართქმითი შინაარსის კითხვითი კონსტრუქციები, მხედველობაში გვაქვს უარყოფითი ნაწილაკებით არაკითხვითისიტყვიანი კითხვითი წინადადების გამოხატვა, სადაც ლოგიკური მახვილი სწორედ უარყოფით ნაწილაკებზე მოდის, ხოლო კითხვას შემასმენლის ბოლო მარცვალზე დაცემული კითხვითი ინტონაცია ქმნის. საილუსტრაციოდ მაგალითებს სხვადასხვა დიალექტური კითხვითი კონსტრუქციიდან დავიმოწმებთ:

**არ დაგიძინავ?** (ხევს.24); **ყმაწვილებ მამაგებებავ, თქვენებ დიშვილებიცევე, არცრუ გებრალეზიანთავე?** (ხევს.13); **ეგ კოჭლა მაინც არ წამიყვანსავე?** (ხევს.22); **ვერ მიცნობავე, მინდიაო?** (ხევს.17); **იმან არაფერი გაიმზა?** (მოხ. 27); **ჩემო დედი, არაფერი წამალი არ იცი რა ამისიო?** (გუდ.100). **შენც უნდა დალივო, აღარ დაიშლი?** (მთ.54). **თვალეზიდგან ველარა ხედამ?** (კახ.179). **უმფროს-უნცროსი ალა იციო?** (ზ/აჭ. 396); **შენ სახში სულ არავინა გყავს?** (ზ/აჭ.404). **აღარ მოხვალ, ჭინჭრიკელა ისევაო?** (ზ/იმერ.444); **მე მამაი არ მყოლიაო?** (ზ/იმერ.442); **აქ ლურჯი ძროხა არ არიო?** (ზ/იმერ.444); **არაფერი არ გყვანდა ჩვენეო?** (ზ/იმერ.444). **სული აცხონე და შენი არ ვიქნები მერეო?** (ქართლ.302); **არ გეშინიან დევისა, რო შეგჭამოს?** (ქართლ.301); **ბიჭოო, შენაო ბატონითვინ ძღვენი არ მიგიერთმევიაო?** (ქართლ.298); **ცხრამეტ დედალსა ერთი მამალი არ უნდაო?** (ქართლ.308)...

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კითხვითი მოდალობის გამოხატვის ორგანული წარმოება მთელ დიაქრონიულ ღერძზე პროდუქტული იყო ქართული ენის სალიტერატურო ძეგლებსა თუ ზეპირ მეტყველებაში. კითხვის გამოხატვა კი ინტონაციის საშუალებით ხდება და ხდებოდა. არჩევანი მრავალფეროვანია:

კითხვით მახვილთან ერთად ენა იყენებს ლოგიკურ მახვილს, უარყოფით ნაწილაკებსა და სიტყვათა რიგს (იშვიათად), ინტონაციაც შესაბამისად არის, აღმავალი ან აღმავალ-დამავალი. კითხვითი მახვილი კი, მიუხედავად პოზიციისა, თითქმის ყოველთვის შემასმენლის ბოლო მარცვალს უკავშირდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე**, 1961 – ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი, თბ.,

**კვაჭაძე**, 1996 – ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში, თბ.,

**ქეგელ** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950-1964 – 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ.,

**შანიძე**, 1980 – აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ.III, თბ.,

**ძიძიგური**, 1937 – შოთა ძიძიგური, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, (II),I, ტფ.,

**ჭინჭარაული**, 1960 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ.,

### შემოკლებანი

**გრ. ხანძთ.** – გიორგი მთაწმინდელი, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა,“ წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქცია, თბ., 1963.

**გუდ** – გუდამაყრული.

**გუდ.** – გუდამაყრული კილო.

**ზ/აჭ.** – ზემო აჭარული კილოკავი

**ზ/იმერ** – ზემო იმერული კილო.

**ზ/იმერ.** – ზემო იმერული კილოკავი

**კახ** – კახური კილო.

**მთ.** – მთიულური კილო.

**მოხ.** – მოხეური კილო.

**ქართ.** – ქართლური კილო.

**შუშანიკი.** – იაკობ ცურტაველი, „მარტილოზაჲ შუშანიკისი“, ილ. აბულადის რედაქცია, ტფ., 1938.

**ჭავ.** – ილია ჭავჭავაძე, თხზ. ათ ტომად, [ლექსები, მოთხრობები, პოემები, წერილები] – პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1951.

**ხეეს.** – ხევსურული კილო.

**ჯავახ.** – ჯავახური კილო.

## ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა

### ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების დიალექტოლოგიური მუშაობა 1923 წელს (საარქივო მასალების მიხედვით)

1923 წელს საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს დართეს ნებაშეექმნათ ახალი ორგანიზაცია ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სახელწოდებით, რომლის უმთავრესი ფუნქცია ქართული ენისა და სხვა ენების მეცნიერული შესწავლა იქნებოდა. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია საარქივო მასალები, რომლებშიც ასახულია საენათმეცნიერო საზოგადოების ფორმირების ისტორია, მისისაქმიანობა და მიზნები. ჩვენ მიერ მოძიებულსაარქივო დოკუმენტებში ჩანს თუ როგორ ეყრებოდა საფუძველი დიალექტოლოგიურ მუშაობას დაახლოებით 100 წლის წინ.

1923 წლის 15 თებერვალს პროფ. გიორგი ახვლედიანმა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა მოხსენება საენათმეცნიერო საზოგადოების დაარსების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: „ცნობილია, რომ ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ დიდი ინტერესია საენათმეცნიერო საკითხებისადმი, განსაკუთრებით ქართულ ენასთან დაკავშირებით. ამ ინტერესის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს აკად. ნ. მარრის ადრინდელი და უკანასკნე-

ლი შეხედულებანი, მაგრამ ფართე საზოგადოებაში ძალიან ხშირად გავრცელებულია ფრიად საეჭვო ღირსების აზრები. ასეთ საკითხებზე რომელ გამეორებასაც დიდი ზიანი მოაქვს ისეთ მუშაკთა აზრების დასამკვიდრებლად, რომელთაც საენთმეცნიერო სკოლა გაუვლიათ. შესაფერი სკოლის გაუვლელობის გამო ხშირად იქმნება გარეგნულად თვალწარმტაცი თეორიები, ხოლო არსებითად სრულად დაუსაბუთებელი, რომელთა აღმოფხვრა ზედმეტ ენერგიას და დროს ართმევს ქართველ ენათმეცნიერთა ისედაც მცირედენ ჯგუფს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ქართული ენის ნამდვილი-მეცნიერული შესწავლა მხოლოდ ამ უკანასკნელი წლების საქმეა, „ენათ მეცნიერების მოყვარულთ“ კი უფრო ეხერხებათ ფართე მასშტაბით ზოგად საკითხებზე მსჯელობა, ვიდრე მეცნიერული დამუშავება, მათი აზრით, „წვრილმანი საკითხებისა“. ამტკიცებენ ქართული ენის ნათესაობას ხან ინდოევროპულთან, ხან სემურთან და სხვა, როცა თვით ქართული ჯერ შესწავლილი არ არის. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენს ენათმეცნიერებს დაებადათ აზრი შეექმნათ ისეთი ორგანიზაცია უნივერსიტეტის გარეშე, რომელსაც შესძლებოდა გავრცელება ჩვენს ფართე საზოგადოებაში სწორი საენათმეცნიერო ცოდნა საზოგადოდ ენის შესახებ და კერძოდ, ქართულისა, მაგრამ გახორციელება ამ აზრისა მომწიფდა ამ უკანასკნელ დროს, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოგვცა საკმაოდ მომზადებული ჯგუფი ახალგაზრდა ენათმეცნიერებისა და ჩვენ ენათმეცნიერთა მცირე რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. საჭიროდ ვრაცხთ აქვე მოგახსენოთ, რომ საენათმეცნიერო ისედაც საკმაო ინტერესი ჩვენი საზოგადოებისა დღეს ერთ ორად გაიზარდა ღირშესანიშნავი იმ აღმოჩენების წყალობით, რომელიც მოახდინა ამ წლის დასაწყისში სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ივ. ჯავახიშვილმა. ამასთანავე ყურადღების ღირსია აკად. ნ. მარრის უკანასკნელი შეხედულებანი, რომელიც უკვე ევროპულ ენებზედაც ქვეყნდება. ჩვენი ვალთა გავაცნოთ ჩვენ განათლებულ საზოგადოებას მათი ღირებულება. მართალია, საქართველოში არიან საზოგადოებანი, სადაც არა ერთი ლინგვისტური მოხსენება წაკითხულა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ზემოდ დასახელებული გარემოებანი გვიკარნახებს საქმის წარმატებისთვის სპეციალური საზოგადოების დაარსებას. რა თქმა უნდა, ქართული ენის საკითხებით არ უნდა ამოიწურებოდეს ამ საზოგადოების მოღვაწეობა. ქართველ ერს განსაკუთრებულ პირობებში უხდებოდა და უხდება

ცხოვრება. მისი კულტურული და ენობრივი არსება მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული მრავალ სხვა ერთა და ტომებთან. ეს მდგომარეობა გვაძლავს ჩვენ სათანადო ყურადღებით მოვეპყროთ ჩვენ ყოფილ და აწინდელ მეზობელთა კულტურას და ენას. ამიტომ საზოგადოების მიზნებში ეს საკითხიც შედის, განსაკუთრებით ენის მხრივ” (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, ს. N 61, გვ. 152-155).

განათლების სახალხო კომისარიატის ფონდში დაცული საენათმეცნიერო საზოგადოების წესდება 11 მუხლისაგან და შენიშვნებისგან შედგება. პირველსა და მეორე მუხლში განმარტებულია საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობები, კერძოდ: „მუხლი 1. საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს ენათა მეცნიერულ შესწავლას. მუხლი 2. ამ მიზნით საზოგადოება მართავს მოხსენებებს, აწყობს სამეცნიერო ექსკურსიებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში თუ უცხოეთში, აარსებს საენათმეცნიერო წიგნთსაცავს, უშვებს პერიოდულს და არაპერიოდულ გამოცემებს და სხვა (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, ს. N 61, გვ. 156-157).

1923 წლის 15 მარტს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ (თავმჯდომარე პროფ. ივ. ჯავახიშვილი) საენათმეცნიერო საზოგადოების წესდება ნებადართულად გამოაცხადა. იმავე წლის 23 აპრილს აღნიშნული დადგენილება დაამტკიცა საქართველოს განათლების სახალხო კომისარმა დავით კანდელაკმა.

განსახკომის (განათლების სახალხო კომისარიატი – ს. ჭ) სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის მასალებში ინახება საენათმეცნიერო საზოგადოების მოკლე ანგარიში, რომელიც შედგენილია 1923 წლის მაისში, კერძოდ: „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება დაარსდა 1923 წლის 18 თებერვალს. თავისი მიზნების განსახორციელებლად მან ჯერჯერობით თავისი მოქმედება შემოფარგლა საჯარო სხდომებზე მოხსენებათა კითხვით, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენს დამოუკიდებელ კვლევის შედეგს. წევრების გარდა, საზოგადოების სხდომებს ესწრება მრავალი გარეშე პირიც, რომელთა მონაწილეობითაც წარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც მოწმობს ჩვენი საზოგადოებისადმი საკმაო ინტერესს ფართო საზოგადოების მხრივ. ამ სამი თვის განმავლობაში საზოგადოებამ გამართა 11 სხდომა, რომელზეც წაკითხული იქმნა 14 მოხსენება. სახელდობრ წაკითხულია: 1. „აღმოსავლეთ თურქისტანში აღმოჩენილ ინდოევროპულ ენათა ნაშთები“- გ. ახვლედიანისა; 2. „ე.

წ. გრძელი ხმოვნები მთიულურში“ - ბ. ჩიქობავასი; 3. „გომარული კილოს მორფოლოგია“ - ვ. თოფურბასი; 4. „სომხური დიალექტი ტფილისში და მისი ურთიერთობა ქართულ ენასთან“ - ლ. მელიქსეთბეგისა; 5. „ერთი საყურადღებო ლიტერატურული ცნობა გ. მთაწმინდელისა ე. წ. ხანმეტური სახარების შესახებ“ - ა. შანიძისა; 6. „მთიულური კილოს ფონეტიკა“ - ბ. ჩიქობავასი; 7. „დავ. აღმშენებლის მიერ შიო მღვიმისადმი ბოძებულ სიგელის დასაწყისის სიტყვები“ - ა. შანიძისა; 8. „ოსური სინტაქსიდან“ - გ. ახვლედიანისა; 9. „სიტყვა ღმერთის შესატყვისობისათვის აფხაზურში“ - ს. ჯანაშიასი; 10. „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“ - დ. უზნაძისა; 11. „ალ. ცაგარელი, როგორც ენათმეცნიერი“ (ა. ცაგარელის საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის გამო) - ა. შანიძისა; 12. „ვინის რეფლექსიები ფერეიდნულში“ - ბ. ჩიქობავასი; 13. „ჰაემეტობა ადიშის სახარებაში“ - ა. შანიძისა; 14. „სახარების ძველ თარგმანთა შესახებ ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით“ - ს. კაკაბაძისა. წარმოდგენილია მოსახსენებლად: 1. „რუსული ენის ზოგიერთი ფონეტიკური მოვლენები“ - დ. მგელაძისა; 2. „ოსური ენის ფონეტიკიდან“ - გ. ახვლედიანისა. ამას გარდა საზოგადოებას განზრახული აქვს: 1. მოაწყოს ექსპედიციები სვანურ, ოსურ და სომხურ ენების შესასწავლად და 2. გამოსცეს კრებული წაკითხულ მოხსენებათა და შეძლებისდაგვარად იქონიოს ფართო პერიოდული გამოცემა (მეორე წინადადება დოკუმენტში გადახაზულია წითელი ფანქრით - ს. ჭ.) (სეა, უიცა, ფ. 300, ან 3, ს. N70, 1923 წელი, გვ. 18).

საკვლევი მასალების მიხედვით საენათმეცნიერო საზოგადოებამ 1923 წლის ზაფხულში სამეცნიერო ექსპედიციები დაგეგმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. წარმოვადგენთ მიმართვის იმ ტექსტებს, რომლებსაც ხელს აწერენ საზოგადოების თავმჯდომარე გ. ახვლედიანი და მდივანი ბენ. (არნოლდ - ს. ჭ.) ჩიქობავა: „1923 წელი, 19 ივნისი. სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარგამგეს. ამით გაუწყებთ, რომ საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ სტეფანე ესტატესძე ჩხენკელი მივლინებულია სვანეთში სვანური ენის მასალების შესაგროვებლად და ვშუამდგომლობთ თქვენს წინაშე, რათა მას მიეცეს სათანადო ბარათი თავის მოვალეობის დაუბრკოლებლივ შესასრულებლად“ (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, ს. N70. გვ. 4). ასეთივე მიმართვები დაიწერა 30 ივნისს, მაგ.: „...მაკარი ნიკოლოზის ძე ხუბუა მივლინე-

ბულია სამეგრელოში მეგრული ენის მასალების შესაკრებად...სოლომონ იორდანიშვილი მივლენილი საქართველოს ოსების მოსახლეობაში ოსური ენის მასალების შესაგროვებლად...

საენათმეცნიერო საზოგადოების საბჭო ამით გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა სათანადო დაწესებულების წინაშე, რათა საზოგადოების წევრთა ვარლამ თოფურიას და ბენედიქტე ჩიქობავას საჭიროებისათვის სადიალექტოლოგიო მუშაობის წარმოების დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ნება დაერთოს მათ შეიძინონ ხუთვერსიანი რუკებიგენშტაბის ე. ტფილისის, გორის, დუშეთის, თიანეთის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოსი და ახლციხე-ახალქალაქის მაზრების ორ-ორი ცალი, რაჭა-ლეჩხუმ, სვანეთისა და ოზურგეთის მაზრების - თითო ცალი.

12 ივლისი (სასწრაფოდ). ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების საბჭო ამით გთხოვთ მისცეთ საზოგადოების წევრებს ბენ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას, რომელნიც საზოგადოების დავალებით მიივლინებიან საენათმეცნიერო და საეთნოგრაფიო მასალების შესაკრებად: პირველი (ჩიქობავა) კახეთსა და ქიზიყში (ტფილისის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში), ხოლო მეორე (თოფურია) ქართლში (გორის მაზრაში) სათანადო მანდატი, რათა ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღმოუჩინოს მათ კანონიერი დახმარება მათზე დაკისრებული მუშაობის წარმოების დროს“ (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, ს. N70. გვ. 5-16).

განსახკომმა ამ მიმართვების საპასუხოდ გასცა მანდატები, რომლებითაც ზემოაღნიშნულ მეცნიერებს ნება დართეს წასულიყვნენ თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად, მაგ.: „მანდატი. მიეცა სტეფანე ესტატეს ძე ჩხენკელს მას შინა, რომ იგი განსახკომის მიერ მივლენილია სვანეთში სვანური ენის შესასწავლად. კომისარიატი სთხოვს საბჭოთა დაწესებულებათ აღმოუჩინონ მოქ. ე. ჩხენკელს ყოველგვარი დახმარება - მასზედ დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შესასრულებლად“.მსგავსი მანდატები მიეცათ მ. ხუბუას, ს. იორდანიშვილს, ბენ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას (ბენ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიასთვის მიცემული მანდატები შედგენილია რუსულ ენაზეც - ს. ჭ.). აღნიშნულ დოკუმენტებს ხელს აწერს სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის გამგე ვ. ბერიძე, მდივანი ა. ბოკერია, ხოლო<sup>18</sup> აგვისტოს შედგენილდოკუმენტსადასტურებსგა-



ნათლების კომისარი დ. კანდელაკი, რომელმაც მანდატი მისცა დიმიტრი სერგოს ძე მგელამესკახეთის მიდამოებში ახლადგადმოსულ უღებთანსაენათმეცნიერო კვლევა-ძიების საწარმოებლად (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, ს. N70. გვ. 5-10).

1923 წლის 31 ივლისს საენათმეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ახვლედიანმა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარგამგეს შემდეგი წერილით მიმართა: „სადიალექტოლოგიო მუშაობასთან ერთად, რომელსაც ჩვენი საზოგადოება აწარმოებს საკმაო ინტენსივობით, საჭიროა დაუყონებლივ გააჩაღოს სალექსიკოლოგიო კვლევა-ძიებაც. ამ მხრივ გაცილებით მეტის გაკეთებაა შესაძლებელი, ამით საფუძველი ჩაეყრება დიალექტოლოგიურ ლექსიკონსაც. ეს საქმე გადაუდებელია, რადგან სალიტერატურო ენა ალბათ მალე ამოფხვრის იმ ნიშნებს, რომლებიც დღეს კიდევ საკმაოადაა შენახული სოფელში“ (სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, ს. N70. გვ. 16). გ. ახვლედიანმა განსახკომს შესთავაზა ზემოაღნიშნული მასალები მასწავლებლებს შეეგროვებინათ, შესაბამისი ანკეტის ნიმუშიც გაუგზავნა და სთხოვა, საჭიროების შემთხვევაში, გაზეთშიც გამოექვეყნებინათ განმარტებების დართვით.

საენათმეცნიერო საზოგადოებამ 1923 წლის 28 ნოემბერს ხელახლა მიმართათხოვნით სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარგამგეს პერიოდული გამოცემების დაფინანსების შესახებ: „როგორც მოგეხსენებათ, საზოგადოების მუშაობა აქამდე უმთავრესად გამოიხატებოდა საენათმეცნიერო მასალათა შეგროვება-დამუშავებასა და მოხსენებების კითხვაში, როგორც ქართული ენა-კილოების, ისე სხვათა (სომხურის, ოსურის, უღურის) სფეროდან. საზოგადოებას საჭიროდ მიაჩნია თავისი არსებობის პირველივე წლის განმავლობაში საფუძველი ჩაეყაროს, როგორც საენათმეცნიერო ორგანოს გამოცემას, ისე სადიალექტოლოგიო მასალათა ყრილის ბეჭდვასაც. სადიალექტოლოგიო მასალათა ყრილში პირველ რიგში დგას ხევსურული მასალები - პროფ. ა. შანიძის მიერ დამზადებული გამოსაცემად. საენათმეცნიერო საზოგადოება გთხოვთ სათანადო თანხის გაღებით მიეცეს მას ჯერჯერობით ამ მასალათა გამოცემის შესაძლებლობა, და იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მხრივ აღმოჩენილი დახმარება მას საშვალებას მისცემს - თავისი არსებობის პირველი წლის თავს საკუთარი გამოცემით ხელში შეხვდეს. თავმჯდომარე პროფ. გ. ახ-

ვლედიანი, მდივანი ბენ. ჩიქობავა“ (სეა, უიცა, ფ. 300, ან 3, ს. N70, 1923 წელი, გვ. 19).

მაშასადამე, ჩვენი მიერ მოძიებული საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1923 წელს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება იყო საკმაოდ აქტიური და მიზანდასახული ორგანიზაცია, რომელიც პროფ. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით ხელს უწყობდა ენათმეცნიერების, როგორც სამეცნიერო დარგის პოპულარიზაციას. ახლადშექმნილი საზოგადოების წევრები იბრძოდნენ არაკომპეტენტური პირების მიერ გავრცელებული მავნე და ფუჭი მოსაზრებების წინააღმდეგ, იღვწოდნენახალი მეცნიერულად დადასტურებული თეორიების დასამკვიდრებლად, იკვლევდნენ ქართული ენისა და მეზობელი ერების ენათა მახასიათებლებს, მათ გენეტიკურ ნათესაობას, აწყობდნენ სამეცნიერო (მათ შორის, დიალექტოლოგიურ) ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ცდილობდნენ გამოეცათახალი პერიოდული საენათმეცნიერო ან დიალექტოლოგიური კრებული და ლექსიკონები, სურდათ შეექმნათ სპეციალური საენათმეცნიერობიბლიოთეკა. სწორედ, ამ საზოგადოების წევრები იყვნენ იმ საგანგებო კომისიებში, რომელთა ხელმძღვანელობითაც1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიენათმეცნიერების ფაკულტეტიჩამოყალიბდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

სეა, უიცა, ფ. 300, ან 3, ს. N70, საქართველოს განათლების კომისარიატი, რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობა, 1923 წელი;

სეა, უიცა, ფ. 300, ან. 3, ს. N 61.

## როინ ჭიკაძე

### მამალხინეს ქართული – ხალხური ენით განზავებული მეტყველება გიორგი შატბერაშვილისა

გიორგი შატბერაშვილის ღრმა რწმენით, „მწერლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მშობლიური ენის ჭეშმარიტ ბუნებასთან მიახლოება უნდა იყოს“ (შატბერაშვილი 1975, 303), ვინაიდან „ყველაფერი იხრწნება, იფშვნება, მტვერდება... მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი და უმტვერებელი“ (იქვე, 304). გიორგი შატბერაშვილს ქართული სიტყვის სიყვარულს კიდევ უფრო უმძაფრებდნენ: „**სიტყვის პაპა**“ – სულხან საბა ორბელიანი – ქართული სიტყვის უსიერ ტვერში მწერლის მეგზური და უცთომელი კონსულტანტი; „**სიტყვის დედა**“ – დედამისი – მოძიებულ სიტყვათა ამხსნელი; **მამალხინე** – ხალხური მესიტყვე. გიორგი შატბერაშვილისათვის მამალხინე იყო ამოუწურავი საბადო ქართული სიტყვისა; მამალხინემ ენის არქეოლოგად მაქციაო, გვამცნობს მწერალი და დაგვიბუჯითებს: „იტყვის რაღაცას და მერე უნდა მიჰყვე, მისდით, თხარო... რა არის, რას ნიშნავს, ვისგან გაიგონა? უნდა გადაფურცლო სქელტანიანი ლექსიკონები, შეადარო, გადაქექო საუკუნოვანი მტვერი, პირველი ფერი დაუბრუნო სიტყვას“ (შატბერაშვილი 1972,177).

...და გიორგი შატბერაშვილიც გულდაგულ შეეჭიდა საჯილდაო სიტყვის მძიმე ლოდს, შეეჭიდა და საუკუნეთა სიღრმიდან თუ ხალხური მეტყველებიდან გამოიზიდა მრავალი „ანკესმოდებული“ სიტყვა. „ძნელი წარმოსადგენია, ადამიანი ასეთი ალერსითა და მოწიწებით ეპყრობოდეს თავის უსაცვარლეს არსებას, რა ალერსითა და მოწიწებითაც გიორგი შატბერაშვილი ქართულ ენას ეპყრობოდა“ (ჭელიძე 1975, 193). ოთარ ჩხეიძე იგონებს, თუ როგორ წუხდა გიორგი შატბერაშვილი, რომ „იკარგებოდა ძველი ღონიერი, სახიერი ქართული გამოთქმები, როგორა მსუბუქდებოდა ენა დინჯი, ღრმა, შემძლე ყოვლისა“ (ჩხეიძე 1970, 5)... იგი „სიტყვასა ფლობდა, ქართულ სიტყვასა, გამდიდრებულიყო ქართული ენითა“ (იქვე, 7). პატარა გიორგიმ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა მშობლიური ენის მადლმოსილება. მასზე

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მშობლების საუბარს, გაჯერებულს მდიდარი ლექსიკით. მწერალი იხსენებს: „პირველად მათ დამაწაფეს ქართულის ჭაშნიკს. დამანახვეს სიდრმე მისი, მაგემეს სიტკბო მისი და თითქოს მითხრეს: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს!“. ყმაწვილმა გიორგიმ სწორედ დედამის საუბრისას შენიშნა, რომ „სხვა არის დიასახლისის ენა და სხვა არის მამასახლისის ენა. დედა ოთახის, ეზო-ყურის, სათონის, ბოსტნის ენით საუბრობს; მამის ენას ვენახის, მარნის, ორღობის, მინდვრის და სათიბის სურნელი დაჰკრავს (იქვე, 1975, 312).

გიორგი შატერაშვილისათვის დედაენა მართლაც დედაა, ქალია, რაც კარგად იკვეთება დედაენისადმი მიძღვნილ ლექსში: „შენ ის ქალი ხარ, ვინც მე დამბადა“... „შენ ის ქალი ხარ, ვინც მე პირველად სალამურის ხმა სულში ჩამბერა“ („დედა ენა“). გიორგი ლეონიძესთვისაც ხომ მშობლიური ენა არის „დედის ძუძუ მეორე“ („დედა ენა“). რომ აღარაფერი ვთქვათ იაკობ გოგებაშვილის უკვდავ „დედა ენაზე“.

ამ შემთხვევაში ისინი ერთხმად იზიარებენ ილიასეულ პოსტულატს, რომლის თანახმადაც, „ქართველი ღვიძლ ენას დედა ენას ეძახის“.

„სიტყვის პაპასთან“ და „სიტყვის დედასთან“ ერთად გიორგი შატერაშვილის სამწერლობო ენის დამამშვენებელი იყო მამალხინეს ტკბილი ქართული. მამალხინესაც დედისაგან გამოჰყვა სიტყვის მადლი. „ო, რა ტკბილი იყო მამალხინე, რა ჯადო ჰქონდა მის სიტყვას, რა მარილი, რა თავბრუდამხვევი ეშხი; ვინ იყო მისი დედა, ვინ ჩამღერაყურში ეს ქართული, საიდან ჟონავდა მისი ენის ძუძუ?“ (1972, 195).

მამალხინეს „ტკბილი ქართულითაა“ გაჯერებული „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“, მწერლისეული პროზა და, ცხადია, მით უფრო მოთხრობები: „მამალხინე“, „მამალხინეს ბიჭი“ და „მამალხინეს სიკვდილი“.

და მაინც, ვინ იყო მამალხინე? ვინ იყო და: მწერლის კალმის ერთი მოსმით ჩვენს წინაშე წამოიმართება სიჭარმაგეში შესული გლეხიკაცის კოლორიტული სახეება: „ჭადრა თმა-წვერი, ოღნავ პირქუში სახე, ზოგჯერ ღიმილით დამშვენებული“ (172)...

„ლურჯი სატინის ჯიბეებიანი ხალათი ჩაეცვა მამალხინეს, შავი შარვალი წვივებამდე ჩაეტანებინა ღაზლის ჭრელ წინდებში, ჩიტის ბუდის მსგავსი შავი პატარა ნაბდის ქუდი ჩამოერქვა გათეთრებულ თავზე, ხელში კომბოსტოს ფოთოლგადაკრული მანულის კალათი ეჭირა და მსუბუქად, ჭაბუკური სილადით მობიჯებდა“ (180).

გიორგი შატბერაშვილი განაზოგადებს მამალხინეს სახეებს: „სახელი პირობითია. პირობითია მას აქეთ, რაც ნამდვილი მამალხინე მოკვდა, ვისაც მისი შეცვლა შეუძლია..., ყველა მამალხინეა.“ (შატბერაშვილი 1975, 312); მწერალი იქვე გვაფრთხილებს: მისი შეცვლა ადვილი არ არის, ვინაიდან წარმოსადგეგობასთან ერთად „მამალხინე ცოცხალი ლექსიკონია თქმისა და სიტყვის, მისი ნათქვამი ლურსმანივით იჭედება ხსოვნაში. აბა, სცადე და დაივიწყე! არა, ვერ დაივიწყებ... თვალწინ გიდგება მისი ჭროლა, ოდნავ მონუსხული თვალები, ჭაღარა წვერ-ულვაშში ტყვიისფრად გამომკრთალი ხორციანი ტუჩები და ჩამძიული, ჯერ ისევ საღი კბილები“ (იქვე, 177-178).

ჩვენი მხრიდან კი მოკრძალებით ვიტყვით: თავად გიორგი შატბერაშვილია „სიტყვის მამალხინე“, ვინაიდან მის ხელში მართლაც დაღხენილია ქართული სიტყვა. ამიტომაცაა, რომ ერმანეთს შერწყმია მწერლისეული და პერსონაჟისეული „ანკესმოდებული“ სიტყვანი, რომელთა უმრავლესობა ავტორს შეუტანია მის მიერვე რუდუნებით შედგენილ ლექსიკონში – „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“. თუ როგორი გულისყურით არჩევდა გიორგი შატბერაშვილი სალექსიკონე მასალას, ამის თაობაზე თავადვე გვამცნობს: „...უყურადღებოდ ვტოვებდი ბევრ ძვირფასს, „სხვის ხელში გამოვლილ“, მაგრამ ქართლური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენას. ბოლო დროს ჩემგან მოძულეებული სიტყვებიც „შევირიგე“, დავამუშავე, ნაწილი „ჭაშნიკში“ შევიტანე, დიდი ნაწილი კი მთლიანი თვალადური ლექსიკონისათვის შევინახე“ (შატბერაშვილი 1975, 313). მწერალს სწორედ ასე „შეურიგებია“ და „ჭაშნიკში“ შეუტანია სიტყვა „**ხიხრიკობა**“, რომელსაც მოთხრობაშივე განმარტავს: „შინაურები „სუფრას შლიდნენ, ხუმრობდნენ... ასე იცის გაზაფხულმა, მშიერმა, ადრეულმა გაზაფხულმა, **ხიხრიკობამ**, ასკილის ყვავილობამ“ (1972,

191). ამგვარ შიდაგანმარტებას მამალხინეც მიმართავს, როცა არ არის დარწმუნებული, ყველამ იცის თუ არა ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა: „ჰოდა, გაჩერდა ჩვენი თავმჯდომარე ყანის თავში და გადმოგვძახა, აბა, პირველი ვინ გამოიტანს სვეს და **წვიპარტს** ვინ მოგვიტანსო... გაბრუებულმა უკანასკნელი ხელეური გამოვიღე, **წვიპარტად** შევკარ და წელში გავიმართე... **წვიპარტი** რაიკომის მდივანს მივართვი.“ შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი შატბერაშვილი ესოდენ დაბეჯითებით ამეორებინებს მამალხინეს სიტყვა **წვიპარტს**, რათა მკითხველის გონებაში აღბეჭდოს ნამგლის ერთი გამოსმით გამოძკილი პატარა ხელეურის სახელწოდება – **წვიპარტი**. გიორგი შატბერაშვილი თუ მამალხინე ამითაც არ კმაყოფილდებიან და მკითხველსა და მსმენელს განუმარტავენ: „იქნებ**წვიპარტიც** არ იცი, რა არის? პატარა, კოხტად გამოძკილი ხელეურია, რომელსაც გამვლელს მიაართმევენ ხოლმე“ (1972,184). (ამ სიტყვის ვრცელი განმარტება იხილეთ „თვალადური ქართულის ჭაშნიკში“).

ამ მხრივ, შატბერაშვილის მამალხინეს ლეონიძის ჭამპურაც არ ჩამოუვარდება: „ჭამპურამ ასეთი შეკითხვებიც იცოდა, მაგალითად: – მაშ, **დელამუტი** არ გიჭამია? არც იცი, რა არის **დელამუტი**, თუ გიყვარდე? – საჭმელია, მერე როგორი! ძროხა რომ ხბოს მოიგებს, მაშინ მოსწველიან ხსენს და იმისას აკეთებენ. აადულებენ და გამაგრდება. მერე მარილს დააყრიან. იცი, რა გემრიელია? – მაშ **დელამუტი** არ გიჭამია? – ჩაიქნევდა ხელს გაკვირვებული და ქოთქოთით მერე ისე ხელებს გაშლიდა და ისევ გაოცებული შეეკითხებოდათ: – მაშ **დელამუტი** არ იცი რა არის? აბა, რაღა ქართველი ხარ!“ (ლეონიძე 2008, 455).

საერთოდაც, საგრძნობია გიორგი შატბერაშვილისა და გიორგი ლეონიძის სიტყვათნათესაობა: მამალხინე ერთბაში კაცია, ღვინჯუა კი - ნაერთბაშევი: „მამალხინე სხვასავით **ერთბაში კაცი** არ გახლავთ“ (შატბერაშვილი 1972, 179); „ღვინჯუა კი ყურებს არ უჯერებდა, ისე იყო **ნაერთბაშევი**“ (ლეონიძე 2008, 319).

მწერლისა და მამალხინეს სასაუბრო მეტყველება ხშირად ერთურთისაგან არც კი განირჩევა; მაგალითად:

**მწერალი:** „რთველში ვარ... **დანძილისფერი** ვაზის ფოთოლი სახეში მცემს (1972, 176).

**მამალხინე:** „– აგერ, **ღანძილისფრად** რომ იყურება, ის თრიმლის ბუჩქნარია (1972, 180).

ორივეს ქართული სიტყვა მშობლიური მიწის მადლმოსილებითაა გაჟღენთილი.

**მამალხინე:** „– აქ ყველა მიწას თავისი სახელი ჰქვია. აგერ ის ტყემლის მიწებია, ის ბრილის, ის დამპალა, ის ხვლიკის (დასწყევლოს ღმერთმა, იქ ბევრი ხვლიკი იცის!), ხედავ, აი, იქ, ორი საცოდავი კვრინჩხის ბუჩქი რომ მობუზულა, ის კვრინჩხის მიწებია“... (1972, 181). ამასთანავე, გიორგი შატბერაშვილისა არ იყოს, მამალხინესაც გათავისებული აქვს, რომ ბუნებაში ყველაფერი წარმავალია და „მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი და უბერებელი“: „– ერთი შეხედე, შეხედე ბედის ბრუნვასა, თვითონ იცვლება, სიტყვას კი ძვრასაც ვერ უშვრება! აბა, უყურე, არხი გავიყვანეთ, ურწყავი სარწყავად ვაქციეთ და მაინც ურწყავებს ვეძახით“ (იქვე).

**მწერალი:** „გაზაფხულის ძლიერი სუნთქვა მზის სხივებში გათქვეფილ ქარებს მოჰქონდათ, აქანებდნენ ნუშის ტოტებს... ერთმანეთს ახლიდნენ უკვე კარგად გამოხორბლილ, შევარდისფერებულ კვირტებს... ჰა და ჰა, ერთი ძლიერი შემოქროლება, ერთი დაქუხება აკლდა და დაიძახებდნენ, დასკდებოდნენ და გახეთქილი კვირტიდან ყვავილის მოვარდისფერო ნისკარტი გამოიხედავდა“ (1972, 190).

მათი **თანასოფლელების** საუბარიც მიწის სუნთქვითაა გაჯერებული: „– ჰო, გუშინ ნამდვილი გაზაფხული იყო... ნუში გამოიტყუა. – ნუში სულელია, გამოიხედავს და დაბრმავდება. – დაბრმავდება და ახიც იქნება. – არა, კაცო, ატამმაც გამოიწია-ატამი ნუშის დაა... ეგეც მოტყუვდება. აბა, კაკლის ხეს შეხედე, როგორა სძინავს. აგრე ადვილად არ მოტყუვდება. ფესვი ღრმდა აქვს, მიწის სუნთქვა სცემს“ (იქვე, 190-191).

ამ თანასოფლელების გამონათქვამები ზოგჯერ საფიქრალს გაგიჩენენ: გამოდარებულ ამინდზე იტყვიან, **ჯორმა ფეხი მოიტეხაო** და მწერლის დამაფიქრებელი გაფრთხილებისა არ იყოს, მიდი, მიჰყე და არკვიე, იმ ჯორმა რაღა გამოდარებულზე მოიტეხა ფეხი.

სწორედაც რომ მშობლიური მიწის სუნთქვა ასაზრდოებს გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. იგი ჭეშმარიტი მსახურია ქართული სიტყვისა; ხალხური ენით განზავებული მხატვრული სიტყვით გიორგი ლეონიძესავით მასაც „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“ და ამიტომაც ესოდენ ძალუმად ასწია ლოდი საჯილდაო სიტყვისა.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ლეონიძე 2008** – გიორგი ლეონიძე, ნატვრის ხე; პოეზია, პროზა; გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 2008.

**შატბერაშვილი 1972** – გიორგი შატბერაშვილი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II, პროზა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972.

**შატბერაშვილი 1975** – გიორგი შატბერაშვილი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV, თვალადური ქართულის ჭაშნიკი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975.

**ჩხეიძე 1970** – ოთარ ჩხეიძე, „გიორგი შატბერაშვილი“, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970.

**ჭელიძე 1975** – ვახტანგ ჭელიძე, „გიორგი შატბერაშვილი“, ფიქრები ხვალინდელ დღეზე, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1975.

**ჭიკაძე 2014** – როინ ჭიკაძე, „ხალხური მეტყველების ნაკადი გიორგი ლეონიძის ენაში“, „ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.



## ქ ა ნ ა ხ ა ჩ ა ტ უ რ ი ა ნ ი

### სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემატიკა, ქართულ-სომხური ენობრივი კონტაქტების მიხედვით, ჯავახეთის მაგალითზე

თანამედროვე პრაქტიკა გაჯერებულია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით (ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, ფსიქოლინგვისტური, მეთოდური და სხვ.), რომელიც სწავლობს უცხო ენის სწავლების სირთულეებს; საკითხის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოს ინტენსიურად ცვალებადი დემოგრაფიული, ეკონომიკური და საოციალურ-პოლიტიკური ტენდენციები.

ჩვენი სინამდვილე ქართული ენის არაქართულენოვანი პირებისათვის სწავლების თვალსაზრისით სპეციფიკურია (თუმცა არა ერთადერთი თანამედროვე პოსტსაბჭოთა სივრცისათვის); საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, საქართველო აღმოჩნდა დილემის წინაშე – მისი მოქალაქეების გარკვეული ნაწილი, საბჭოთა რუსიფიკაციული პოლიტიკისა და რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შეზღუდვის რეჟიმის პირობებში, საქართველოს კონსტიტუციის მერვე მუხლით განსაზღვრული უმთავრესი მოთხოვნის (რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული) მიუხედავად, არ ფლობდა ქართულს, რადგან ეთნიკური ჯგუფების თავმოყრის ადგილებში სკოლები მუშაობდნენ ან რუსულად, ან ეთნიკური ჯგუფის ენაზე; ამით ამ მოსახლეობისაგან იმ დასაყრდენს ქმნიდა, რომელსაც რესპუბლიკის ძირითადი ეთნოსის მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ დამოუკიდებლობისათვის ხელი უნდა შეეშალა რუსეთის სივრცეში დარჩენის მოთხოვნის გზით.

შესაბამისად, არაქართულენოვანი მოსახლეობა უფლებრივად იყო საქართველოს მოქალაქე, მაგრამ მენტალურად იგი გაურკვეველი სამოქალაქო იდენტობისა აღმოჩნდა: ენობრივი კომპეტენციითა და განათლებით ეს ხალხი სხვა რესპუბლიკის ინტერესებისთვის შეიქნა მომზადებული.

დამოუკიდებლობის მოპოვების მტკივნეული პროცესებით დაძაბული საქართველო იმ აუცილებლობის წინაშე დადგა, რომ

არაქართულენოვანი მოსახლეობა, რაც შეიძლება სწრაფად გამოეყვანა იზოლაციიდან და საქართველოს სრულფასოვან მკვიდრად ექცია დანარჩენ მოსახლეობასთან საერთო ენით, ცოდნითა და სამოქალაქო შეგნებით.

სამწუხაროდ, პროცესი გაჭიანურდა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

- არაქართულენოვანი მოსახლეობის დაბალი მოტივაცია ქართული ენის შესწავლის საკითხში;
- სახელმწიფოების სისუსტე;
- სახელმწიფოს მიერ არაქართულენოვანი საქართველოს მოქალაქეებისათვის ქართულის „მეორე ენად“ კვალიფიკაცია, რითაც თვით ამ მოსახლეობის მოტივაცია კლებულობს;
- ქართული ენის სწავლების სახელმძღვანელოთა და მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია;
- ქართული ენის სწავლების მეთოდის არასრულყოფილება.

ენის სწავლების გზაზე (ჩვენ შემთხვევაში, სომხების მიერ ქართულის შესწავლისას) ცოდნის ხარისხის დასადგენად წერისა და ზეპირის დროს ცალკე შეფასებას მიმართავენ; ზეპირი ექსპრესიული მეტყველების შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება:

1. ფრაზების რაოდენობას;
2. ფონეტიკის
3. ლექსიკის
4. გრამატიკის სისწორეს.

თუმცა სწავლების პრაქტიკაში დასტურდება, რომ დაშვებული შეცდომების რაოდენობა მიიჩნევა უცხო ენის ფლობის უმთავრეს მაჩვენებლად. შესაბამისად კომუნიკაციური აქტის დროს გაგებინების ხარისხი შეიძლება დაჩრდილოს დაშვებული შეცდომების სიუხვემ.

როდესაც ჩვენ „უცხო ენის სწავლებაზე“ ვსაუბრობთ, ცხადია, არ გვავიწყდება, რომ ქართული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს მოქალაქისათვის არ შეიძლება „უცხო ენად“ იყოს განხილული, მაგრამ ეს ოფიციალური ტერმინოლოგიური ასპექტი გახლავთ, რეალურ ცხოვრებაში კი ახალციხის ან ახალქალაქის რაიონის სომეხი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ქარ-

თული ჯერჯერობით სრულიად უცხოა... ამიტომ ქართულის სწავლება მეთოდოლოგიურად ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი „უცხო ენის“ სწავლებას. ვფიქრობთ, გამართლებულია მოსწავლეთა (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, მოსწავლის ასაკს) მიერ ენის ათვისებაზე დაკვირვება წარმართოს რამდენიმე მიმართულებით:

- მონოლოგური ზეპირი თხრობა
- დიალოგი; საკომუნიკაციური სიტუაცია
- წერითი სამუშაო (ესე)
- წერითი სამუშაო (ტესტი)

როგორც ცნობილია, ენა, რომელზეც იწყებს ლაპარაკს ადამიანი, სამყაროს შეცნობის პირველი საშუალება და სათქმელის სამეტყველო რეალიზაციის პირველი ყალიბი ხდება, ამიტომაც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მოლაპარაკე ყველა სხვა ენის ცოდნას თავისი მეტყველების ამოსავალ ყალიბებთან ათანხმებს და, ფაქტობრივად, ყველა შესაძლო შეცდომა სწორედ ამ ყალიბთა სხვაობითაა განპირობებული.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურას უამრავი მასალა აქვს ფიქსირებული სომხების ქართულად მეტყველებისას ყველაზე ტიპური შეცდომების თვალსაზრისით; საინტერესოა, რომ ეს დაკვირვებები თითქმის სრულად თანხვედრა დღეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში აღნუსხულ ტიპურ შეცდომებს.

მეტი სიცხადისთვის, ალბათ უმჯობესია მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომები მოვიყვანო მაგალითად, სადაც თითოეული დაშვებული შეცდომა მშობლიური ენის გავლენით არის განპირობებული.

1. მიხარია, რომ ასეთ მასწავლებელთან გავიცანი.
2. მე, ეს ინფორმაცია წავიკითხე ინტერნეტიდან.
3. პატარა ბავშვმა სკამზე შედგა.
4. ჩემმა მეგობარმა შევიდა ახალ სამსახურზე.
5. დღეს ლექტორი ახალი ტესტები ადგენს.
6. კონსტიტუციაში ახალმა კანონმა შევიდა.
7. გიორგი მესამე ადგილი დაიკავებს
8. ადამიანები ჯანმრთელობის პრობლემა აქვთ.
9. ექიმმა გასინჯა პაციენტის ფილტვები.
10. მამაჩემთვის გამოიძახეს სასწრაფო დახმარება.
11. შავი კატას, გზას გადავირბენს.

*12. რომელი ფეხიდან გავიდეთ სახლიდან.*

*13. მინდა ვისაუბრო უცნაურ ტრადიციას.*

*14. ვეთანხმები არმინეს აზრით.*

*15. ბნელი ადგილებიდან მეშინია.*

ამ მხრივ კვლევა შეიძლება წარიმართოს ორი მიმართულებით:

ა) დადგინდეს ტიპურ ლინგვისტურ შეცდომათა მიზეზი;

ბ) მოსალოდნელ შეცდომათა გათვალისწინების საფუძველზე დაისახოს მათი თავიდან აცილების გზები.

სკოლაში ჩვენ წინაშე თანაბარ დონეზე დგას ორი ამოცანა: სრულფასოვანი ზეპირი კომუნიკაცია და გამართულად წერა; უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზეპირი კომუნიკაცია პირველი რიგის ამოცანაა, რადგან მის გარეშე ვერ გადავალთ წერის ეტაპზე.

სკოლაში სამუშაოს ართულებს მოსწავლეთა მასა, რადგან ძნელია მოსწავლის ინდივიდუალური პრობლემების გამოვლენა და მართვა გაკვეთილის რეგლამენტში. მაინცა და მაინც არც არის დამუშავებული ჯგუფში მუშაობისას ინდივიდუალურ შეცდომებზე ზემოქმედების მეთოდიკა. როგორც სპაციალისტებს მიაჩნიათ. აქ მარტო საგნის მასწავლებელი ვერას გახდება, აუცილებელია ფსიქოლოგთა კონსულტაციებიც; რადგან სამეტყველო პრობლემა ძალიან ხშირად უკავშირდება ინდივიდის კომპლექსებს, რომ მას შეცდომის დაშვებისა და საზოგადოების წინაშე შერცხვენის შიშით ურჩევნია ხმამაღლა არ წარმოთქვას რაიმე შესასწავლ უცხო ენაზე.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიო მუშაობს უცხო ენის ათვისების მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, მაინც მიიჩნევა, რომ ჯერჯერობით იდეალური შედეგები მიღწეული არაა. განსაკუთრებულ პრობლემას კი ის ქმნის, რომ სკოლაში ჯგუფთან მუშაობისას მოსწავლის ინდივიდუალური პრობლემების გათვალისწინება ვერ ხერხდება, ენა კი უაღრესად სუბიექტური და ინდივიდუალური მოვლენა გახლავთ. მასწავლებელს უძნელდება (ან საერთოდ არ გამოსდის) შემსწავლელთან ე.წ. უკუკავშირის დამყარება, რაც გაადვილებდა მოსწავლის კერძო თავისებურებების გათვალისწინებას.

---

<sup>1</sup> ჩვენ კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს იმ გარემოებას, რომ ქვეყნის მოქალაქისათვის ქვეყნის სახელმწიფო ენა სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით – „უცხო“ ვერ იქნება, მაგრამ მისი აბსოლუტური არცოდნის შემთხვევაში პრაქტიკულად მისი სწავლება უცხოენის სწავლების მდგომარეობაში აღმოჩნდება.

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ: ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უპირველეს ყოვლისა, ამ ენის სისტემის ათვისება ხდება. ხოლო რამდენადაც სისტემა ლინგვისტიკის შესწავლის სფეროა, სწორედ ლინგვისტიკის მონაცემების მომარჯვებაა საჭირო ენის შესასწავლად. მაგრამ როგორც პრაქტიკა აჩვენებს ენის სისტემის შესწავლაზე უფრო დიდი მნიშვნელობა მეტყველების ათვისებას აქვს. რამდენადაც მეტყველება არის მთავარი კომუნიკაციის დროს. ჩვენს სკოლას ენის სწავლება იმიტომ უძნელდება, რომ სისტემის სწავლება თავისი განსაკუთრებული სირთულის გამო დიდ დროსა და შრომას მოითხოვს, ხოლო ამ გრძელი გზით სიარულისას საბოლოო შედეგი – კომუნიკაცია ძნელად მისაღწევი და დაგვიანებულია. ჩვენ იმ თვალსაზრისს ვემხრობით, რომ კომუნიკაცია ცალკე საგნადაც უნდა გამოიყოფოდეს (ქართული ენისა და ლიტერატურის ტრადიციული კურსის გვერდით), და პრაქტიკულად, მოსწავლის (მოსწავლეთა) ენობრივ გარემოში ინტეგრაციის გზითაც უნდა იყოს მისაწვდომი. როგორ უნდა გამოიყურებოდეს ე.წ. კომუნიკაციის გაკვეთილები:

1. უნდა დამუშავდეს ყოველ საგანმანათლებლო საფეხურზე ასათვისებელი სავალდებულო სიტყვების ლექსიკონები (მაგ. დაწყებითი განათლების პირველ საფეხურზე ყველა სასწავლო დისციპლინაში (სახელმძღვანელოში) გამოყენებული ლექსიკა–ფრაზეოლოგიის ქართულ–სომხური ლექსიკონი; და სასწავლო წლის მიზნად უნდა ჩაითვალოს ამ ლექსიკონის სრულყოფილი ცოდნა მოსწავლის მიერ;

2. ლექსიკონის საფუძველზე უნდა შედგეს ადაპტირებული ტექსტები მხოლოდ ლექსიკონისეული სიტყვებისა და შესიტყვებების გამოყენებით;

3. ზეპირი კომუნიკაციისათვის ყოველ ახალ ტექსტში წინა მასალა უნდა მეორდებოდეს და მას ემატებოდეს მხოლოდ რამდენიმე ახალი სიტყვა;

4. კომუნიკაცია უნდა იყოს გაკვეთილზე გამოსაყენებელი ერთადერთი ფორმა: თხრობა, დიალოგი, კითხვების დასმა, კითხვებზე პასუხი;

5. შეცდომებზე მითითება უნდა ხდებოდეს პრაქტიკულად, თეორიული მსჯელობის გარეშე (თეორიას დრო დაეთმობა ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე);

6. პრაქტიკულ გაკვეთილებზე ტიპობრივი შეცდომების ფიქსირება მასწავლებელს დაეხმარება საგნობრივი კურსის პრაგმატულად აგებაში.

ვფიქრობთ, უდავოა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

**А. А. Алхазипвили1988** – основы ОВЛАДЕНИЯ УСТНОЙ ИНОСТРАННОЙ РЕЧЬЮ Допущено Министерством просвещения СССР в качестве учебного пособия для студентов педагогических институтов по специальности № 2(03 «Иностранные языки» Ю98вЧ5 Москва «П просвещение»

**საქართველოს კონსტიტუცია (10.10.2002, N1689)** „მუხლი 8 : საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აგრეთვე – აფხაზური“

**Чойбонова, Бэла Матвеевна 2004, Москва, 261გვ.** –Языковые ошибки в речи обучающихся на начальном этапе интенсивного обучения английскому языку: Метод активизации личности и коллектива.

<https://www.dissercat.com/content/yazykovye-oshibki-v-rechi-obuchayushchikhsya-na-nachalnom-etape-intensivnogo-obucheniya-angl#ixzz4hJdZhLhVaza>

## ლ უ ი ზ ა ხ ა ჭ ა კ უ რ ი ძ ე

### ზოგი იმერული სიტყვაფორმისათვის ახალგაზრდების მეტყველებაში (ქუთაისის მასალების მიხედვით)

ტრადიციულ სემასიოლოგიაში დამკვიდრებულია დეფინიციები, რომლებიც მნიშვნელობას განიხილავენ როგორც „ფსიქიკურ ფენომენს“, „ინდივიდუალურ წარმოდგენას“. ი. ფიხტეს განმარტებით, მნიშვნელობები არიან წარმოდგენები. ენა ჩვენი „ყოფიერების სახლია“, - წერდა მ. ჰაიდეგერი, - ენას გამოთქმის დროს დაფარული სიღრმეებიდან ამოაქვს „უცნობი“ და ამდიდრებს „ყოფიერების სახლს“.

სწორედ ამ მხრივ (მნიშვნელობა, როგორც ინდივიდუალური წარმოდგენა და ფსიქიკური ფენომენი) მიიქცია ჩვენი ყურადღება ქუთაისელ 18-25 წლის ყმაწვილკაცთა მეტყველებაში ჩვენთვის ნაცნობ ლექსემათა ახალმა სემანტიკამ, რომელსაც უმეტესად იუმორი განსაზღვრავდა.

**გაბზიკინებული** - ლექსიკონებში გვხვდება **გაბზეკილ-ი** (გაბზეკილისა) - რაცგააბზიკესანგაბზიკა (მამალმა კუდი გაბზიკა ანუ აპრიხა). ქუთაისელი ახალგაზრდების განმარტებით კი: „ეს არის მწყობრშიმოყვანილი, კარგიშესახედაობისნივთიანადამიანი“.

**გაბლიგული** - ზედმეტადგაყინული,როდესაცერთიშეხედვითმნელიადაადგინო,რადროდასჭირდებაობიექტისგალობას. არ გვხვდება ლექსიკონებში.

**გამოსკვანჩული** - ნიშნავს ძალიან გამოპრანჭულს, თავისუფალი ქცევებისაგან თავდაჭერილს, გაბზეკილს: „კი იდგა სიძე ბიჭი გამოსკვანჩული“. ამ ფორმითა და მნიშვნელობით არ დასტურდება ლექსიკონებში, თუმცა გვხვდება სიტყვა **გასკვანჩვა**, რაც ნიშნავს: 1. ხელ-ფეხის შეკვრას, სწრაფად გაკოჭვას, 2. შეპყრობას, დაპატიმრებას (ალ. ღლონტი, 1984). **არისახლაგასკვანჩული** - იტყვიან პატიმრობაში მყოფ ადამიანზე (ირონიულიკონტექსტით).

**გატოტორჩებული** - გაყოფილი, გათავხედებული (ქეგლ). რესპონდენტების განმარტებით: „ძირითადად ამბობენ პატარა ბავშვზე, რომელიც გარემოებებიდან გამომდინარე იმაზე მეტ ყურა-

დღებას იმსახურებს ირგვლივ მყოფი საზოგადოებისგან, ვიდრე საჭიროა. ისე, ტოტოჩა ჩვენში გამხმარ ჟღინტს ჰქვია“.

**გაჭყეპა** - ბევრის დაღევა. ასე ფიქსირდება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაშიც. ჩვენი რესპონდენტების მიხედვით, **ნუიჭყიპები**- „ძირითადად იხმარება ზედმეტი სასმელის მოყვარული ადამიანების მიმართ, რომლებსაც რაც სიგრძე, სიგანე, შნო, შეგნება ან შერგება მისცა ღმერთმა, იმაზე მეტს სვამს“.

**იმასქენი** - სიტყვის მასალა, საუბარში ცვლის მთავარ ზმნას, რომელიც მთქმელმა უნდა გამოიყენოს (მაგ.: შენ რა იმასქენი...). ახალგაზრდების განმარტებით: „ეს ერთგვარი „ხიდია“ მეგობრული დიალოგის წამოსაწყებად. იხმარება შემოთავაზების, რჩევის ან რაიმე საქმის დავალების წინ“.

**მადვალაკი** - მავნებელი (ალ. ღლონტი, 1984). ქუთაისურ მეტყველებაში: „ცელქის, ოდნავ თავხედის, მაგრამ ჭკვიანის კომბინაცია. დაესმის კითხვა: ვის დაემსგავსა? ამოიბენ უმეტესად ბავშვზე“.

**პელენწუკა** - ლექსიკონების მიხედვით, ნიშნავს „უშნოს, უსუფთაოს“. ახალგაზრდების იუმორისტული განმარტებით - „გზასაცდენილი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელმაც გაამწარა ან მომავალში გაამწარებს რომელიმე სიყვარულით ნაშენებ ოჯახს“.

**პლაწვა, გაპლაწვა** - „გაწელვის“ მნიშვნელობით გვხვდება იმერულში: „ეს კაბა ნამეტანი გეიპლაწა“, „პლაწვია ქსოვილი არ მინდა“. აღნიშნული ლექსემა ლექსიკონებში ვერ მოვიპოვეთ. **იპლაწვა** - იტყვიან იმ ადამიანზე, რომელიც მედიდურობს, ამპარტავანია. ახალგაზრდები მას ასე განმარტავენ: **ნუიპლაწები** - იხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ხდება იმაზე დიდი, ვიდრე რეალურად არის.

**რავადეიკარგე** - ეტყვიან ადამიანს, რომელსაც რაღაც მარტივი შეკითხვა დაუსვეს, ის კი არაფრის მთქმელი თვალებით დიდხანს ფიქრობს, თან სხვას უყურებს დასახმარებლად.

**საწობი?** - ნიშნავს: სად წვები? ანუ: სადაპირებ დაწოლას, დაძინებას? ახალგაზრდების მეტყველებაში ეს გამოთქმა დამატებით ნიუანსს იძენს და ნიშნავს: „ვისთან აპირებ დარჩენას, ღამის გატარებას?“ (მოიაზრება ძირითადად მდედრობითი სქესი).



**ტვინვა** - თავში ჩართყმა იმ მიზნით, რომ გონზე მოიყვანო, მი-  
ახვედრო: „ტვინე ერთი მაგას“. საანალიზო სიტყვა არ დასტურდება  
ლექსიკონებში.

**უკაცობისკაცი** - მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რო-  
მელსაც მხოლოდ იმიტომ ეძახიან მამაკაცს, რომ სხვა კაცები ფიზი-  
კურად აღარ არიან, გაწყდნენ.

**ქემინც** - იქნებ. ქუთაისელი ახალგაზრდების განმარტებით:  
„პირი გთავაზობთ ბარტერულ გაცვლას რაღაცის სანაცვლოდ ან რა-  
იმეს დათმობას“.

**ყიალი** - უმისამართოდ სიარული. ამავე მნიშვნელობით დას-  
ტურდება გამოქვეყნებულ ლექსიკონებში. ქუთაისურ მეტყველებაში  
**მოყიალე** არის ცხოვრებაში გაურკვეველი პირი, „როდესაც ადამიანს  
ვერ გაურკვევია, ვინ არის, რატომ დადის, ვისთან არის, რას მოღვა-  
წეობს, ან საერთოდ რა უნდა ამ ცხოვრებისგან.“

**შეამას?! -** მიღებულია ფრაზისაგან: **შეხედე ამას!** „შე ამას, ვინ  
მოსულა!“ რესპონდენტების განმარტებით: „ძირითადად ეუბნებიან  
ადამიანს, ვისგანაც რაღაც კონკრეტულ საქციელს არ ელოდნენ არა-  
ნაირად“.

**ჩრუტუნე**- უაზროსაუბარი, როდესაც ინფორმაციის სისწორი-  
სა და სანდოობის დონე არც თუ ისე მაღალია, მაგრამ მაინც გასათვა-  
ლისწინებელია, რადგან შეიძლება შეგნებულად „ჩრუტუნებდეს“.   
გამოქვეყნებულ დიალექტურ ლექსიკონებში ეს ლექსემა არ დას-  
ტურდება.

**ძალააქვს ისეთი, ხეს მოთხრის, მარა სად წაილოს, არ იცის** -  
რესპონდენტთა განმარტებით, „იგულისხმება ბევრი ცხენის ძალის  
მქონე ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც მხოლოდ ეს ძალა გააჩნია  
და მეტი არაფერი დედამიწის ზურგზე“.

**ჯლიგინი** - ჩვენი რესპონდენტები სიტყვას ასე განმარტავენ:  
„არაფექტური სირბილი ან სიარული, როდესაც დისკომფორტს უქ-  
მნის სხვას და აზიანებს ყველაფერს, რაც ერთი მეტრის რადიუს შიგ  
ხვდება“. შდრ. **ჯლიგინი** (გურ., იმერ.) - ძუნძული, ხმაურით სირბი-  
ლი (ალ. ლლონტი, 1984).

განალიზებული ლექსიკური ერთეულები ქუთაისელი ახალ-  
გაზრდების მეტყველებაში გამოირჩევა ემოციურ-კონოტაციური და  
სტილური მნიშვნელობებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთგვარი  
სოციალური ჯგუფის მეტყველებაა.

## გამოყენებული ლიტერატურა

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ენის მოდელირების ასოციაციის ერთობლივი პროექტი, <http://www.ena.ge/explanatory-online>.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი: ალ. ლლონტი, მეორე გამოცემა, თბ., 1984.

ქ. ძოწენიძე, ზემოიძერული ლექსიკონი, თბ., 1974.

ფ. შელინგი, კანტი და ფიხტე, თარგმანი ლ. თურქიასი, თბ., 2018.

მ. ჰაიდეგერი, ყოფიერება და დრო, თარგმანი გ. თევზაძის, თბ., 2019.

<https://www.ice.ge/liv/liv/rachul.php>.

## მზია ხახუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე

**იშვიათი ლექსემები (გოგა, ბრელო, საჩახი, ლენჩბერი, სარნა) ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის მასალებში**

ქართული ენის დიალექტები ამოუწურავ მასალას იძლევა ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. ბევრი ლექსიკური ერთეული სპეციფიკურია, ზოგი იშვიათი გამოყენების გამო დავიწყებას ეძლევა. ზეპირსიტყვიერი მასალების ჩაწერა, აღნუსხვა და დამუშავება იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი არა მხოლოდ ენის, არამედ კულტურის ელემენტებსაც შეიცავს.

ენათა თანამედროვე დოკუმენტირება ამიტომაც ენის დესკრიფციაზე უპირატესი. იგი მიზნად ისახავს არა მხოლოდ ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, კვლევას და აღწერას, არამედ კაცობრიობის

სულიერი მემკვიდრეობის დოკუმენტირებას. კერძოდ, 1. კულტურული მემკვიდრეობის შენახვას და გადაცემას ამ ენის მატარებელი სოციუმის მომდევნო თაობებისათვის; 2. ყოვლისმომცველი და სრულფასოვანი ემპირიული მასა-ლის შეკრებას კვლევებისათვის; 3. მოპოვებული მასალების ინტერდისციპლინური კვლევებისათვის გამოყენების შესაძლებლობის შექმნას; საფრთხეში მყოფი ენის გადარ-ჩენის ხელშეწყობას (**თანდაშვილი, ხალვაში... 2019**).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში **დოკუმენტირების ცნებამ** ფართო და მრავალწახ-ნაგოვანი შინაარსი შეიძინა. „XXI საუკუნის გამოწვევების შესაბამისად ხელახლა დამუშავდა დოკუმენტირების ძირითადი პრინციპები და მეთოდები, რამაც საფუძველი დაუდო ენებისა და კულტურების დოკუმენტირების თვისობრივად ახალ ეტაპს – დიგიტალურ დოკუმენტირებასა და არქივირებას“ (**თანდაშვილი, 2016: 157**).

მონაცემთა მხოლოდ ამგვარი დამუშავება ედება საფუძვლად კულტურების მულტიდისციპლინურ ანალიზს.

საქართველოში დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარებისათვის განსაკუთ-რებული მნიშვნელობა ჰქონდა 2016-2019 წლებში სამეცნიერო პროექტ „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის“ განხორციელებას, რომელშიც ბათუმისა და ფრანკფურტის უნივერსიტეტების მეცნიერები მონაწილეობდნენ. პროექტს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი აფინანსებდა.

ლინგვოკულტუროლოგიურ არქივში 4 ტიპის რესურსი გაერთიანდა: A: არქივირებული აუდიო- და ვიდეომასალა (MP3 და AVI ფორმატი); B: არქივირებული აუდიო- და ვიდეომასალები ტრანსკრიბირებული ტექსტის თანხლებით (ELAN-ის ფორმატში); C: არქივირებული ვიდეომასალები მულტიმედიური ანოტირებით – ტრანსკრიბირებული, გლოსირებული და ინტერლინიალიზებული (FLEX-ში დამუშავებული); D: დიგიტალურად დოკუმენტირებული და არქივირებული ვიდეომასალა მულტიმედიური ანოტირებით და ინგლისური თარგმანით.

პროექტი ითვალისწინებდა აჭარის ზეპირსიტყვიერი მასალების ამგვარ დამუშავებას. ისინი ხელს შეუწყობს აჭარული დიალექტის ლექსიკურ თავისებურებათა სრულყოფილ შესწავლას, რომლის საჭიროების შესახებ აღინიშნა სამხრული კილოების გამოყოფისასაც: „სამხრული მეტყველების შესწავლისას ამოსავლად აჭარულის მახა-

სიათებელ ნიშნებს ვიღებდით, ამიტომაც კიდევ ერთხელ დაისმება აჭარულის გამოწვევილივითი შესწავლის საკითხი” (**ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:8**). ეს მეტად მნიშვნელოვანია აჭარული დიალექტის ლექსიკონის შესაქმნელად, რამდენადაც თითოეული სიტყვა-სტატიის დამუშავება ერთობ შრომატევადია და სხვადასხვა დარგის მონაცემებს აერთიანებს.

ჩვენი მიზანია ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში ჩაწერილ მასალაში დადასტურებული რამდენიმე შედარებით იშვიათი ლექსემის გაანალიზება, რომელთა სემანტიკაც შეცვლილია. ესენია: **გოგა/გოგი, ბრელო, საჩახი, სარნა, ლენჩბერი.**

• **გოგა/გოგი**

ხულოს რაიონში ჩაწერილ მცნობის ამსახველ მასალაში გავიხსენებთ საინტერესო, იშვიათი ლექსემა **გოგვა**, რომელიც **გოგას//გოგის** ფონეტიკური ვარიანტია:

- ეს არ წავა აგერ ეეე. **გოგვა** არ არი?
- **გოგვა** არი მარა, **გოგვა** რათ გინდა? კვირტიონა გადაამყნო?
- ჰო, კვირტი!
- **კვირტი რომელია?**
- კვირტიც რომ არი და **გოგაც** რომ არი, არ ჯობია აგერ აქიდან, აა,
- **გოგაც** არი!
- ეიდა, **გოგა** არი, მარა, ააა, ესე ამათი ესენი და იყოს, ჭო და აა კვირტია, აგერ აა, აჰ, აჰ
- ე კვირტია, მაგალითათ?
- ააა, არა, ჭო, კვირტები ახალწამოსულები რომ არი და.
- ახალათ რომ არი?
- **გოგა** რას ჰქვია აბა? (რამაზ ხალვაში)
- **გოგა აგერ აქიდან რომ იზდება ხელმეორეთ, მეორეთ წანა-ზარდი.**

მასალების თანამედროვე სტანდარტებით დამუშავების უპირატესობა ისიცაა, რომ დაინტერესებულ პირს შეუძლია ვიდეომასალის ნახვაც ([digiarchive.bsu.edu.ge](http://digiarchive.bsu.edu.ge)).

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით, **გოგი** არის თითის გარეგანი ნაწევარი (**საბა,1991**). **გოგი** არის მცენარის მუხლიც: „სიმინდი გოგებს გეძკეთებს“ (**ნოღაიძელი, 2013:119**). ო. კახაძეს პურეულის ლექსიკაში ამ მნიშვნელობით დასა-

ხელებული აქვს **მუხლი** (კახაძე, 1987: 71-72). მცენარეთა ღერზე არსებულ კორმებს ძველსა და თანამედროვე ქართულში **მუხლები** ეწოდება (იქვე). მკვლევარი იმოწმებს საბასეულ განმარტებას: „მუჭლს უწოდებენ ლერწამის როკს და მისთანათა“ (საბა, 1991).

პურის **მუხლში ყოფნა/ მუხლში შემართვა** ყვავილობას ნიშნავს. საინტერესოა, რომ აჭარულ დიალექტში ამგვარ გამოთქმებში გვხვდება **გოგი/ გოგა: გოგზე შედგომა იგივე მუხლზე შედგომაა**. „სიმინდის მცენარე მუხლებით იზრდება. თითოეული მუხლი გოგია. პირველ მუხლზე რომ გაიზრდება, იტყვიან, **სიმინდი გოგზე შედგაო** (ნოღაიდელი, 2007: 15).

**გოგი** გამოვლინდა ჩვენებურების ქართულშიც: იმდენი ვქსვე და ერთი გოგი ზვილაი მომიქსოვია (იმ.). „ჩვენებურების ქართულის“ ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც თითის დანაყოფი (**ფუტკარაძე, 2013: 418**).

**გოგა**, იგივე **ვაცა** დასტურდება იმერულში (ალ. ღლონტი). ვაცა (გურ. იმერ.) მთავარი ბოძი, რომელზედაც დადგმულია სახლის თავი (ვ. ბერიძე); სახლის სახურავის მწვერვალი და მთავარი ბოძი, რომელზედაც კავები იყრიან თავს (ს. ჟღენტი).

**ვაცა** გვხვდება აჭარულშიც და ჰქვია სახლის სხვენში აღმართულ ერთ ან ორ მსხვილ ბოძს, რომელსაც ეყრდნობა სახლის თავი. „ანძის ფეხზე დაიდგმება ვაცა, ვაცაზე დეიდობა მახასი – მეორე ქუდი“ (ნ. ანძა, მახასი) (**ნოღაიდელი, 2013:139**).

ზემომოყვანილი მასალებიდან შესაძლებელია დავაზუსტოთ ამ სიტყვის სემანტიკა: **1. თითის ნაწევარი; 2. მცენარის მუხლი; 3. მთავარი ბოძი, რომელზედაც კავებია თავმოყრილი.**

ამრიგად, აჭარულ დიალექტში შემორჩენილი **გოგვა** იგივე **გოგა/ გოგია**. აქ რეალიზდება პირველი ორი მნიშვნელობა, ასევე გამოიყენება სიმოკლის აღსანიშნავადაც, მესამე მნიშვნელობით მხოლოდ **ვაცა** გვხვდება. **გოგი** დარგობრივ ლექსიკაში ქმნის ფრაზეოლოგიურ ერთეულებსაც: **სიმინდის გოგზე შედგომა** (გაზრდა).

• **ბრელო** – სიმინდის, ხორბლის, ბრინჯის და მისთანათა მტვერი, კანი. საბასთან **ბრე** ასეა განმარტებული: მტვერი ბუნენარევი (საბა, 1991). „მარცვალს ახლავს ბრელო. ცხავით, ცხრილით გავარჩევთ და აკვნის ბალიშს გავაკეთებთ“ (**ნოღაიდელი, 2013: 102**). შ. ნიჟარაძესთან გვაქვს **ბრე** – სიმინდის მარცვლის კანი, რომელიც რჩება დარკვევის შემდეგ (**ნიჟარაძე, 1971:112**). **ბრე// ბრელო** შ. ფუტ-

კარაძესთან განმარტებულია, როგორც **ქატო**. ფქვილის გამოწვარად **ბრე** ნარცხში ჩააყარე (**ფუტკარაძე, 1993: 403**). საარქივო მასალებში შეგვხვდა **ბრელო**

– მინდარში (ლეიბში (ნ. ც.) რას ყრიდით?

– მინდარშიი?...ბამბას!

– თუ **ბრელოს**?

– **ბრელოსაც** ვყრიდით, სწორე ხარ. მე ბრელოში გავზარდე, რომ რბილია უფრო...

ამრიგად, **ბრელო** ერქვა პურეულის მცენარეთა კანს, რომელიც იხმარებოდა სააკვნი ბალიშებისა და ლეიბების შესაკერად. ქართულში გვაქვს ამ სიტყვისგან შედგენილი ფრაზეოლოგიზმი **ბრეს ადენს** – მოერევა, დაამარცხებს.

• **საჩახი** – ეს სიტყვა გავრცელებულია შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებით: **საჩახი/ საჩეხი/ საჩეხე/ საჩიხი**. ამოსავალია **საჩეხი**, **საჩახი** ასიმილირებულია ფორმას.

**საჩეხი** ქართულად დერეფნის პირის საჩრდილობელს ფიცარს ჰქვია, ხოლო სხვათა ენითა ბუჟუჟიანს ცხვრის ტყავსა ZA (სპარსთა ენითა B) (**საბა (2) 1993**).

საარქივო მასალების მიხედვითაც იგივე სემანტიკა იკვეთება: ჩვენ ძველად ვუძახდით, წინათ, თურქული სიტყვაა და რა არის **საჩახი**, მიხდი და შეშას რომ ამზადებდენ (შუახევი).

მეტად საინტერესოა, რომ **საჩეხის** თავდაპირველი მნიშვნელობა განსხვავებულია: სახლის კარისპირა დერეფანი, სახლის სახურავის ქვეშ რომ არის. საჩეხის წინა ნაწილი სახლის წინა სვეტებზე დაყრდნობილი, უკანა კი – კედელზე (ქდკ, კახური ლექსიკონი).

მსგავსია შ. ნიჟარაძის განმარტებაც: **საჩეხი** – სახლის წინამო, რომელიც ჩვეულებრივ გადახურულია; საჩეხში შეშას ჩეხავენ; საოჯახო ნივთებსაც აწყობენ (**ნიჟარაძე, 1971: 314**).

ნ. ნოღაიდელის ნაშრომში: „მშენებლობის ლექსიკა აჭარულში“ ვკითხულობთ: სახლს გარედან მიდგმული აქვს **კარაპანი** (იხ. საბა, ღლონტი, ნიჟარაძე, ქეგელ, ქართლ. მესხ. ჯავახ.კახ.) // **საშიშე/საჩახი**. მასში ჩეხავენ შეშას და აგრეთვე იყენებენ სამუშაო იარაღების შესანახად (**ნოღაიდელი, 1986: 74**).

ამავე ავტორის სხვა ნაშრომში, „ლექსიკური მიებანი“, **საჩახი/საჩადი** ასეა განმარტებული: სახლის კედელზე მიდგმული ფარ-

დული სამეურნეო იარაღებისთვის და შეშის დასაპობად (შდრ. ნიჟარაძე, 1971: საჩეხი) (ნოღაიდელი, 2013: 203).

დღესდღეობით აჭარულში **საჩეხი** ჰქვია ადგილს, სადაც სახლის სახურავიდან ჩამოსული წყალი წვეთავს. სახურავის გადმოწეულ ნაწილს ხელვაჩაურში საჩეხთავანს (საჩეხის სახურავს) ეძახიან.

მოკლედ, **საჩეხის/ საჩახის** მნიშვნელობებია: 1. სახლის კარის-პირა დერეფანი; 2. სახლის წინ მდებარე გადმოხურული ადგილი, სადაც შეშას ჩეხენ; 3. ადგილი, სადაც სახლის სახურავიდან ჩამოსული წყალი წვეთავს.

აჭარულ დიალექტში **საჩახი/ საჩეხი** დღესდღეობით გამოიყენება ოდენ უკანასკნელი მნიშვნელობით: აღნიშნავს ადგილს, სადაც სახლის სახურავიდან ჩამოსული წყალი წვეთავს.

• **ლენჩბერი** – (სპარს. Lençiberi) გლეხი, მიწის მუშა (შავშ.); ლენჩიბერი – გლეხი, მიწის მუშა (კლარჯ.); **ლენჩბრობა** – გლეხობა. მე აქ დავრჩი ლენჩბრობა ვქენი (თურქ. ჰაირიე. მაჭახლ.).

სრულიად განსხვავებულია ალ. დლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ მოცემული განმარტება: ლენჩბერი (აჭარ.) ლენჩი, ჩერჩეტი (პ. ჯაჯანიძე).

**ლენჩიბერი/ლენჩბერი** შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულში“ ასეა განმარტებული: მიწის მუშა, გლეხი. ჩუენი ხალხი წინდა-ქალაზნიანი, ლენჩბერი ხალხი იყო (სტ.); მე ძალიან ლენჩბერი ქალი ვიყავ“ (თ.ქ.); ამ წელწად კაი ლენჩბერობა ვქენით (**ფუტკარაძე, 1993: 494**).

ტერმინი **ლენჩიბერი** გვიანი შუასაუკუნეებიდან გაჩნდა აჭარაში. იგი ქართულ-აღმოსავლურ ურთიერთობას ასახავს. ლენჩბერის ინსტიტუტი სამხრეთი კავკასიის მუსლიმანურ სახანოებშიც იყო გავრცელებული. მე-18 საუკუნის ხელნაწერებში დადასტურებულია ფეოდალური ხანის სოციალური კატეგორია – „ლანჩფარი“ (**ლანჩბა-რი / რანჯბარი**, სოციალურად ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომნი), ზოგი მათ მონებსაც უთანაბრებდა. ეს ინსტიტუტი გვხვდებოდა ჰერეთშიც. წარმომავლობით ეს სიტყვა მუშას, ტვირთის მზიდავსაც ეწოდებოდა. აჭარელი ლენჩიბერები მარცვლეულის მოყვანას და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ამ ფენას მიეკუთვნებოდნენ უპატრონო, უსახლკარო, ობლად დარჩენილი ბავშვებიც, სხვა კუთხიდან მოსული ადამიანები.

არსებობს ვარაუდიც, რომ ეს სახელი აჭარაში მეიჯარე გლეხ-საც უნდა რქმეოდა (**ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2019:315**).

აჭარულ დიალექტში, უფრო ზემო აჭარულში, მოგვიანებით **ლენჩბერმა** როგორც „მუშა“ კაცის, ისე კარგად მცხოვრები, შემღებული მეურნის მნიშვნელობა შეიძინა. – მაგი იმ ძველ დროშიც ასე იყო და ახლაც მასეა, მომავალშიც მასე იქნება! პაწაფ გეექანო, გამეექანო უნდა! (ნოდარ ფუტკარაძე, შუახვევი).

– **ლენჩბერი, ლენჩბერი, ლენჩბერი’ ნა იყო** (შუშანა ფუტკარაძე, შუახვევი).

ამრიგად, სპარსული სიტყვა **ლენჩბერი** თავდაპირველად ნიშნავდა უუფლებო ადამიანს, მონას, უპატრონოდ დარჩენილს, რომელიც მიწათმოქმედებით ირჩენდა თავს; შემდგომ მან შეიძინა მეიჯარე გლეხის მნიშვნელობა, როცა მოიშალა ეს სოციალური ინსტიტუტი, ზემო აჭარულში ტერმინმა კონოტაცია შეიცვალა და გამრჯე კაცის, კარგი მეურნის სემანტიკა შეიძინა.

• **სარნა** (ფშაური, ზ. აჭარული, ზ. იმერული) – წყაროსთვის დადგმული გეჯა, დიდი, უხეში ჭურჭელი ხისა. ნ. ისარნა (ალ. ღლონტი, 1984).

**ისარნა** თიხის დიდი, ქვევრის მსგავსი ჭურჭელია, ხმარობენ ტკბილისათვის, რომელშიაც ახალგამოწურულ ტკბილს აგროვებენ (იმერ.); ხევსურულში ამოღაული, გრძელი, საკმაოდ მსხვილი ძელი, რომლიდანაც ცხვარს მარილს აჭმევენ (ხევსურული).

ხოდა იქ ბეთმეზის **სარნა** უნდა ქონდეს, სარნა, საწნახელი. ხოდა დიდი უზარმაზარი წიფლისგან გაკეთებული რვა ისნა შესულიყო, დიდვანი გობებით მსხალი (შალვა ფუტკარაძე, შუახვევი).

(ი) **სარნა იგივეა, რაც ავაზანი** (ნ. ნიჟარაძე, ალ. ღლონტი). სულხან-საბას მიხედვით, **ავაზანი** არის წყლის სადგური, საგუბარი, პირუტყვის საჭმელი გობი (**საბა, 1991**). იგი ნ. ნოღაიდელის მიხედვით, ხის მორისგან გამოთლილი დიდი ვარცლია (**ნოღაიდელი, 2010: 48**). იგივე ავტორი მშენებლობის ლექსიკის ანალიზისას წერს: ახორის წინ აკეთებდნენ **ჰავლს (თურქ. Havlu)**. ჰავლში დგას **ჯარა** – მთლიანი ხისგან გულგამოთლილი ან ფიცრებისგან გაკეთებული დიდი, მოგრძო, პირღია ჭურჭელი (შ. ნიჟარაძე, შდრ. ქეგლ, ფშაური, ხევსურული, ალ. ღლონტი)// **ავაზანი** (თურქული havza)//**სარნა** (შ. ნიჟარაძე, ალ. ღლონტი), რომელშიც საქონელს უსხამენ წყალს, ნარცხს. ჰავლში ინახავენ საქონლის საკვებს (**ნოღაიდელი, 1986: 74**).



ავაზანი – მსხვილი ხისაგან გამოთლილი დიდი ვარცლი, რომელიც სოფლის საზოგადო წყაროებთან წინ დგას, მასში წყალი გროვდება პირუტყვის სასმელად. სამოვრებზე გამომდინარე წყაროებთან სამოვრის უკეთ დარწყულების მიზნით შემალღებულ ხის საყრდენებზე ავაზანებს დგამდნენ (**ნიჟარაძე, 1971**).

**სარნა** – 1. საწნახელი, ხის ჯარა, დიდი გეჯა, მსხვილი და გრძელი ფორმის გულამოღებული დიდი მორია, რომელსაც ცაცხვის ანდა წიფლის ხისგან ამზადებდნენ. გამოიყენებოდა ყურძნის დასაწურად, საჭიროებისამებრ მასში წვნიან, მწიფე ხილს, მაგალითად, მსხალს ჩაჭრიდნენ და გამოწურული ტკბილი წვენისგან ბეთმეხს და ლეჩერს ამზადებენ; 2. ხის ჭურჭელი, რომელიც საწნახელივით იყო დამზადებული, მასიური ზომებიდან გამომდინარე, მას სტაციონარული მდებარეობა ჰქონდა. სარნას საქონლის სადგომშიც დგამდნენ და მასში მეწველ ძროხებს ნარცხს უდგამდნენ (**ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2019: 458**).

შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულში“ ვკითხულობთ: **სარნა** – ხის დიდი გეჯა, საწნახელის მსგავსი, რომელშიც ჩაჩეხვენ მსხალს, ყურძენს და გამოწურავენ წვენს (სხალსა **სარნაში** მოვჩეხავთ).

სიტყვა **ავაზანი** კი ამავე ავტორთან შემდეგნაირადაა განმარტებული: წყლის მოსაგროვებელი დიდი ჯარა, გამოთლილი მსხვილი ხისგან, იგი ჩვეულებრივ ორგანყოფილებიანია. ცალ მხარეს გროვდება პირუტყვის დასარწყულებელი წყალი და ღიაა. მეორე მხარე დახურულია და განკუთვნილია სასმელი წყლისთვის. ავაზანს შეხვდებით სოფლებსა და სამოვრებზე თითქმის ყველა წყაროსთან): გელინმა ფამფარაჲ **ავაზანზე** გარცხა (იმ.) (**ფუტკარაძე, 1993: 374-375**).

**სარნა** – წყაროსთან მოწყობილი საგუბარი, საქონლისთვის წყლის დასალევად, ცემენტისას აშენებენ ეხლა, ხისა იყო წინათი (საგურამო). დადულა პატარა რო იყო, **სარნაში** ჩაუვარდათ, კინაღამ დეებრჩოთ. იწმენდი, ბაზალეთი, იკოთი (**ქდკ – იმერული ლექსიკონი**).

ამრიგად, სარნა, იგივე ავაზანი თავდაპირველად ერქვა დიდ, მსხვილ, გულამოღებულ წიფლის ან ცაცხვის მორს ან თიხის ჭურჭელს, რომელშიც აგროვებდნენ წყალს, როგორც სასმელს, ასევე საქონლის დასალევსაც; წურავდნენ ყურძენს, აკეთებდნენ ბეთმეხსაც.

შემდგომ მასში ასხამდნენ ნარცხსაც, ყრიდნენ მარილსაც; ის იდგმებოდა როგორც წყაროებთან, ისე საქონლის სადგომშიც.

მაშასადამე, ლინგოკულტუროლოგიური არქივის მასალებში გამოვლინდა რამდენიმე იშვიათი ლექსიკური ერთეული, რომლებიც არამართო ენის, არამედ კულტურის ნაწილიცაა. უკავშირდება რომელიმე სოციალურ ინსტიტუტს (**ლენჩიბერი**), **სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგს: მემინდვრეობას (ზრელო)**, **მემცენარეობას (გოგვა/ გოგა)**, **ყოფას, ხუროთმოძღვრებას (სარნა, ავაზანი)**. ზოგი მათგანის სემანტიკა გადაწეულია, რასაც საფუძვლად ედება სოციალური ინსტიტუტის მოშლა, ან ყოფა-ცხოვრების წესის შეცვლა; ზოგი დაკარგვის პირასაა (სარნა, ავაზანი).

### გამოყენებული ლიტერატურა

**თანდაშვილი მ.**, ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკუმენტისტიკაში), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი. 2016;

**თანდაშვილი მ., ხალვაში რ., პაპიაშვილი რ., ხახუტაიშვილი მ., კახიანი გ., ცეცხლაძე ნ.**, ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტირების თანამედროვე ინსტრუმენტები, მეგზური, ბათუმი. 2019;

**კახაძე ო.**, პურეულის ლექსიკა ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 1987;

**კლარჯეთი:** ფაღვა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიომშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., გამომცემლობა გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი. 2016;

**მგელაძე ვლ.**, ლენჩიბერის ინსტიტუტის ისტორიიდან (საკითხის დასმის წესით), კრებული, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ბათუმი. 2007;

**ნიჟარაძე შ.**, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი. 1971;

**ნიჟარაძე შ.**, ქართული ენის აჭარული დიალექტი. გამომცემლობა საბჭოთა აჭარა,“ ბათუმი. 1975;

**ნოლაიდელი ნ.**, მშენებლობის ლექსიკა აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა V. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 1986;

**ნოლაიდელი ნ.**, ლექსიკური ძიებანი, აჭარული დიალექტის ლექსიკური მასალების მიხედვით, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ ბათუმი. 2013;

**ნოლაიდელი ნ.**, სიტყვა სიტყვის მაკინარია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა IX. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ ბათუმი. 2007;

**ნოლაიდელი ნ.**, ხალხური ხუროთმოძღვრული დარგობრივი ლექსიკა (აჭარული მასალა), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა XI. ბათუმი. 2010.

**ორბელიანი სულხან-საბა**, ლექსიკონი ქართული I, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი. 1991;

**ორბელიანი სულხან-საბა**, სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული II, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი. 1993;

**ფაღავა მ., ცეცხლაძე ნ.**, სამხრული კილოები – ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი. 2017;

**ფუტყარაძე შ.**, ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი. 2016;

**ფუტყარაძე შ.**, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი. 1993;

**ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი**, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი, ბათუმი. 2019;

**ღლონტი ალ.**, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გამომცემლობა „განათლება“. თბილისი. 1984;

**შავშეთი**, ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიომცილი თ., მამულაძე შ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკაძე ზ., კარალიძე ჯ., ფუტყარაძე თ., ჩოხარაძე ვ., შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართველოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ჰოროსი XXI“, თბილისი. 2011.

## ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### სხვადასხვა მცენარეთა მსგავსი სახელების ერთი წყებისათვის

ქართველურ ფიტონიმთა ხელშესახებ მრავალფეროვნებაში ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ კილოურ სინონიმთა სიუხვე და სიტყვაქმნადობის ნაირგვარობა, არამედ:

1. განსხვავებულ მცენარეთა იდენტური სახელები (მაგ., სახელი **მადა** აჭარულსა და იმერხეულში ჰქვია ხემცენარე **ურთხელს** (მაყაშვილი 1961, ფუტყარაძე 1993), გურულსა და აჭარულში - პარაზიტ მცენარე **ფითრს** (მაყაშვილი 1961), იმავე აჭარულში კი - **ლობიოს** ერთ-ერთ ჯიშს (ნიჟარაძე 1971); 2. განსხვავებულ მცენარეთა სახელებში დადასტურებული ერთი და იგივე ლექსიკური ძირები, მაგ., **ხოკ**- ძირი დასტურდება არა მხოლოდ გოგრის ჯიშ-სახეობათა სახელებში (**ხოკერა**, **ხოკორა კვახი** (იმერ.), **ხოკერა ხაპი** (აჭარ.), **ხოკორია** კოპეშია, **ხოკო** (მეგრ.) = **ხოკერა** გოგრა *Cucurbita pepo* L., **ხოკორა** (მეგრ.) = მეჭეჭიანი გოგრა *Cucurbita verrucosa* L.), არამედ სხვა, განსხვავებულ, მცენარეთა სახელებშიც (**ოხოკუა** (იმერ., გურ.) = ოროვანდი *Arctium lappa* L., **სახოკია** (მეგრ.) = ძაღლისენა *Cynoglossum officinale* L., **ხოკანა**, **ხოკის ბალახი**, **ღორიხოკა** = **ლემა** *Datura stramonium* L., **გახოკია** (მეგრ.) = ცხენისკუდა *Erigeron canadensis* L.).

დაკვირვება ცხადყოფს, რომ, საზოგადოდ, ეს მოვლენა განპირობებულია არაერთი მიზეზით. ჩვენ ამჯერად გვიანტერესებს **მჭად-/ჭად**-ლექსიკურ ძირთა მქონე ფიტონიმების საკითხი, შდრ.: 1. *იმერ.* [მ]ჭადი, *ქვ.-იმერ.*, *გურ.* ჭადი, ჭადის ჭადი; *ლუჩხ.* შავჭადა, შავი ჭადი; *ზ.-იმერ.* წვრილი ჭადი; *მეგრ.-ლახ.* ჭკიდი, ჭკიდიში ჭკიდი (= ფეტვი *Panicum miliaceum* - მარცვლოვანი კულტურული მცენარე); 2. *ზ.-იმერ.* ჭადი (= ქვრიმა, *Setaria italica* - მარცვლოვანი კულტურული მცენარე); 3. *გურ.* ჭადა-ჭადა, ჭანდუა; *მეგრ.* მაჭკიდა (=მჭადა *Oplismenus undulatifolius* - მარცვლოვანი სარეველა ბალახი); 4. *ქართლ.*, *ქიზ.*, *კახ.*, *ფშ.* ჭადა, მჭადა - კაკლის, თხილის, თუთის და მისთანათა მამრობითი ყვავილედი; 5. *მთიულ.* მჭადა (=ამპურა, მაპურა *Sorbus graeca* - დაბალი ხე ან ბუჩქი; ისხამს წითელ

წვნიან ნაყოფს, რომელიც იჭმევა); 6. *იმერ. ჭადო; ზ.-იმერ. მჭადიო, მჭადო* (=მჭადასოკო *Lactarius deliciosus* Fr.- საჭმელი სოკო; ქუდი და ფეხი მონარინჯისფრო-წითელი აქვს); 7. *კახ. მჭადა* (=ჭიჭკეტასოკო *Lactarius volemus* Fr. - ხორცოვანი ქუდიანი სოკო. ქუდი ნარინჯისფერ-ყავისფერი ან მოყვითალოა).

ამ განსხვავებულ მცენარეთა ომონიმური ფიტონიმების, ან ფიტონიმთა საერთო ლექსიკური ძირების არსებობა განპირობებული ჩანს შემდეგით:

1. **მჭადი/ჭადი** სახელის პოლისემიურობით (შდრ.: „**მჭადი** - სიმინდის **პური**. || ძვ. ფეტვის **პური**. *კუთხ...* იგივეა, რაც **ფეტვი...** იგივეა, რაც **ქვრიმა**“ (ქეგლ);

2. აღნიშნულ მცენარეთა (ან მათ რომელიმე ორგანოთა) ნიშან-თვისებებით, მაგ.: ა. *სოკოთა* სახელებისათვის ამოსავალია მათი ფორმა, იერ-სახე, რომელიც მიმსგავსებულია ნამცხვარ **მჭადს**; ბ. მცენარე *ამპურას* მთიულური სახელისათვის ამოსავალია ნაყოფის შედგენილობა და გემო, რომელიც, ასევე, მიმსგავსებულია ნამცხვარ **მჭადს**; გ. მარცვლოვანი სარეველას, **მჭადს** *Oplismenus undulatifolius* თაველი მიმსგავსებულია **ფეტვის (მჭადის)** თაველს (ენინობითობის მინიშნებით, შდრ.: *გურ. ჭადა-ჭადა, ჭანდუა; მეგრ. მაჭკიდა*); დ. რიგ ხემცენარეთა (მუხა, თელა, მურყანი, რცხილა, თუთა, ვერხვი, ტირიფი, ლაფანი, ივანი, კაკლის ხე, თხილი) მამრობითი ყვავილელები მიმსგავსებულია **ქვრიმას (მჭადის)** თაველს, შდრ.: „**მჭადა** თხილთა, ნიგოზთა და მისთანათა ყვავილი“, „ყვავილი თხილთა, ნიგოსთა და მისთანათა“ (საბა, ჩუბინაშვილი 1985; ჩუბინაშვილი 1961); სწორედ ამ ხემცენარეთა მამრობითი ყვავილელების ფორმა-მოყვანილობის, ნიშან-თვისებების გათვალისწინებით და, ასევე, ლექსიკოგრაფთა განმარტებებზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ **მჭადი/ჭადი** გარკვეულ ენობრივ არეალში აღნიშნავდა არა მცენარე **ფეტვს**, არამედ **ქვრიმას** (მის თაველს), როგორც არის ეს დღეს ზმ.-რაჭულში, შდრ.: ზმ.-რაჭ **ჭადი**, ქვ.-რაჭ. **ქვრიმოფა** = ქვრიმა *Setaria italica* (L.) P. B. ssp. *moharium* Alef.

საგულისხმოა, რომ **ქვრიმა** არის **ფეტვის** მსგავსი მარცვლოვანი კულტურა. მას ადრე სწორედ *ფეტვნაირთა* გვარს (*Panicum*) აკუთვნებდნენ, მაგრამ, მიუღ რიგ ბოტანიკურ ნიშნებზე დაყრდნობით, თანამედროვე კლასიფიკაცია მას *ძურწას* გვარს (*Setaria*) მიაკუთვნებს.

ერთი შეხედვითაც თვალსაჩინოა, რომ **ქვრიმას** თაველი ფორმითა (ლომის თაველის მსგავსი) და მიკრობა-მიწებების უნარით მართლაც ჰგავს *ძურწას* გვარის მცენარეთა თაველს. ქართული დიალექტური მასალაც და ძველ ლექსიკონებში დადასტურებული განმარტებანიც ხელშესახებდა ადას-ტურებს **ქვრიმას** თაველის განსხვავებას **ფეტვის** თაველისაგან და მის მსგავსებას *ძურწასნაირებთან* (რომლის შემადგენლობაშია *ლომიც*), შდრ.: *მთიულ.* **მელაკუდა-ფეტვი**; *კახ.* **ძურწა-ფეტვი**; *ფშ.* **ქვრიმა-ფეტვი** (=ქვრიმა, *Setaria italica*) (მაყაშვილი 1961); „**ძურწა-ფეტვი** ფეტვის ჯიშია, შესახედავად მთლად ძურწა ბალახსა ჰგავს, ოღონდ უფრო თამამია, თავთავიც დიდი აქვს, ყვითელია“ (მენტ.); „**ფეტვი** ორჯურაა, ერთი **ძურწა ფეტვია** და ერთი კიდევ **ფაჩხა. ძურწა ფეტვი, როგორც ძურწა ბალახი იგეთია** და ფაჩხა კი შავი ფეტვია. ფაჩხა ფეტვი ბორჯღლიანია და მსხვილმარცვალა“ (შიგნიკაბური, ქდვ); „**კარწუმელი** ლომს(ა) ჰგავს, ფეტვია“ (საბა); „**კარწუმელი, ქვრიმა** ფეტვია, ლომსა ჰგავს“ (რ. ერ.); „**ქჭრიმა, ქურიმა** ფეტვი ლომის მსგავსი“ (ჩუბინაშვილი 1961); „**კარწუმელი, ქურიმა, ქვრიმა, ქვრივი, ქჭრივი, ქჭრიმა** ფეტვი ლომისა მსგავსი“ (ჩუბინაშვილი 1985).

დღეს **ფეტვისა** და **ქვრიმას** კილოური სახელები ერთმანეთში ირევა (საზოგადოდ, ამგვარი რამ იშვიათი არ არის მონათესავე მცენარეთა სახელებისათვის) და, როგორც ი. ჯავახიშვილი მიუთითებს: „**ფეტვს** ქვრიმას სახელწოდებადაც მიიჩნევენ“ (ჯავახიშვილი 1930: 365), ხოლო სახელი **ჭადი** დასტურდება ორივე მარცვლოვანი კულტურის კილოურ სახელებში. ეს ბუნდოვანება განპირობებული ჩანს შემდეგი მიზეზებით: 1. *გარენობრივი* - ჩვენში ამ კულტურათა მივიწყებით, რაც სიმინდის კულტურის ფართოდ გავრცელებას უკავშირდება (ცნობილია, რომ ამჟამად საქართველოში ფეტვნაირი კულტურები - *ქვრიმა, ურიში, ლომი, ფეტვი, ბრინჯი* - თითქმის აღარ ითესება); 2. *ენობრივი* - „პური“-ს მსგავსად (რომელიც დასტურდება როგორც კულტურული მარცვლეული მცენარის გვარის (*Triticum*), ასევე მისგან მიღებული ნამცხვრის სახელებად), „მჭადი“-ც აღნიშნული მარცვლეული მცენარეების სახელადაც გვაქვს და მათგან მიღებული ნამცხვრისაც.

ცნობილია, რომ საქართველოში უძველესი დროიდან **ფეტვი**<sup>1</sup> და **ქვრიმა**<sup>2</sup> ფართოდ გავრცელებული კულტურა გახლდათ და ხალხის ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რასაც დამაჯერებლად ადასტურებს არქეოლოგიური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემები.

სახელი **ქვრიმა** დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: „ვეფხისტყაოსანსა“ და დავით ნარინის დროის (XIII ს.) გელათის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელში, ძველ ქართულ ლექსიკონებში.

ჩვენში ისტორიულად განსაკუთრებულად ფართო გავრცელების კულტურა ჩანს **ფეტვი** - *Panicum miliaceum L. Mas.* ი. ჯავახიშვილის მითუთითებს, რომ ძველ საქართველოში მარცვლეული მცენარეების, ფეტვნაირთა ჯგუფის ყველაზე დამახასიათებელი მცენარე იყო. „**ფეტვი**“ (ჯავახიშვილი 1930). სახელი **ფეტვი** ხელშესახებად დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: დაბადების ქართულ თარგმანში; ათონის მონასტრის XI ს.-ის, ნიკორწმინდის (XI ს.) ხელნაწერებში; აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრების ამსახველ საბუთებში; დავით ნარინის დროის სიგელში (XIII ს.); საბას „სიტყვის კონასა“ და ჩუბინაშვილების ლექსიკონებში; ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ნაშრომში (ვა-

---

<sup>1</sup> მონაცემებით ირკვევა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულიდან დაწყებული I ათასწლეულის ბოლომდე ფეტვი მასობრივად იყო გაპალეობოტანიკური ვრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ყველაზე მნიშვნელოვანია არუხლოს ძვ.წ. VI-IV ათასწლეულის ფენებში აღმოჩენილი ფეტვის კარბონიზირებული მარცვლები (Русишвили, 1990). დიხა გუტუბას გათხრების დროს სხვა მარცვლეულთა შორის ფეტვიც აღმოჩნდა. ნ. ხომტარია ამ მასალას ნეოლითის (VIII-VI ათასწლეულის) ბოლო პერიოდით ათარიღებს (ხომტარია, 1944). უახლესი გამოკვლევებით ფეტვის ნაშთები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს (ნოქალაქევი, IV-III სს; ვანი V ს.) არქეოლოგიურ ძეგლებზე (ბოკერია, 2013; 2014). (მაისაია 2009).

<sup>2</sup> არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა, რომ **ქვრიმას** კულტურა საქართველოში უძველესი დროიდან იყო ცნობილი. პალეობოტანიკური მონაცემების მიხედვით, V-VII საუკუნეებში და შემდეგაც, ეს კულტურა მოჰყავდათ **რაჭასა** და **იმერეთში**. ქვრიმას კარბონიზირებული მარცვლები აღმოჩენილია გვიანი ნეოლითიდან ბერძნული კოლონიზაციის პერიოდამდე **დიხაგუტუბას** არქეოლოგიურ ძეგლზე. წერილობითი წყაროების მიხედვით, **ქვრიმა** გავრცელებული იყო რაჭის, იმერეთისა და დუშეთის რაიონებში XVIII — XIX საუკუნეებში. შედარებით დაბალ რეგიონებში **ფეტვისა** და **ქვრიმას** ნარევი ითვისებოდა, 1200 მეტრზე ზევით კი — **ქვრიმას სუფთა** კულტურა.

ხუმტი, 1941); ევროპელ მოგზაურთა ცნობებში (ლამბერტი, შარდენი, კასტელი, გიულდენშტედტი...); უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომებში (სტრაბონი, ძვ.წ. I-ახ.წ. I ს.; პროკოპი კესარიელი, VI ს.) და სხვ. (პური ჩვენი არსობისა 2016).

სახელი **მჭადი/ჭადი**, რომელიც დღეს პოლისემიური სიტყვაა და აღნიშნული ორივე მარცვლეული კულტურის კილოურ სახელებში ფიგურირებს, ასევე დასტურდება ძველ ქართულში, მხოლოდ გამომცხვარი პროდუქტის სახელად და არა რომელიმე მცენარისა, შდრ.: „**ჭადი** „საჭმელი“, „ჭამადი“: „მე ჭადი მაქუს ჭამად“; „მე საჭმელი მაქუს ჭამად“; „მე ჭამადი მაქუს ჭამად“ ი. 4, 32. (აბულაძე 1973).

აღნიშნული სახელების (**ფეტვი**, **ქვრიმა**, **მჭადი/ჭადი**) აღრევის დინამიკა ასე წარმოგვიდგენია: ფართო გავრცელებისა და მოხმარების კულტურა **ფეტვისთვის** (*Panicum miliaceum*) საქართველოს ყველა კუთხეში საყოველთაო უნდა ყოფილიყო უძველესი სახელი **ფეტვი** (ქართველურ ენებში შესატყვისობების არსებობაც ამას მიუთითებს, შდრ.: ზან. **ფატი**, სვან. **ფატუ**, **ფატუ**); მეორე კულტურისთვის - **ქვრიმასათვის** (*Setaria mocharica*) - დასავლურ ქართულ კილოებში გავრცელებული უნდა ყოფილიყო ზანურიდან შემოსულ-დამკვიდრებული **ქვრიმა**, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს კილოებში - მისი აღწერითი სახელები, შედარებული **ფეტვთან**. საზოგადოდ, აღმ. საქართველოში ეს კულტურა ნაკლებადაა გავრცელებული და ფეტვის ერთგვარ სახეობად მიიჩნევა.

მოგვიანებით ამ კულტურათა სინონიმურ სახელებში ჩნდება მათი მარცვლებისაგან გამომცხვარი პროდუქტის სახელი „**მჭადი**“. საინტერესოა, რომ საბას „სიტყვის კონაში“ **მჭადის** მთავარი მნიშვნელობა ჯერ კიდევ არის: „ფეტვისა, სიმინდისა და მისთანათ პური“, თუმცა ამავე ლექსიკონში ის ფიგურირებს ფეტვის ერთ-ერთი ჯიშის, **მანაშას**, სახელშიც, შდრ.: „**მანაშა** (ბალ.) შავი მჭადი“ (საბა 1991).

მცენარე **ფეტვის** კილოურ სახელებად **მჭადი/ჭადი** დღეს ხელშესახებად დასტურდება დასავლეთ (ასევე, სამხრეთ დასდასავლეთ) საქართველოს ბარის კოლოებში, მეგრულ-ლაზურში და კილოურ სინონიმებში ნამცხვრის სახელის გამოჩენა თავდაპირველად სწორედ ამ ენობრივ არეალში უნდა მომხდარიყო. აღმოსავლეთ საქართველოს კილოებსა და სვანურში აღნიშნული კულტურის ძირითად სახელად კვლავ რჩება **ფეტვი** (სვან. **ფატუ**, **ფატუ**), ხოლო დას. კილოებში **მჭადის/ჭადის** მცენარე **ფეტვის** სინონიმებად და-



მკვიდრების შემდეგ, კულტურა ქვრიმას სახელები აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ კილოში კვლავ აღწერთად გამოიხატება, თუმცა უკვე შედარებულია მჭადს, შდრ.: „ქვრიმა ჭადი“, „ქვრინოკა ჭადი“, „შავი ჭადი“<sup>1</sup>. იზრდილება სახელი ქვრიმა, რასაც ისიც განაპირობებს, რომ ფეტვთან შედარებით თავად ქვრიმა უფრო ადრე იკარგება, როგორც კულტურა (ცნობილია, რომ ფეტვსა და ღომთან შედარებით, ქვრიმასგან დამზადებული ბურღული დაბალი ხარისხისაა).

ამგვარად, რიგ ხემცენარეთა მამრობითი ყვავილელების ჩვენთვის საინტერესო სახელები (მჭადა, ჭადა, მჭადა ყვავილი) აღნიშნულ მარცვლეულ კულტურათა სახელების ადრევის შემდგომი პერიოდისაა და ეკუთვნის იმ დიალექტურ არეალს, რომელშიც სახელი მჭადი ძირითადად აღნიშნავს არა ფეტვს, არამედ მის მონათესავე, მაგრამ გამოკვეთილად განსხვავებული თაველის მქონე მცენარე ქვრიმას. ასეთ დიალექტებად, უპ. ყოვლისა, ივარაუდება ქართლ-კახური, შდრ.: „მჭადა, ჭადა; მჭადა ყვავილი კაკლის და თხილის (აგრეთვე საფურცლე თუთის ) ყვავილი“ (ქდლ 1981). სწორედ ამ დიალექტთა მონაცემებს უნდა ეყრდნობოდნენ ჩვენი ლექსიკოგრაფებიც (საბა, ნიკო და დავით ჩუბინაშვილები). მოგვიანებით ბოტანიკოსებმა სახელ „მჭადას“ სამეცნიერო ტერმინის ფუნქცია მიანიჭეს, რაც, ვფიქრობთ, ჩინებული მიგნებაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი

**მაისაია 2009** – ი. მაისაია, ჩვენი ეროვნული საუნჯე (საქართველოს მარცვლოვანი და საზეთე-ბოჭკოვანი კულტურები), თბილისი.

---

<sup>1</sup> შდრ.: გასული საუკუნის 50-იან წლებში ნ. კეცხოველი აღნიშნავდა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილია სახელწოდებები: „ქვრიმა ჭადი“, „ქვრინოკა ჭადი“, „შავი ჭადი“ და სხვ. ყველა ეს სახელწოდება იმ მცენარის აღმნიშვნელია, რომელიც ზოგან „ქვრიმას“ სახელით არის ცნობილი, ზოგან კი „ჭადის“, ან „ჭადის-ჭადის“ სახელწოდებით.

**მაცაშვილი 1961** – ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი

**ნიჭარაძე 1971** – შ. ნიჭარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი.

**პური ჩვენი არსობისა 2016** – ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე, პური ჩვენი არსობისა, I-II, თბილისი

**საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

**ფუტკარაძე 1993** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი

**ქდლ 1981** – თ. ბეროზაშვილი, მ. მესხისვილი, ლ. ნოზაძე, ქართული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი

**ქეგლი 1986** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1961** – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1930** – ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი.